თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გივი კაპანაძე

ეკონომიკის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში

მეორე გამოცემა

თბილისი

2010

UDC (უაკ) 33.01+654.197
კ–241

ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ მედიაში გამოქვეყნებული მასალები, რომლებიც თანამედროვე საქართველოს აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს ეძღვნება.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია ჟურნალისტებისათვის, განსაკუთრებით კი უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ეკონომისტებსაც, პოლიტოლოგებსაც და საზოგადოებრივი აზრის განვითარების დინამიკის შესწავლით დაინტერესებულ პირებსაც, აგრეთვე დაეხმარება ფართო მკითხველს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესთან დაკავშირებული ურთულესი მოვლენების უკეთ გააზრებაში.

რედაქტორები:

პროფესორი ნოდარ ტაბიძე
პროფესორი დილავარდისა დავითულიანი

რეცენზენტები:

პროფესორი თამაზ ჯოლოგუა
პროფესორი დალი შენგელია

ISBN 987-9941-0-2884-7

ჟურნალისტიკის ისტორიისა და თეორიის მრავალ საკითხზე ქართველ მეცნიერებს ბევრი საყურადღებო ნაშრომი აქვთ მომზადებული, რაც შეეხება ჟურნალისტიკათმცოდნეობის ისეთ სეგმენტს, როგორიცაა მედიის პრობლემატიკა, იგი მათი მხრივ აშკარად მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ჟურნალისტიკათმცოდნეობის აღნიშნული დარგი მაინცდამაინც არც საბჭოურ პერიოდში ყოფილა განვითარებული, მისი მეცნიერული შესწავლა მაშინაც შედარებით იშვიათი მოვლენა იყო. აქ შეიძლება დავასახელოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის მიერ მომზადებული ორტომიანი წიგნი. „საბჭოთა პრესის თეორია და პრაქტიკა“, რომლის მეორე ტომის მეორე ნაწილი ჟურნალისტიკის პრობლემატიკას ეძღვნება, აგრეთვე ქართველ მეცნიერთა თითო-ოროლა სხვა ნაშრომი. ამ ნაშრომებმა თავის დროზე უთუოდ შეასრულეს გარკვეული როლი, მაგრამ იმ რადიკალური ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც კომუნისტური სისტემის დამხობას, საბჭოთა კავშირის ნგრევასა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას მოჰყვა, უთუოდ საფუძვლიან გადამუშავებას მოითხოვენ.

იგივე შეიძლება ითქვას რუსულ ჟურნალისტიკათმცოდნეობაზეც.

პოსტსაბჭოურ პერიოდში ქართულად გამოქვეყნდა მხოლოდ ერთი ნაშრომი (ვანო მჭედლიშვილის წიგნი „ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა“), რომელიც რედაქციათა მუშაობის ორგანიზაციასთან ერთად თანამედროვე ჟურნალისტიკის პრობლემატიკასაც ეძღვნება.

კიდევ უფრო არასახარბიელო მდგომარეობაა თანამედროვე (გარდამავალი პერიოდის) ეკონომიკის საკითხებზე მომზადებული პუბლიკაციების შესწავლაში, რაც უკანასკნელ დრომდე არ გამხდარა მეცნიერთა საგანგებო ყურადღების საგანი. არადა ეს პრობლემები ყველაზე აქტუალურია ჩვენი (და არამარტო ჩვენი) ქვეყნისათვის. მთელს მსოფლიოში ეკონომიკა მედიის უმთავრესი ყურადღების საგანია და არც არის გასაკვირი, რადგან ადამიანებს არაფერი აღელვებთ იმაზე მეტად, ვიდრე ცხოვრების დონე და მისი ხარისხი, რაც ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ მდგომარეობაზეა

დამოკიდებული. ისიც ცხადია, რომ ინტერესი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაშინ ღვივდება, როცა სახალხო მეურნეობაში კრიზისული ვითარებაა. საქართველოსაც სწორედ ასეთ სიტუაციაში მოუხდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება.

ჩვენს წიგნში „ქართული მედია და საქართველოს ეკონომიკა“, რომელიც 2003 წელს გამოიცა, გაანალიზებულია „პერესტროიკიდან“ მოყოლებული 2002 წლის ზაფხულამდე საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული, ტელე - და რადიოარხებით გადაცემული მასალები. წინამდებარე ნაშრომში ეს პერიოდი გავრცობილია 2004 წლის შემოდგომამდე. გარდა ამისა იქ ფაქტობრივად მხოლოდ ჟურნალისტთა პუბლიკაციები იყო განხილული, აქ კი ამას დაემატა ქართველ და უცხოელ ეკონომისტთა უახლოეს წლებში დასტამბული გამოკვლევები, რამაც საშუალება მოგვცა ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი ქართული მედიამასალები შეგვეპირისპირებინა მათთან და უფრო ფართო პლანით წარმოგვეჩინა.

ნაშრომზე მუშაობისას მიზნად ვისახავდით გამოგვეკვლია ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები, რომლებიც ეკონომიკის საკითხებზე ქართული მედიის პუბლიკაციებში იკვეთება, დაგვეფიქსირებინა და განგვეხილა ამ პუბლიკაციებში გამოხატული სხვადასხვა და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები და პოზიციები. ვცდილობდით პასუხი გაგვეცა ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: რამდენად სრულად აისახა თანამედროვე ქართულ მედიაში ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესთან დაკავშირებული ურთულესი მოვლენები, რამდენად სრულყოფილად გაართვა მან თავი ამ მოვლენების გაანალიზებას, როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით არჩევდა იგი თემებს პუბლიკაციებისათვის, რა განაპირობებდა ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ამა თუ იმ საკითხისადმი მის მიერ გამოხატულ პოზიციას, რამდენად ახერხებდა კომპეტენტური სპეციალისტების მოხმობას ავტორთა თუ რესპონდენტთა სახით, რამდენად ფართო იყო მათი შემადგენლობა და სხვა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში დიდი ტკივილები (ფასების ზრდა, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, უმუშევრობა და სხვა) ახლდა თან. რეფორ-

მატორებს (ჭეშმარიტს და არა მოდასაყოლილთ, რასაკვირველია) კარგად ესმოდათ, რომ ამის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა. ამიტომაც შიშობდნენ, რომ ცვლილებათა პროცესში მოსახლეობის ფართო ფენებში არ წარმოშობილიყო მძაფრად ნეგატიური დამოკიდებულება ბაზრის მიმართ, ეს რომ არ მომხდარიყო აუცილებელი იყო მათი სათანადოდ შემზადება. „როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, პროფესორი ვასილი ლეონტიევი აღნიშნავს, არ შეიძლება საქმის ისე წარმოდგენა, თითქოს ეკონომიკური სისტემის გარდაქმნისათვის საკმარისია საღამოს უზენაესმა საბჭომ მიიღოს საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ყოველმხრივ გამართული კანონები, დადგენილება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ და დილით გამოღვიძებული ადამიანები საბაზრო ეკონომიკაში ჩაბმულნი აღმოჩდნენ; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განსახორციელებლად აღნიშნული კანონების მიღებასთან შედარებით ბევრად უფრო მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი აზროვნების სტილის ჩამოყალიბება, რასაც შედარებით დიდი დრო სჭირდება. თუკი ამ დროის განმავლობაში ადამიანმა არ ირწმუნა საბაზრო ეკონომიკის მოსალოდნელი სიკეთე, ის იმდენად უარყოფითად განეწყობა მის მიმართ, რომ შესაძლოა ყოველმხრივ შეაფერხოს, ჩაშალოს კიდეც რაგინდ კარგი პროგრამის განხორციელება“[1].

ეკონომისტები აღნიშნული საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყურადღებას ძირითადად სახელმწიფოს მხრივ სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობაზე ამახვილებდნენ. ჩვენთვის კი, როგორც ჟურნალისტიკათმცოდნისათვის, უფრო საინტერესო იყო, რეფორმათა იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანის რეალიზაციის პრობლემა. ამიტომაც ნაშრომში სხვასთან ერთად იმ მიზანსაც ვისახავდით, რომ გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად გაითავისა ქართულმა მედიამ ეს ამოცანა და რამდენად შეამზადა მან მოსახლეობა საბაზრო ეკონომიკის „მშობიარობის ტკივილების“ ასატანად.

ავტორის ინტერესთა ხასიათს, რასაკვირველია, განაპირობებდა ის გარემოება, რომ იგი ჟურნალისტიკათმცოდნეა. ხაზი გვინდა

[1] საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, თბ., 1991, გვ. 138.

გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ნაშრომში ქართული მედიის მასალები ეკონომიკის საკითხებზე უმთავრესად ამ თვალსაზრისითაა განხილული, თუმცა გარკვეულწილად მოგვიხდა ეკონომიკის სფეროში „შეჭრაც“, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს მასალები თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების დონეს.

ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალიტებისადმი საკმაოდ ხშირად გამოითქმის სხვადასხვა სახის საყვედური. ზოგ შემთხვევაში უკმაყოფილება გამოიხატება ჟურნალისტური ეთიკის დარღვევებთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფ. ზურაბ ცქიტიშვილი, მაგალითად, ამბობს: „მე არაერთხელ მქონია შემთხვევა, როდესაც ჩემთან ინტერვიუზე მოსული ჟურნალისტისათვის ერთი მითქვამს და მეორე დაუწერია, მერე ის ჟურნალისტი რედაქტორს აბრალებს საკუთარ შეცდომებს, რედაქტორი, პირიქით, ჟურნალისტს და ა.შ.“[1].

იგივეს აფიქსირებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი საქართველოში თევფიქ იაპრაკი: „სამწუხაროდ, პრაქტიკამ გვიჩვენა – ჟურნალისტებთან საუბრის შემდეგ არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ გამოქვეყნებული მასალა ზუსტად ასახავს ნათქვამს. უფრო მეტიც, ხშირად აზრი იმდენად არის დამახინჯებული, შეცვლილი, რომ იძულებული გავხდით, დაგვემკვიდრებინა პრაქტიკა – გამოქვეყნების წინ ჟურნალისტმა უნდა გადაგვახედოს მასალას, რათა ლაფსუსები არ გაიპაროს“[2].

მსგავს საყვედურს გამოთქვამს საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გია თოინიშვილიც. „შეხვდები ჟურნალისტს, ესაუბრები პრობლემებზე, კარგავ ძვირფას დროს, გინდა დარგისთვის, ქვეყნისთვის სასარგებლოდ გამოიყენო ეს შეხვედრა, თითქოს ყველაფერს გარკვევით უხსნი, თავსაც გიკრავს თანხმობის ნიშნად, შემდეგ წავა და, ღმერთმა იცის, რას

---

[1] ზ. ცქიტიშვილი, ბუნებრივი მონოპოლიზაციის პრობლემები ენერგეტიკაში (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ. 82).

[2] თევფიქ იაპრაკი, მსოფლიო ბანკი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ. 66).

წერენ – ინტერვიუ ერთ საკითხზე იყო და სულ სხვა თემაზეა აქცენტი გაკეთებული“[1].

და მაინც პრეტენზიები ყველაზე ხშირად ეკონომიკის საკითხებში ჟურნალიტების დაბალი კომპეტენტურობითაა მოტივირებული. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსის გამგეობის თავმჯდომარე მიხეილ ხოშტარია, მაგალითად, თვლის, რომ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ გაითავისა საბაზრო ეკონომიკური პრინციპები, ვერ გაერკვა იმაში, თუ რატომ მოხდა ასეთი ღრმა დიფერენციაცია საზოგადოებაში, რატომ აღმოჩნდა მოსახლეობის დაახლოებით 3 პროცენტის ხელში მთელი სიმდიდრე და რატომ ცხოვრობს დანარჩენი სიღატაკის ზღვარზე (ზოგი ზემოთ, ზოგიც ქვემოთ)“. მისი აზრით, „აი, სწორედ აქ იყო საჭირო მას მედიის თანადგომა, საბაზრო პროცესის განმარტება, მისი გარდუვალობის, აუცილებლობის პროპაგანდა. მოსახლეობის ეიფორიიდან გამოყვანა. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა. არ მოხდა იმიტომ, რომ თავად ჟურნალისტთა კორპუსი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ აღმოჩნდნენ ამისათვის მზად. ვერც აღმოჩნდებოდნენ. ჟურნალისტების ძველი თაობა თავად ვერ ერკვეოდა და ვერც ეპუებოდა საბაზრო ეკონომიკას, ახალგაზრდებს კი ცოდნაც აკლდათ და გამოცდილებაც“[2].

ჟურნალისტთა შორის არაპროფესიონალიზმის ფართოდ გავრცელებით ხსნის მ. ხოშტარია იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური საკითხების გაშუქებისას ისინი საუბრობენ „არა ეკონომიკურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე“, არამედ „იმაზე თუ ერთი პარტიის წარმომადგენლებმა როგორ სცემეს მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელი, რომელიღაც ეკონომიკური კანონის განხილვისას“[3].

საქართველოს ვაჭრობის, მრეწველობისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის

---

[1] გ. თოინიშვილი, გაზის მოპოვებისა და გადამუშავების პერსპექტივები საქართველოში და პარტნიორობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ. 87).

[2] მ. ხოშტარია, ქართული ჟურნალისტიკა დღეს (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ. 8).

[3] იქვე, გვ. 9 .

ვაჟა კაპანაძის აზრით, „სამწუხაროდ, ქართულ ჟურნალისტიკაში მკვიდრდება დილეტანტიზმი, მასალისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც, საბოლოო ჯამში, არც ჟურნალისტიკას არგებს და არც ქვეყნის ეკონომიკას“[1].

ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის დონით უკმაყოფილოა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, პროფესორი დ. მირცხულავაც. მისი შეფასებით, „ჩვენთან ანალიტიკური მასალების ძალიან დაბალი დონე შეინიშნება“[2]. მას არ მოსწონს მედიის გატაცება სენსაციებითა და სკანდალებით, მაგრამ ამაში უფრო საზოგადოებას ადანაშაულებს: „თუმცა ეტყობა ჩვენს საზოგადოებას დღეს სკანდალური თემები უფრო აინტერესებს – ვინ ვინ გალანძღა, ვინ ვის რა ჩაარტყა და ალბათ, მსგავსი მოთხოვნილებების და მიხედვით, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამ დონის ინფორმაცია უფრო იყიდება“[3].

განსაკუთრებით არასასიამოვნო წარმოდგენისაა დ. მირცხულავა მისი საკუთარი სფეროს – ენერგეტიკის პრობლემების გაშუქებით, რომლებსაც ქართული მედია, მისი აზრით, ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებს. „ქართული ანალიტიკური მასალა,- ამბობს იგი,- მართალი გითხრათ, არც წამიკითხავს. ჩემი დარგის შესახებ მასალებს რუსულ და უცხოურ პრესაში ვნახულობ... კანადელი ჟურნალისტი კეტლერი უფრო მეტს წერს საქართველოში ენერგეტიკის მომავალ განვითარებაზე, ვიდრე ნებისმიერი ქართველი ჟურნალისტი“[4].

შენიშვნები ქართულ ეკონომიკურ ჟურნალისტიკაში არც თუ იშვიათად გამოვლენილი არასაკმარისი პროფესიონალიზმის გამო ბევრ სხვასაც გამოუთქვამს, მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთმოყვანილი მაგალითებიც საკმარისია საიმისოდ, რომ წარმოდგენა შევიქმნათ ამ თვალსაზრისით ჩვენში არსებულ მდგომარეობაზე.

თევფიქ იაპრაკის აზრით, ქართული ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები მარტო მათი არასაკმარისი პროფესიონალიზმით არ აიხსნება. მისი სიტყვებით,

---

[1] ვ. კაპანაძე, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ.61).

[2] დ. მირცხულავა, ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსა და კავკასიაში (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა თბ., 2002, გვ. 84).

[3] იქვე.

[4] იქვე.

რომ ვთქვათ, „ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, მას მედიის ორგანოები ფინანსურად გაცილებით უფრო დამოკიდებულნი არიან გარკვეულ ჯგუფებთან, ვიდრე ეს სასურველი იქნებოდა. ის პრეტენზიები, რაც საზოგადოებას აქვს მას მედიისადმი მხოლოდ ჟურნალისტების არაკვალიფიცირებულობით არ არის გამოწვეული. რომც არსებობდნენ განათლებული და პროფესიონალი ჟურნალისტები, რედაქტორები, მაინც იქნებოდა გარკვეული პრობლემები"[1].

თევფიქ იაპრაკის ეს მოსაზრება თუმცა საფუძველს არ არის მოკლებული, მაგრამ იგი მაინც გადაჭარბებულად გვეჩვენება. ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ქართველ ჟურნალისტთა შორის ნამდვილად არსებობენ განათლებული და პროფესიონალები ისევე, როგორც რედაქტორები, რომლებსაც ძალუძთ უშუალოდ თვითონ ან კვალიფიცირებულ და პოლიტიკურ კონიუნქტურას დაუმორჩილებელ სპეციალისტებთან თანამშრომლობით ჯეროვან დონეზე გააშუქონ ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემა. ეგაა მხოლოდ, რომ სასურველია ასეთი ჟურნალისტები მეტნი იყვნენ.

ჟურნალისტების გაურკვევლობა თანამედროვე ეკონომიკის საკითხებში მაინც და მაინც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თვითონ ეკონომისტებსაც ფაქტობრივად „ახალი" დაწყებული აქვთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ურთულეს პროცესთან დაკავშირებულ პრობლემათა შესწავლა. როგორც პროფ. ვლ. პაპავა წერს, „გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შემდეგ არავინ, მსოფლიოში არცერთმა ეკონომისტმა არ იცოდა, თუ კომუნისტური ხასიათის მქონე ეკონომიკის ტიპიდან საბაზრო ანუ კაპიტალისტური ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა როგორ უნდა განხორციელებულიყო"[2]. თუმცა მისივე შეფასებით, მას შემდეგ განვლილ პერიოდში „რეფორმის გზაზე მდგარ თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეროვნულ პროფესიონალთა კადრები გამოიკვეთა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის მეტნაკლებად მდიდარი გამოცდილება დაგროვდა"[3].

---

[1] თევფიქ იაპრაკი, მსოფლიო ბანკი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა", თბ., 2002, გვ.69).

[2] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 345.

[3] იქვე.

ამ გამოცდილებამ იმაშიც იჩინა თავი, რომ დაიწერა მრავალი საყურადღებო ფუნდამენტური ნაშრომი, რომელთა ავტორებად უცხოელებთან ერთად ქართველი მეცნიერებიც გვევლინებიან.

და მაინც, სწავლულ ეკონომისტთა აზრით, იმ დეფიციტთა შორის, რომელიც დღეს საქართველოში იგრძნობა, ყველაზე მწვავე ეკონომიკური ცოდნის დეფიციტია. მითუმეტეს აქტუალურია ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ფიქრი, რაზეც, პირველ რიგში, სწორედ სწავლულმა ეკონომისტებმა უნდა იზრუნონ. აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გვესახება ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტების საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციების ცალკე კრებულებად გამოქვეყნება. პროფ. ვლ. პაპავამ, მაგალითად, გამოსცა გაზეთ "24 საათში" დაბეჭდილი სტატიები[1], პროფ. რ. გოცირიძემ 1987-1999 წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები და ინტერვიუები[2]. აქვე უნდა დავასახელოთ პროფ. თ. ჩხეიძის წიგნიც, რომელიც წარმოადგენს 1990-2003 წლებში სოფლის მეურნეობის საკითხებზე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში მის მიერ დასტამბულ მასალებს[3].

უნდა აღინიშნოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ალიანსის მიერ გამოცემული კრებულიც, რომელიც „წარმოადგენს ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ ევრაზიის ფონდის პროექტის („ეკონომიკა და ჟურნალისტიკა") ფარგლებში 2001-2002 წლებში წაკითხულ რჩეულ ლექციებს. ეს პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდა ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ჟურნალისტების გადამზადებას, მათი პროფესიული დონის ამაღლებას"[4]. ლექციები, მართალია, მსმენელთა ეკონომიკურ საკითხებში დაკვალიანებას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ, როგორც დავინახეთ, შეიცავენ აგრეთვე საყურადღებო შენიშვნებს მედიის საშუალებით სახალხო მეურნეობის აქტუალური პრობლემების გაშუქების თაობაზე.

---

[1] ვლ. პაპავა. ჩვენ „ბლიყვირელები", ანუ საქართველოს ნახევარი წელი „24 საათში", თბ., 2003.

[2] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999.

[3] თ. ჩხეიძე, საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა, თბ., 2003.

[4] ეკონომიკა და ჟურნალისტიკა, რჩეული ლექციები, თბ., 2002, გვ.3

ეკონომიკურ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს ეძღვნება დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ მომზადებული წიგნი[1], რომელიც შეიცავს ამ პრობლემებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის საინტერესო საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციებს, მოსაზრებებს, გადაწყვეტილებებს, ნორმატიულ აქტებს.

ჟურნალისტებისათვის უდაოდ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული სხვა ნაშრომებშიც, რომლებიც უშუალოდ არ ეხება ჟურნალისტურ საქმიანობას. ასეთია, მაგალითად ამერიკელი მეცნიერის სიუზან როუზ-აკერმანის წიგნი[2], რომელშიც რამდენიმე გვერდი ეთმობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მედიის როლს. იგივე შეიძლება ითქვას ქართველი სპეციალისტების რიგ ნაშრომებზე.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომის ავტორი აგრძელებს მუშაობას ქართული ჟურნალისტიკის აქტუალურ პრობლემებზე. ჩვენ მიერ გამოცემულ სამ წიგნს („ქართული მედია და საქართველოს ეკონომიკა", "ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში", "ეკონომიკის საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში") უახლოეს თვეებში დაემატება მეოთხეც – „ეროვნული კონსოლიდაციის პროპაგანდა ქართულ მედიაში". სისტემატიზებული გვაქვს მასალები სხვა ნაშრომებისთვისაც, რომლებშიც გაანალიზებული იქნება თუ როგორ შუქდება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ისეთი საკითხები, როგორებიცაა: საგარეო პოლიტიკა, ეროვნებათშორისი ურთიერთობანი, სახელმწიფო მშენებლობა.

---

[1] ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ, თბ., 2003.

[2] სიუზან როუზ-აკერმანი, კორუფცია და ხელისუფლება, თბ., 2002.

სოციალიზმი თუ ხელისუფლება?

რატომ შეიქმნა კრიზისული ვითარება საქართველოს ეკონომიკაში და ვინ ან რა არის ამაში დამნაშავე? ბუნებრივია, რომ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და აქტიურად მსჯელობენ სიტუაციის გაუმჯობესების გზებსა და საშუალებებზე.

დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე ეკონომიკური დაქვეითების მიზეზებზე საუბრისას ქართული მედია ძირითადად სოციალიზმის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე ამახვილებდა ყურადღებას. პრესის ფურცლებზე, ტელე და რადიო გადაცემებში ხშირად შეხვდებოდით ფრაზას: „აი, სადამდე მიგვიყვანა სამოცდაათმა წელმა. აი, სადამდე მიგვიყვანა სოციალიზმმა“.

რამდენად შეესაბამება ეს ბრალდება სინამდვილეს?

თავის დროზე საბჭოური მედია ბევრს ლაპარაკობდა „გამარჯვებული სოციალიზმის“ წარმატებებზე, რომლებიც მართლაც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. კერძოდ, სწორედ ამ სისტემის ფარგლებში მოახერხა საბჭოთა კავშირმა სახალხო მეურნეობის ფორსირებული განვითარება, მოკლე დროში შეექმნა მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის ახალი დარგები, საერთო ეკონომიკური მაჩვენებლებით ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილზე გასულიყო, მოეგო მძიმე და ხანგრძლივი ომი, ომის შემდეგ კი საკმაოდ სწრაფად (სულ რაღაც სამ წელიწადში) აღედგინა დანგრეული ქალაქები და სოფლები, თვალსაჩინო შედეგებისათვის მიეღწია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პირველს შეექმნა წყალბადის ბომბი, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, გაეშვა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, პირველი ადამიანი კოსმოსში, გამხდარიყო ზესახელმწიფო, მოესპო უმუშევრობა და სხვ.

ეს წარმატებები საყოველთაოდ იყო აღიარებული, რისი დადასტურებაც გახლდათ კომუნისტური მოძღვრების ფართო მხარდაჭერა მთელს მსოფლიოში. და მხოლოდ მოგვიანებით, „პერესტროიკის“ პერიოდის პუბლიკაციებში გახდა შესაძლებელი ელაპარაკათ იმის შესახებ, თუ რა ფასად მიაღწია ქვეყანამ ასეთ შედეგებს. ამ პროცესებს თან ახლდა ძალთა უდიდესი დაძაბვა, მატერიალური და ფინანსური რესურსების უკიდურესი მობილიზაცია, რაც უმძიმეს ტვირთად აწვებოდა მოსახლეობის ფართო ფენებს და რასაც, ცხადია, ეს უკანასკნელნი უდრტვინველად ვერ გადაიტანდნენ. მათი წინააღმდეგობის დასათრგუნად ხელისუფლებას დასჭირდა უფართოესი მასშტაბის რეპრესიული პოლიტიკის გატარება, რასაც ათეულ მილიონობით ადამიანის, მათ შორის საუკეთესო ინტელექტუალური ძალების თავისუფლება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა.

წერდნენ იმაზეც, რომ წარმატებათა პარალელურად მძიმე პრობლემებიც გროვდებოდა, რომელთა გადაჭრა იმ სისტემის ჩარჩოებში ვერ ხერხდებოდა, და რომლებიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად, ჯერ საყოველთაო კრიზისში უნდა გადაზრდილიყო, შემდეგ კი ეკონომიკის სრულ კრახში. კერძოდ, საბჭოთა კავშირში მთელი მისი არსებობის მანძილზე ვერა და ვერ დადგა ფეხზე სოფლის მეურნეობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომა არსებითად არ ნაზღაურდებოდა და იძულებას ეფუძნებოდა. ვერ მოისპო სურსათისა დ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ქრონიკული დეფიციტი, ცხოვრების სტანდარტები, მისი დონე და ხარისხი დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით მათხოვრულად გამოიყურებოდა, გამეფდა საყოველთაო კორუფცია, არნახული მასშტაბები მიიღო სახელმწიფო ქონების დატაცებამ, რაშიც ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი არა მარტო ხელმძღვანელი კადრები, არამედ რიგითი ადამიანებიც. ამ მოვლენის აღსანიშნავად რუსულ ენაში ახალი სიტყვაც კი გაჩნდა - „ტაშჩილოვკა“. სოციალიზმმა გააპარაზიტა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, გადააჩვია იგი პატიოსან შრომას, ჩაკლა ადამიანებში პირადი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

ცნობილია ლენინის გამონათქვამი, რომ საბოლოო ჯამში გაიმარჯვებდა ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც შრომის უფრო მა-

ღალ ნაყოფიერებას უზრუნველყოფდა. ასეც მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტური ეკონომიკა, პერიოდულად თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდა, მან მაინც ვერა და ვერ მოახერხა, რომ ამ თვალსაზრისით კაპიტალიზმი დაეჯაბნა. ეს კი ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოური ეკონომიკური სისტემა საერთო მაჩვენებლების ზრდას, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო ექსტენსიური გზით ცდილობდა, ვიდრე წარმოების ინტენსიფიკაციის საშუალებით.ცნობილ რუს ეკონომისტს (წარმოშობით ჩრდილოელ ოსს) პროფ. ვ.ზ. ბალიკოევს ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ასეთი მაგალითი: „სსრკ-ში უკანასკნელ 40 წელიწადში მარცვლის წარმოება გაიზარდა თითქმის 2,5 ჯერ: ყამირი და ნასვენი მინების ათვისების ხარჯზე. თავისთავად სასიხარულო ფაქტია, მაგრამ წარმოების ზრდა განხორციელებულია ექსტენსიური გზით ძველი ტრადიციული ტექნოლოგიის საფუძველზე. დასავლეთში, იმავე დროს, დაახლოებით ასევე გაიზარდა მარცვლეულის წარმოება, მაგრამ . . . ნათესის საერთო ფართობის შემცირების თანხლებით – შედეგი წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიისა“[1]. იგივე სიტუაცია მეორდებოდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

მედიაში მიუთითებდნენ მართვის სისტემის ბიუროკრატიზაციის შესახებ, რომლის მავნე ზეგავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში. ამ პერიოდისათვის ეკონომიკაში არსებითი ხასიათის წინსვლა შეუძლებელი იყო ბაზრის, ანუ კონიუნქტურის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. აქ განსაკუთრებით გამოჩნდა კაპიტალიზმის აშკარა უპირატესობა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემასთან შედარებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე-კაპიტალისტი დამოუკიდებელია სხვებისაგან, მას შეუძლია სწრაფად მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება და მის რეალიზაციასაც დაუბრკოლებლად შეუდგეს. მძაფრი კონკურენციის პირობებში იგი თავს უფლებას ვერ მისცემს იმაზე მეტი მუშახელი იყოლიოს, ვიდრე სჭირდება, ნიადაგ არ იზრუნოს პროგრესული ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენებაზე, ეშინოდეს რისკისა, მაშინ როცა სოციალიზმის დროს ამ

[1] В.З. Баликоев, Обшая экономическая теория, Нсб., 1996, с. 349-350.

საკითხების გადაწყვეტისას მეურნე უკიდურესად შებოჭილია წარმოუდგენელი მასშტაბების ბიუროკრატიული წინაღობების გამო.

სოციალიზმის პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირში მსხვილ საწარმოთა რიცხვი შედარებით მცირე იყო. ამიტომ სავსებით შეიძლებოდა მათი ცენტრიდან ანუ "ზემოდან" მართვა. ამასთან, იმ დროს საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა არა მარტო შესაძლებელი, სასურველიც ჩანდა, რადგან ცხადი იყო ომის გარდუვალობა, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მკაცრად გარკვეული მიმართულებით წარმართვას განაპირობებდა. იგი უნდა დაყრდნობოდა არა ბაზრის, არამედ თავდაცვითი პოტენციალის შექმნის, ომისათვის მზადების მოთხოვნილებებს. ეს კი შეუძლებელი გახდებოდა სახალხო მეურნეობის მართვის ცენტრალიზებული სისტემის განვითარებისა და სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის მკვეთრი შეზღუდვის გარეშე. ესეც არ იყოს, ომის დროს მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა ფრონტის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე ბევრად უფრო გაძნელდებოდა ასეთი შეზღუდვის გარეშე, ხოლო ეს პრობლემა თუ ვერ გადაიჭრებოდა, სათუო იქნებოდა ომში გამარჯვებაც. ამასთან დაკავშირებით დასავლელი ისტორიკოსები იხსენებენ ი. სტალინის ცნობილ სიტყვებს: „ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს, ჩვენ ეს მანძილი ათი წლის განმავლობაში უნდა გავირბინოთ. ან შევასრულებთ ამას, ან გაგვსრესენ"[1].

საბჭოთა ლიდერის ამ გამონათქვამს კომენტარსაც ურთავენ, რომ ეს სიტყვები მან 1931 წელს წარმოთქვა. სოციალიზმი გაცილებით მეტ შესაძლებლობას ქმნიდა ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსების მობილიზაციის თვალსაზრისით და სწორედ მისმა ამ თვისებამ განაპირობა, რომ ომის უმძიმეს პირობებში საბჭოთა კავშირმა შეძლო მეტი და უკეთესი იარაღი გამოეშვა, ვიდრე ამას ახერხებდა გერმანია, რომლის განკარგულებაშიც იყო თითქმის მთელი ევროპის, მათ შორის საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი ნაწილის პოტენციალი.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ.13, თბ., 1952, გვ. 42.

შემდგომში კი, როცა ვითარება შეიცვალა და მსხვილ საწარმოთა რაოდენობამ საბჭოთა კავშირში ათასებს მიაღწია, მართვის სოციალისტური მეთოდები სრულ ანაქრონიზმად და აშკარა მუხრუჭებად იქცა. დიქტატი "ზემოდან", რომელიც ყველგან და ყველაფერში განუხრელად ბატონობდა და ხშირად თვითმიზნურ ხასიათსაც კი იძენდა, ხელ-ფეხს უბორკავდა საწარმოთა კოლექტივებს, არც თუ იშვიათად ყველაზე ელემენტარული საკითხების დამოუკიდებლად, დირექტიული ორგანოების დაუკითხავად გადაწყვეტის უფლებასაც კი ართმევდა. არადა, რამდენი ასეთი დირექტივების დამშვები არსებობდა: საკავშირო, რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები და საბჭოთა ორგანოები, საკავშირო და რესპუბლიკური დარგობრივი სამინისტროები, საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოთა დარგობრივი განყოფილებები, სკკპ და რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შესაბამისი განყოფილებები, საკავშირო და რესპუბლიკური სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების განყოფილებები და მრავალი სხვა. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, უხვად იძლეოდა ხელმძღვანელ მითითებებს, მაგრამ ეკონომიკურად არავინ არავითარ პასუხს არ აგებდა მათ მიერ გამოცემულ დირექტივებზე, ბრძანებებზე, ცირკულარებზე, ინსტრუქციებზე, რომლებიც ხშირად სრულიად აბსურდულ ხასიათსაც ატარებდა.

მერე დაიწყო "პერესტროიკა". მისი ინიციატორები შეეცადნენ მინიმუმამდე დაეყვანათ დირექტიულ ორგანოთა რაოდენობა, საწარმოთათვის გარკვეული თავისუფლება მიეცათ, მაგრამ ეს განზრახვა ბიუროკრატიული ზედაფენების მხრივ გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა. ისინი ამ რეფორმებში თავიანთი არსებობისათვის მომაკვდინებელ საფრთხეს ხედავდნენ. მათი წინააღმდეგობის დაძლევის ამოცანამ ცხოვრების დემოკრატიზაციის მოთხოვნილება წარმოშვა, ხოლო დემოკრატიზაციის პროცესს, საბოლოო ჯამში, თან გადაჰყვა სოციალიზმის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სისტემა, თანაც უსწრაფესი ტემპებით. ისე, რომ შეუძლებელი გახდა ამ პროცესის მართვა. შედეგად შეიქმნა საყოველთაო ქაოსისა და ანარქიის ატმოსფერო, მართვის ძველი მოდელი ისე მოიშალა, რომ ახლის შექმნა ვერ მოესწრო. ამან კი მთელი

ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მკვეთრი ეკონომიკური დაქვეითება გამოიწვია.

მკაცრად აკრიტიკებდნენ დაგეგმვის სისტემასაც. არც თუ იშვიათად საწარმოებს აიძულებდნენ გამოეშვათ ისეთი პროდუქცია, რომელზეც მოთხოვნილება არ არსებობდა. იმდროინდელი პრესა სავსე იყო ამის დამადასტურებელი კურიოზული მაგალითებით.

თავის დროზე საბჭოთა კავშირში წარმოაყენეს ლოზუნგი: „ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!“ დასავლეთში ეს აბსურდულად მოეჩვენებოდათ და გაოცებულნი იკითხავდნენ, აბა სხვანაირად როგორ შეიძლება იყოსო, მაგრამ ჩვენში ეს ლოზუნგი რეალური სიტუაციიდან გამომდინარეობდა და გულისხმობდა ისეთი ვითარებიდან თავის დაღწევის მცდელობას, რომლის დროსაც ეკონომიკურთან შედარებით იდეოლოგიურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებებს უპირატესობა ენიჭებოდა. უპირველესად სწორედ ამ მოსაზრებებს ეყრდნობოდნენ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისათვის ადგილის შერჩევისა და სამეურნეო კავშირების შექმნის პროცესში. ამის გამო გაზეთ “კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში “შეცდომა თუ... ანუ როგორ ვუშველოთ საქართველოს?“ შალვა კიკნაძე წერდა: „ცნობილია, რომ კომუნისტური იდეოლოგია სოციალისტური სახელმწიფოს დასაყრდენ ძალად თვლიდა მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების ყველაზე მოწინავე ნაწილს, ამიტომ საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონში, ყველა რესპუბლიკაში ამ დასაყრდენი ძალის შესაქმნელად ანვითარებდა მრეწველობას. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ადგილებზე სათანადო რესურსები: ნედლეული, ენერგომატარებლები და სხვა. ამ გზას ვერც საქართველო ასცდა... ახლა ჩვენ იქიდან გამოვდივართ, როგორ იმოქმედა ყოველივე ამან ჩვენს ეკონომიკაზე, როცა ეს ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური კავშირები საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად დაირღვა.

არსებობს ათასნაირი კავშირი: პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული, ეკოლოგიური და სხვა, რომელსაც საფუძვლად არ უდევს “სუფთა“ ეკონომიკური სარგებლიანობა. რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირს, თუ ის ეკონომიკურია, იგი მყარდება მხარეებს

შორის ნებაყოფლობით, ურთიერთეკონომიკური სარფიანობის საფუძველზე“[1].

შალვა კიკნაძის შეფასებით, საბჭოეთში ასეთი კავშირი დარგებს, ფაბრიკა-ქარხნებსა და რესპუბლიკებს შორის არ არსებობდა, რადგან აქ ყველაფერი დაფუძნებული იყო პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ნაციონალურ პრინციპებზე. „ასეთი კავშირები მუშავდებოდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცკ-ს სათანადო განყოფილებებში და პრაქტიკულად საგეგმო კომიტეტის მეშვეობით ხორციელდებოდა.

საკითხი ასე იდგა, არსებობს მოკავშირე რესპუბლიკაში საწარმო თავისი მუშათა კლასითა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, მაშასადამე ეს საწარმო უნდა დაიტვირთოს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „ლუბოი ცენოი“, მორჩა და გათავდა!

ამ მიზნით შემოდიოდა რესპუბლიკაში რუსეთის ოქროზე, ნავთზე, ალმასებზე ნაყიდი ტყავი ბრაზილიიდან და იტალიიდან, მატყლი და შალის ნართი ავსტრალიიდან და იაპონიიდან; საგეგმო კომიტეტის განრიგით - ბამბა და აბრეშუმის პარკი - შუა აზიის რესპუბლიკებიდან. იქსოვებოდა და იკერებოდა ქსოვილი და ფეხსაცმელი და დამზადებული პროდუქცია 100-ჯერ მეტად ფასობდა, ვიდრე შეძენილი საქონელი. საგეგმო კომიტეტის განრიგით რესპუბლიკაში 80 ათასი ტონა ხორცი შემოდიოდა ე.წ. დოტაციის სახით, მაშინ, როცა ხორცის მომწოდებელ ოლქებში ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული იყო ამ პროდუქტს.

ასეთი მაგალითები უამრავია. ასეთი იყო ვითარება“[2].

ბევრი ეკონომისტი, პოლიტიკოსი და პუბლიცისტი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის დაქვეითების მთავარ მიზეზად საბჭოურ პერიოდში არსებული ეკონომიკური კავშირების დარღვევას ასახელებდა.

მართლაც, ძნელი დასანახი არაა, თუ რა დამანგრეველი როლი ითამაშა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კოოპერირების მოშლამ, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სტატიის ავტორსაც,

---

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 28 აპრილი, 1994 წ.

[2] იქვე.

როცა ის ამბობს: "საკითხავია, აღდგება ასეთი ეკონომიკური კავშირები? ეს წარმოუდგენელია ისე, როგორც ახლა წარმოუდგენელია ასეთი სურათი, როცა გარაჟის მექანიკოსი ზეთით გასვრილ ხელებს ბენზინით სავსე ვედროში იბანდა და ზეთიან ბენზინს კანალიზაციის ჭაში ღვრიდა, ან კიდევ ტიუმენიდან შემოტანილ ბუნებრივ გაზზე სათბურები ააშენონ და კიტრი და პამიდორი მოიყვანონ"[1]. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ქართველმა კომუნისტებმა და მათმა გაზეთმა პოზიცია შეიცვალეს და ისევ ძველი ურთიერთობების აღდგენაზე დაიწყეს ფიქრი.

თუ პუბლიკაციის სულისკვეთებასა და ლოგიკას დავეთანხმებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოური სამეურნეო ურთიერთობები განწირული იყო მოსაშლელად და ამის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა. აქ მხოლოდ იმაზე შეიძლება მსჯელობა, უნდა გვეზრუნა თუ არა ამ პროცესის ტემპის შენელებაზე და შესაძლებელი იყო თუ არა შეგვემცირებინა გარდაუვალი კატაკლიზმების მასშტაბები და შეგვემსუბუქებინა ტკივილები, რომლებიც ასეთ ცვლილებებს ყოველთვის თან სდევს. ქართულ მედიას ამაზე, სამწუხაროდ, ფაქტობრივად არ უზრუნვია.

ზემოთქმულის შემდეგ გასაგები გახდება ისიც, თუ რატომ შეელივნენ ასე ადვილად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ერთმანეთან ადრე გაბმულ ეკონომიკურ კავშირებს და სერიოზულად არ ცდილან არც მათს შენარჩუნებას და არც შემდგომ აღდგენას, განსხვავებით ბრიტანეთისა და საფრანგეთის ყოფილ იმპერიებში შემავალი ქვეყნებისა, რომელთა ცხოვრება დღესაც კი წარმოუდგენელია მათ შორის ყოველდღიური სამეურნეო კავშირების გარეშე. თუმცა, ამის თქმით სულაც არ ვაპირებთ ჩვენთვის ადრე არსებული სამეურნეო ურთიერთობების მნიშვნელობის აბსოლუტურ უარყოფას. ზოგი მათგანის აღდგენა უთუოდ სასარგებლო იქნებოდა, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პირველ წლებში, მაგრამ ეს თუ არ მოხდა, პასუხი ამისთვის უკვე პოლიტიკურ ძალებს უნდა მოვკითხოთ, რომ-

[1] გაზ. "კომუნისტი", 28 აპრილი, 1994 წ.

ლებმაც, როგორც იტყვიან, ეკონომიკა პოლიტიკას გადააყოლეს. თავისი წილი პასუხისმგებლობა აქ ქართულ მედიასაც ეკისრება, რომელიც მოვლენების ამ მიმართულებით განვითარებას უწყობდა ხელს.

გაზეთ "ახალი თაობის" მიმომხილველი გიორგი კვიტაშვილი წერს: "1990 წელს, როცა საქართველო ფაქტიურად გამოეყო საბჭოთა კავშირს, ჩვენ რომ შეგვენარჩუნებინა ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი, დღეს კრიზისის ნატამალიც არ იქნებოდა"[1]. ზემოთქმულიდან გამომდინარე გვიძნელდება ვირწმუნოთ ასეთი შესაძლებლობის არსებობა. თუმცა, მას ბევრი სხვა პუბლიცისტიცა და პოლიტიკოსიც ეთანხმება. ამ საწარმოების ხელახალი ამოქმედებისათვის როგორც მინიმუმი საჭიროა მათი აღჭურვა საუკეთესო საზღვარგარეთული ტექნიკითა და ტექნოლოგიებით. ვფიქრობთ, აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გაზეთ "ეკო დაიჯესტის" ერთ-ერთ ავტორს (ნათია ქადაგიშვილს), რომელიც წერს: "ახლა დღის წესრიგში საწარმოთა ტექნოლოგიური გადაიარაღების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და პროდუქციის ახალი სახეობების შექმნის აუცილებლობა დგას, რაც დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია"[2]. შეუძლებელია იმიტომ, რომ ყველაფერ ამას კოლოსალური სახსრები სჭირდება, რომელიც არც ჩვენს სახელმწიფოს და არც კერძო იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს არ გააჩნიათ. როგორადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, იძულებულნი ვართ დავასკვნათ, რომ გამოსავალი აქ ერთადერთია - უცხოელ ინვესტორთა ფართო მოზიდვა. ცხადია, ეს ზოგიერთ არასასურველ მოვლენასაც გამოიწვევს, მაგრამ სხვა გზა ნამდვილად არ ჩანს. ეს არის საზღაური სამოცდაათწლიანი სოციალისტური ექსპერიმენტისათვის.

და მაინც, ქართული საქონლის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის ზოგიერთი სახეობის წარმოების გარკვეულ საზღვრებში შენარჩუნება შესაძლებელი იყო. რა მასშტაბებით ძალგვიძდა ამის მიღწევა, ეს დამოკიდებული იყო იმაზე,

---

[1] გაზ. „ახალი თაობა", 2 მაისი, 2000 წ.

[2] გაზ. „ეკო დაიჯესტი", 18-19 ოქტომბერი, 1999 წ.

თუ რამდენად სწორად გავიაზრებდით ძველი ბაზრების მნიშვნელობას, რომლებიც ძირითადად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, უმთავრესად კი რუსეთის ტერიტორიებს მოიცავდა.

თავის დროზე ყოფილი საბჭოური სივრცის ბაზრის მნიშვნელობა დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თ. სიგუამ ასე დაახასიათა:

"ახლა მთელი მსოფლიო იბრძვის ჩრდილოეთის ბაზრისთვის... ჩვენთვის მისი დაკარგვა არ შეიძლება. მით უმეტეს, დღეს, როცა ისინი ჩვენი მბრძანებლები აღარ არიან... იქიდან შემოდის ცხრაასი ათასი ტონა ხორბალი, 260 ათასი ტონა შაქარი, 80 ათასი ტონა ხორცი, მილიონამდე ტონა რძე და რძის ნაწარმი, 6 მილიონი ტონა ნავთობი... ეკონომიკური ურთიერთობის გაწყვეტა ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება, რადგან, მაგალითად, ტონა ნავთობი მსოფლიო ბაზარზე 120-140 დოლარი ღირს. ჩვენც გვაქვს საქონელი, მაგრამ საერთაშორისო ბაზარზე სხვაგვარი სტანდარტებია და მათ არავინ იყიდის. რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში კი ასეთი მოთხოვნები არ აქვთ. მხოლოდ ყაზახეთში შეგვიძლია ვიყიდოთ ხორბალი, დღეს უკრაინას ვთხოვეთ მოგვაწოდოს შაქარი... ამ საკითხებში არ არის საჭირო არაკომპეტენტური განცხადებების გაკეთება.

ჩრდილოეთის ბაზარი მარტო რუსეთი არ არის. ესაა აგრეთვე უკრაინა, მოლდავეთი, ბალტიისპირეთი"[1].

ჩრდილოეთის ბაზარზე სათანადო ადგილის შენარჩუნება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა და ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ეკონომიკის პოლიტიზება იყო, რასაც ჩვენი მას-მედიაც აქტიურად უწყობდა ხელს. თუმცა დროის გასვლის კვალობაზე ამ ბაზრის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენთვის სულ უფრო და უფრო კლებულობდა.

ჩრდილოეთის ბაზრის გარდა, ცხადია, სხვა ბაზრებიც არსებობს და ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ იქაც შევიჭრათ. დამოუკიდებელმა საქართველომ ამ თვალსაზრისით რაღაც შედეგებს უკვე მიაღწია კიდეც, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა.

---

[1] გაზ. "დრონი", 25 იანვარი, 1992 წ.

ზემოთქმულის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ განაცხადა: "ტრადიციული გასაღების ბაზრებით სპეკულირება სრულიად უსაგნოა. აი, ვამბობთ, რომ დავკარგეთ ეს და ეს ბაზარი. ჯერ ერთი: თუ დავკარგეთ, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ აღვადგინოთ ჩვენი გავლენა. მეორეც, ვეძებოთ ახალი ბაზრები, რომლებთანაც გზა უკვე გაკვალულია. ეს არის უკრაინა, ცენტრალური აზია, სხვა მეზობელი ქვეყნები, რომლებთანაც ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს და, საერთოდ, უნდა ვისწავლოთ ვაჭრობა იმით, რასაც ქვეყანა აწარმოებს. ასევე უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საკუთარი ბაზრის შესაძლებლობანი,

რასაკვირველია, არსებობს ტრადიციის მომენტი, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ტრადიციულ ბაზრებზეც, საბჭოთა კავშირის დაშლისა და იზოლირებული ეკონომიკის რღვევის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას იმავე საქონელთან უწევს კონკურენცია, რაც ნებისმიერ სხვა ბაზარზე. ხოლო გაუთავებელი ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ყველა პრობლემის მიზეზი ადრე არსებული სამეწარმეო კავშირების გაწყვეტის შედეგი იყოს, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ამ კავშირების აღდგენას ხელს არაფერი უშლის, თუ ისინი ორმხრივად ხელსაყრელია მეწარმეთათვის"[1].

და ბოლოს, როცა საბჭოურ მემკვიდრეობაზე ვლაპარაკობთ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს მემკვიდრეობა ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე იყო. ეკონომიკური განვითარების საერთო მაჩვენებლებით ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იდგა.

საინფორმაციო საშუალებები ყურადღებას მიაპყრობდნენ საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთში მიმდინარე პროცესების უარყოფით ზეგავლენაზეც: "რუსეთის მთავრობამ, - წერდა ეკონომისტი პროფესორი ვ. ადვაძე: ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების უკითხავად დაიწყო ეკონომიკური რეფორმა "შოკური თერაპიის" მოდელით. ყველა დანარჩენი ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ამ პროცესში.

---

[1] გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 13 მაისი, 2001 წ.

საქართველოს, რომელიც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე "ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის" ნაწილი იყო, რაიმე სერიოზული, დამოუკიდებელი მოქმედების შანსი არ გააჩნია. ამიტომ მის ეკონომიკაზე უშუალოდ აისახება ის პროცესები, რაც რუსეთში მიმდინარეობს. ჩვენ ეკონომიკურად კვლავ ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში, ერთიან სამანეთო სივრცეში ვართ"[1].

ბედმა ისე განსაჯა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო რუსეთი, მუდამ იქნება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორი, ამიტომ იქ მიმდინარე პროცესები ყოველთვის იქონიებენ განსაკუთრებულ გავლენას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე. ასე მოხდა 1998 წელსაც, როცა მწვავე კრიზისულმა მოვლენებმა რუსეთში ჩვენც მძიმე შედეგები დაგვატეხა. თუ ჟურნალისტებს სურთ ობიექტურობა შეინარჩუნონ ამ საკითხების განხილვისას, ეს გარემოება უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ და საზოგადოებრივი აზრიც შესაბამისად წარმართონ.

ჩვენი პუბლიცისტები ხშირად ამახვილებდნენ ყურადღებას რუსეთის არასასურველ ეკონომიკურ პოლიტიკაზე საქართველოსთან მიმართებაში. ამ პოლიტიკის დისკრიმინაციული ხასიათი თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ამის შესახებ საუბარი გაზვიადებული ჩანს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირად იწყება არაადექვატური ხმაური რუსეთის ხელისუფლების არასასურველი ნაბიჯის გამო, რაც ვითარებას ძაბავს და გაჩენილი პრობლემის გადაჭრასაც ართულებს.

როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკური დაქვეითების ზემოაღნიშნულ მიზეზებზე ყურადღებას ქართული მედია უფრო დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე ამახვილებდა, მოგვიანებით კი აქცენტირებას ხელისუფლების ფაქტორზე ახდენდა. შედეგად თეზა: "აი, სადამდე მიგვიყვანა სოციალიზმმა. ყველაფერი სოციალიზმის ბრალია" შეიცვალა თეზით: "აი, სადამდე მიგვიყვანა ხელისუფლებამ. ყველაფერი ხელისუფლების ბრალია".

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე ამონარიდი თუნდაც გაზეთ "ახალი თაობიდან", რომელიც ამ თვალსაზრისით სულაც არ

---

[1] გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 16 იანვარი, 1993 წ.

არის გამონაკლისი.

აი, რას ამბობდა მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე: "საქართველოს მდგომარეობა დღეს კატასტროფულია. გადაუჭარბებლად ვამბობ, რა დღეში არ ყოფილა საქართველო, რა არ გადახდენია, რა უღელი არ გამოუვლია და ამ დღეში არასდროს ყოფილა, კატასტროფული არ ყოფილა. მორალური, ეკონომიკური, სამეურნეო, პოლიტიკური კრიზისია. როგორ მიაღწიე შენ, ე.წ. ხელისუფლებამ, რომ ქართველი კაცი შიმშილობს და ხელი აქვს გაწვდილი სამათხოვროდ? თესლი უკუღმა რომ გადააგდო, წაღმა ამოვა, ქართული მეურნეობა რატომ წაშალე? ისტორიაში არ ყოფილა ქართველი კაცი მეურნეობას რომ გასდგომოდა. საკომლო მეურნეობა ჰქონდათ, სათემო მეურნეობა ჰქონდათ. სანათესაო წრეები თემებში ერთიანდებოდნენ. შეიძლება საქართველოს მოაშიო? რა ჰქენი ეს? აღარაა სოფლის მეურნეობა, აღარაა მრეწველობა, თვითმეურნეობა არ გაქვს შენი - ყველაფრის გაყიდვა დაიწყე, თურმე, იყიდება მიწაც, წყალიც, ტყეც, მზეც. ვინ არ იყიდის? არაფერი აღარ დარჩა. რომ ვუყურებ, გული მიკვდება, რას ჩადიხარ?! რას ჩადიხარ შენ ე.წ. სახელმწიფოვ?!"[1].

ხელისუფლებას, უკვე არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად ქვეყნის პრეზიდენტსა და მმართველ პარტიას ადანაშაულებდა სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილიც: "შეურაცხყოფას არ ვაყენებ არც პრეზიდენტს, არც მმართველ პარტიას, - ეუბნება იგი გაზეთის კორესპონდენტს: მაგრამ მათი ბრალია ქვეყნის ასეთი მდგომარეობა"[2].

არანაკლებ რადიკალურია ხელისუფლების შეფასებაში უზენაესი საბჭოს დეპუტატი ავთანდილ კვენტაძე. მისი აზრით, "როგორც არ უნდა ცდილობდნენ შევარდნაძის წარმომადგენლები სიმართლის მიჩქმალვას, მათი მცირერიცხოვანი ხელშემწყობები ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, ფაქტი ჯიუტია - შექმნილი ღრმა ეკონომიკური კრიზისი იმ სახელისუფლო პოლიტიკის შედეგია, რომელიც განავითარა მოძალადე რეჟიმმა რუსეთის დაკვეთითა და

[1] გაზ. „ახალი თაობა", 14 მარტი, 2001 წ.

[2] გაზ. „ახალი თაობა", 7 დეკემბერი, 2000 წ.

დახმარებით 1992 წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომ. მთელი ამ ხნის განმავლობაში დღემდე და მომავალშიც მათი უმთავრესი საზრუნავი მიტაცებული ხელისუფლების შენარჩუნება და ნაძარცვის საიმედო გადამალვაა და არა სამართლიანი, დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. მათ ჩამოაყალიბეს მაფიოზურ-პოლიტიკური სახელმწიფო, როგორც ბაზისი და საყრდენი მათი უკანონო არსებობის გახანგრძლივებისათვის. ეს იყო ობიექტური აუცილებლობა ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, თავსმოხვეული რეჟიმის დასამკვიდრებლად... მოძალადე ხელისუფლების მიერ დანერგილმა კორუფციის და მოსახლეობის კრიმინალიზაციის მაღალმა დონემ მოსპო ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური და სულიერი რესურსები და პერსპექტივა"[1].

დოდონა კიზირიას აზრით, ე. შევარდნაძე ისტორიაში შევა „როგორც უაღრესად ამბიციური ადამიანი, რომელმაც თავის ამბიციებს შესწირა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობა"[2].

კიდევ უფრო მძიმედ ესახება ვითარება თბილისის მერს ზ. გამსახურდიას ზეობის პერიოდში თამაზ ვაშაძეს, რომელიც თვლის, რომ პოლიტიკა, რომელსაც "მრგვალი მაგიდის" შემდეგდროინდელი ხელისუფლება ეწეოდა "ეს არის ქართველი ხალხის დაჩქარებული გენოციდი - ეკონომიკური რეფორმა სახეზეა - გაჩერებული ქარხნები, გაღატაკებული ხალხი, არც ერთი სამუშაო ადგილი"[3] .

ამ ფონზე საუცხოოდ გამოიყურება ის ვითარება, რომელიც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის გურამ აბსანძის რწმუნებულის მანგული ხუბუას აზრით, სუფევდა ჩვენში ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის დროისათვის, როდესაც მოხდა სამხედრო გადატრიალება, „იმ პერიოდისათვის სხვა სახელმწიფოებს საქართველოსათვის 48 მილიონი დოლარი ემართათ. ამას გარდა, მზა პროდუქციის სახით, საქართველოს აქტივში ირიცხებოდა 3 მილიარდი დოლარის (!) საქონელი, რომლის გაყიდვა იყო საჭირო და ქვეყნის ბიუჯეტში უზარმაზარი შემოსავა-

[1] გაზ. „ახალი თაობა", 11 ოქტომბერი, 2001 წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა", 18 ოქტომბერი, 2000 წ.
[3] გაზ. „ახალი თაობა", 5 მაისი, 2001 წ.

ლი შემოვიდოდა. აგრეთვე საქართველოს სანაოსნოსა და ქვეყნის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების ანგარიშზე მოსკოვის ბანკში ირიცხებოდა 100 მილიონი დოლარი. ყოველივე ამის შემოქმედი, როგორც ფინანსთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი, გურამ აბსანძე გახლდათ"[1].

ქარელის რაიონის მშრომელთა საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა აზრით, ე. შევარდნაძისათვის "აყვავებული საქართველო" ჩაუბარებიათ. მათ მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტისადმი ნათქვამია: "იოსებ სტალინმა 30 წლის განმავლობაში უძლიერესი ზესახელმწიფო შექმნა, თქვენ კი აყვავებული და ძლიერი საქართველო უკანასკნელი 9 წლის მანძილზე განვითარებადი ქვეყნების რიგში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ჩააყენეთ"[2].

ამასვე გვიმტკიცებენ გაზეთ „ახალი თაობის" ერთ-ერთ პუბლიკაციაშიც, რომელშიც ნათქვამია: „ქართველებს გარკვეული პოზიციები გვეკავა საბჭოთა კავშირის შემდეგ. ვითვლებოდით ერთ-ერთ აყვავებულ რესპუბლიკად, რაც ძალიან დიდი პოტენციალი იყო, მაგრამ ჩვენ ვერ გამოვიყენეთ"[3].

სხვათა შორის, აზრი იმის თაობაზე, რომ საქართველო საბჭოურ პერიოდში „აყვავებული და ძლიერი იყო", ქართულ მედიაში სხვებსაც არაერთხელ გაუმეორებიათ. ზოგჯერ იმაზეც მიუთითებდნენ, რომ საბჭოთა კავშირში ლამის ყველაზე მდიდარი და განვითარებული რესპუბლიკა ვიყავით, არადა, რეალური მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. ჩვენ საშუალო საკავშირო დონესაც კი მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებოდით. „1970 წელს საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 72,9%-ს, სამრეწველო პროდუქცია – 64,8 %-ს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია – 69,5 %-ს, საცალო საქონელბრუნვა – 77%-ს"[4]. მოგვიანებით, 1970-1990 წწ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა შედარებით დაჩქარებულად

---

[1] გაზ. "დილის გაზეთი", 17 თებერვალი, 2000 წ.

[2] გაზ. "კომუნისტი", 2-15 მარტი, 2001 წ.

[3] გაზ. "ახალი თაობა", 8 ნოემბერი, 2000 წ.

[4] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 72-73.

ვითარდებოდა. „შედეგად აღნიშნული სხვაობა მკვეთრად შემცირდა 5-10%-მდე და უშუალოდ მიუახლოვდა საშუალო საკავშირო დონეს“[1].

მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებოდით საშუალო საკავშირო დონეს სხვა მაჩვენებლებითაც. კერძოდ შრომის ფონდშეიარაღებით, ელექტროშეიარაღებით, მექანიზაციითა და ავტომატიზაციით. „ელექტროენერგიის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში შეადგენდა აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 51%-ს, მაგრამ იმავდროულად ეს მაჩვენებელი საქართველოში ორჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე საშუალო საკავშირო მაჩვენებელი, რაც მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო“[2].

ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა პარამეტრებშიც. ასე, მაგალითად, “ეროვნული სიმდიდრის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე . . . 1990 წელს საქართველოში შეადგენდა 12 882 მანეთს (შესადარი ფასებით), მაშინ როდესაც შესაბამისი მაჩვენებელი ყოფილ საბჭოთა კავშირში უდრიდა 14 500 მან., ე.ი. 1318 მანეთით აღემატებოდა რესპუბლიკურ დონეს“[3]. თუმცა ეს მაჩვენებელი, თავის მხრივ მკვეთრად დაბალია განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით.

„კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა“ იყო, „ეროვნული სიმდიდრის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტის მიხედვით, როგორიცაა მოსახლეობის პირადი საოჯახო ქონება, რომლის საშუალო სულადობრივი მოცულობა თითქმის ემთხვევა წლის განმავლობაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებულ ეროვნულ შემოსავალს. ეს ეკონომიკური განვითარების ცუდი მაჩვენებელია, ვინაიდან განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, პირადი საოჯახო ქონება ბევრად სჭარბობს წლის განმავლობაში მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობას“[4].

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ, როგორც კიევის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში ე. შევარდნაძე აღნიშნავდა,

---

[1] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001, გვ. 73.

[2] იქვე გვ. 75.

[3] საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995, გვ. 78-79.

[4] იქვე, გვ. 79.

„დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან საქართველოს ყველაზე უარესი სასტარტო პირობები ჰქონდა“[1]. რეჟისორი რ. სტურუა კი მიუთითებს, რომ „ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველომ ყველაზე დრამატულად გადაიტანა იმპერიის რღვევა“[2].

საქმე ზოგჯერ იქამდეც მიდიოდა, რომ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ ქართველი ერის შეგნებულ გენოციდში, ქვეყნის მიზანმიმართულ გაღატაკებაში, იმ განზრახვით, რომ მოსახლეობა მიეყვანა ურუსეთოდ, ე.ი. დამოუკიდებლად ჩვენი არსებობის შეუძლებლობის შესახებ დასკვნამდე, ან ხელი შეეწყო კომუნისტების ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის. მურმან ზაქარაიას ინტერვიუში, პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ე. შევარდნაძეს სურს “გაანადგუროს საქართველო და ჩააბაროს სხვას“[3]. გაზეთ “ახალი თაობის“ კორესპონდენტ თ. ნინიძეს თუ ვერწმუნებით, “მოსახლეობაში დიდი ხანია მიდის საუბარი იმაზე, განზრახ ხომ არ ანგრევს ქვეყანას შევარდნაძე და ხომ არ არის რუსეთის ინტერესების გამომხატველი, ე.ი. იურიდიული კვალიფიკაციით სამშობლოს მოღალატე“[4].

ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკულად ყველა ასპექტში და, რაც მთავარია, არა მარტო ქვეყნის მართვის უუნარობაში, არამედ ვითარების გაუმჯობესებისათვის პოლიტიკური ნების უქონლობაში. მსგავსი ბრალდებები ხშირად გაისმოდა სახელმწიფოს პირველი პირის მიმართაც, თანაც არც ისე იშვიათად, ყოველგვარ კორექტულობას მოკლებული ფორმით.

ასეთი შეფასებების ფონზე იშვიათობად გამოიყურება ის მოსაზრება, რომელიც ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე აქვს გამოთქმული ფსიქოლოგსა და პოლიტოლოგს რამაზ საყვარელიძეს: “როდესაც ვიძახით, ქვეყანა გაჭირვებულიაო, ვერც კი ვამჩნევთ და ობიექტურად არც კი გაანგარიშებულა, რომ არც ისე გაჭირვებულია

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ , 24 მარტი, 2003 წ.

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 ივნისი, 2003წ.

[3] გაზ. „ალია“, 12-18 ოქტომბერი, 2001წ.

[4] გაზ. „ახალი თაობა“, 20 თებერვალი, 2001წ.

ქვეყანა, როგორც გვგონია". რესპოდენტი ამაში მედიის შეცდომას ხედავს, რომლითაც იგი ქვეყანაში მტრისათვის სასურველ იდეოლოგიურ ატმოსფეროს ქმნის: "სწორედ ჩვენი საინფორმაციო სივრცისაგან შექმნილია ის იდეოლოგია, რომ ჩვენ უფრო გაჭირვებულები ვართ, ვიდრე ეს რეალობაშია. ეს იმიტომ, რომ მთელი ქართული მედია ამ თემას წაღმა-უკუღმა ატრიალებს და ქმნის იმ იდეოლოგიას, რომელიც არავისგან არ იწერება. სწორედ ასევე შეიქმნება ჩვენივე საწინააღმდეგო იდეოლოგია, რომ ქვეყანა გაჭირვებულია, დამნაშავე ხელისუფლებაა, რომელიც უნდა გადადგეს, ევროპელებიც დამნაშავენი არიან, მართლმადიდებლობისათვის მიუღებელია ევროპული ცივილიზაცია და უცებ ამ იდეოლოგიიდან გამოიჩეკება არა მედიის მიერ გაკეთებული ლოგიკური დასკვნა, არამედ უკვე მისი მსმენელების მიერ, რომ რუსეთი არის ერთადერთი მისაღები გეოპოლიტიკური სივრცე, რომელთანაც ჩვენ ვიყავით და მომავალში უნდა დავრჩეთ"[1].

მსგავს შეხედულებას აფიქსირებს პოლიტოლოგი ნუგზარ მოლოდინაშვილიც, რომელმაც სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის გადაცემაში „რა ხდება?" განაცხადა: „ჩვენ ვცხოვრობთ ვირტუალურ სამყაროში, რომელსაც ქმნის ოპოზიცია მისი ინტერესების მსახური მედიის საშუალებით" (28.07.2003). პრობლემები, რომ გვაქვს, ამას არავინ უარყოფსო, მაგრამ იქმნება ბევრად უფრო მძიმე სურათი, ვიდრე ეს რეალურადააო, მისი აზრით, ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები იმდენად ამუქებდნენ სიტუაციას, რომ ზოჯერ აბსურდამდე მიდიოდნენ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნებული მარინა იმნაძის სტატიაც „პარლამენტარები მყუდრო რესტორნებს ამჯობინებენ"[2], რომელშიც ნათქვამია: „საქართველოში ჩამოსულ ნებისმიერ უცხოელს უკვირს, როდესაც ამბობენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი საარსებო მინიმუმის დაბლა ცხოვრობს. უცხოელის პატივსაცემად უაღრესად გაჭირვებულ ოჯახშიც კი შესანიშნავი სუფრა იშლება, რომელიც სტუმრის გაკვირვებასა და შეკითხვას იწვევს – ეს ის ქვეყანაა, რომელსაც უჭირსო?"

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა", 23-29 აპრილი, 2001 წ.

[2] გაზ. „რეზონანსი", 11 ნოემბერი, 2002წ.

მართალია, სტატიის ავტორი ნ. მოლოდინაშვილივით არ აფიქსირებს აზრს ოპოზიციის მიერ შექმნილ „ვირტუალურ სამყაროზე“ და რ. საყვარელიძესავით არ ამბობს, რომ „არც ისე გაჭირვებულია ქვეყანა, როგორც გვგონია“, და, მისი შეფასებით, რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო, „ამ ადგილებში ძირითადად, ერთიდაიგივე სქელჯიბიანი ხალხი იყრის თავს“, მაგრამ პუბლიკაციაში მოყვანილი ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიდან გამომდინარე უცხოელთა გაკვირვება, მთლად საფუძველსმოკლებულად არ გამოიყურება.

მაგალითად, სტატიიდან ვგებულობთ, რომ „თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს 964 სხვადასხვა ტიპის რესტორანი უწევს მომსახურებას“, 2002 წლის ნოემბრისათვის, „2000 წელთან შედარებით რესტორნების რიცხვმა 2,7-ჯერ იმატა“, „თბილისში რესტორნებს ერთდროულად 45 ათასზე მეტი ადამიანისათვის სუფრის გაშლა შეუძლია“, „სულ ერთ თვეში რესტორნებს მილიონ ასიათასზე მეტი მუშტარი ჰყავს“, „ორი წლის განმავლობაში მომხმარებელთა რიცხვმა 543 ათასით იმატა“, „წელს (2002 წელს – გ.კ.) თვეში რესტორნების ბიზნესში 9,64 მლნ. ლარი ტრიალებს, მაშინ როდესაც 2000 წელს ამ ობიექტების საქონელბრუნვა მხოლოდ 6,6 მლნ. ლარი იყო“. და ეს მაშინ, როდესაც რესტორნების ბიზნესში ჩრდილოვანი ეკონომიკის „მაჩვენებელი 71%-ს აღწევს. ამასთან ერთად, იგი ყოველწლიურად „იფურჩქნება“. მაგალითად, თუ წელს (2002წ. – გ.კ.) დეკლარირებულ მაჩვენებელს რეალური საქონელბრუნვა 5,1 ჯერ აღემატება, ორი წლის წინ ეს შეფარდება მხოლოდ 3,8-ის ჯერადობის ზღვარზე იყო“.

რაც შეეხება თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი ბევრ რამეში ეთანხმებოდნენ თავიანთ ოპონენტებს, მაგრამ ამავე დროს უსაყვედურებდნენ ამ უკანასკნელებს, რომ ისინი მხოლოდ ცუდს ხედავდნენ და ამავე დროს არ ითვალისწინებდნენ ობიექტური ხასიათის სიძნელეებს, რომლებმაც საშუალება არ მისცა სახელმწიფოს უკეთესი შედეგებისთვის მიეღწია. 2001 წლის მაისში პარლამენტის სხდომაზე წაკითხულ თავის ყოველწლიურ მიმართვაში პარლამენტისა და ხალხისადმი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ ამის თაობაზე თქვა: “ყოველთვის ვადასტურებდი, როგორც შემეძლო ღრმა პატივისცემას ყველა პოლიტიკური ოპონენტის მიმართ, რაოდენ მწვავე და ზოგჯერ მწარეც უნდა ყოფილიყო მათი კრიტიკა.

მაგრამ... ყველას - მთავრობასაც და ოპოზიციასაც, უმრავლესობასაც და უმცირესობასაც:, პრეზიდენტსაც და პარლამენტსაც უნდა გვეყოს მოქალაქეობრივი სინდისი, რათა ავმაღლდეთ პიროვნულ წყენაზე, ქვეყნის ინტერესებზე და გულახდილად ვიმსჯელოთ: რისი გაკეთება შევძელით იმ დღიდან, როდესაც ყველამ ერთად აგურ-აგურ დავიწყეთ ახალი ქართული სახელმწიფოს შენება. რისი გაკეთება შევძელით, რისი ვერა, რა იყო შესაძლებელი ობიექტურად და რა არა. უამრავ ნაკლსა თუ სირთულეში რა არის კონკრეტულად ხელისუფლების შეცდომათა თუ სისუსტის მიზეზი და რა - ობიექტური ფაქტორებისა, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელი იყო".

"ყველას გვახსოვდეს რა მივიღეთ მემკვიდრეობად, ემოციურ ტალღაზე ყველაფრის ნგრევის, სამოქალაქო ომისა და ანარქიის შედეგად და ამ ნაფუძვარზე საერთო ძალისხმევით რას მივაღწიეთ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში..."

"ჩვენ რამდენიმე წელიწადში გავიარეთ გზა, რომელსაც ბევრ ქვეყანაში ათწლეულები და ზოგჯერ მეტიც დასჭირდა"[1].

საუკუნის დასასრულს მედიაში აშკარად იგრძნობოდა ისეთი პუბლიკაციების მოზღვავება, რომლებშიც ის აზრი იყო ფიქსირებული, რომ კრიზისული მოვლენები საქართველოში ე. შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო, მაგრამ ეს არ დასტურდება რეალობით. უკვე კომუნისტური ხელისუფლების ბოლო წლებში, ანუ მაშინვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდა, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმალ ალაპარაკდნენ ასეთ მოვლენებზე. მაგალითად, გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" 1989 წლის დეკემბერში დაიბეჭდა მესხეთ-ჯავახეთის რამდენიმე ათეული წარმომადგენლის კოლექტიური წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: "ეროვნული ეკონომიკა სულს ღაფავს. ერთ დროს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული სამეცნიერო სკოლები მეთოდურად თმობენ პოზიციებს, ქართული სოფელი ცარიელდება, სამაგიეროდ, დედაქალაქი ემსგავსება თავმკომბალას, ფესვი გაუდგამს კორუფციას, მომხვეჭელობას, მექრთამეობას და სხვა ჯურის მეტასტაზებს...

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 მაისი, 2001 წ.

რამდენ რამეს სჭირდება შველა, რომელ ერთ სატკივარს ვუმკურნალოთ?!"[1]

ასეთივე სურათია ასახული გაზეთ "ახალ საქართველოში": "რესპუბლიკაში შექმნილი უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა სულ უფრო მწვავდება, — ნათქვამია აქ, — სისტემატურად მცირდება ერთობლივი ეროვნული პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი, ღრმავდება ინფლაციური პროცესები, აღინიშნება მიმოქცევისათვის საჭირო ფულის ნიშნებისა და საკრედიტო რესურსების მწვავე დეფიციტი, ფინანსური ვალდებულებების განაღდებას სახელმწიფო ბანკი ძირითადად მხოლოდ ფულის ემისიით ახერხებს"[2].

ამავე გაზეთის ამავე ნომერში დაიბეჭდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის ღია წერილი საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რომელშიც აღნიშნულია: "გაძლიერდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა"[3].

სავალალო უწოდა საბჭოური სისტემის წყალობით ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას თავის პირველსავე გამოსვლაში საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომაზე სახელმწიფოს პირველი პირის რანგში ზვიად გამსახურდიამაც[4]. ვრცლად ისაუბრა ამის თაობაზე იმავე სხდომაზე "მრგვალი მაგიდის" მთავრობის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ თენგიზ სიგუამაც: "მკვეთრად გამოიკვეთა წარმოების შეკვეცისა და შრომის ნაყოფიერების დაქვეითების საშიში ტენდენცია, - აღნიშნა მან - შარშან მნიშვნელოვნად დაეცა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე. ოფიციალური სტატისტიკით წლეულს ეს კრიზისული მოვლენა კიდევ უფრო ღრმავდება... აშკარად დაეტყო რეგრესი მეცხოველეობას, სადაც გრძელდება საქონლის და ფრინველის სულადობის შემცირება, მკვეთრად გაუარესდა ხორცისა და რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილითა და კარტოფილით, სურ-

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 12 დეკემბერი, 1989 წ.

[2] გაზ. „ახალი საქართველო", 14 ნოემბერი, 1990წ.

[3] იქვე.

[4] გაზ. „ახალი საქართველო", 18 ნოემბერი, 1990წ.

სათის სხვა სახეობით მოსახლეობის უზრუნველყოფა. მოშლილია სამრეწველო საქონლის ბაზარიც, შეუჩერებლად იზრდება ფასები, მატულობს ინფლაციის ტემპი... გაკოტრების პირასაა მისული სამრეწველო და სამშენებლო ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 3,2 მილიარდ მანეთს მიაღწია და შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს დაახლოებით 400 მილიონი მანეთით გადააჭარბა"[1].

გაზეთ "ზაკავკაზსკიე ვოენნიე ვედომოსტის" ცნობით[2], 1991 წლის ზაფხულში ინფლაციამ საბჭოთა კავშირში 100 პროცენტს მიაღწია, რაც უკვე მოახლოებული სრული კრახის მანიშნებელი იყო. სწორედ ამან განაპირობა უკვე იმ დროში ფულადი ანაბრების მკვეთრი გაუფასურება და ფაქტობრივ გაუცემლობაც. ეს ანაბრები, ისევე, როგორც კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის მოსახლეობის მიერ შეტანილი თანხები და სხვ. დღემდე ვალად ადევთ სსრ კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოებს, მათ შორის ჩვენსასაც. თუმცა, ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი ყოველივე ამას ე. შევარდნაძის ადმინისტრაციას სდებს ბრალად.

ზემოაღნიშნულ გარემოებებს, რასაკვირველია, არ შეეძლო არ გამოეწვია მოსახლეობის მძაფრი უკმაყოფილება კომუნისტური ხელისუფლებისადმი. ამ უკმაყოფილების ხარისხზე კარგად მიუთითებს შემთხვევაც, რომლის მონწმენიც ჩვენ გავხდით. ეროვნული მოძრაობის ერთ ლიდერს ერთ-ერთ შეხვედრაზე ჰკითხეს, შეიძლებოდა თუ არა გვქონოდა იმედი, რომ ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ უკეთესი ცხოვრება დამკვიდრდებოდა. რაზეც მან უპასუხა, ამაზე უარესი რაღა შეიძლება იყოსო. ამ პასუხს მოწონების ნიშნად მხურვალე ტაში მოჰყვა.

"მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების პერიოდში ვითარება საქართველოში კიდევ უფრო დამძიმდა. გრძელდებოდა მკვეთრი ეკონომიკური დაქვეითება, თანაც ბევრად უფრო მზარდი ტემპებით.

---

[1] გაზ. „ახალი საქართველო", 18 ნოემბერი, 1990 წ.

[2] Газ. "Закавказские военные ведомости", 7 июня, 1992 г.

პროფესორ კლიმენტი ელიზბარაშვილის სტატიაში "ძნელბედობის 1991 წელი" ვკითხულობთ: "ხელთა გვაქვს გაანგარიშებით მიღებული შედეგები, რომელიც რელიეფურად გვიხასიათებს რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის იერსახეს, მეტად სამწუხარო და, მე ვიტყოდი, სავალალო სურათს.

დავიწყოთ იმით, რომ მხოლოდ ერთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავალი (10 მილიარდ 735 მილიონი მან) 25 პროცენტით შემცირდა წინა, 1990 წელთან შედარებით. ამ ფაქტის მასშტაბურობის ნათლად წარმოდგენის მიზნით, აღვნიშნავ, რომ ჩვეულებრივ, მშვიდობიან პერიოდში ეროვნული შემოსავლის იგივე 25 პროცენტით გაზრდისათვის საჭირო იყო სულ ცოტა 5-6 წელი"[1].

კ. ელიზბარაშვილის ეს სტატია "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაიბეჭდა, მაგრამ ვითარების სიმძიმე ამ ხელისუფლების პერიოდში მითითებული იყო იმდროინდელ პუბლიკაციებშიც. გაზეთი „ერთობა", მაგალითად, 1991 წლის დეკემბერში წერდა: „ახლანდელი ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში . . . ხასიათდება თითქმის ყველა სახეობის საქონელზე და მომსახურებაზე ფასებისა და ტარიფების სწრაფი ზრდით. მოსახლეობას სულ უფრო უძნელდება შეინარჩუნოს ცხოვრების ჩამოყალიბებული წყობა და მოხმარების სტრუქტურა. მწვავე ეკონომიკური კრიზისი უარყოფითად მოქმედებს ყოველი ოჯახის, თითოეული ადამიანის ყოფაზე. ჰიპერინფლაციის კატასტროფული პროცესი, რომელიც უკვე დაიწყო, უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას, განსაკუთრებით დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს, ძირს სცემს მათი ცხოვრების ისედაც დაბალ დონეს"[2].

მძიმედ ეჩვენებოდა გაზეთს პერსპექტივაც, პროგნოზირებდა ფასების არნახულ, ნახტომისებურ და მრავალჯერად ზრდას. თუმცა ამას იგი ძირითადად გარეშე ფაქტორებით, სახელდობრ, ყოფილ სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებით ხსნიდა.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12 მარტი, 1992 წ.

[2] გაზ. „ერთობა", №10, დეკემბერი, 1991წ.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის კონფედერაციის წერილში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის თენგიზ სიგუასადმი, მაგალითად, ნათქვამია, რომ "ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში უკვე დაიწყო მშრომელთა გამონთავისუფლება"[1]. აქვე ლაპარაკია "უმუშევრობის მოსალოდნელ დიდ მასშტაბებზე". კრიზისულ ეკონომიკურ მდგომარეობასა, მოახლოებულ ეკონომიკურ კატასტროფასა და "ეკონომიკურ გენოციდზე"[2] საუბარია პროფესორ მიხეილ ღოღობერიძის სტატიაშიც "დრო არ ითმენს, უნდა ვიჩქაროთ", რომელიც გაზეთ "თბილისში" გამოქვეყნდა.

ვითარების გაუარესებაზე ზვიად გამსახურდიას ზეობის პერიოდში, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა იმ დროს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებმა, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, უკვე ნგრევითი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ პროცესებმა კიდევ უფრო მძიმე ხასიათი შეიძინა საქართველოში. მაშინდელ პრესაში არაერთხელ გამოთქმულა მძაფრი საყვედური ჩვენი ხელისუფლების მიმართ. გაზეთ "ერთობის" 1991 წლის დეკემბრის ნომერში, მაგალითად, ნათქვამია: "მმართველი ბლოკის - "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ორგანიზაციების არაკომპეტენტურობამ და გულარხეინობამ ისე მოუღო ბოლო და გააპარტახა ჩვენი ეკონომიკა, რომ სავსებით გამოირიცხა მისი ავტონომიური ფუნქციონირების შესაძლებლობა. ამან "მრგვალი მაგიდის" ლიდერები ჩიხში მოაქცია"[3].

არაკომპეტენტურობაში სდებს ბრალს "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებას კლიმენტი ელიზბარაშვილიც: "ვინ მართავდა და აკონტროლებდა საქართველოს ეკონომიკას ვითომდა დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლების ბოლო წელს? ჩემი აზრით, სქოლასტიკოს-კარიერისტები, რომელთაც წარმოებისა არაფერი არ გაეგებოდათ, ერთი დღეც კი არ ჰქონდათ წარმოებაში ნამუშევარი. მეტიც, პრეზიდენტყოფილის მსგავსად, მათ იმიტომ მოუვიდათ გამოუსწორებელი შეცდომები, რომ არასოდეს არ ყოფილან არათუ

[1] გაზ. „კაბადონი - 8", 18 მაისი, 1991 წ.
[2] გაზ. „თბილისი", 21 თებერვალი, 1991წ.
[3] გაზ. „ერთობა", №10, დეკემბერი, 1991წ.

წარმოების, დაწესებულების, ან მეურნეობის, არამედ მცირე მნიშვნელობის ლაბორატორიის ხელმძღვანელიც კი. ასეთი იყო ძირითადად პარლამენტში და სხვა უმაღლეს ეშელონებში "მომუშავე თეორეტიკოსი" ეკონომისტების დიდი ნაწილი"[1].

სხვა პუბლიკაციებში მიუთითებენ, რომ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა აგრეთვე "მრგვალმაგიდელების" მიერ ქვეყნის თვითიზოლაციაში მოქცევამ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან უაღრესად გართულებული ურთიერთობის პარალელურად მკვეთრად დაიძაბა ურთიერთობა დასავლეთთანაც. ცნობილია, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ამერიკა ყველას გაუწევდა დახმარებას აზერბაიჯანისა და საქართველოს გარდა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კი საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას "საშიში დემაგოგი" უწოდა და ბრალად დასდო მას დინების საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება, რაზეც ამ უკანასკნელის მხარდამჭერნი ამაყად მიუგებდნენ, რომ დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო.

პრესაში აღნიშნავდნენ იმასაც, რომ ზვიად გამსახურდია ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგაც ვერა და ვერ ახერხებდა დისიდენტის მდგომარეობიდან გამოსვლას და ამიტომ იქცეოდა არა როგორც ქვეყნის ხელმძღვანელი, არამედ როგორც ოპოზიციონერი და თანაც უკიდურესად შეურიგებელი. იგი უწინდებურად ასრულებდა "მნგრეველის" და არა "აღმაშენებლის" ფუნქციას.

"მრგვალმა მაგიდამ" ვერ შეძლო ნორმალური ურთიერთობის დამყარება ოპოზიციასთან. ამ ფაქტორმაც ნეგატიურად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. ორიოდე თვით ადრე ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლამდე რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის დირექტორატის წევრი ზურაბ მაისურაძე წერდა, რომ ახალ მთავრობასა (რომელიც მოახლოებული არჩევნების შემდეგ შეიქმნებოდა) და ოპოზიციას შორის "შეუთანხმებელი მოქმედების შემთხვევაში" საქართველო უმძლავრესი ეკონომიკური კრიზისის მდგო-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12 მარტი, 1992 წ.

მარეობაში აღმოჩნდება... კატაკლიზმების თავიდან აცილების ერთადერთი გზა უმნიშვნელოვანესი პრობლემების მიხედვით ეროვნული კომისიების შექმნაა. ამ კომისიებში მონაწილეობა უნდა მიიღოს ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, მოწვეულმა სპეციალისტებმა როგორც საქართველოდან, ისე სხვა სახელმწიფოებიდან"[1].

ახალმა ხელისუფლებამ და მისმა ოპოზიციამ, სამწუხაროდ, არამცთუ ვერ გამონახეს საერთო ენა, არამედ უკიდურესად დაძაბეს ერთმანეთთან ურთიერთობა, რამაც, როგორც ცნობილია, ჯერ სახელმწიფო გადატრიალებამდე, შემდეგ კი სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა.

"მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო საომარი მოქმედებანი ცხინვალის რეგიონში, რასაც აგრეთვე არ შეეძლო სავალალო ზემოქმედება არ მოეხდინა ჩვენს ეკონომიკაზე.

გრძელდებოდა ანარქიული პროცესები, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების ბოლო წლებში ჩაუყარეს ე.წ. არაფორმალებმა. როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მათ მიერ შემუშავებული კონცეფცია ეფუძნებოდა ეროვნული დაუმორჩილებლობის პრინციპს და გულისხმობდა "უკიდურეს კონფრონტაციას იმპერიასთან და იმპერიულ ძალებთან, ხალხის სრულ გამიჯვნას საქართველოში ოფიციალურად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლების, წყობილების და კანონმდებლობის სტრუქტურებისაგან და ამ გზით საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის გამოცხადებას"[2]. ამ კონცეფციის თანახმად, "მიზანდასახული, უაღრესად ორგანიზებული და საყოველთაო მასშტაბების მომცველი ყოველდღიური ბრძოლით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში უნდა შექმნას დამპყრობლებისათვის აუტანელი მდგომარეობა, უნდა მოიშალოს ოკუპანტების მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, საქართველო წამგებიან რეგიონად გადაიქცეს იმპერიისათვის"[3].

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დიდი წარმატებებიც იქნა მიღწეული. შედეგად შეიქმნა ქაოსისა და ანარქიის ატმოსფერო, რომ-

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 27 სექტემბერი, 1990 წ.

[2] გაზ. „თბილისი", 15 სექტემბერი, 1990წ.

[3] იქვე.

ლის დროსაც ჩვეულებრივი რამ გახდა სამუშაო საათებში მიტინგების მოწყობა, პერმანენტული დემონსტრაციები, სარკინიგზო და საავტომობილო გზების გადაკეტვები და სხვა დესტრუქციული, ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედების მქონე მოვლენები. ამის წინააღმდეგ დრო და დრო ილაშქრებდა პრესა და აფრთხილებდა საზოგადოებას, რომ ასეთი აქციები არყევდნენ მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ საფუძველს, მაგრამ ეს ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ანარქიის სტიქიონი განაგრძობდა ბობოქრობას.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ეროვნული დაუმორჩილებლობის გზის ერთგული დარჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის ფრთაც, რომელიც "მრგვალი მაგიდის" სახელითაა ცნობილი და რომელშიც გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა თავის დროზე სხვა არაფორმალებთან ერთად თვითონაც მიიღეს უაღრესად აქტიური მონაწილეობა ამ კონცეფციის შექმნაში. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ "მრგვალი მაგიდა" შეეცადა ანარქიის სტიქიონის მოთოკვას, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. ანარქია ბუმერანგივით მიუბრუნდა მასაც და მთავარი მიზეზი გახდა მისი დამხობისა. ანარქიული პროცესები საქართველოს ახალ საუკუნეშიც გადმოჰყვა. ამ დროისათვის საზოგადოებას და მედიასაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ბოლომდე გააზრებული მათი უარყოფითი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და მთლიანად ხალხის კეთილდღეობაზე. ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციები და მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები თავიანთი მიზნების მისაღწევად მაშინაც საკმაოდ ხშირად იყენებდნენ ბრძოლის ანარქიულ მეთოდებს. ჩვენი მედია კი ამ მოვლენებს ვითომ "მიუკერძოებელი" ფორმით აშუქებდა, მაგრამ, ფაქტობრივად, პროპაგანდას უწევდა მათ, ქმნიდა რა ამგვარი დესტრუქციული ქმედებების ეფექტიანობის ილუზიას.

ეროვნული მოძრაობის დომინანტური ფრთის - ყოფილი არაფორმალების ანუ ულტრარადიკალებისა და რადიკალების მიერ არჩეული მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა და მათი შედეგები ჰქონდათ სწორედ მხედველობაში ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძესა და

ჟურნალისტ თემურ მირიანაშვილს, როცა მათ ამ მოძრაობას „ეროვნულ-გამანადგურებელი“ და „ეროვნულ-ნგრევითი“ უწოდეს. თუმცა აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზომიერებმა, ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში პრაქტიკულად შეწყვიტეს ეკონომიკური დაქვეითების ამ მიზეზებზე საუბარი.

უაღრესად მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში მოუხდა ქვეყნის მართვის დაწყება „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების დამხობის შემდეგ შექმნილ სამხედრო საბჭოს. ამ დროისათვის ნგრევითმა პროცესებმა განსაკუთრებით კატასტროფული ხასიათი მიიღეს. აი, როგორ აღწერს მაშინ არსებულ ვითარებას ჟურნალისტი ჯემალ ქურხული სტატიაში „ბაზარი ჩვენი სიღარიბისა“: „იმგვარი სიღარიბე დაგვიდგა, რომ ვერც კი წარმოიდგენდით. წელიწადი ისე გავიდა, თითი თითზე არ დაგვიკარებია. მთავრობა („მრგვალი მაგიდისა“ - გ.კ.) რაღაც გაუგებარს ჯახირობდა, კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. მიწის მშრომელი ხომ სულ მოსწყდა თავის საქმეს. უკვე მერამდენედ მოტყუვდა გლეხი. მიწა - თქვენაო, ეს ლოზუნგი კიდევ ერთხელ გაცრუვდა. შედეგი ის გახლავთ, რომ სოფელი ძირითადად თავისი საკარმიდამო მიწის ანაბარა დარჩა, სოფელიცა და ქალაქიც, სოციალისტური, თანაც უკვე მოძველებული, მშრომელთათვის ყელში ამოსული, სტრუქტურების იძულებითმა ერთგულებამ ბაზარი ერთობ გააძვირა. საახალწლოდ 300-500 მანეთი ღირდა გოჭიც და ინდაურიც. კილოგრამი სულგუნი და გუდის ყველი - 100 მანეთი, ვაშლი და მანდარინი 20-25 მანეთი, ცალი კვერცხი 3 მანეთი...“[1]. შედარებისთვის ვიტყვით, რომ სულ რაღაც ორიოდე წლით ადრე ხორცის ფასი მაღაზიაში 2 მან. იყო (თუმცა ეს პროდუქტი იქ იშვიათად ჩნდებოდა), ბაზარში კი 4-5 მანეთს არ აღემატებოდა, ასევე მკვეთრად დაბალი იყო სურსათის აქ ჩამოთვლილ სხვა სახეობათა ღირებულებაც. ხელფასები კი ამ პერიოდში არსებითად არ შეცვლილა და ისიც დიდი დაგვიანებით რიგდებოდა.

მძიმე ვითარებას აფიქსირებდა დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუაც,

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992 წ.

რომელიც აღნიშნავდა: ,,დღეს საქართველოს ბიუჯეტი (1992 წლის) ფაქტობრივად არ აქვს ხაზინა ცარიელია; აქამდე მიიყვანა რესპუბლიკა თანხების უკონტროლო ხარჯვამ და, ნაწილობრივ, დატაცებამ. ამიტომ იძულებულნი არიან შეიმუშაონ ერთი კვარტალის ბიუჯეტი და, მერე, მარტში - როგორმე მთელი წლისა"[1].

1992 წლის ბიუჯეტის მიღება მხოლოდ ივნისისათვის მოხერხდა. იგი უაღრესად მიზერული იყო, მაგრამ ისიც მხოლოდ სანახევროდ შესრულდა.

ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა ის გარემოება, რომ ამ დროს დაინგრა საბჭოთა კავშირი, რამაც ფაქტობრივად სრულად მოშალა ჩვენი საწარმოების სამეურნეო ურთიერთობანი სხვა რესპუბლიკებში განლაგებულ საწარმოებთან, უკიდურესად გაგვირთულა მდგომარეობა გასაღების ბაზრებზე.

ადვილად წარმოვიდგენთ, რა გავლენას იქონიებდა ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ „საქართველო ღრმად ინტეგრირებული აღმოჩნდა სსრკ-ის ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში. მას სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა ნავთობის 96%, ბრუნებრივი აირის 100%, შავი ლითონების, ნაგლინისა და ფოლადის მილების 93%, ხე-ტყის 80%, ხორცის 40%, რძის 75%, მარცვლეულის 90%, შაქრის 98%, საქართველოდან გაჰქონდათ ჩაი, კონიაკი, ღვინო, ციტრუსები, მანგანუმი, ქიმიური პროდუქცია და ა.შ. მიუხედავად ამისა, საქართველოს წლების განმავლობაში უარყოფითი საგადასახადო ბალანსი ჰქონდა"[2].

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ კრემლს მანამდე გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა ჩვენს წინაშე: საქართველო დოტაციაზე იმყოფებოდა, ბიუჯეტის უარყოფით სალდოს იგი აბალანსებდა, ენერგომატარებლებიც უაღრესად დაბალ ფასებში ასეთივე წესით მოგვეწოდებოდა, ფულადი მასაც რუსეთიდან მოედინებოდა. ახლა კი ყველაფერი ეს ან სრულიად შეწყდა ან არადა უკეთეს შემთხვევაში დიდი შეფერხებებით ხორციელდებოდა.

---

[1] გაზ. „დრონი", 25 იანვარი, 1992 წ.

[2] რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა. წარსული, აწმყო, პერსპექტივა. თბ., 2002, გვ. 23.

ხელისუფლების ხელთ არსებული ისედაც მცირე რესურსები ილეოდა. შეიქმნა უაღრესად კრიტიკული მდგომარეობა, რომელსაც შეიძლება დიდი სოციალური აფეთქება გამოეწვია. რას აპირებდა ასეთ ვითარებაში სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა ან, საერთოდ, ხედავდნენ თუ არა ისინი რაიმე გამოსავალს სიტუაციიდან, საზოგადოებისათვის უცნობია, მაგრამ ცნობილია ერთი ვერსია, რომელიც ასე წარმოგვიდგება:

რჩებოდა ერთადერთი იმედი - გარედან დახმარება. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ქვეყნის გამოყვანა საერთაშორისო იზოლაციიდან, რასაც მაშინდელი ხელისუფლება ვერ ახერხებდა. ამას მოწმობდა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ სიგუას ინტერვიუც, რომელიც მან მისცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს. მან, კერძოდ, ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ, მართალია, აშშ ცნო საქართველოს სუვერენიტეტი, მაგრამ ჩვენს შორის „დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება მოხდება მას შემდეგ, რაც ჩვენში აირჩევა ახალი პარლამენტი“[1].

არჩევნების მომზადებას სულ ცოტა ნახევარი წელიწადი მაინც სჭირდებოდა. ამდენ ხანს მოცდა კი შეუძლებელი ჩანდა. ცხადი გახდა, რომ პრობლემის მოსახსნელად აუცილებელი იყო ექსტრემალური ღონისძიების გატარება. ხელისუფლებამ და მასთან მოთანამშრომლე პარტიებმა გადაწყვიტეს მსოფლიოში ცნობილი და პატივცემული პოლიტიკოსის, ყოფილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. შევარდნაძის მოწვევა სახელმწიფოს პირველი პირის თანამდებობაზე იმ იმედით, რომ ერთადერთი იგი, იმ ნდობის კრედიტის გამოყენებით, რომელიც გააჩნდა საერთაშორისო მასშტაბით, შეძლებდა გამოეყვანა ჩვენი ქვეყანა იზოლაციიდან და, მაშასადამე, ეხსნა საქართველო უმძიმესი სოციალური პერსპექტივისაგან.

ე. შევარდნაძემ შეძლო მიეღწია, რომ მოკლე ხანში სხვადასხვა ქვეყანამ, მათ შორის მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, დაამ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992 წ.

ყარეს დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენთან. ლეგიტიმური ხელისუფლების უქონლობის მიუხედავად, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც კი მიიღეს. დაგვიწყეს საკმაოდ ფართო მასშტაბის ჰუმანიტარული დახმარების გაწევაც, გამოგვიყვეს შეღავათიანი კრედიტებიც, რამაც სული მოგვათქმევინა, მაგრამ ეკონომიკაში ნგრევითი პროცესების შეჩერება გარკვეულ პერიოდში კიდევ ვერ მოხერხდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესების განეიტრალება იმხანად ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის ვერც ერთმა ყოფილმა რესპუბლიკამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბალტიისპირეთს, მაგრამ იქ სხვა პირობები არსებობდა და ამაზე ახლა არ შევჩერდებით. ეგაა მხოლოდ, რომ ჩვენში კოლაფსს განსაკუთრებით მძიმე ხასიათი ჰქონდა.

ჩვენში ეკონომიკური დაქვეითების გამორჩეულად მწვავე ფორმების განმაპირობებელი ზოგიერთ ფაქტორზე, რომელიც მხოლოდ ჩვენთვის იყო სპეციფიკური, უკვე ვისაუბრეთ. როგორც აღინიშნა, ისინი ჯერ კიდევ კომუნისტურ ხანაში ჩაისახნენ და განვითარდნენ "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლების დროს. განსაკუთრებით დამანგრეველი ძალა კი მათ შემდგომ პერიოდში შეიძინეს, რასაც ზოგი პუბლიცისტი ე. შევარდნაძის ადმინისტრაციის „დამსახურებად" თვლის, ზოგი კი ამ ფაქტორების ბუნებიდან გამომდინარედ.

ძველ დამანგრეველ მოვლენებს დაემატა ახალი. მათ შორის განსაკუთრებით დამღუპველი შედეგები მოიტანა ომმა აფხაზეთში, რომელმაც არა მარტო ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, არამედ კოლოსალური მატერიალური და ფინანსური ზარალიც გამოიწვია: გაჩნდა სამასი ათასზე მეტი ლტოლვილი, რომელთათვის ახალი საცხოვრებლის გამონახვა და შემწეობის აღმოჩენა უზარმაზარ ტვირთად დააწვა ქვეყანას. მძიმედ იმოქმედა ქვეყნის მდგომარეობაზე სამოქალაქო ომმა და მასთან დაკავშირებულმა დივერსიულმა აქტებმა - სარკინიგზო გზებისა და ხიდების აფეთქებებმა, მატარებლების ძარცვამ და გარკვეული ძალების სხვა ამგვარმა დესტრუქციულმა მოქმედებებმა. მაგრამ მათ გავლენაზე ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე პუბლიცისტები და პოლიტიკოსები იშვიათად თუ ლაპარაკობდნენ. გაზეთ "ახალი თაობის" მიმომხილ-

ველი გიორგი კვიტაშვილი მათგან ერთ-ერთი გამონაკლისია. "სამოქალაქო ომმა დაგვაქცია, - წერდა იგი - და პარალელურად ისე დავესიეთ საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებს, რომ, ალბათ, ჯალალედინის ბრბოებს გადავაჭარბეთ"[1].

ომებმა უაღრესად გაართულა კრიმინოგენური სიტუაცია ქვეყანაში. თუ რა მძიმე ვითარება იყო ამ თვალსაზრისით საქართველოში შექმნილი, ამას მოწმობს მწერალ გურამ ფანჯიკიძის მონაყოლიც: "ყველა გვძარცვავს, – ამბობს იგი გაზეთ "რესპუბლიკის" კორესპონდენტთან საუბარში. რომ მოგიყვეთ, რაც გადამხდა პირადად მე, შეიძლება არც დაიჯეროთ. ჩემს მძღოლს წაართვეს სამსახურის მანქანა, დავსვი ჩემს მანქანაზე - ისიც წაართვეს, ჩემს შვილს ღამით მოპარეს მანქანა. რაჭაში სახლი დამირბიეს და თხუთმეტჯერ (!) გამიძარცვეს, ხოლო სულ ახლახან, საბურთალოს ქუჩაზე ჩემი შვილის მანქანა გაძარცვეს. ამას ემატება ის თანხა, რაც ბანკ "ინოვაციაში" გვქონდა შეტანილი! როგორ გგონიათ, ერთი საქმე მაინც გახსნეს ჩვენმა საგამომძიებლო ორგანოებმა? არც ერთი"[2].

ფართო მასშტაბი მიიღო ბანდიტურ ჯგუფთა თარეშმა, რომლებმაც სახელისუფლო სტრუქტურებშიც შეაღწიეს. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ საკმარისი იყო რომელიმე საწარმოს თავზე კვამლი შეემჩნიათ, რეკეტიორები იმ წამსვე იქ გაჩნდებოდნენ და წილს მოითხოვდნენ. ვითარების მთელი სერიოზულობის საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც იკმარებდა, რომ თბილისის პოლიციის მაშინდელმა შეფმა დავით ზეიკიძემ არაერთხელ განაცხადა საჯაროდ, საქართველოს მარტოს არ ძალუძს სიტუაციის ნორმალიზება და კრიმინალებთან საბრძოლველად რუსეთის ჯარის მოწვევაა საჭიროო.

აღსანიშნავია, რომ არამცთუ მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ ბევრი პოლიტიკოსიც სათანადოდ ვერ იცნობიერებდა აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებას ჩვენს ეკონომიკაზე. სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდით, რომ ან ჩვენი მედია იდგა ამ თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზე. პრესა, ტელევიზია, რადიო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დივერსიულ აქტებს ისე ეხმაურებოდა, თითქოს ეს

[1] გაზ. „ახალი თაობა", 2 მაისი, 2000 წ.
[2] გაზ. „რესპუბლიკა", 30 აგვისტო, 1995წ.

რომელიმე სხვა ქვეყანაში ხდებოდა და ჩვენთან მათ არაფერი ჰქონდათ საერთო. პრაქტიკულად, არ ხდებოდა ამ ქმედებათა განმახორციელებელთა გაკიცხვა და დაგმობა. ის კი არა და, იყო არაერთი მცდელობა იმისა, რომ აფეთქებები და სხვა დივერსიული აქტები ხელისუფლებისათვის გადაებრალებინათ, თითქოს ეს უკანასკნელი ამით პოლიტიკურ ოპონენტთა დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

ქართული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი პროფესორი ვალერიან ადვაძე ასე აღწერდა იმდროინდელ საქართველოში არსებულ ვითარებას და მის განმაპირობებელ მიზეზებს: "ფაქტები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკონომიკას დაუდგა ისეთი ძლიერი დაქვეითება, როგორც არ ჰქონია უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე. იყო ცდები, დაისახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მაგრამ ისინი ვეღარ შესრულდა და ვერც შესრულდებოდა, რადგან არ იყო პოლიტიკური სტაბილიზაცია. უფრო მეტიც, დივერსიები, აფეთქებები და ნრგევა ჯერაც არ შეჩერებულა. პირიქით, გაძლიერდა კიდეც. ყოველივე ამას დაემატა ომი აფხაზეთში, სინამდვილეში - ომი რუსეთთან.

1992 წლის მეორე ნახევრიდან საქართველო ფაქტობრივად რუსეთის ეკონომიკურ ბლოკადაშია. ხელისუფლების ყოველდღიურ საზრუნავად იქცა (ომის წარმოების პარალელურად) ერის, მთელი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის უზრუნველყოფა, რასაც იგი დიდი გაჭირვებით ართმევს თავს"[1].

ვ. ადვაძეს მოჰყავს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მონაცემები, რომლებიც მოწმობს ეკონომიკური რეგრესის ფართო მასშტაბებს. „1992 წლის იანვარ-ნოემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის სანახევროდ შემცირდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 1991 წელს წინა წლებთან შედარებით უკვე იყო შემცირებული 1/5-ით, აღმოჩნდება, რომ წარმოების დღევანდელი დონე 1990 წლის მხოლოდ 2/5-ს თუ შეადგენს.

მრეწველობის ყველა დარგი განიცდის ღრმა კრიზისს, რომლის ძირითადი მიზეზებია პოლიტიკური არასტაბილურობა, სათბობ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 იანვარი, 1995 წ.

ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი დეფიციტი, ტრანსპორტის მოშლილობა, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების რღვევა, შრომის დისციპლინის დაცემა, ომი, ეკონომიკური ბლოკადა, ერთიანი მტკიცე ხელისუფლების არარსებობა, დივერსიები, ბანდიტობა და სხვა. ღრმა კრიზისმა მოიცვა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის კვალობაზე მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა, თანაც მას არ მოჰყოლია კერძო საკუთრებაში სულადობის შესაბამისი ზრდა. ეჭვქვეშაა ჯოგის მარტივი კვლავწარმოებაც კი"[1].

უმძიმესი იყო ვითარება ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. მკვეთრად დაეცა საბინაო მშენებლობა. კრიზისულ ზღვარზე იმყოფებოდა, უფრო ზუსტად, იშლებოდა კომუნალური მეურნეობა.

მთლიანად ეკონომიკაში შეიმჩნეოდა ინვესტიციური კრიზისი. შეწყდა მოწყობილობის იმპორტი და მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო აპარატის ცვეთამ კრიტიკულ ნერტილს მიაღწია. მისი განახლება არ ხდებოდა და გამოსადეგ მდგომარეობაში შენახვა-შენარჩუნებაც სულ უფრო ძნელდებოდა.

საერთოდ დაეცა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა.

მოიშალა ფინანსები, კოლოსალური იყო ბიუჯეტის დეფიციტი. ბიუჯეტი ფაქტობრივად მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა, ინფლაციაც უმართავი გახდა.

ვ. ადვაძის აზრით, ყველაზე უარესი ის იყო, რომ არ ჩანდა ზღვარი, თუ სადამდე შეიძლებოდა დაცემულიყო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ცხოვრების დონე, პერსპექტივაში ისახებოდა უმუშევრობის მკვეთრი ზრდა.

"სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, საქართველოში უფრო ღრმა ეკონომიკური კრიზისი, - წერს შემდეგ ვ. ადვაძე, - განპირობებულია იმითაც, რომ მიტინგების, გაფიცვების, გზების გადაკეტვის, "ეროვნული ხელისუფლების" მიერ

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 იანვარი, 1993 წ.

მოწყობილი ეკონომიკური თვითბლოკადის შედეგად პარალიზებულ იყო მთელი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება რეალურად არ იყო არც მუშაობა და არც სწავლა. კომუნისტური რეჟიმი კი დავამხეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკონომიკაც მოვშალეთ და ადრინდელ რეჟიმზე უარესი მივიღეთ, რომელიც ხელახლა დასამხობი გახდა და რომელმაც უზარმაზარი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვია“[1].

ამას ემატებოდა საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკუთრების მასობრივი დატაცება, „რაც დაიწყო კომუნისტური რეჟიმის დროს ჯერ კიდევ ხელისუფლებაში არმოსული ძალების ხალხისადმი პირდაპირი მოწოდებით - წაიღეთ ყველაფერი. ეს გაგრძელდა “ეროვნული ხელისუფლების“ არსებობის მანძილზე, როცა თვით ხელისუფლებამაც გაძარცვა სახელმწიფო ქონება და ხაზინა.

ძარცვა გრძელდება დღესაც. სახელმწიფო ქონების საყოველთაო ძარცვის, ქურდობის, დატაცების და უცხოეთში გაყიდვის ის მასშტაბი, რაც საქართველოშია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ალბათ, არ ახსოვს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას, მთავრობა უძლურია შეაჩეროს ძარცვის ეს პროცესი.

საზოგადოებრივი, სახელმწიფო ქონების ძარცვის პარალელურად საომარი მოქმედების ზონებში და მთელ რიგ სხვა რეგიონებში (მაგალითად, სამეგრელოში), ფართო მასშტაბი მიიღო სხვა რეგიონებიდან ჩასულ ქართველთა მიერ ქართველთა ძარცვამ, ათიათასობით ქართველთა ოჯახიდან მანქანებმა, ავეჯმა, ტელევიზორებმა, სხვა საოჯახო ქონებამ, დანა-ჩანგალმა და ფანჯრებმაც კი სხვა ათიათასობით ქართველთა ოჯახებში გადაინაცვლა და ამის შესახებ დუმს მთელი საქართველო. ეს უკვე ერის ზნეობრივი კრიზისია“[2].

სტატიის ავტორი თვლიდა, რომ “ეროვნული ხელისუფლების“ პოლიტიკის შედეგად “ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დაკარგა არა მარტო ეროვნული, არამედ ადამიანური სახეც. მათი ფსიქიკაც კი მოშლილია“[3]. ჩვენში დანყებული იყო სომალიზაციის პროცესი,

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 1993 წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რომელიც მალე იქამდე მიგვიყვანდა, რომ "მასობრივი შიმშილობისას (რაც რეალურია) თუ ცივილიზებული მსოფლიო დაგვეხმარება, მას ჯარიც თუ არ მოაყოლა, პროდუქტები ბანდიტების ხელში აღმოჩნდება და მოშიმშილეებამდე ვერ მიაღწევს. სწორედ ისე, როგორც დღეს სომალშია"[1].

ადვაძის შეფასებით, წარმოების დაცემა, ეკონომიკის და ზნეობის მოშლა ძლიერდებოდა და არც რაიმე იმედი იყო, რომ იგი მალე შეჩერდებოდა. ეკონომიკა კოლაფსში, ინფარქტის წინა მდგომარეობაში იმყოფებოდა. საჭირო იყო სასწრაფო და ქმედითი ზომების მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველოდა სრული დამბლა: ეკონომიკის კლასიკური სიკვდილი, საიდანაც გამოყვანა შეუძლებელი გახდებოდა.

ადვაძე პირველ რიგში, აუცილებლად მიიჩნევდა მშვიდობის მიღწევას ქვეყანაში. მისი აზრით, ამის გარეშე ეკონომიკის დაცემის შეჩერება და შემდეგ მისი რეანიმაცია შეუძლებელი იყო. იგი სთავაზობდა ხელისუფლებას, ინტენსიურად ეძებნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის გზები და უმოკლეს ვადაში დაემთავრებინა ომი, რომელსაც, ფაქტობრივად, რუსეთთან ვეწეოდით.

ომი აფხაზეთში ამის შემდეგ კიდევ რვა თვეზე მეტხანს გაგრძელდა და დამთავრდა ჩვენთვის უმძიმესი შედეგებით, მათ შორის ეკონომიკური ხასიათისაც.

სტატიის ავტორი პირველი რიგის ამოცანად თვლიდა აგრეთვე იმასაც, რომ ამ კონფლიქტის დამთავრების შემდეგ მიეღწიათ პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის ქვეყანაში, ბოლო მოეღოთ ბანდიტიზმისა და შარაგზის ყაჩაღობისათვის, დაემყარებინათ ელემენტარული წესრიგი და ხალხი დაებრუნებინათ ნორმალური სამეურნეო და სხვა საქმიანობისათვის, რის გარეშეც არც ერთი ჭკუათმყოფელი ჩვენი თუ უცხოელი კაპიტალისტი ჩვენს მეურნეობაში არ დააბანდებდა სახსრებს.

როგორც ცნობილია, აფხაზური კონფლიქტის დასასრულს ჩვენში სამოქალაქო ომი დაიწყო და ამანაც ცოტა უბედურება როდი

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 15 იანვარი, 1993 წ.

მოგვიტანა. რაც შეეხება ბანდიტიზმსა და შარაგზის ყაჩაღობას და მთლიანად კრიმინოგენურ სიტუაციას, ამ პრობლემათა მოგვარებას კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა.

აი, ასე წარმოგვიდგება ქართული მედიის მასალების მიხედვით ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მძიმე მდგომარეობა. დაზუსტებისათვის დავძენთ, რომ ზოგი ავტორი ყველა ამ ფაქტორის რეალურობას აფიქსირებდა, ზოგი კი მხოლოდ ნაწილისას. ზოგი სახალხო მეურნეობაზე მათ გადამწყვეტ ზემოქმედებას ცნობდა, ზოგი კი არა და მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მათი განეიტრალება შესაძლებელი იყო სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც იმდენად, რომ უზრუნველყოფილიყო არა მარტო ნგრევის შეჩერება, არამედ წინსვლაც. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად ყველა პუბლიკაციაში გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად გვჭირდებოდა რეფორმები, რომლებშიც, პირველ რიგში, იგულისხმებოდა საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასასვლელად აუცილებელი ღონისძიებანი. ამასვე ქადაგებდნენ კომუნისტებიც. თუმცა, ისინი სხვებისგან განსხვავებულად განმარტავდნენ ასეთი ეკონომიკის არსსა და დანიშნულებას.

გაზეთი „კომუნისტი“, სვამდა რა კითხვას, თუ რა იყო საბაზრო ეკონომიკა, განმარტავდა: „ეს არის ეკონომიკური რეგულატორი, რომელიც „სუფთა“ გეგმური ეკონომიკის საპირისპირო პოლიტიკაა, „სუფთა“ გეგმური ეკონომიკა პრიმიტიულად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: მოქალაქე მიდის საგეგმო კომიტეტში, სადაც მას ყავს ახლო მეგობარი – კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი და მისგან ღებულობს საჭირო ტრაქტორს, კომბაინს, სატვირთო მანქანას, ხოლო ის, ვისთვისაც ყოველივე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, უკეთეს შემთხვევაში ერთი წლის შემდეგ ღებულობს ან წლობით დაელოდება მისთვის საჭირო პროდუქციას.

საბაზრო ეკონომიკის დროს ნაცნობობა უვარგისი იარაღია. აქ ნაცნობობას ცვლის ფასები და სარგებლობა.

ეს გამანაწილებელი ავტომატი დიდი ხანია უნდა დანგრეულიყო, მაგრამ მასაც აქვს თავისი გამოყენების საზღვარი“[1].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 28 აპრილი, 1998 წ.

თავი მეორე

რეფორმები

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის პროპაგანდა საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ პერიოდში წამოიწყეს. ეს განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ტემპებმა მკვეთრად იკლო. ამ დროიდან მოყოლებული ფაქტობრივად უძრაობის ანუ სტაგნაციის ხანა დაიწყო, რასაც არ შეეძლო არ შეეშფოთებინა ქვეყნის ხელმძღვანელობა. ვითარების გასაუმჯობესებლად დაისახა ორგანიზაციულ-პოლიტიკური ხასიათის არაერთი „გრანდიოზული“ ღონისძიება, მაგრამ გარდატეხა არ მომხდარა, ანუ როგორც პროფესორი როზეტა ასათიანი წერს, „როდესაც გამოიკვეთა ასეთი ეკონომიკის არაეფექტიანობა, მრავალჯერ სცადეს მისი „შეკეთება“, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია“[1]. „პერესტროიკის“ წლებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო სისტემის სრულყოფა. კერძოდ, აუცილებელი ხდებოდა გეგმიური, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით და უარის თქმა სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიურ მდგომარეობაზე. თავდაპირველად ლენინური ნეპის რესტავრაციაზე დაიწყეს საუბარი (ნეპზე, რომელიც ამერიკელმა მეცნიერებმა მოსწრებულად განსაზღვრეს როგორც „კომუნიზმის გადასარჩენად კაპიტალიზმის მოწვევა“[2]), მაგრამ ბევრისათვის იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ადრე თუ გვიან გარდაუვალი იქნებოდა ამ იდეის შემდგომი გაღრმავება.

ერთ-ერთი პირველი ეკონომისტი და პუბლიცისტი, რომელმაც ეს საკითხი წამოჭრა, იყო ნ. შმელიოვი. 1987 წელს ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში,

---

[1] რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა. წარსული, აწმყო, პერსპექტივა, თბ., 2000, გვ. 70.

[2] Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, М., 1997, с. 760.

რომელიც გაზეთმა „თბილისმაც“ გადმობეჭდა, იგი ამასთან დაკავშირებით ამბობს: სოციალისტური ეკონომიკის ეს მოდელი (ნეპი — გ.კ.) „წარმატებით მუშაობდა — ჩვენ გვქონდა დაბალანსებული, უდეფიციტო, ადამიანთა დამაინტერესებელი ეკონომიკა, რომელზეც, სამწუხაროდ, ცხოვრებამ ხელი აგვაღებინა“[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიტყვების ავტორი კატეგორიულად უარყოფს მისი მოსაზრების რაიმე კავშირს კაპიტალიზმთან: „ჩემში კაპიტალიზმის რესტავრატორის დანახვა — ამბობს იგი, — შეუძლიათ მხოლოდ ძალზე შეზღუდულ ინდივიდუმებს“[2].

ნ. შმელიოვი დასაშვებად მიიჩნევდა საწარმოთა აქციონირებას და აქციების მიყიდვას არა მარტო იურიდიული პირებისათვის, არამედ მოსახლეობისათვისაც, რისთვისაც შესაძლებლად თვლიდა შემნახველ სალაროებში შეტანილი დანაზოგების გამოყენებას, რომელთა საერთო თანხა ორას მილიარდ მანეთს, მაშინდელი დროისათვის უზარმაზარ თანხას შეადგენდა: „მე, მაგალითად, — წერდა იგი, — ვერაფერს ვერ ვხედავ კრიმინალურს იმაში, თუ ჩვენ გამოვცემდით და გავავრცელებდით მოსახლეობაში სამრეწველო და კოოპერატიულ საწარმოთა აქციებს: თუ ამის შესაძლებლობა ექნებოდათ, ადამიანები დაბანდებდნენ თავინთ ფულს რეალურ საქმეში. ამაში ახალი არაფერია. უნგრეთში და იუგოსლავიაში უკვე ცდიან, ხოლო ჩინეთში ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებული. რატომ არ უნდა გამოვუშვათ ჩვენც საწარმოთა აქციები და ობლიგაციები. ისინი შეიძლება შეიძინონ სხვა საწარმოებმაც, რომელთაც გააჩნიათ დროებით თავისუფალი სახსრები... თუ უკეთესია ეს ფული ფუჭად იდოს?“[3].

ნ. შმელიოვს განსაკუთრებით შთააგონებს ჩინეთის გამოცდილება, საიდანაც კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს თავისი მოსაზრების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად: „ვთქვათ, მეტალურგიურ ქარხანას არ ჰყოფნის საკუთარი სახსრები, არც ბანკის კრედიტია საკმარისი წარმოების გასაფართოებლად და მოდერნიზაციისათვის. გამოუშვეს, დავუშვათ მილიარდი იუანის აქციები.

---

[1] გაზ. „თბილისი“, 26 დეკემბერი, 1987წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ისინი მყისვე გაიყიდა. თუმცა ერთი კია, ჩინეთში არის შეზღუდვები. უფროსობას და პარტიულ ხელმძღვანელობას არა აქვს უფლება შეიძინოს აქციები. ამაშია, ალბათ, მათი სპეციფიკა, მაგრამ მერე რა, თვით პრინციპი გასაგებია და გონივრული. რატომ უნდა იყოს ფული უქმად, როცა შესაძლებელია იგი მუშაობდეს, აშენებდეს, მოჰქონდეს სარგებლობა? -[1]

6. შმელიოვის აზრით, ამ ღონისძიებებს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას ისიც კარგად ესმოდა, რომ მოსახლეობაში იმ დროისათვის ჯერ კიდევ მყარად იყო ფასვგადგმული კონსერვატიული შეხედულებები, რაც რეფორმის გზაზე სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინებოდა. ამიტომ იგი აუცილებლად თვლიდა, საზოგადოების ფართო ფენებისათვის აგვეხსნა, რომ „სხვა გამოსავალი არა გვაქვს, რომ ნამდვილად ვიმყოფებით კრიზისნინა მდგომარეობაში, რომ ეკონომიკაში თუ არ განხორციელდა ღრმა, პრინციპული რეფორმა, ამ კრიზისს მხოლოდ დროებით დავძლევთ. იგი ჩვენ დაგვაწვა და ალბათ, უახლოეს მომავალში ალტერნატივა არა გვაქვს, რადგან ყველა სხვა საშუალება ჩვენ უკვე გამოვცადეთ“[2].

„გარდაქმნის მოწინააღმდეეგეებიც კი – ნათქვამია შემდეგ ინტერვიუში, – ვერაფერს გვთავაზობენ გარდა მკვდარი გაოგნებულობისა... როგორ გამოვაცოცხლოთ საზოგადოება, როგორ დავაინტერესოთ ხალხი შემოქმედებითი, პატიოსანი შრომით? მე ვერ ვხედავ სხვა სტიმულს გარდა იმ იდეებისა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს რეფორმას“[3].

შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა თავიდანვე გაბედულად აუწყეს ნაბიჯი საკავშირო პრესას ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვაში. ამას ადასტურებს არა მარტო ის ოპერატიულობა, რომელიც, მაგალითად, გაზეთმა „თბილისმა“ გამოიჩინა „ნოვოე ვრემიადან“ აღნიშნული პუბლიკაციის გადმოღებისას, არამედ ისიც, რომ სამიოდე კვირით ადრე (3. 12. 1987წ.) ამ

---

[1] გაზ. „თბილისი“, 26 დეკემბერი, 1987წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ინტერვიუს გამოქვეყნებამდე ამავე გაზეთში დაიბეჭდა ქართველი ეკონომისტის რ. გოცირიძის საუბარი ამავე ავტორთან ამავე საკითხებზე.

გეგმიური, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის კრიტიკას და საბაზრო ეკონომიკაში მისი ალტერნატივის ძიებას საბჭოური წყობილების ბოლო წლებში თვითონ კომუნისტურმა ხელისუფლებამაც აუბა მხარი. ეს პრობლემა ჯერ სკკპ XXVIII ყრილობის, ხოლო შემდეგ სკკპ ცკ 1990 წლის 8 ოქტომბრის პლენუმზე საგანგებო მსჯელობის საგნადაც იქცა. ამას მოწმობს თვითონ დღის წესრიგში შეტანილი საკითხის ფორმულირებაც: „ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამოცანები ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის გამო“.

ქვეყნის ხელმძღვანელობაში მაშინ შექმნილი განწყობილება ნათლადაა ასახული სკკპ ცკ გენერალური მდივნის მ. გორბაჩოვის შესავალ სიტყვაში, რომლითაც მან პლენუმი გახსნა. გავეცნოთ რამდენიმე ამონარიდს ამ სიტყვიდან.

აანალიზებს რა არსებულ სიტუაციას, მ. გორბაჩოვი ასკვნის, რომ „ასე ცხოვრება ქვეყანას არ შეეძლო. იგი უნდა დასდგომოდა რადიკალური ცვლილებების გზას“[1].

მ. გორბაჩოვი არამცთუ უარს ამბობს მანამდე არსებულ ეკონომიკურ სისტემაზე, რომელიც გეგმიურ და მბრძანებლურ საწყისებს ეყრდნობოდა, არამედ იმასაც ამტკიცებს, რომ ეს სისტემა იმ გზიდან გადახვევას წარმოადგენდა, რომელსაც ქვეყანა 1917 წელს დაადგა: „მთელი ჩვენი წარსული იდეოლოგია გვთავაზობდა სოციალიზმს, როგორც ბაზრის ანტიპოდს, ხოლო ბაზრის აღიარება მიაჩნდა სოციალიზმზე თავდასხმად. დიახ, ჩვენ თავს ვესხმით სოციალიზმს, ოღონდ მხოლოდ იმ სოციალიზმს, რომელიც ჩამოყალიბდა ბიუროკრატიულად, რომლის დროსაც ქვეყანამ გადაუხვია იმ გზას, 1917 წელს რომ დაადგა“[2].

მ. გორბაჩოვს მიაჩნია, რომ მხოლოდ „ბაზრის პირობებში იქმ-

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 10 ოქტომბერი, 1990წ.

[2] იქვე.

ნება შესაძლებლობა ხორცი შევასხათ სოციალისტურ პრინციპს თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს – შრომის მიხედვით“.[1]

გენერალურ მდივანს კარგად ესმოდა, რომ ადვილი არ იყო ათწლეულობით დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და დოგმების გავლენის ქვეშ მყოფი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დარწმუნება ახალი კურსის მართებულობაში. ამიტომ იგი პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს „დავეხმაროთ საზოგადოებას თავიდან მოიშოროს ცრურწმენები და შიში ბაზრის წინაშე. მართლაც ხომ არ შეიძლება – ამბობს იგი, – დავეთანხმოთ ყოველგვარ მონაჩმახს, იმის მსგავსს, რომ ბაზარზე გადასვლა – ეს არის მშრომელთა ინტერესების ღალატი და კაპიტალისტური ექსპლოატაციის რესტავრაცია“[2].

მ. გორბაჩოვი საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების აუცილებლობასაც აღიარებს: „ადამიანებს აღელვებთ საკუთრების საკითხი – ყველა თანახმაა, რომ ჩვენი მრავალრიცხოვანი ეკონომიკური და სოციალური უბედურების მიზეზია საკუთრების სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც აქცევს მას არავისად, არყევს მუშაობისა და სამეურნეო ინიციატივის სტიმულებს. არის საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების საჭიროების გაგება. მაგრამ როცა საქმე კონკრეტიკამდე მიდის, წარმოიშობა გაუგებრობა, წინააღმდეგობაც კი. ბევრს აშინებს, რომ განსახელმწიფოებრიობის შედეგად საკუთრება ხელში ჩაუვარდებათ ფარული ეკონომიკის საქმოსნებს, ახალ მდიდრებს. პარტიის ამოცანად ის მიმაჩნია, რომ გავაგებინოთ ხალხს საკუთრებითი ურთიერთობის დასახული ცვლილებების ნამდვილი აზრი, ვუჩვენოთ, რომ გათვალისწინებული იქნება საიმედო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს მშრომელთა მონაწილეობას განსახელმწიფოებრიობის პროცესში. საწარმოთა მეპატრონეები უნდა გახდნენ უწინარეს ყოვლისა თვით შრომითი კოლექტივები“[3].

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 10 ოქტომბერი, 1990წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს მ. გორბაჩოვი სოფლად წარმოებისა და მეურნეობრიობის ორგანიზაციის საქმეშიც. იგი მხარს უჭერს ფორმათა მრავალგვარობას, მათ შორის წარმოების საშუალებათა ფლობის სხვადასხვაგვარობას. რაც შეეხება მიწას, მისი გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ფორმად, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, გადაგვეჭცია ადამიანი მიწის პატრონად, მას ესახებოდა გრძელვადიანი იჯარა ნაკვეთებისა და წარმოების საშუალებათა, ხოლო გარკვეულ პირობებში აგრეთვე საიჯარო უფლებების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობითურთ.

როგორც დავინახეთ, ამ დროისათვის მ. გორბაჩოვი ჯერ კიდევ იყენებს მარქსისტულ ფრაზეოლოგიას. ეს აიხსნება იმით, რომ იმდროინდელი საბჭოთა საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში მმართველი პარტია, მზად არ იყო ევროპული სოციალისტური, უფრო ზუსტად სოციალ-დემოკრატიული მოდელის ჯეროვანი აღქმისათვის და საბჭოთა ლიდერი იძულებული იყო ამისათვის ანგარიში გაეწია. მომავალში კი თვითონ მის პოლიტიკურ შეხედულებებში ამგვარი ევოლუციაც მოხდა.

ისიც ცნობილია, რომ მ. გორბაჩოვის რეფორმებმა კრახი განიცადა. მოგვიანებით მან ეს იმით ახსნა, რომ შეცდომა დაუშვეს, როცა ეკონომიკური რეფორმის პარალელურად დემოკრატიზაციის კურსის გატარებაც დაიწყეს. ჯერ ეკონომიკაში უნდა განგვეხორციელებინა რადიკალური ცვლილებები, დემოკრატიზაცია კი ცოტას მოიცდიდაო. უნდა ვიფიქროთ, რომ მას მხედდველობაში ჰქონდა ჩინური გამოცდილება, რომელიც სწორედ ამ გზას ეფუძნებოდა და საკმაოდ შთამბეჭდავადაც გამოიყურებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ჩინური მაგალითი საბჭოთა კავშირისათვის ვერ გამოდგებოდა თუნდაც იმიტომ, რომ აქ ბიუროკრატია ბევრად უფრო ძლიერი იყო, ბევრად უფრო მწვავედ იდგა ეროვნული საკითხი და ბევრად უფრო დიდი იყო კორუფციის მასშტაბები, როგორც მმართველ წრეებში, ისე მოსახლეობის ფართო ფენებში.

მ. გორბაჩოვი ჰპიდებოდა ხალხს საიმედო გარანტიებს იმისათვის, რომ ის, რაც მთელ ქვეყანას, მთელ ხალხს ეკუთვნოდა, განსახელმწიფოებრიობის შედეგად ხელში არ ჩაუვარდებოდათ ფარუ-

ლი ეკონომიკის საქმოსნებს. უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა მტკივნეული იყო ყველა ყოფილი კომუნისტური ქვეყნისათვის, მაგრამ პრაქტიკულად ვერსად მოხერხდა პრივატიზაციის ჩატარება ისე, რომ აღნიშნული საშიშროება თავიდან აეცილებინათ. გამომდინარე აქედან, ალბათ, დასაშვებია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აქ რაღაც ისეთ ფაქტორებთან გვქონდა საქმე, რომელთა უვნებელყოფა პოსტსოციალისტური საზოგადოების შესაძლებლობებს აღემატებოდა. ეს ითქმის საქართველოზეც. ასე , რომ ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს. თუმცა ქართული მედია სხვა სახელმწიფოთა საინფორმაციო საშუალებების მსგავსად, ამას, როგორც წესი, მხოლოდ ხელისუფლებას აბრალებს.

სკკპ 1990 წლის ოქტომბრის პლენუმის ორიენტაციას საბაზრო ეკონომიკაზე მყისვე აუბა მხარი საბჭოურმა მედიამ. ამასთან, ბევრმა პუბლიცისტმა საერთოდ თქვა უარი მარქსისტულ დოგმებზე და აშკარად დაიწყო დასავლური ტიპის ეკონომიკური სისტემის პროპაგანდა. ამ საქმეში საბჭოური ოფიციოზი „იზვესტიაც“ კი ჩაება. აქ გამოქვეყნებულ ერთ–ერთ მასალაში „გამოსადეგია თუ არა ჩვენთვის ესპანეთის მაგალითი?“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ა.ს. ციპკო მოუწოდებს რა მკითხველს, მთელი სერიოზულობით დაუფიქრდეს კითხვას, თუ რატომ ცხოვრობენ დასავლეთში ადამიანები ბევრად უკეთ, ვიდრე საბჭოთა კავშირში, კატეგორიულად ასკვნის, რომ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ მხოლოდ და მხოლოდ „ურთიერთობათა იმ სისტემაში, რომელიც ჩვენთან (საბჭოთა კავშირში – გ.კ.) ოდესღაც ჩამოყალიბდა“[1].

ა. ციპკო და იმდროინდელი ბევრი სხვა ავტორი მკითხველს სთავაზობდა „სოციალიზმის“ საბჭოური მოდელისაგან მკვეთრად განსხვავებულ გაგებას, რომელიც, მისივე განმარტებით „ხისტად არის დაკავშირებული იმასთან, რასაც ჩვენ კაპიტალიზმს ვუწოდებთ“[2].

გვაცნობს რა სოციალიზმის დასავლეთევროპულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც, ეს გულისხმობს „კერძომესაკუთრუ-

[1] Газ. “Известия”, 9 марта, 1991 г.
[2] Там же.

ლი ფორმაციის სტრუქტურის ფარგლებში სოციალური დაცულობის მექანიზმებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩარჩოებში სხვადასხვა კოლექტიური საწყისის, რომლებიც მის ნეგატიურ შედეგებს არბილებენ, განვითარებას". იგი დასძენს: „მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, შენარჩუნებულია სოციალიზმის სხვანაირი გაგება"[1].

ა. ციპკო უკვე უბრალოდ საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნების აუცილებლობის ქადაგებასაც აღარ სჯერდება და ადასტურებს ისეთი ფორმაციის უდაო უპირატესობას, რომელიც, უმთავრესად კერძომესაკუთრულ საწყისებს ეფუძნება. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ეს უკვე კერძო საკუთრების, როგორც ასეთის პრევალურობის საჭიროების აღიარებაა.

სკკპ ცკ აღნიშნულ პლენუმიდან ორიოდე თვის შემდეგ „ლიტერატურნაია გაზეტამ" გაშლილი გვერდი უძღვნა ამ პრობლემებს. აქ დაბეჭდილ მასალებში, შეიძლება ითქვას, მიწასთან არის გასწორებული საბჭოური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემაცა და სახელმწიფო საკუთრების ფენომენიც, რომელიც მანამდე წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა. დაყენებულია საკითხიც შესაბამისი ღონისძიებების უსწრაფესად გატარების თაობაზე. ლარისა პიაშევა, მაგალითად, წერს: „პრივატიზაციის გაჭიანურება მეტი არ შეიძლება. უნდა ავირჩიოთ პრივატიზაციის სტრატეგია იმ მიმართულებით, რომ უკვე ამ ზამთარს განვახორციელოთ იგი ცხოვრებაში. გამოვიყენოთ მსოფლიო გამოცდილება და გვახსოვდეს, რომ „სახალხო" საწარმოები, კერძოსთან შედარებით, ყოველთვის იქნება ეკონომიკურად წამგებიანი, ზუსტად ისევე, როგორც წამგებიანია სახელმწიფო საწარმოები, რომლებსაც ჩინოვნიკური ნომენკლატურა მართავს. ნუ ვივლით ნახევარზომებისა და „ნახევარმეპატრონის" შექმნის გზით. რეფორმის მიზანი უნდა გახდეს საკუთრების გადაცემა კერძო პირთა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მეპატრონეთა ხელში.

რეფორმა უნდა განხორციელდეს სწრაფად, მასობრივი მასშტაბით, მან უნდა მოიცვას მთელი მოსახლეობა და მთელი ტერიტო-

[1] Газ. "Известия", 9 марта, 1991 г.

რია და ჩატარდეს ყველგან ერთდროულად... რეფორმის არსია ლიბერალური, კლასიკური საბაზრო კაპიტალიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, უმთავრესად ინდივიდუალური მცირე და საშუალო საწარმოთათვის და აქციონერულ-კოლექტიური – მსხვილ საწარმოთათვის...

საჭიროა პირდაპირი, ისტორიის მიერ აპრობირებული პატიოსანი და მტკიცე კურსი კერძო საკუთრებისაკენ. მხოლოდ ის ქმნის პოზიტიურ საინვესტიციო სტიმულებს და აქცევს ნიჭიერ და წარმატებულ მეწარმეებს ბაზრის მეფეებად. რეფორმის აზრი სწორედ ის არის, რომ მოვიხმოთ, მივცეთ განვითარებისა და აყვავების საშუალება თავისუფალ მეწარმეობას, რომელიც ჩვენში ასე დიდხანს იყო გამომწყვდეული უკუნ და ბნელ სარდაფებში"[1].

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგეი ალექსეევი კი პრივატიზაციას არა მარტო ეკონომიკური რეფორმის ქვეკუთხედად, არამედ დემოკრატიის დამკვიდრების უმთავრეს პირობადაც მიიჩნევს: „თითოეულ საქმეში, – ამბობს იგი, – არის მთავარი რგოლი. ჩვენი საზოგადოების კარდინალური განახლებისათვის ეს არის საკუთრების გარდაქმნა, მისი განსახელმწიფოებრიობა. პრივატიზაცია, რომელთა გარეშე სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოებისაკენ (და არა მარტო სასაქონლო წარმოებისაკენ, ბაზრისაკენ) მოძრაობა პრინციპში შეუძლებელია"[2].

გაშლილ გვერდზე წარმოდგენილი ავტორები თავს არ არიდებენ უმწვავეს საკითხსაც – რა ფორმით უნდა მომხდარიყო პრივატიზაცია და ვინ უნდა გამხდარიყო მესაკუთრე?

ავტორები პრივატიზაციის სამ შესაძლო ვარიანტს ასახელებენ – უფასოდ დარიგებას, მიყიდვას და გამოსყიდვას. ლარისა პიაშევა მხარს უჭერს უფასოდ დარიგებას, რაც შემდეგი წესით უნდა განხორციელებულიყო: საპრივატიზაციოდ განკუთვნილი მთელი ქონების ღირებულება გაიყოფოდა მოსახლეობის რაოდენობაზე და ქვეყნის ყოველ მოსახლეს მიეცემოდა მიღებული თანხის ექვივალენ-

[1] Газ. "Литературная газета", 12 декабря, 1990 г.
[2] Там же.

ტური სასერტიფიკაციო ჩეკი, როგორც მისი წილი წარმოების საშუალებებში. მისი აზრით, ამას უნდა უზრუნველეყო ყველასათვის და თითოეულისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანაბარი სასტარტო პირობები, ლიბერალურ საზოგადოებაში თანასწორობის მთავარი პრინციპი – შესაძლებლობათა თანასწორობა. ამით თითოეულს შეექმნებოდა სხვების თანაბარი საწყისი საინვესტიციო კაპიტალი, რომელსაც იგი თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენებდა. ვინ როგორ წარმატებას მიაღწევდა ამ საქმეში, ეს უკვე თვითონ მასზე იყო დამოკიდებული. და არავის ექნებოდა იმის მორალური უფლება, რომ ვინმესთვის ესაყვედურებინა თავისი უგერგილობის გამო.

სასერტიფიკაციო ჩეკებს, რომლებზეც ლარისა პიაშევა ლაპარაკობდა, შემდეგში ვაუჩერები უწოდეს. მათი საშუალებით პრივატიზაცია განხორციელდა როგორც რუსეთში (უფრო ადრე), ისე საქართველოშიც (უფრო გვიან), ოღონდ არა მთელი საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ქონების, არამედ, მხოლოდ მისი ნაწილისა, თანაც ორივეგან მსგავსი ხარვეზებით, რის გამოც როგორც იქ, ისე აქ საკუთრების განსახელმწიფოებრიობას „პრიხვატიზაცია“ (რუსული სიტყვისაგან „прихват“ – ხელში ჩაგდება, მოხვეჭა) უწოდეს. მხოლოდ და მხოლოდ ამ ფორმით პრივატიზაციას ჩვენთან განსაკუთრებული თავგამოდებით უჭერდა მხარს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია და მისი გაზეთი „კონსტიტუციური დემოკრატი“.

უფასო პრივატიზაციის სხვა ვარიანტიც არსებობდა, კერძოდ, საწარმოო ობიექტების გადაცემა მათი კოლექტივებისათვის, მაგრამ ამ ვარიანტს ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა და ნაკლები პროპაგანდაც ეწეოდა. ჩვენში მას ძირითადად სოციალ-დემოკრატები და მათი გაზეთი „ერთობა“ უჭერდნენ მხარს.

ლარისა პიაშევასაგან განსხვავებით სერგეი ალექსეევი მიზანშეუწონლად მიიჩნევდა სახელმწიფო ქონების უფასოდ დარიგებას. იგი უმთავრესად ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ითვალისწინებდა და თვლიდა, რომ ამგვარი პრივატიზაცია „მეპატრონის“ ეფექტს, რაც მისი აზრით, საკუთრების ხასიათის შეცვლის არსი უნდა ყო-

ფილიყო, ვერ გამოიოიწვევდა. ასეთი წესით ქონების ხელში ჩამგდები ვერ გახდებოდა წარმოების საშუალებათა ნამდვილი, სრული და პასუხისმგებელი მფლობელი. „ამ საშუალებათა, სხვა სიმდიდრეთა ან მათი ფულადი ექვივალენტის უბრალო გადაცემა სახელმწიფო უწყებათაგან კერძო პირებისა და თუნდაც შრომითი კოლექტივებისათვის, – წერს ს. ალექსეევი, – საზოგადოებაში დამკვიდრებული სხვისი მოიმედოობისა და განმანაწილებელი განწყობილების პირობებში, მიგვიყვანს, ამაში ეჭვი ნუ შეგვეპარება, თვითონ ქონებათა ან მათ ფულად ექვივალენტთა შეჭმამდე. ეს სახსრები ძირითადად მოხმარდება სამომხმარებლო „ხვრელების“ ამოვსებას, მწვავე, საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და არა მეწარმეობაში მათ ჩართვას. ეჭვი არ არის, რომ სამამულო „ჩრდილოვანები“ და უცხოელი მეწარმენი მასირებულად შეისყიდიან ღატაკი მოსახლეობისაგან ყოფილ სახელმწიფო ქონებაში მათთვის წილის მიმნიჭებელ დოკუმენტებს. ამასთან მით უფრო იაფად შეისყიდიან, რაც უფრო ღარიბია „გამყიდველი“, რომელსაც არც ჩასაცმელი აქვს და არც დასახური.

ვფიქრობ, ჩვენ ჯერაც კარგად ვერ გაგვიაზრებია, რომ პერსონიფიცირებული საკუთრება, „მეპატრონის“ საკუთრება, როგორც ჯანსაღი და დინამიური სამოქალაქო საზოგადოების, ეფექტური სასაქონლო-საბაზრო ეკონომიკის საფუძველი – ეს რაღაც სასიხარულო სიმდიდრე, სამომხმარებლო კეთილდღეობის წყარო კი არაა, არამედ საცოდვილო და მძიმე ტვირთია. საკუთრება, რასაკვირველია, სტიმულს აძლევს სამეწარმეო ენთუზიაზმსაცა და საქმიან ბედნიერებასაც, მის გარეშე წარმოუდგენელია ბაზარიც, დემოკრატიზაციაც, ადამიანის უფლებებიც. მაგრამ ეს საკუთარი ქონების დაუცხრომელი, მუყაითი გულმოდგინე გამოყენებისა და გამრავლებისათვის მძიმე შრომაცაა, როცა საჭიროა შეუწყვეტელი წრიალი საქმიან სამყაროში, ბაზარზე, საწარმოო საქმეებში, საჭიროა ძიება, დაძაბვა, ზოგჯერ ქანცგაწყვეტამდე მოქმედება. აი რა არის საკუთრება ეკონომიკაში“[1].

---

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.

საკითხის ასეთი დაყენების შემდეგ სერგეი ალექსეევი კატეგორიულად ასკვნის: „იმისათვის, რომ პერსონიფიცირებულმა საკუთრებამ... იმუშაოს, მზარდ ნაკადად მოგვცეს ეკონომიკური და ზნეობრივი ეფექტი, მწარმოებლებმა თავიანთი საკუთრება უნდა შეიძინონ. დიახ, სწორედ რომ შეიძინონ, დაიმსახურონ და თუ გნებავთ, სიმწრით მოიპოვონ. მხოლოდ მაშინ მოექცევა თითოეული მწარმოებელი, თითოეული კოლექტივი მიწასა თუ სხვა რომელიმე საკუთრებას არა როგორც მედროვე, რომელიც სწრაფი სარგებლობის მაქსიმუმს გამოსწოვს ქონებიდან, არამედ როგორც „ღვიძლ“ საქმეს, როგორც საკუთარი მეს გაგრძელებას, როგორც ისეთ რამეს, რაც მისი იქნება და მყარად და სამუდამოდ მისი დარჩება და რაც უნდა გამოიყენოს მუყაითად, ფრთხილად და უკიდურესად ეფექტურად“[1].

იმდროინდელ პირობებში საკუთრების ამგვარი შეძენის გზად სერგეი ალექსეევს ესახება ქონების იჯარით გადაცემა შემდგომი გამოსყიდვის უფლებით. მისი თქმით, ეს ისეთი ინსტიტუტი გახლდათ, რომელიც გათვალისწინებული იყო მაშინდელი კანონმდებლობით და რომელსაც პრივატიზაციის პროცესში უკვე დამტკიცებული ჰქონდა თავისი ეფექტიანობა.

სახელმწიფო ქონების იჯარით გადაცემა მისი შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, როგორც პრივატიზაციის ერთ-ერთი ფორმა, საკმაოდ ფართოდ იქნა გამოყენებული ჩვენშიც ჯერ კიდევ კომუნისტური სისტემის დროს, გაგრძელდა „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების პერიოდშიც და იმის შემდეგაც. აქაც ბევრი დარღვევა მოხდა (და არა მარტო ჩვენთან), რის გამოც იგი ერთხანს შეაჩერეს კიდეც, მაგრამ მერე ისევ გააგრძელეს. პრივატიზაციის ეს ფორმა ძირითადად გამოყენებული იქნა მცირე და საშუალო საწარმოთა, სავაჭრო და მომსახურების, ტრანსპორტის სფეროში, აგრეთვე კვების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში. რაც შეეხება დიდ ობიექტებს, მათს განსახელმწიფოებრიობას ცოტა უფრო გვიან შეუდგნენ. მოხდა მათი აქციონირება. ამასთან აქციების ნაწილი გაიყიდა აუქციონის წესით ვაუჩერებზე, ნაწილი შრომითი კოლექტივების წევრებს გადაეცათ

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.

უფასოდ, ნაწილი მათვე შეიძინეს შეღავათიან ფასებში, ნაწილი გაიყიდა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, როგორც ქართველებზე, ისე უცხოელებზე, ნაწილი კი შეინარჩუნა სახელმწიფომ, რიგ შემთხვევაში საკონტროლო პაკეტის სახით, რიგ შემთხვევაში უამისოდ.

საინტერესოა არგუმენტაცია, რომელსაც ლარისა პიაშევა იყენებს პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფო ქონების უფასო დარიგების პრინციპის მხარდაჭერის დასასაბუთებლად. საქმე ის არის, რომ თუ გაყიდვის გზას დავადგებოდით, გაჩნდებოდა პრაქტიკულად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით სოციალური თვალსაზრისით ალბათ ყველაზე უფრო რთული კითხვა - ვინ უნდა ყოფილიყო მყიდველი? ამ კითხვაზე რეალურად არსებული პასუხის უბრალო ფიქსაციისათვისაც კი საჭირო გახდებოდა გამოგვეჩინა ისეთი გამბედაობა, რომელიც ლამის სამოქალაქო გმირობის ტოლფასი იქნებოდა. ამას განაპირობებდა მაშინდელ საზოგადოებაში გაბატონებული განწყობილება და აქედან გამომდინარე მისი მოსალოდნელი რეაქცია.

არსებობდა პასუხის ორი ვარიანტი - უცხოელი ან ადგილობრივი მოქალაქე...

მაგრამ მოვუსმინოთ ლარისა პიაშევას. მისი განმარტებით, პრივატიზაციის კლასიკურ საბაზრო „წმინდა" ვარიანტს, ბუნებრივია, გაყიდვა წარმოადგენს. ასე მოქმედებს ყველა თანამედროვე პოლიტიკოსი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც თავიანთი წამგებიანი სახელმწიფო სექტორის პრივატიზაციას ახდენენ. „ისინი ყიდიან, — წერს იგი, — მაგრამ ამ ვარიანტის შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდება ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ „მაფიოზური" კაპიტალი და დავივიწყებას მივცეთ საყვარელი სიტყვა „სპეკულაცია". მაშინ მესაკუთრეთა მდიდარ კლასად იქცევიან ისინი, ვინც „უძრაობის პერიოდში" მარჯვე და მოხერხებული, იღბლიანი და ფხიანი იყო, ვისაც ყოველთვის როდი ჰქონდა სუფთა ხელები და ვინც მუდამ არღვევდა სოციალისტური მორალის მცნებებს, ახმარდა რა თავის ენერგიას - კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების" მიზნებს და ვერავითარი „დეკლარაციები შემოსავლების შესახებ" და „დახასიათება-რეკომენდაციები" აქ ვერ გვიშველის. თუ გავითვალისწინებთ, რომ

საპრივატიზაციოდ განკუთვნილი კაპიტალის მხოლოდ ერთი მეათედი, იქნებ ერთი მეოცედიც შეიძლება შეიძინონ „შრომითი“ შემოსავლებით, მყიდველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოვა ძირითადად „მაფიოზურ-სპეკულაციურ“ და უცხოურ კაპიტალზე. და ამაში ცუდი არაფერი იქნებოდა (ხაზგასმა ჩვენია - გ.კ.), რომ - არა ორი გარემოება. ძალიან მალე ნათელი გახდება, რომ უცხოური კაპიტალიც ყოველთვის როდია „უმანკო“ არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ შორსმიმავალი ზრახვებითაც. ძლიერი, ჯანსაღი სამრეწველო და საფინანსო კაპიტალი ჩვენთან არ წამოვა მანამდე, სანამ კერძო მესაკუთრეობის საკანონმდებლო საფუძველი არ ჩამოყალიბდება და არ შეიქმნება გარანტიები მომავალი კონფისკაციებისაგან, ნაციონალიზაციისაგან, ექსპროპრიაციისაგან, შეუსრულებელი ვალდებულებებისაგან და იმისგან, რასაც ჩვენში უწოდებენ რეგულირებულ ბაზარს - ბაკქანალიისა და სრული თვითნებობისაგან საგადასახადო, საკრედიტო და ფულად სექტორებში. მოზიდულ „ნარკოკაპიტალს“ კი ძალიან ადვილად შეუძლია გადააქციოს ქვეყანა მსოფლიო ნარკობიზნესის კაპიტალად და ამას უკვე ვეღარავინ ვერაფერს მოუხერხებს“[1].

მეორე გარემოებად ლარისა პიაშევას მიაჩნია მასობრივი ფსიქოზი „რუსეთის გაყიდვის“ თაობაზე. მისი შეფასებით, „საზოგადოება თავისი დამახინჯებული სტიმულებითა და დამახინჯებული წარმოდგენებით სოციალური სამართლიანობის შესახებ, დაშინებული „ჩრდილოვანი ბიზნესის საქმოსნებისა“ და „მაფიების“ ხატებით, რომლებიც ბნელ სარდაფებში ინახავენ მილიონობით ქონებას, საკუთარი სიღატაკითა უღონობით ვერ გაუძლებს სხვისი, ამასთან უცხოელის აყვავებით გამოწვეულ შურს. ჩვენი ლუმპენიზირებული მოსახლეობა დაიწყებს მდიდარი ვიტრინების მსხვრევას და „ძარცვაგლეჯით შეძენილის“ „ექსპროპრიაციას“[2].

ამიტომ, და მხოლოდ ამიტომ, – ამბობს შემდეგ ლ. პიშევა, – „მე მოგიწოდებთ ავირჩიოთ მეორე, არასაბაზრო, არქაული, „გროტესკული“... საშუალება - საკუთრების დარიგება“[3].

---

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.

[2] Там же.

[3] Там же.

ლარისა პიაშევა განმარტავს, რომ ასეთი არჩევანის გაკეთება მას აიძულა იმ პერიოდისათვის ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, თორემ „ხუთი წლის წინ, - ამბობს იგი, - როცა ის-ის იყო აპირებდნენ ეკონომიკური რეფორმის დაწყებას, მე მტკიცედ და მეთოდურად გავყიდიდი ყველაფერს: „მაღაზიებსა და სამრეცხაოებს, კინოთეატრებსა და დაუმთავრებელ ობიექტებს, ჩარხებსა და აგურებს, რომლებიც ქარისა და სიცივისაგან იშლებოდა. ამოგებულ ფულს კი ამოვიღებდი ბრუნვიდან, რომ ცოტათი დამეცხრო ინფლაცია, მაგრამ ეს ხუთი წლის წინ იყო. მაშინ თაროებზე იყო საპონიცა და ძეხვიც, შავ-თეთრ ტელევიზორს კი არავინ ყიდულობდა. დღეს პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში იმდენადაა გამწვავებული, რომ მხოლოდ დარიგების მცდელობაა შესაძლებელი. ქვეყანა ცხოვრობს შიმშილისა და ცივი ზამთრის მოლოდინის შიშით. ასეთ პირობებში საკუთრება შეიძლება მხოლოდ მივცეთ, ხელში შევაჩეჩოთ, დავიყოლიოთ და ჩავაბათ მოსახლეობის ფართო მასები მეწარმეობის აზარტულ თამაშში“[1].

ყურადღებას იპყრობს ჟურნალისტ ლევ ტიმოფეევის მსჯელობაც ჩრდილოვანი ეკონომიკის თაობაზე. „ახლა ყველამ იცის, - წერს იგი, - რომ ქვეყანა ადმინისტრაციულ-განმანაწილებელი (ადმინისტრაციულ-მბრძანებლური) სისტემიდან ბაზრისაკენ მიემართება. ადრე როგორღა იყო - ნუთუ საერთოდ ბაზრის გარეშე ვცხოვრობდით? შესაძლებელია ეს?

ჰკითხეთ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, როგორ შოულობენ (და ყოველთვის ასე შოულობდნენ) სამშენებლო მასალებსა ან ტრაქტორებისა და ავტომანქანების მარაგნაწილებს: ამის გამო რამდენი ბოთლი არაყი დაილია, რამდენი ვედრო უხაა შესანსლული, რამდენი ბადია თაფლია გადაზიდული - და ყველაფერი ეს პირდაპირი ქრთამის დამატებით. ჰკითხეთ ქარხნების დირექტორებს როგორ შოულობენ (და ყოველთვის ასე შოულობდნენ) მილებს, ცემენტს, ლითონს, შუშას. სცადეთ და ამოიღეთ ეკონომიკური რეალობიდან საბჭოთა „უკუღმა კომივოიაჟერი“ - მიმწოლი - მომმარაგებელი, რომელიც გამუდმებით დაეხეტება ქვეყანაში, სულ იმას ცდილობს

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.

ვიღაცას რაღაც „გამოსძალოს“, ვიღაცას ქრთამავს, დეფიციტს დეფიციტზე ცვლის, - სცადეთ და მოიშორეთ იგი, თუნდაც გონებაში, და დაინახავთ, რომ ქვეყნის საწარმოები გაჩერდებიან უნედლეულოდ, მაკომპლექტებლების გარეშე... ეს რა საბაზრო ურთიერთობები არ არის? თუნდაც „შავი“, მაგრამ მაინც ყოვლისმომცველი ბაზარი“[1].

მისი აზრით, უკანასკნელ ათწლეულებში საბჭოთა კავშირში ერთი ნაწარმიც არ შექმნილა, ერთი ფასიანი მომსახურებაც არ გაწეულა შავი ბაზრის ურთიერთობათა გარეშე. „და თუ ყველაფერი ეს გვერდითი, ჩრდილოვანი ეკონომიკაა, – კითხულობს იგი, – მაშ სადღა ვეძებოთ სხვა, მთავარი, არაჩრდილოვანი? და რა დავარქვათ მას?

ახლა ჩრდილოვან ეკონომიკაზე ყველა ლაპარაკობს... იქმნება შთაბეჭდილება (ანუ თითქოს ვიღაცა განზრახ ქმნის), რომ არსებობდა და არსებობს რაღაც მთავარი, ძირითადი, და, არც თუ წარმატებული ან სრულიად წარუმატებელი (ვთქვათ, „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური“), მაგრამ კანონიერი ეკონომიკა, და მის გვერდით - მანკიერი ჩრდილი, კრიმინალური სფერო, იატაკქვეშა ბიზნესი... სახიფათო შეცდომაა!“[2]

ლ. ტიმოფეევი ასკვნის, რომ უკანასკნელ ათწლეულებში საბჭოეთში არავითარი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა არ ყოფილა. იგი სტალინთან ერთად მოკვდა. და მას არც შეეძლო ომისდროინდელ საგანგებო პირობებზე მეტხანს ეცოცხლა, რადგან „როგორც კი წყვეტენ ხვრეტას და „ციხეში ჩასმას“, ეკონომიკურ ლოგიკას თავისი გააქვს! ვერავითარი ცენტრალიზებული განაწილება ვერ შეცვლის ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობებს. მთელი საბჭოთა ეკონომიკა - თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია შავი საბაზრო ურთიერთობებით. ისინია სწორედ ამ მკვდარი ორგანიზმის ცოცხალი სისხლის მიმოქცევა. სისხლი და არა ჩრდილი“[3].

მე არ ვიცი, განაგრძობს შემდეგ ლევ ტიმოფეევი, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენელთაგან, რომელი ხელმძღვანელობ-

---

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.

[2] Там же.

[3] Там же.

და კეთილშობილი მიზნით - ხალხისთვის საქონელი მიეცათ და ვინ გამორჩენის წყურვილით მაგრამ მათს შორის იყვნენ ისინიც, რომლებსაც ჩვენ ვიხსენებთ როგორც ეპოქის საუკეთესო შვილებსო. მისი აზრით, ისინი ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნები კი არ არიან, არამედ „მოღვაწენი, რომლებმაც გაბედეს დაერღვიათ აპარატის თვითონ მონოპოლია - წვრილმანებამდე ეკონტროლებინათ ეკონომიკა“. „მიგვეცა აბა ეხლა იმათთვის კაპიტალი და საკუთრება! – წერს იგი, - დაე, იმედი ვიქონიოთ, კიდევ არსებობენ საქმიანი ადამიანები, გადარჩნენ...“[1].

ლ. ტიმოფეევს კარგად ესმის, რომ მისი სიტყვები აღაშფოთებდნენ ბევრ მკითხველს: აი დაიწყო მაფიის გამართლება და მოგვიწოდებს, რომ მივცეთ მათ შესაძლებლობა თავიანთი ჭუჭყიანი ფულით შეისყიდონ მიწა, გახსნან ქარხნები და მიიღონ მოგება, ახლა უკვე კანონიერად, მაგრამ მას არ აშინებს ეს და პირდაპირ აცხადებს: „რაც შეეხება შესაძლებლობას ნებისმიერი ბიზნესმენისათვის, მისი „ზნეობრივი ხატის“ მიუხედავად, თავისუფლად (და ნებისმიერი, გარემოების მიხედვით გონივრული, რაოდენობით) შეიძინონ მიწა, აწარმოონ განვითარებული სასაქონლო მეურნეობა, იყიდონ ან ააშენონ ახალი ქარხნები - არ უარვყოფ, მხარს ვუჭერ“[2].

მისთვის გასაგებია ისიც, თუ რამდენად „უფრო სასიამოვნოა სიტყვებში „საქმიანი ადამიანები“ მხედველობაში ვიყოლიოთ ძმები მოროზოვები ან ძმები ტრეტიაკოვები. მაგრამ ვინ რა იცის, პატივცემულო მკითხველებო და ტრეტიაკოვის გალერეის ან სახვითი ხელოვნების მუზეუმის დამთვალიერებლებო, – ამბობს იგი, – თავდაპირველად საიდან წამოვიდა ის კაპიტალი, რომლითაც მოგვიანებით შეიძინეს კოლექციები, რომლებიც ახლა ჩვენს ეროვნულ სიმდიდრედ იქცნენ? ვკითხულობ არა იმიტომ, რომ რაღაც ცუდი ვიცი იმ ოჯახური კაპიტალის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ვთქვა - კაპიტალი გულგრილია ზნეობრიობისადმი“[3].

გაშლილ გვერდზე დაბეჭდილი სტატიებიდან ამონარიდები ასე ვრცლად მოვიყვანეთ არა მარტო იმიტომ, რომ უფრო ნათელი წარ-

[1] Газ. “Литературная газета”, 12 декабря, 1990 г.
[2] Там жс.
[3] Там же.

მოდგენა გვქონოდა საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი აზრის განვითარების დინამიკაზე საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით, არამედ იმიტომაც (და უფრო იმიტომაც), რომ მათში ბევრია ჩვენთვისაც ნიშანდობლივი და აქტუალური. მართლაც, ხომ არ გვენიშნა ლარისა პიაშევას შიში იმის გამო, რომ ატყდებოდა ყვირილი – „იყიდება რუსეთი!“ განა ჩვენც ლამის ყოველდღიურად არ ვკითხულობთ პრესის ფურცლებზე, ან არ გვესმის ტელერადიოარხებიდან მსგავსი შეძახილები, მაშინაც კი, როცა ვინმეს მიერ ამა თუ იმ ობიექტის შესყიდვისას უკანონობის ჩადენის შესახებ რეალურ ინფორმაციას არავინ ფლობს? გამოცხადდება თუ არა ტენდერი რომელიმე ობიექტის გაყიდვაზე და გამოთქვამს თუ არა ვინმე მასში მონაწილეობის სურვილს, მაშინვე ინტენსიურად იწყებენ იმ აზრის კულტივირებას, რომ ამ ობიექტის ხელში ჩაგდება (სიტყვა „შეძენა“, როგორც წესი, დავიწყებას ეძლევა) სურთ, რომ ამ ტენდერის მონაწილენი კლანური დაჯგუფებები არიან, რომელთაც ბოროტი განზრახვის გარდა სხვა არაფერი ამოძრავებთ. ჩვენში ხომ „ბიზნესმენებს უყურებენ როგორც მტერს. ისე არ მოიხსენიებენ თუ არა როგორც ოლიგარქს“[1]. ვიღას ახსოვს უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვის სჭირდება მძიმე ბრალდების დამამტკიცებელი ფაქტები და საბუთები, მთავარია მოდადქცეულ განწყობილებას აუბა მხარი (რასაც ხშირად არაკომპეტენტურობის შესანიღბავად იყენებენ) და ობივატელის ტაში დაიმსახურო. რატომ არ ვითვალისწინებთ ასეთ შემთხვევებში (რაც სულაც არ არის იშვიათი), რომ ამ განწყობილებისათვის გუნდრუკის კმევით ძალზე სახიფათო შედეგები შეიძლება მოვიმკათ? რა გამორიცხულია, რომ ჩვენშიც „ლუმპენიზირებული მოსახლეობა დაიწყებს მდიდარი ვიტრინების მსხვრევას და „ძარცვა-გლეჯით შეძენილის“ „ექსპროპრიაციას“? ერთის მხრივ, თითქოს ვაღიარებთ სოციალური აფეთქების საშიშროებას, როცა არავინ მიაქცევს ყურადღებას თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ვინ დგას მარცხნივ და ვინ მარჯვნივ და განურჩევლად გაუსწორდებიან ყველას, ვისაც რაღაცა შეუძენია. მეორეს მხრივ კი, არამც თუ არსებითად არაფერს ვაკეთებთ ამ საშიშროების

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 თებერვალი, 2002წ.

თავიდან ასაცილებლად, არამედ, პირიქით ცეცხლზე ნავთს ვასხამთ, ვაღვივებთ და ვაძლიერებთ მას. ყოველივე ამის პარალელურად კი ფარისევლურად მოვითხოვთ ბიზნესმენებისათვის ხელის შეწყობას მათს საქმიანობაში.

ზემოთქმულით, რასაკვირველია, არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენს ბიზნესმენთა შორის უზნეო ადამიანები არ არიან და რომ უკლებლივ ყველა მათგანს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი როგორც ზნეობრივი, ისე სამართლებრივი ნორმების პატივისცემის გრძნობა. სამწუხაროდ, მათ შორის ცოტანი როდი არიან ისეთები, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ ბიზნესი მოტყუებისა და თაღლითობის გარეშე შეიძლება არსებობდეს. ბიზნესისა და ზნეობის, ბიზნესისა და კანონის ურთიერთშეთავსებადობის პრობლემა საკმაოდ მწვავედ იგრძნობა დასავლეთის ქვეყნებშიც და ჩვენ ამ თვალსაზრისით რაღა ხმა ამოგვეღება. სწორედ ამიტომაც ვფიქრობთ, რომ მედიამ დიახაც სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საკითხს, მაგრამ იაროს არა მარტო მხილების, არამედ კარგი მაგალითების ჩვენების გზითაც. კი, ქვეყნდება ასეთი მასალებიც, მაგრამ ცოტა, ძალიან ცოტა.

რუსულ საბჭოურ პრესაში ფიქსირებულ ზემოაღნიშნულ პროცესებს არც საქართველოში დაუყოვნებია. ამასთან თუ რუსეთში ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს ცოტა ოფლის ღვრა როდი დასჭირდათ იმისათვის, რომ „საყოველთაო თანასწორობის“, „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის“ დაუშვებლობის, „ძირმომპალი კაპიტალიზმის“ კომუნისტური იდეალებით მოსილი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ დიდი უმრავლესობა არა) გაეთავისუფლებინათ აკვიატებული წარმოდგენებისაგან, ჩვენში ამ დროისათვის სოციალიზმი იმდენად იყო დისკრედიტირებული, რომ გაგონებაც აღარ სურდათ არა მარტო მისი საბჭოური, არამედ სოციალ-დემოკრატიული მოდელისაც. ასე რომ, შეიძლება ითქვას, საბაზრო ეკონომიკისა და კერძო საკუთრების დამკვიდრების იდეებს საქართველოში ფაქტობრივად არავინ შეწინააღმდეგებია. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა საზოგადოება (და არამარტო საზოგადოება) ჩვენში ინფანტილური შეხედულებების ტყვეობაში ყოფილა. გავიხსენოთ აქ თუნ-

დაც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის სიტყვები, რომლებიც მან კომუნისტური ხელისუფლების წლებში საკმაოდ ხალხმრავალ შეკრებაზე წარმოთქვა: „იმაზე უარესი ცხოვრება, ვიდრე დღეს არის, რაღა შეიძლება იყოსო“ და მსმენელთა მოწონების გამომხატველი რეაქცია ამ სიტყვებზე და ნათელი გახდება, თუ რა წარმოდგენა ჰქონდათ მაშინ მოსალოდნელი (და სასურველი) ცვლილებების თაობაზე. გამოვიტანოთ აქედან დასკვნა, თუ რამდენად იყო მოსახლეობა შემზადებული გარდაუვალი კატაკლიზმების ასატანად.

წინააღმდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილის იმდროინდელი წარმოდგენებისა, საბაზრო ეკონომიკა სულაც არ არის იდეალური სისტემა. აქ შეიძლება გავიხსენოთ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ცნობილი სიტყვები იმის თაობაზე, რომ „თავისუფალი ეკონომიკა ეს ცუდი ეკონომიკაა, არასრულყოფილი ეკონიმიკაა, მაგრამ ყველა დანარჩენი სისტემა კიდევ უფრო უარესია“[1].

საქმეში ჩახედული ადამიანები ჯერ კიდევ მაშინ კარგად გრძნობდნენ, რომ რადიკალური სოციალური და ეკონომიკური რეფორმები არ შეიძლებოდა დიდი ტკივილების გარეშე განხორციელებულიყო, მაგრამ ცვლილებათა სოციალური ფასის პრობლემაზე მსჯელობას გაურბოდნენ. არც პრესაში, არც ტელევიზიასა და რადიოში ამ თემაზე სერიოზული და გულწრფელი, ღია საუბარი ფაქტობრივად არ გამართულა. როგორც ჩანს, რისკს ერიდებოდნენ, მოელოდნენ რა, რომ არაპოპულარული ღონისძიებების აუცილებლობის პროპაგანდა უარყოფითად იმოქმედებდა მათს რეიტინგზე. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ თვითონაც არ ჰქონდათ ბოლომდე ნათლად და მთელი სისრულით წარმოდგენილი კატაკლიზმების მასშტაბები და სიმწვავე.

ზემოთქმული არამარტო ქართული სინამდვილისათვის იყო დამახასიათებელი. მეტ-ნაკლებად იგივე შეიმჩნეოდა მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც. ამას

---

[1] ციტატა მოყვანილია წიგნიდან – В.З. Баликоев, Обшая экономическая теория, Нсб., 1996, с. 5.

მოწმობს „ლიტერატურნაია გაზეტას“ ერთ-ერთი პუბლიკაციაც, სადაც აღნიშნული იყო: „მთავრობისათვის... დადგა დრო, რომ ხალხს სიმართლე უთხრას გარდაქმნის სოციალურ ფასზე. აქამდე გარდაქმნის ვერც ერთმა ლიდერმა ვერ გაბედა გულწრფელად გამოეთქვა აზრი ამ პრინციპულ საკითხზე. ნებსით თუ უნებლიედ ინერგებოდა ილუზია, თითქოს ახლანდელი კატასტროფის წინა მდგომარეობიდან შესაძლებელი იყო ჯადოსნური გამოსავალის პოვნა, რომლის დროსაც არავინ არაფერს დაკარგავს, პირიქით ყველა მხოლოდ შეიძენს სასურველ სიმდიდრესა და სიკეთეს. დროა ყველას გასაგონად ვაღიაროთ: ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს საზოგადოებისათვის კრიზისიდან უმტკივნეულო გამოსავალი: სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ახალ ზღუდეებზე გასვლა შეიძლება მხოლოდ ძალიან მძიმე ფასად“[1].

გაზეთმა „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა დათო ბაქრაძის სტატია „პოსტსაბჭოურ გერმანიაში საბჭოური ნოსტალგია ღრმავდება“, საიდანაც დასტურდება, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის „მძიმე ფასის“ გადახდა მოუხდათ ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკვიდრთაც კი, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოების მოქალაქეთა შორის ყველაზე უკეთ ცხოვრობდნენ. აქ ნათქვამია: „უზარმაზარი ინვესტიციების მიუხედავად აღმოსავლეთ გერმანია მაინც გაკოტრებულ ქვეყნად რჩება“, — აცხადებს „ნიუ-იორკ თაიმსის“ ექსპერტი ედმონდ ენდრიუსი, — „მართალია, ხელფასები ნახტომისებურად გაიზარდა, მაგრამ ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი 20%-ს აღწევს. დიდ ქალაქებში კი ეს ციფრი გაცილებით მეტია. მაგალითად, ლეიფციგში შრომის უნარიან მოქალაქეთა 1/3-ზე მეტი დაუსაქმებელია“[2].

და ეს ხდება მაშინ, როცა გაზეთის ცნობით, გერმანიის მთავრობას ქვეყნის პოსტკომუნისტური ნაწილისათვის 600 მილიარდი დოლარი (!) გადაურიცხავს საგადასახადო პრობლემათა მოსაგვარებლად და ხელფასების გასაზრდელად. კერძო ფირმებს კი ჯამში დამატებით 500 მილიარდი დოლარის (!) ინვესტიცია

[1] Газ. “Литературная газета”, 28 сентября, 1989 г.
[2] გაზ. „რეზონანსი“, 27 ოქტომბერი, 1999წ.

ჩაუდიათ აღმოსავლეთ გერმანიის საწარმოო ინფრასტრუქტურაში.

სტატიაში მოყვანილია ფსიქოლოგ გაბრიელა მენდლინგის სიტყვები, საიდანაც ჩანს, თუ რა მწარე ყოფილა აღმოსავლელ გერმანელთა რეაქცია რეფორმებით გამოწვეულ ტკივილებზე: „წარსული ყოფისადმი გერმანელთა ნოსტალგია ზოგჯერ მეტად მწვავე ფორმებსაც კი იღებს. ეს კი ხშირად დასავლეთიდან გადმოსახლებულების მიმართ აგრესიაში მჟღავნდება. მეხსიერებაში ყველას თავისი განცდა აქვს ჩარჩენილი, მაგრამ უმრავლესობა სინანულით იგონებს იმ დროს, როდესაც სამუშაო იყო ყველასათვის, თუნდაც წესიერად თვლა არ გცოდნოდა, ფასი ჰქონდა მეგობრობას, გრძნობდი, რომ ცოცხალი იყავი და საბჭოური ველოსიპედიც კი (თუკი ის, რაღა თქმა უნდა, გაგაჩნდა) დღევანდელზე ბევრად გამძლე იყო“[1].

„ლიტერატურნაია გაზეტას“ ზემოთხსენებული სტატია ჯერ კიდევ 1989 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა. ვფიქრობთ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, თუ მათ ობიექტურობის შენარჩუნება სურთ, ისინი უნდა მხედველობაში იქონიონ. ეს საჭიროა იმისათვის, რომ დავეხმაროთ საზოგადოებას უფრო სწორი წარმოდგენა იქონიონ პოსტსაბჭოურ პერიოდში მომხდარი კატაკლიზმების გენეზისის თაობაზე. თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ ათასი ჯურის პოლიტიკანს, ასე რომ არიან ჩვენში მომრავლებულნი, ნაკლები შესაძლებლობა მიეცემათ დემაგოგიისათვის, სენისათვის, რომელსაც ყველგან, ყველაფერში და ყოველთვის უბედურების მეტი არაფერი მოაქვს. ამ სენისაგან განკურნებისათვის ბრძოლა, ჩვენის აზრით, მედიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. უამისოდ ძალზე გართულდება არსებულ პრობლემათა ნამდვილი მიზეზების მიგნება და შესაბამისად მათი აღმოფხვრა. თუ ამ გზას არ დავადგებით, ვერ ავიცილებთ უკეთეს შემთხვევაში საყოველთაო აპათიას, გულაცრუებას ყოველგვარი რეფორმისადმი, უარეს შემთხვევაში კი ანარქიას ან სულაც წითელი ან ყავისფერი დიქტატურის დამყარებას.

---

[1] გაზ. „რეზონანსი“, 27 ოქტომბერი, 1999ნ.

ასე იყო თუ ისე, ხელისუფლების სათავეში მოსვლისას „მრგვალ მაგიდას“ უკვე შემზადებული ჰქონდა იდეოლოგიური ბაზა ეკონომიკური რეფორმების გატარებისათვის და ახლა, როცა პოლიტიკური მართვის სადავეებიც მის ხელთ აღმოჩნდა, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას ჩვენში ხელს თითქოს აღარაფერი უშლიდა. როგორც ჩანს, „მრგვალი მაგიდის“ მესვეურნიც ამ აზრისა იყვნენ, რაც დასტურდება ქვეყნის ახალი ლიდერების - საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თენგიზ სიგუას საპროგრამო გამოსვლებით ახლადარჩეული პარლამენტის სესიაზე. გავეცნოთ რამდენიმე ამონარიდს ამ გამოსვლებიდან.

ზვიად გამსახურდია:

„ჩვენი ყურადღების ცენტრში იქნება ეკონომიკური რეფორმა გარდამავალ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკური დიქტატისაგან მისი განთავისუფლება, ახალი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბება, მიწის კანონი, პრივატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი პრინციპები...“[1].

„ჩვენი მომავალი წარმატებები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკურ რეფორმებზე, რომლებსაც მიზნად ვისახავთ“[2].

„ჩვენი თვალსაზრისით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე და ცენტრალურ დაგეგმარებაზე დამყარებული სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობითი გადასვლა. ჩვენს პროგრამებში აღნიშნულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპი მდგომარეობს მიწოდებისა და მოთხოვნილების საბაზრო ძალების რეგულირებაში. პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებისას კი მთავრობის მხრივ ჩარევა-რეგულირება ძირეულად განსხ-

---

[1] გაზ. „ახალი საქართველო“, 16 ნოემბერი, 1990წ.

[2] იქვე.

ვავდება სოციალისტური სისტემის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეგულირებისაგან. აქ კერძო სექტორის საქმიანობაში ჩარევა ან მისი რეგულაცია ძირითადად მომხმარებლის ინტერესების დაცვისათვის ხდება. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, კერძო ფინანსური ბაზრები, თავისუფალი შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინგრედიენტებია. მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება, ხალხი თავის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით გადაწყვეტს, თუ როგორი ფორმით ჩამოყალიბდება საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, რესურსებს უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფოს კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე როგორც ფასების კონტროლი არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრირების დრომოჭმულ მეთოდს. ამასთან არსებობს დიდი საფრთხე ე.წ. „საბაზრო სოციალიზმისა“, საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას, ამავე დროს აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება“[1].

თენგიზ სიგუა:

„მთავრობის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება იქნება ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ ეკონომიკური პლატფორმის თანმიმდევრული განხორციელება. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უნდა გადაიდგას საკუთრების, მიწათსარგებლობის, მეწარმეობის, საბანკო სისტემის და სხვათა შესახებ საკანონმდებლო აქტების მიღებით. უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაციისა და პრივატიზაციის პროგრამა. მიზანსწრაფულად უნდა შევძლოთ ეკონომიკური ლიბერალიზაციის კურსის გატარება ისე, რომ კერძო ინიციატივის განვითარება ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მთავარ წესად იქცეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

[1] გაზ. „ახალი საქართველო“, 16 ნოემბერი, 1990წ.

ამასთანავე, მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა"[1].

თენგიზ სიგუა ითვალისწინებს იმასაც, რომ რეფორმებს სოციალურ სფეროში სიძნელეები მოჰყვება, მაგრამ მიუხედავად ამისა აფიქსირებს მათი რეალიზაციის აუცილებლობას: „პირდაპირ უნდა ითქვას, ამბობს იგი, - რომ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება უაღრესად არახელსაყრელ სამეურნეო ვითარებაში გვიხდება. ამის გამო, სამწუხაროდ, გარდამავალ პერიოდში ვერ გავექცევით სიძნელეებს სოციალურ სფეროში. ფასების ლიბერალიზაცია კიდევ უფრო გააძნელებს მოსახლეობის ცალკეული ფენების არცთუ ისე დალხინებულ ცხოვრებას. ვერ გავექცევით უმუშევრობას. მაგრამ საქართველოს მთავრობა ყველა ღონეს იხმარს, რომ ეს პროცესები რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული იყოს მოსახლეობისათვის. ამავე დროს, რაც უფრო მალე გავივლით ხსენებული სოციალური სიძნელეებით აღსავსე გარდამავალ პერიოდს, რაც, თავის მხრივ, ამგვარი პროცესების ფორსირებას მოითხოვს, მით უფრო მალე შევქმნით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს ცხოვრების დასავლეთის სტანდარტების მისაღწევად"[2].

ციტირებულ ტექსტებში ფიქსირებული პოზიცია ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავის საპრეზიდენტო საარჩევნო პროგრამაში. აქ ვკითხულობთ: „მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დამყარებული მეურნეობის საფუძველზეა შესაძლებელი იმპერიული ეკონომიკური ზღუდის გარღვევა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ძლიერებასა და ცივილიზებულ ქვეყნებს შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში ხალხმა ხმა მისცა ბლოკ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" ეკონომიკურ პროგრამას, რომლის ძირითადი მიმართულება იყო საქართველოს ეკონომიკური აღორძინება თავისუფალი მეწარმეობის განვითარებ-

[1] გაზ. „ახალი საქართველო", 16 ნოემბერი, 1990წ.
[2] გაზ. „შანსი", 25 მაისი, 1991წ.

ის გზით. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მიერ არჩეული გზისადმი ერთგულებას"[1].

ზ. გამსახურდიას განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის აღდგენის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე აგებული, ცივილიზებული სამყაროს ეკონომიკური კანონებით მოქმედი და ქართულ ყოფით ტრადიციებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ამიტომ უნდა მომხდარიყო სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება, რაც განხორციელდებოდა თანდათანობით, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩებოდა მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირებაც კერძო მეწარმეობის პრინციპებზე დროის მოცემულ მონაკვეთში გაუმართლებელი იქნებოდა.

„სახელმწიფო ჩაერევა ეკონომიკაში იმ ზომით, — განაცხადა მან, — რომელიც აუცილებელია ქვეყნის ერთიანი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ინტერესების ხორცშესხმისა და სამეურნეო საქმიანობის განვითარებისათვის"[2].

პრეზიდენტობის კანდიდატი შეჰპირდა ამომრჩევლებს აგრეთვე საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნასაც, რაც გულისხმობდა არა მარტო ცალკეული კანონების, არამედ ნორმატიული აქტების მთელი პაკეტის მიღებას პარლამენტის მიერ. მისი განმარტებით, კანონპროექტთა ამ პაკეტის პირველ წყებაში აუცილებლად იქნებოდა: „კანონი პრივატიზაციის შესახებ, კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, კანონი საკუთრების შესახებ, კანონი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ, მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესახებ, კანონი გლეხური მეურნეობის შესახებ, კანონი დასაქმების შესახებ კანონი საგადასახადო სისტემის შესახებ. კანონი სააქციო საზოგადოების შესახებ, კანონი სამეურნეო ამხანაგობის შესახებ, კანონი ინვესტიციების შესახებ, კანონი ერთობლივი საწარმოების შესახებ, ანტიმონოპოლიური კანონი, კანონი სახელმწიფო და კერძო დაზღვევის შესახ-

---

[1] გაზ. „შანსი", 25 მაისი, 1991წ.

[2] იქვე.

ებ"[1]. ამასთან, მისი თქმით, ამ კანონპროექტთა უმრავლესობა იმ დროისათვის ან უკვე მომზადებული იყო, ან მზადდებოდა.

ზვიად გამსახურდია თვლიდა, რომ ,,კერძო პირებს უნდა მივცეთ თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის უფლება, ნება დაერთოთ საკუთრებაში ჰქონდეთ წარმოების საშუალებები და დაიქირაონ სამუშაოდ სხვა პირები. უნდა შეიქმნას პირობები კერძო საკუთრების ყველა სახეობის განვითარებისათვის, დაცული იქნეს საკუთრების უფლების სუბიექტთა მფლობელობის, განკარგვისა და გამოყენების უფლება სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ან სახელმწიფო ორგანოთა მიერ მათი ხელყოფისაგან"[2].

ვერავინ იტყვის, რომ ციტირებულ ტექსტებში გამოთქმული მოსაზრებები ვერ თავსდებოდეს თანამედროვე კლასიკური კაპიტალიზმის ჩარჩოებში. და როგორც ჩანს, „მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა სწორედ ამ გზით ევლო. ყოველ შემთხვევაში, იგი საამისოდ მზადყოფნას გამოხატავდა. მაგრამ მოგვიანებით, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ბესარიონ გუგუშვილი, საქართველოს სახელისუფლო ეკონომიკურ პლატფორმაში სერიოზული კორექტივები იქნა შეტანილი. კერძოდ, ხელისუფლებამ ლაპარაკი დაიწყო უკვე ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმსა და კონვერგენციაზე[3], რაშიც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის რაღაც ნაზავს გულისხმობდნენ. ადრე განზრახულ სარეფორმო ღონისძიებათაგან მხოლოდ მცირე ნაწილი განხ-

---

[1] გაზ. „შანსი", 25 მაისი, 1991წ.

[2] იქვე.

[3] ამერიკელი ეკონომისტების, პროფესორების სტენლი ფიშერის, რუდიგერ დორნბუშისა და რიჩარდ შმალენზის წიგნში „ეკონომიკა" კონვერგენცია განმარტებულია როგორც ჰიპოთეზა, რომლის 'თანახმადაც კომუნისტური და კაპიტალისტური ქვეყნები სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან ერთმანეთს . . . ისინი მოძრაობენ ერთი და იგივე წერტილისაკენ, რომელშიც დასავლური ეკონომიკა თანხმდება სახელმწიფოს ჩარევისა და დაგეგმვის თანდათანობით გაფართოებას, სოციალისტური ეკონომიკა კი ნებას რთავს ბაზარს ითამაშოს სულ უფრო და უფრო მზარდი როლი". აქვე ავტორები აღნიშნავენ, რომ 'ბოლო მონაცემები არ ადასტურებენ ამ ჰიპოთეზას"(იხ. Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, М., 1997.с 769).

ორციელდა, ისიც ძირითადად საკანონმდებლო სფეროში. ძნელია ახლა დანამდვილებით ამის მიზეზების ახსნა, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა შედრკა საბაზრო რეფორმათა თანმდევ სოციალურ სიძნელეებზე მოსახლეობის მოსალონელი მწვავე რეაქციის საფრთხის გამო. არადა, იმთავითვე თითქოს ცხადი იყო, რომ, რაც დრო გავიდოდა, ეკონომიკური რეფორმების გატარება მით უფრო დიდ სოციალურ ტკივილებს გამოიწვევდა და მით უფრო მძიმე ასატანი იქნებოდა საზოგადოებისათვის.

„მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების დამხობის პერიოდისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის და ამით გამოწვეულ ეკონომიკურ ქაოსს დაემთხვა, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პრივატიზაციის, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელი ძირითადი ღონისძიების, შემდგომი გადადება უბრალოდ უკვე შეუძლებელი ხდებოდა. ქონების განსახელმწიფოებრიობა აუცილებლად უნდა დაწყებულიყო. იმ დროსათვის ძველი სამეურნეო კავშირები თითქმის უკვე მთლად მოშლილი, ხაზინა კი ლამის დაცარიელებული იყო, დათარეშობდნენ ბანდიტური და დივერსიული ჯგუფები, ქვეყანა ზანზარებდა ეთნოკონფლიქტებისაგან, ბობოქრობდა ანარქია. ასეთ სახელმწიფოს ეკონომიკის გაძღოლის მთელი სიმძიმის მარტო თავის თავზე აღება აღარ შეეძლო და ამ საქმეში მოსახლეობა უნდა ჩაერთო. ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან აქ ალბათ მხოლოდ ის შეგვეძლო მოგვეთხოვა, რომ ამ პროცესისათვის მას შესაძლებლობის ფარგლებში მართვადი და გააზრებული ხასიათი მიეცა და ცდილიყო მაქსიმალურად შეემცირებინა საბაზრო რეფორმებით გამოწვეული სოციალური ფონის გამძაფრება.

დაიწყეს მიწისა და საცხოვრებელი ბინების პრივატიზებით, რასაც ძირითადად ის გარემოება განაპირობებდა, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება შედარებით სწრაფად და ნაკლები მოსამზადებელი მუშაობით იყო შესაძლებელი.

მიწის რეფორმის აუცილებლობის შესახებ დასკვნამდე ჯერ კიდევ საბჭოურ პერიოდში მივიდნენ. ესეც, ისევე როგორც ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილება, „პერესტროიკის“ ხანას უკავშირდება. ჯერ იყო და მიწის იჯარით გაცემა დაიწყეს, ხოლო 1990 წლის

დასასრულისათვის საბჭოთა რუსეთის სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობამ მიწაზე კერძო საკუთრებაც კი დააკანონა მისი ყიდვა-გაყიდვის უფლებით. ამ მოვლენას საბჭოთა ოფიციოზმა „იზვესტიამ“ რუსეთის ისტორიის დიდი დღე უწოდა. „შეიძლება ითქვას, - წერდა აღტაცებით გაზეთი, - რომ მითიური საერთო-სახალხო საკუთრების ნაცვლად მიწა ამიერიდან ნამდვილად გადაეცემა ხალხის ხელში“[1].

მოელოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდის“ მოსვლის შემდეგ მიწის პრივატიზაციას ჩვენშიც წინ არაფერი დაუდგებოდა. თავის პირველსავე გამოსვლაში უზენაესი საბჭოს სესიაზე ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მანამდეც არაერთგზის გაცხადებული განზრახვა ამის თაობაზე. „აუცილებელია პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება, განსაკუთრებით სოფლად, - თქვა მან, - საჭიროა შემოღება მიწის კანონისა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს უნდა გადაეცეთ მიწა კერძო მფლობელობაში გასხვისების უფლების გარეშე“[2].

- კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა ზ.გამსახურდიამ თავისი თვალსაზრისი მიწის პრივატიზაციის შესახებ წინასაარჩევნო საპრეზიდენტო პროგრამაში, სადაც აღნიშნულია: „საქართველო მაღალგანვითარებულ აგრარულ ქვეყნად უნდა იქცეს, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროს რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს. იგი პირველ რიგში უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და განვითარებული საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას, პროდუქციის ის ნაწილი კი, რომელიც მსოფლიო ბაზრისათვის იქნება განკუთვნილი, უნდა შეირჩეს ხელსაყრელობის და რესპუბლიკის საჭიროებათა ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ყოველივე ეს მოითხოვს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და ადგილობრივი მნიშვნელობის

---

[1] Газ. “Известия”, 5 декабря, 1990 г.

[2] გაზ. „ახალი საქართველო“, 16 ოქტომბერი, 1990წ.

დარგების ოპტიმალური პარმონიზირების მიღწევას, რესპუბლიკის უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურ გამოყენებას“[1].

პრეზიდენტმა დაადასტურა სურვილი, რომ აღდგენილიყო საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მემარცვლეობის ტრადიციები და მისი პროდუქცია გამხდარიყო მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეცხოველეობის აღორძინების ბაზა.

ამ ამოცანათა გადაჭრა, მისი შეფასებით, სოფლად საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლით იყო შესაძლებელი, რადგან საქართველოში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამ ქართველი გლეხი მოწყვიტა მიწას, შეაძულა მას შრომა, მოაშორა მშობლიურ ფესვებს, შეუცვალა ცხოვრების ტრადიციული წესჩვეულებანი და სოფლის პროლეტარად აქცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმართვა ამ ფორმით ქართველ ერს გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა და ამდენად აუცილებელი იყო მიწის რეფორმის გატარება, რაც საქართველოს ყოველ ისტორიულ მხარეში მისი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ეს პირველ რიგში გულისხმობდა ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლას და მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბებას, აგრეთვე მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემას, საკარმიდამო ნაკვეთების სრული მოცულობით გაცემას.

„საქართველოს მომავალი აგრარული სტრუქტურის ძირითად ბირთვს გლეხური (საკომლო) მეურნეობა უნდა შეადგენდეს, – განაცხადა პრეზიდენტმა, – ქართველი გლეხი - ისტორიულად ჩვენი ეროვნული მეურნეობის ბურჯი, უნდა გათავისუფლდეს ხელისუფლების დიქტატისაგან. გლეხი თავის სამეურნეო საქმიანობაში დამოუკიდებელი უნდა იყოს, თავად განსაზღვრავდეს წარმოების სპეციალიზაციას, სტრუქტურას და ახდენდეს მოწეული მოსავლის თავისუფალ რეალიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარდამავალ პერიოდში მიწა შეიძლება გადაეცეთ მოკლევადიან, გრძელვადიან ან მუდ-

[1] გაზ. „შანსი“, 25 მაისი, 1991წ.

მივ მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით, რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით, სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად აღდგენისა და მოქალაქეობის კანონის შემოღების შემდეგ კი მასზე დაკანონდეს კერძო საკუთრება, რაც უახლოეს ხანებში მოხდება.

სახნავ-სათესი ძირითადად უნდა გადაეცეს გლეხურ მეურნეობებს, საძოვრები კი სათემო ან სასოფლო მფლობელობაში უნდა იყოს. მიწის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს სტრატეგიული, თავდაცვითი და სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის"[1].

როგორც ვხედავთ, გეგმები ფართო იყო, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ არ განხორციელებულა. „მრგვალი მაგიდის" ხელისუფლებამ ისე დატოვა ასპარეზი, რომ არც კოლექტიური და სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობები დაშლილა და არც გლეხებს დარიგებიათ მიწა.

მიწის რეფორმის საჭიროების შეგნება რომ გაჩნდა, მედიის საშუალებით დაიწყო დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორი სახით უნდა განხორციელებულიყო იგი. მსჯელობა ამის შესახებ ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების დროს მიმდინარეობდა, გრძელდებოდა ზვიად გამსახურდიას ზეობის პერიოდშიც და მის შემდგომაც. ამ საკითხებზე მსჯელობდნენ პროფესიონალებიც და არაპროფესიონალებიც. ამასთან ზოგი გადაჭარბებული სიფრთხილისკენ მოგვიწოდებდა, ზოგი კი პირიქით - მეტისმეტად რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, საერთოდ, უარყოფდნენ მიწაზე კერძო საკუთრებას და მაინც მიწა რომ უნდა დარიგებოდა გლეხებს, უმეტესობა ამას სადაოდ არ ხდიდა, კამათობდნენ მხოლოდ იმაზე, მუდმივ მფლობელობაში უნდა გადაეცათ იგი მათთვის, თუ კერძო საკუთრებაში, გაყიდვის უფლებით, ეთნიკური ნიშნების, ტრადიციების, მომავალი მფლობელების განათლებისა და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით თუ უამისოდ, დაუყოვნებლივ თუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ერთდროულად თუ ეტაპობრივად და მისთ. თითოეულ

[1] გაზ. „შანსი", 25 მაისი, 1991წ.

ამ პოზიციას თავისი დამცველი ჰყავდა, მას მერეც კი, როცა რეფორმის განხორციელება დაიწყო.

განვიხილოთ რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც ლაპარაკია მიწის რეფორმასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტზე. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირის თანათავმჯდომარე გივი გაჩეჩილაძე (იხ.მისი სტატია „ფიქრები მიწის რეფორმაზე“) თვლის, რომ მიწის პრობლემის გადაჭრა უნდა მოხდეს საქართველოში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით და ეროვნული ინტერესების სრული დაცვით, ამ მიზნით მას საჭიროდ მიაჩნია, რომ „რეფორმის ჩატარებამდე განსაკუთრებული სტატუსი... მიეკუთვნოს განსხვავებული დემოგრაფიის მქონე რეგიონებსა და დასახლებებს“[1]. მისი აზრით, „პირველ ყოვლისა, ასეთ რეგიონებსა და დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნებიან სასაზღვრო ზოლის ზოგიერთი უბნები და იქ განლაგებული სოფლები. ასეთ საზღვრისპირა სოფლებში, მთელი ტერიტორია ამჟამად არსებული საკარმიდამო ნაკვეთების გამოკლებით, უნდა გადავიდეს სახელმწიფოს განუყოფელ საკუთრებაში. მომავალში, თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო უშიშროებიდან გამომდინარე, საზღვრისპირა სოფლებში სახელმწიფო მიწის ფონდიდან საკარმიდამო ნაკვეთის გამოყოფა უნდა მოხდეს მხოლოდ ქართული ეროვნების ოჯახებისათვის. სახელმწიფო ფონდის მიწებზე უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო მეურნეობები, სადაც დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“[2].

როგორც ვხედავთ, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფო მეურნეობების არსებობასაც, განსაკუთრებით თბილისის ახლომდებარე დასახლებებში, სადაც ასეთი მეურნეობები „უნდა შევინარჩუნოთ, ან თავიდან შევქმნათ“, მხოლოდ „ძირეულად შეცვლილი დემოკრატიული თვითმმართველობის სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს დასაქმებული მუშახელის მიერ გაწეული შრომის პატიოსან

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 მარტი, 1991წ.

[2] იქვე.

და ობიექტურ ანაზღაურებას"[1]. ამასთან ერთად იგი შესაძლებლად მიიჩნევს რიგ შემთხვევებში მიწის სახელმწიფო სარეზერვო ფონდის გამოყენებას მეურნეობის სხვა ფორმებითაც (საიჯარო კოოპერატიული მეურნეობა, კერძო, საიჯარო მეურნეობები).

გივი გაჩეჩილაძე აუცილებლად თვლის საჭიროების შემთხვევაში სოფლებს შორის მიწების გადანაწილებასაც, რადგან, მისი აზრით, „დაუშვებელია, რომ ერთი სოფლის მოსახლეს 3-ჯერ ან კიდევ უფრო მეტი მიწის ფართობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდეს, ვიდრე მეორე - მეზობელი სოფლის მკვიდრს, მიუხედავად ამ მიწების კუთვნილებაზე უფლების ქონებისა. უთანაბრობის კოეფიციენტი ალბათ ერთნახევარ-ორის ფარგლებში უნდა იყოს მიწის ისტორიულად მფლობელი სოფლის სასარგებლოდ"[2].

ავტორი მხარს უჭერს მიწების უფასოდ დარიგებას მხოლოდ ადგილობრივ მუდმივ მაცხოვრებლებზე. მათთვის უვადო მფლობელობაში გადაცემით და მემკვიდრეობის უფლებით. იგი ემხრობა ცალკეულ კომლებზე მიწის არათანაბარ განაწილებას და თვლის, რომ „აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ოჯახის შრომისუნარიან წევრთა რაოდენობა, საერთო სულადობა, ოჯახის პერსპექტიულობა"[3] და სხვ., ამასთანავე უნდა „განისაზღვროს ერთი კომლის მფლობელობაში გადასაცემი მიწის ფართობის მინიმუმი და სოფლის მცხოვრებთა ინტერესებიდან გამომდინარე (რომ არ მოხდეს ერთი ოჯახის ხელში მიწის მეტისმეტად დიდი ფართობების თავმოყრა) - მაქსიმუმი, რომლის ზევით მიწის ფართობის მფლობელობა კანონით აიკრძალება"[4]. ამ უკანასკნელ პრინციპს ავტორი იცავს სოციალური სამართლიანობის მიზნით, თორემ მას კარგად ესმის, რომ „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უფრო მომგებიანი და ხელსაყრელია დიდ ფართობიან მეურნეობაში"[5].

გივი გაჩეჩილაძე წინააღმდეგია მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებისა, რადგან შიშობს, რომ „შრომას გადაჩვეულ მოსახლეობის ნაწ-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 27 მარტი, 1991წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ილი მაშინვე დაიწყებს მის გაყიდვას. მიწა თავს მოიყრის ფულის მქონე, „საქმოსანი“ ადამიანების ხელში და ამრიგად უშრომელი შემოსავლის წყაროდ იქცევა“[1]. მისი აზრით, „თუ მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება უარყოფილი არ იქნება, ეს უფლება გადავადებული უნდა იქნეს სულ ცოტა 5 წლით მაინც. ამასთანავე უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მომავალში გამორიცხავს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ მიწით ვაჭრობას“[2]. ავტორი თვლის, რომ მიწის მემკვიდრეობის უფლებაც მხოლოდ უახლოეს ნათესავებსა და ისიც მხოლოდ იმავე სოფლის მუდმივ მაცხოვრებლებს უნდა ჰქონდეთ, ხოლო სხვაგან მაცხოვრებელ მემკვიდრეებს მიეცეთ სამემკვიდრეო სავარგულის მოსავლიანობის ამაღლების და კეთილმოწყობისათვის გაწეული ხარჯების კომპენსაცია. კომპენსაციით დაკმაყოფილება მოუწევთ იმავე სოფელში მაცხოვრებელ იმ მემკვიდრეებსაც, რომლებსაც მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში დასაშვებ მაქსიმუმზე მეტი ფართობი გაუხდებათ.

ავტორი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს მიწის მესაკუთრესაც. ამ მოთხოვნებში იგი უმთავრესად თვლის კერძო მეურნის ვალდებულებას სავარგულიდან რეგულარული მოსავლის მიღების შესახებ.

გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო სტატიაში „კითხვები და პასუხები“ აგრეთვე ფიქსირებულია ეკონომიკურ ინტერესებთან შედარებით პოლიტიკური (ეროვნული, სახელმწიფოებრივი) ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების სურვილი. „დიახ, სოფლის მეურნეობის ინტერესები მოითხოვს, რომ მიწას კერძო პატრონი ჰყავდეს, - ნათქვამია აქ, - მაგრამ ვინმესთვის მიწის მიცემის მოვალეობა სახელმწიფოს არა აქვს. სახელმწიფოს მოვალეობა აქვს მხოლოდ საზოგადოების, როგორც ასეთის, ერის, როგორც ასეთის წინაშე! ამიტომ მიწაც სახელმწიფომ ისე უნდა განკარგოს, დაარიგოს ან არ დაარიგოს, როგორც ეს ქვეყნისათვის და საქმისთვის სჯობია!...

არაფერმა არ უნდა შეაცდინოს საქართველოს ადმინისტრაცია და არ უნდა გაათვალისწინებინოს მიწის პოლიტიკაში არავი-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 მარტი, 1991წ.
[2] იქვე.

თარი სხვა მოტივი გარდა ქვეყნის, როგორც ასეთის, საერთო ძირეული ინტერესებისა!“[1]

გაზეთი მხარს უჭერს მიწების ეტაპობრივად დარიგების პრინციპს, რადგან შიშობს, რომ ამ პროცესში ვიღაც აუცილებლად დაჩაგრულად იგრძნობს თავს, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. „ასეთი კი, - მისი აზრით, - ალბათ სოფლის მოსახლეობის ცხრა მეათედი იქნება“[2]. ამიტომ მათ უნდა იცოდნენ, რომ „დღეს თუ რამე დააკლეს, იმ დანაკლისს მიწის მომავალ განაწილებაზე სამართლიანად აუნაზღაურებენ“[3].

გაზეთი თვლის, რომ უმწვავესი კონფლიქტები შეიძლება გამოიწვიოს 1929 წლამდე, ე.ი. კოლექტივიზაციამდე, როცა გლეხებს მიწები ჩამოართვეს, არსებული ვითარების უგულვებელყოფამ. „ერთის მხრივ, - წერს იგი, - ჩვენ ვერ დავაკანონებთ იმას, რომ ყველა მოსახლეს მისი პაპის კუთვნილი დაუბრუნდეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, საკითხის ამ ასპექტს მაინც ანგარიში უნდა გაეწიოს. დაკანონება შეიძლება რაღაც უპირატესობისა, მაგალითად, პაპის ნაქონ ნაკვეთში შეიძლება პირველ რიგში მიეცეს მის ნაშიერს, მერე - სხვას“[4]. დაახლოებით ამგვარადვე ესახება რედაქციას იმ მიწების განაწილების პრობლემის გადაწყვეტა, რომლებიც რევოლუციის შემდეგ წაართვეს თავადაზნაურობას.

განსხვავებით გივი გაჩეჩილაძის პოზიციისა, რომელიც მკაცრად მოითხოვს მიწების მხოლოდ სოფლების მაცხოვრებელთათვის დარიგებას, ამ სტატიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ნაკვეთების მიცემაზე არ შეიძლება უარი ვუთხრათ სოფლიდან განთესილებსაც. „ასეთი ადამიანების რაოდენობა საქართველოში აურაცხელია, - წერს გაზეთი, - ვერც სამართლის, ვერც დემოკრატიის ფარგლებში ვერ მოთავსდება ის, რომ ერთ ბიძაშვილს უარი ვუთხრათ პაპის სამკვიდროში დასახლებაზე, ან მიწის დასამუშავებლად აღებაზე, მეორეს კი არ ვუთხრათ მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ქალაქშია

---

[1] გაზ. „საქართველო“, 2 ივლისი, 1991წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

„ჩაწერილი“, მეორე კი ისევ სოფელში. ნაკვეთი ორივეს უნდა მივცეთ“[1].

გაზეთს მიაჩნია, რომ შედარებით მარტივ რეგიონებში მიწები შეიძლებოდა ნოემბერშივე დაერიგებინათ, ე.ი. „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მაგრამ რადგან მაშინ ეს არ მოხდა, „მისი დაწყება ახლავე გვმართებს“[2].

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საკითხის დასმის წესით გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში, „მიწა - აგროფირმის (სოფლის) საკუთრებაში“, რომელსაც ხელს აწერენ საინიციატივო ჯგუფი: „საქართველოს დამოუკიდებლობა და ეკონომიკა“ და გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ გუგუშვილი, პრივატიზაციის გზაზე გვთავაზობენ რამდენიმე საფეხურის გავლას შემდეგი სქემით: სახელმწიფო საკუთრება - სათემო ანუ სასოფლო საკუთრება, ინდივიდუალური მფლობელობა - კერძო საკუთრება. ავტორთა აზრით, „პირველ ყოვლისა უნდა გავაუქმოთ მიწაზე საბჭოთა სტრუქტურები (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები) და მათ ბაბაზე ტერიტორიული ნიშნის მიხედვით სულ პატარა სოფლებშიც კი შევქმნათ აგროფირმები.

მეორე მხრივ, თითოეულ სოფელს უნდა დაუბრუნდეს მახინჯი კოლექტიური მეურნეობის მცდარი ორგანიზაციის შედეგად ძალად წართმეული და სხვისთვის შეერთებული მთელი კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი, ტყე და ა.შ.), რომლებიც შემდგომში, მიწის პრივატიზაციის მეორე ეტაპზე, სათანადო წესით გადაეცემა სოფლის მოსახლეობას მუდმივი სარგებლობისათვის“[3], ხოლო მესამე ეტაპზე — კერძო საკუთრებაში. ავტორები თვლიან, რომ პრობლემის გადაწყვეტისას აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა, გეოგრაფიული გარემოს, ტრადიციების გათვალისწინება. გარდა ამისა ისინი გვთავაზობენ ბარის ზონებში არსებული დიდი, ეკონომიკურად ძლიერი და მაღალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობების გადაკეთებას სახელმწიფო

---

[1] გაზ. „საქართველო“, 2 ივლისი, 1991წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 1991წ.

მეურნეობებად. იგივე ბარის ზონის დანარჩენ მეურნეობებში, სადაც ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა, აგროფირმების შექმნას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით შეზღუდულ მთიან და მაღალმთიან რეგიონებში კი გლეხური და სათემო მეურნეობების ჩამოყალიბებას.

აგროფირმებს მიწები საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ იმ სქემის მიხედვით, რომელიც 1945 წლამდე, ანუ კოლმეურნეობათა გამსხვილებამდე არსებობდა.

სტატიის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იმ პერიოდში რესპუბლიკაში არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტსა და დემოგრაფიული ვითარების გამო მიზანშეუწონლად მიაჩნდათ აგროფირმისათვის (სოფლისათვის) მიწების მასობრივად გადაცემა. გარდამავალ პერიოდში ისინი აუცილებლად თვლიდნენ სასოფლო წარმოების კონკრეტული სფეროსათვის საჭირო მიწის სარეზერვო ფონდის არსებობას, „რომლის საშუალებითაც სახელმწიფო, გარკვეულწილად მოახდენდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების რეგულირებას“[1].

ავტორები მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ქვეყნის რესურსების შევსების მიზნით სახელმწიფო დაკვეთის ინსტიტუტის შემოღებასაც, ოღონდ არა მანამდე არსებული ფორმით, როცა ეს დაკვეთა აღიქმებოდა როგორც უღელი, არამედ ისეთი სახით, რომელიც ამ პროდუქციის მწარმოებელთა ინტერესებს გაითვალისწინებდა. ასეთი დაკვეთა „პირველ ეტაპზე გარკვეული ოდენობით აუცილებელია, რათა სახელმწიფომ შეინარჩუნოს თავისი წარმოების სფერო, საშუალება ჰქონდეს განახორციელოს პროდუქციის ფასების ფარული რეგულირება და ამით გარკვეულად დაიცვას სოციალური სამართლიანობა“[2].

ავტორები შემდეგნაირად ასაბუთებენ პირველ ეტაპზე აგროფირმების უპირატესობას მიწის ინდივიდუალურ საკუთრებასთან შედარებით: ისინი თვლიან, რომ „დღევანდელი ეკონომიკური მაჩვე-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 1991წ.

[2] იქვე.

ნებლების, მანქანა-იარაღებით უზრუნველყოფის დაბალი დონის, საგზაო ქსელის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის პირობებში ინდივიდუალურ საკუთრებაში დიდი ტერიტორიების გადაცემა არ მოგვცემს სასურველ შედეგს, მოკლედ რომ ვთქვათ, ვერ შევძლებთ პროდუქციის ზრდას, პირიქით, მთელი გაწეული მუშაობა მათ მკვეთრ შემცირებამდე მიგვიყვანს.

გარკვეულწილად ამას ისიც განაპირობებს, რომ საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია ყველა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, საკმაოდ დიდ დანახარჯებს მოითხოვს"[1].

სტატიაში დაყენებულია საკითხი, რომ გლეხისა და ფერმერის ცნებები იდენტური გახდნენ. ავტორებს აქ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ ,,მიწასთან უშუალოდ დაკავშირებული ფერმერი, თავის საქმიანობაში ოჯახის თითქმის ყველა წევრის ჩაბმით, არჩენს არა მარტო მათ, არამედ ბაზარზე გააქვს წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საჭიროებისა და შეძენის კონკურენციის პირობებში თვითონ მიისწრაფვის სახელმწიფოსთან ხელშეკრულების დადებისკენ"[2].

ავტორები მოგვიწოდებენ გავითვალისწინოთ იმათი თვალსაზრისი, რომლებიც ფიქრობენ, რომ არ შეიძლება კერძო საკუთრებაში მიწის გადაცემის დაჩქარება. სანამ ეს მოხდებოდეს, აუცილებელია მის დაცვასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღება, რომელთა გარეშე მცდარი ექსპლოატაციის შედეგების გამოსწორება ძალზედ რთული და ზოგჯერ შეუძლებელია. ამას გარდა ინდივიდის მიერ დღევანდელი მანქანა-იარაღით მისი დამუშავება მეტად რთულია, ძნელია შხამქიმიკატების გამოყენების კონტროლი"[3].

მათი აზრით, ,,დემოგრაფიულად რთულ რეგიონებში მიწის ინდივიდზე გადაცემა გამოიწვევს გარკვეულ სირთულეებს, რადგან

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 1991წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ჯერ არ მიგვიღია კანონები მოქალაქეობისა და იმიგრაციის შესახებ, დაუცველია საქართველოს საზღვრები, ინდივიდებისათვის მიწების გადაცემა გამოიწვევს დაძაბულობას, პრეტენზიებს, რადგან ნაკვეთები ტოლფასოვანი არ იქნება; საქართველოს მცირემიწიანობა მიგვიყვანს თითქმის ყველა რაიონში მათი სხვადასხვა ზომით გადაცემის აუცილებლობამდე; შეუძლებელია ინდივიდის დონეზე მათი მომსახურების ქსელის შექმნა; გადაუჭრელი რჩება დაბეგვრის (თავდაცვის, განათლებისა და სოციალური სფეროს ინტერესებისათვის) საკითხები, წამოიჭრება სოფლების განაშენიანების პრობლემები"[1]. ავტორთა მოსაზრებით, ,,პარალელურად არსებობს მეორე გარდუვალი აუცილებლობა - საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მიწის პრივატიზაციის შემდგომ, რითაც სტიმული მიეცემა ადამიანის დამოუკიდებელ აზროვნებას...

დღევანდელი საზოგადოებრივი აზროვნება და, საერთოდ, საქართველოს მსგავსი აგრარული ქვეყანა ამის გარეშე უმნიშვნელო ნაბიჯებს გადადგამს, ვერ აღკვეთს დაძაბულობას, მცდარ გადაწყვეტილებებს მიიღებს, რამაც შეიძლება კრიზისამდე მიგვიყვანოს"[2].

ავტორები მოითხოვენ, რომ აგროფირმების ორგანიზების დროს სახელმწიფომ იკისროს ,,ცალკეულ სასოფლო რაიონებში არსებული მანქანა-იარაღების ბაზაზე სამეურნეო მომსახურების (რამოდენიმე ერთეული) რგოლების შექმნა"[3]. შემდგომში კი ამ მანქანა-იარაღების გაყიდვით დამოუკიდებელი მომსახურების სამეურნეო ორგანიზმების ჩამოყალიბებას.

რამდენიმე პუბლიკაციის ავტორი გვთავაზობდა ქართული ტრადიციული მიწათმფლობელობის პრინციპების რეანიმაციას. ასეთებს განეკუთვნება ლევან ფრუიძის სტატიაც ,,დროა აღვადგინოთ ქართული ცხოვრების წესი". იგი წერს: ,,ქართული სამიწათმოქმედო სამართალი ათასწლეულთა მანძილზეა დახვეწილი და მერწმუნეთ, დაზარალებული არავინ გამოვა. ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ და ივანე ჯავახიშვილმა ცხადჰყვეს საქართველოს ეკონომიკისა და

---

[1] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 1991ნ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მამაპაპური სოფლის მეურნეობის უპირატესობა და ყოვლისშემძლეობა, რამაც ათასწლეულთა მანძილზე განუწყვეტელ შემოსევებს, ომებს გაუძლო და ქართველი ერის უკვდავება განაპირობა"[1]. ავტორის განმარტებით, ყოველივე ამის საფუძველს ილია მიწის საკუთრების ფლობისა და სარგებლობის ქართულ წესში ხედავდა „მიწა სოფელს ეკუთვნოდა საერთო-სათემო საკუთრებაში. სოფელი კომლებისგან შედგებოდა, თითოეულ კომლს სამემკვიდროდ ნაკვეთი „საკომლო" ეძლეოდა, რომლის სიდიდე განსაზღვრული იყო სოფლის მდებარეობით და მეურნეობის ხასიათით. საკომლო იგივე ფეოდალური „ფუძეა" და ძირითადად საკარმიდამოს, სახნავ-სათესს, ბაღ-ვენახს და შინასათიბებს გულისხმობდა, მკვეთრად განასხვავებდნენ შინაყანებს - ნაფუძვრებს და ხოდაბუნებს, აღმოსავლეთ საქართველოში სარწყავს და ურწყავს. საკარმიდამოსთან ერთად, სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები და შინასათიბები, როგორც წესი, კერძო საკუთრებაში იყო, ვინც მათ უხვად ფლობდა, მდიდარი და სვებედნიერი გახლდათ. ამიტომ უკანასკნელ კაპიკს ზოგავდნენ და მიწას ყიდულობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მიწის ფასი საარაკოდ გაზრდილი იყო. როცა კაპიტალმა იმძლავრა, მიწათმფლობელობის ტრადიციულ სისტემას შემოუტია და ქართველობას, მეტადრე თავადაზნაურობას მამული ხელიდან ეცლებოდა, ერის მამამ ილია ჭავჭავაძემ საგანგებო ბანკი დააარსა, რათა უცხოთა ხელში ქართული მიწა არ გადასულიყო"[2]. ავტორის დასკვნით, მაშინდელი გამოცდილება ახლაც არ გვაწყენდა.

„საძოვრები, გარესათიბები და ტყეები, — განაგრძობს ავტორი, — სასოფლო-სათემო საკუთრებაში რჩებოდა და მათი გამოყენების კოლექტიური ხასიათის მიუხედავად, სოფლის ადათობრივი სამართლის წყალობით, უკმაყოფილო არავინ რჩებოდა. მიწის გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, მის დაცვასაც გულისხმობდა, რასაც მრავალსაუკუნოვანი მამა-პაპური საწარმოო ცოდნა-გამოცდილებით აღწევდნენ. სოფლის შემოგარენის მიწები, რა თქმა უნდა, კერძო

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 იანვარი, 1992წ.
[2] იქვე.

საკუთრებაშიც იყო, მათ შორის ტყეებიც („ნამაშვარი“, „დაცული“, „საბელავები“, „ნერგები“ და ა.შ.). ხდებოდა მათი ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ უმეტესად სოფელში მცხოვრებთა შორის და არც თუ იშვიათად ერთი გვარის პატრონომიულ გაერთიანებაში. ამრიგად, სოფელი ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა, რომელსაც ტრადიციული თვითმმართველობის მეოხებით კომლთა უფროსების ყრილობა მართავდა“[1].

ავტორს კარგად ესმის, რომ „ძალიან გაგვიგრძელდება ამ „გვაროვნულ-პატრიარქალურ“ ყოფაში დაბრუნება“[2]. მისთვის გასაგებია ოპონენტთა ეჭვიც, ამიტომაც ამბობს: „ნუთუ დღეს შესაძლებელია მამა-პაპურ „ფეძეს“ და „საკომლოებს დავუბრუნდეთ?! ანდა სადღაა ერის ბურჯი გლეხი, ნამდვილი მიწათმოქმედი?! გეთანხმებით, ნულიდან უნდა დავიწყოთ“[3].

მისი აზრით, გამოწვლილვით უნდა აღრიცხულიყო ყოველი პიროვნება, რომელიც ჯერ კიდევ სოფელში ცხოვრობდა და ტრადიციულ მეურნეობას მისდევდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექციათ ახალგაზრდა, მზარდი ოჯახებისათვის. სახელმწიფოს უნდა გამოეყო სამკვიდრო სოფლებში მცხოვრებ მიწათმოქმედთა პრივილეგიური კლასი, რომელიც სამუდამო, სამემკვიდრო მფლობელობაში მიიღებდა იმდენ მიწას, რამდენის დამუშავებასა და მოვლასაც შეძლებდა.

ასეთი ძირითადი კომლის სტატუსი სოფლის ყრილობაზე დამტკიცდებოდა და მიწის მიცემაც ყრილობის გადაწყვეტილებით მოხდებოდა.

მეურნეობის მოწყობისა და წარმართვისათვის როგორც სოფლიდან, ისე სახელმწიფოსაგან ძირითადი კომლი ყოველმხრივ დახმარებას მიიღებდა სესხის, კრედიტის და სხვა მისთანათა სახით.

ავტორი გვთავაზობს სოფლად კომლის ორი ძირითადი კატეგორიის გამოყოფას, რომლებიც მას ასე წარმოუდგება: „ა) მამა-პაპის მიწაზე კვლავ მკვიდრად მჯდომი ახალგაზრდა მზარდი ოჯახი,

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რომლის უზრუნველყოფისა და გამრავლებისთვის სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რადგან ის ქართველი ერის მომავლის გარანტია.

ბ) სხვაგან მცხოვრები და მომუშავე მამა-პაპური კარმიდამოს მქონე კომლი, რომელსაც სოფელი შთამომავლობით მიღებულ მიწას შეუნარჩუნებს, თუ მას დაამუშავებს, გამოიყენებს და როგორც კომლი, სოფლის საერთო ინტერესებს დაიცავს"[1].

მისი აზრით, „მსგავსი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საქართველოს არაქართულ რაიონებშიც"[2].

ლ.ფრუიძე გვთავაზობს, რომ სოფლის კომლთა ყრილობას დაეკისროს არა მარტო მიწის, არამედ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოს გამგებლობა. საჭიროების შემთხვევაში იგი დასაშვებად მიიჩნევს სოფლად კოოპერატიული გაერთიანების შექმნას, რომელიც კომერციულ დამოკიდებულებაში იქნებოდა სახელმწიფოსთანაც.

მიწის რეფორმასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებსა და ფაქტებს შეიცავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლადო ჭანტურიას სტატია „კვლავ მიწის საკუთრების შესახებ...", რომელშიც უცხო ქვეყნების გამოცდილებაა გაანალიზებული.

მიწის მფლობელობის სხვადასხვა ფორმათაგან ავტორი გადაჭრით უჭერს მხარს კერძომესაკუთრულს, მაგრამ თვლის, რომ „მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობის საფუძველი საკუთრების უფლების მოპოვება უნდა იყოს"[3]. ეს კი გულისხმობს იმას, რომ მიწის მსურველმა მიწის საკუთრების უფლება უნდა დაიმსახუროს. ამ მიზნით მას განსაზღვრული ვადით გადაეცემა მიწა სარგებლობაში, თუ იგი მიწით სარგებლობის ვადის განმავლობაში დაამტკიცებს, რომ უვლის მიწას ეფექტიანად, მოჰყავს მოსავალი, ეწევა მაღალპროდუქტიულ სოფლის მეურნეობას და ა.შ. მიწა მისი საკუთრება ხდება.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 იანვარი, 1992წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემდეგ მოიპოვებს იგი მესაკუთრის უფლებას“[1].

ლადო ჭანტურიას განმარტებით, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების ამგვარი გზა, რომელსაც იმატრიკულაცია ეწოდება, გამოიყენეს ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა, აგრეთვე ესპანეთმა და იტალიამ. „კერძოდ, ესპანეთში მსხვილი ლატიფუნდიების დაშლის შედეგად საკონკურსო წესით მიწები 10-12 წლის ვადით გადაეცათ გლეხებს. ამ ვადის გავლის შემდეგ, თუ ისინი დაამტკიცებდნენ, რომ შეეძლოთ მიწის მაღალეფექტიანად მოვლა, მიწა მათ საკუთრებაში გადადიოდა. მიწის გაყიდვის დროსაც ახალმა მესაკუთრემ უნდა დაადასტუროს, რომ მას შეუძლია მიწის მოვლა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იგი მესაკუთრე გახდეს“[2].

ავტორს საქართველოსათვის უფრო გამოსადეგად მიაჩნია იტალიელების გამოცდილება, რომლებმაც მიწა საკუთრებაში მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრ გლეხებს გადასცეს. ამას კი ასაბუთებს იმით, რომ იმ დროისათვის ჩვენში გლეხების უმრავლესობა კოლმეურნეობების წევრი ან საზოგადოებრივი მეურნეობების (ყოფილი საბჭოთა მეურნეობების) მუშები იყვნენ.

„მაგრამ ხომ შეიძლება საიმატრიკულაციო ვადის განმავლობაში პირმა არ დაამუშაოს და მოაცდინოს მიწა? - განაგრძობს მსჯელობას ავტორი, - ამგვარი შემთხვევებისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგ წესს: მიწით მოსარგებლე თუ სამი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, იგი კარგავს ამ მიწაზე უფლებას და მიწა გადაეცემა მას, ვინც დაამუშავებს. მიწის გამოუყენებლობის კრიტერიუმად „თვალსაჩინოთ გამოუყენებლობაა“ მიჩნეული“[3].

იმატრიკულაციის გზით მიწების განაწილებისა და მთლიანად მიწის რეფორმის გატარებისთვის ლადო ჭანტურია აუცილებლად თვლის საკმაოდ დიდი მასშტაბების მოსამზადებელი ღონისძიებების გატარებას. მისი აზრით, ჯერ ერთი, უნდა ჩატარდეს საქართველოში არსებული მთელი მიწების ინვენტარიზაცია, თითოეულ მიწის ნა-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

კვეთზე მიწის საკადასტრო ბარათი უნდა შედგეს, რომელშიც შეტანილი იქნება ამომწურავი მონაცემები მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ამის გარეშე რეფორმის ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია და უაზროც.

მეორე. განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად იმ პირთა სია უნდა შედგეს, რომელთაც იმატრიკულაციის საფუძველზე მიწის ნაკვეთის მიღება სურთ. შემდეგ უნდა მოხდეს მიწების დაყოფა შესაბამის ზონებად"[1].

ავტორი გვაცნობს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას კერძო საკუთრებაში გასაცემი მიწის ფართობის ოდენობის დადგენის თვალსაზრისით. მისი აზრით, ჩვენთვის უფრო გასათვალისწინებელია იაპონური კანონები, რომლებიც კრძალავენ ერთი ოჯახის ხელში 3 ჰექტარზე მეტი ფართობის თავმოყრას და მიწის ნაკვეთის დაქუცმაცებას 0,3 ჰექტარზე ნაკლებ ნაჭრებად, ვიდრე ლათინური ამერიკისა და აფრიკის სახელმწიფოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც მიწათმფლობელობის მაქსიმალური ოდენობა, როგორც წესი, განსაზღვრული არ არის.

ქართველი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი იყო ის საკითხიც, თუ რა მოცულობით უნდა მომხდარიყო მიწების პრივატიზაცია, მთლიანად თუ ნაწილობრივ. პრივატიზაციის მომხრეთაგან ჩვენში პრაქტიკულად ყველა თანახმა იყო მეორე ვარიანტისა ლადო ჭანტურიაც იზიარებს ამ თვალსაზრისს. ამავე დროს იგი აკონკრეტებს კიდეც, თუ რომელი მიწები უნდა დარჩეს სახელმწიფოს, სხვა ქვეყნების მაგალითების მოშველიებით ასეთებად იგი თვლის იმ ფართობებს, რომელთა პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ან მელიორაციისათვის სახელმწიფოს სახსრები აქვს გაღებული. ეს მიწები შეიძლება მხოლოდ სარგებლობაში გადაეცეს. „ასევე სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, კულტურულ ფასეულობებს შეადგენს. საქართველოში ამის მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ თბილისის აგლომერაცია. თბილისი მის ირგვლივ მიმდებარე, ქალაქ-თანამგზა-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 იანვარი, 1992წ.

ვრებთან ერთად ქმნის ერთიან საქალაქო აგლომერაციას. თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, თეთრიწყაროს და ამ რეგიონის სხვა დასახლებული პუნქტები მრავალი სამეურნეო, შრომითი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ურთიერთობით მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, უამრავი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა მათთვის ერთნაირად მწვავეა...

გარდა ამისა აგლომერაციაში მდებარე მიწები თბილისისა და მისი თანამგზავრი ქალაქების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფის ბაზა უნდა გახდეს! ამიტომ აგლომერაციაში შეიძლება მიწის კერძო საკუთრება შეიზღუდოს და იგი კვლავ სახელმწიფო საკუთრებად დარჩეს... აგლომერაციის ფარგლებში მიწის კერძო საკუთრება უნდა შეიზღუდოს, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია"[1].

ლადო ჭანტურიას აზრით, სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს ის მიწებიც, რომლებიც მას შიდარესპუბლიკური მიგრაციის განხორციელებისათვის სჭირდება. საქართველოსთვის კი ასეთი მიგრაცია აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა სტიქიური უბედურებების მხრივ საშიშ რეგიონს წარმოადგენს და ამის გამო აქ დრო და დრო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უსახლკაროდ რჩება, ,,ასეთ მიწებს უცხოეთის კანონმდებლობა შიდასახელმწიფოებრივი კოლონიზაციის მიწებს უწოდებს"[2].

იმატრიკულაციის გზით მიწის პრივატიზაციის თაობაზე საუბარს ლადო ჭანტურია ასრულებს განმარტებით, რომ იგი პირველ რიგში სასაქონლო სოფლის მეურნეობისათვის გამიზნულ მიწებს გულისხმობს, ხოლო ,,რაც შეეხება საკარმიდამო, საბაღე, სააგარაკო მიწის ნაკვეთებს, ისინი კანონიერ სარგებლობაში არსებული ოდენობის უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს საკუთრებაში. ეს იქნება პირველი ეტაპი მიწის რეფორმისა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მას მერე, როცა თითოეულ საკარმიდამო ნაკვეთზე შედგება ზუსტი საკადასტრო ბარათი, რომელიც ფაქტობრივად იქნება მიწის მესაკუთრის პასპორტი.

---

[1] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 14 იანვარი, 1992წ.

[2] იქვე.

ასევე პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს ნასოფლარების აღდგენის მიზნით კერძო საკუთრებაში მიწების გადაცემა. მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი იმ პირთ, ვინც მოისურვებს ნასოფლარებში დაბრუნებას და მიწის აღებას"[1].

ამის შემდეგ ავტორი განიხილავს საკითხს, თუ როგორ უნდა გავიგოთ მიწის კერძო საკუთრება. მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მაგალითებისამებრ უარყოფს რა მიწის მიმართ მესაკუთრეთა აბსოლუტურ უფლებებს, მას შემოაქვს მიწების ე.წ. უზენაესი მესაკუთრის ცნება, რომელშიც სახელმწიფოს გულისხმობს. საჭიროების შემთხვევაში იგი დასაშვებად მიიჩნევს მიწის ექსპროპრიაციის ინსტიტუტის არსებობასაც, თუ ეს საზოგადო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ავტორი მხარს უჭერს მიწის განკარგვის უფლების გარკვეულ შეზღუდვებს. აანალიზებს რა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას ამ საკითხში, მას მოჰყავს შესაბამისი მაგალითებიც, რომლებიც, მისი თქმით გასათვალისწინებელია ჩვენთვისაც. კერძოდ, იგი იწონებს უცხოელთათვის მიწის მიყიდვის აკრძალვას მექსიკისა და აშშ 10 შტატის მსგავსად, საჯაროობის პრინციპს მიწაზე საკუთრების უფლების წარმოშობისას, რომელიც იაპონიაში არსებობს, მიწის გაყიდვის შესახებ ინფორმაციის წინასწარი გამოქვეყნების წესს და მიწის ზღვრული ფასის დაწესების საფრანგეთში გავრცელებულ პრაქტიკას. მისი აზრით, ყველაფერი ეს ხელს უწყობს მიწების განიავებისა და სპეკულაციის გამორიცხვას.

საინტერესოდ ეჩვენება ავტორს უცხოეთის გამოცდილება მიწის მემკვიდრეობით გადაცემის საკითხშიც. იგი წერს: „აქაც კანონმდებლობა მნიშვნელოვან შეზღუდვებს ითვალისწინებს. მაგალითად, საფრანგეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების მემკვიდრეობით მიღების დროს უპირატესობა ენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს და სოფლის მეურნეობას მისდევს. სხვა მემკვიდრეებს კი კომპენსაცია მიეცემათ"[2]. იგი მხარს უჭერს აგრეთვე ერთმემკვიდრეობისა და გლეხური მეურნეობის გაუყოფადობას, მიწის

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 14 იანვარი, 1992წ.
[2] იქვე.

სავალდებულო დამუშავებას, მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პრინციპებს.

დასკვნის სახით ლადო ჭანტურია დასძენს: „ერთი რამ ცხადია, ჩვენ უნდა გადავიდეთ მიწის კერძო საკუთრებაზე. თუმცა ეს ის საკითხია, რომლის გადაწყვეტისას აჩქარება არ შეიძლება, მაგრამ დაგვიანებაც დაუშვებელია“[1].

„მრგვალმაგიდელების“ დამხობის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ კი ჩათვალა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და დაუყონებლივ შეუდგა ამ საქმეს. 1992 წლის იანვრის დასაწყისში გამოაქვეყნა მიწის რეფორმის კანონპროექტი, ხოლო თებერვლის პირველ ნახევარში შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ დადგენილების ზოგიერთ მომენტს, რათა ცხადი გახდეს, რაა გათვალისწინებული იქ დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებებიდან და რა არა.

დადგენილების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები იყოფოდა სახელმწიფო მიწებისა და მიწის რეფორმის ფონდებად. ამრიგად გაზიარებულ იქნა იმათი პოზიცია, ვინც მოითხოვდა მიწების მხოლოდ ნაწილის პრივატიზაციას. სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა მიწები, რომლებიც უვადო სარგებლობაში ჰქონდათ გადაცემული ექსპერიმენტულ მეურნეობებს, საცდელ და საყრდენ სადგურებს, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, მეთესლეობის, სანერგე, საჯიშე მეურნეობებს, მსხვილი მეცხოველეობისა და მეფრინველეობის კომპლექსებსა და ფაბრიკებს, სასათბურე კომბინატებს, აგრეთვე რეკრეაციული დანიშნულების მიწები, სტრატეგიული კულტურებით დაკავებული მსხვილი მექანიზებული ფართობები, უბნები, სადაც ფუნქციობდნენ მაღალსპეციალიზებული მეურნეობები, სარეზერვო მიწები სტიქიური და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მოსახლეობის განსახლებისათვის, მიწები, რომლებიც პერსპექტივაში საბაღედ და სააგარაკოდ გამოსაყოფად იყო განკუთვნილი, მიწები, რომლებიც განლაგებული იყო დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონებში, სამრეწველო ცენტრებში

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 14 იანვარი, 1992წ.

(აგლომერაციული მიწები) მიწები, რომლებზეც სახელმწიფო სასხრებით აშენებული იყო სამელიორაციო სისტემები და ნაგებობები, სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში განლაგებული და აგრეთვე განსაკუთრებული დანიშნულების სხვა მიწები.

მიწის რეფორმის ფონდის ხარჯზე დაშვებული იყო ყველა ფორმის მეურნეობის მოწყობა მათთვის მიწის საკუთრებაში, მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემით. ეს მიწები სოფლის მფლობელობაში გადაეცემოდა.

საკარმიდამო ნაკვეთები, საბაღე და სააგარაკე მიწები კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში უფასოდ გადადიოდა იმათ საკუთრებაში, რომლებზეც ირიცხებოდნენ. ამასთან ერთად ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი საკარმიდამო ფართობის უფასოდ გაზრდა დაბლობ რაიონებში 0,75 ჰექტარამდე, მთაში - 3 ჰექტარამდე.

მიწების განაწილების დროს უპირატესობა ენიჭებოდათ სოფლებში მუდმივად მაცხოვრებლებს, თუმცა გათვალისწინებული იყო სოფლების ყოფილ მკვიდრთა, რომლებსაც ამ სოფლებში სახლი ან სახლის ნაწილი ჰქონდათ საკუთრებაში და შეძლებისდაგვარად ქალაქის მშრომელთა ინტერესებიც, რაც შეეხება მიწების ყოფილ მეპატრონეებსა და მათ მემკვიდრეებს, მიწები მათ საერთო საფუძველზე დაურიგდათ. ამასთან ერთად შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოთ ნაკვეთები ადრე მათს ან მათი წინაპრების კუთვნილებაში მყოფ მიწებზე.

დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ მიწები საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემოდათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს კი დროებით სარგებლობაში.

მიწით სარგებლობისათვის წესდებოდა ერთი ყოველწლიური გადასახადი, რომელიც ყველა ტიპის მეურნეობას ეკისრებოდა.

დადგენილების ავტორები გრძნობდნენ საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობას, მიუხედავად ამისა მათ მაინც აუცილებლად ჩათვალეს ამ ხარვეზის შევსებას არ დალოდებოდნენ. როგორც ჩანს,

ისინი თვლიდნენ, რომ დრო აღარ ითმენდა. მიწა უნდა დარიგებულიყო მანამ, სანამ მისი დამუშავება დაიწყებოდა, ამიტომ შესაბამის ორგანოებს დაევალათ ერთი თვის განმავლობაში მოემზადებინათ სათანადო საკანონმდებლო აქტები: მიწის რეფორმის შესახებ, გლეხური (საოჯახო) მეურნეობის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების შესახებ, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესახებ, სოფლის მეურნეობაში მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა იჯარით გაცემის შესახებ, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით სახელმწიფო და აგრარულ ფონდებში მიწების განაწილების შესახებ, ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით საკარმიდამო, საბაღე, სააგარაკე მიწების ზღვრული ოდენობის დაწესების შესახებ, ერთი ოჯახისათვის გამოყოფილი მიწის ზღვრული ოდენობის შესახებ, საადგილმამულო ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ, მიწის ფასისა და მიწის გადასახადის შესახებ, სასოფლო-სამეურნეო საწარმოს განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის შესახებ.

როგორც ვხედავთ, დადგენილება ღიად ტოვებდა ზოგი საკითხის გადაწყვეტას, მაგალითად, მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლებას, ამიტომ იგი ამ საკითხზე დისკუსიების გაგრძელების საშუალებას იძლეოდა, რაც საკმაოდ კარგადაც იქნა გამოყენებული.

განვიხილოთ რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიან საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებებზე.

„პრივატიზაციის გორდიას კვანძი“ - ასეა დასაბუთებული ნიადაგის ნაყოფიერების საპროექტო-ტექნოლოგიური რესპუბლიკური ცენტრის დირექტორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის მამუკა მენაღარიშვილისა და მისი მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ანატოლი უთურგაულის სტატია, რომელიც დადგენილების მიღებიდან ორიოდე კვირის შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში“. მისი ავტორები მნიშვნელოვან და არაორდინალურ მოვლენად თვლიან მიწის რეფორმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ გარდამავალი პერიოდის იმ ეტაპზე, სანამ სოფლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი

საფუძვლები არ განმტკიცდებოდა და არ შეიქმნებოდა პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ახალი ინფრასტრუქტურა, მიწის გაყიდვის უფლება მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. მათი აზრით, პრივატიზაცია თანმიმდევრულ ეტაპებად უნდა განხორციელებულიყო.

„გვყვანან კი ჩვენ ასეთი პრეტენდენტები, - კითხულობდნენ ავტორები, - ახალგაზრდა და ჯანლონით სავსე, მიწაზე მუშაობის მსურველები, რომლებსაც ამასთან ერთად აგრონომიული განათლება გააჩნიათ? პირდაპირ ვიტყვით, ბევრი არა. აგრონომიული განათლების მხრივ მდგომარეობა რესპუბლიკაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას“[1].

ავტორები პირველ რიგში საჭიროდ თვლიდნენ „დაემუხრუჭებინათ კონვეიერი, რომელიც დიდი სისწრაფით უშვებდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვაი-აგრონომებს, და გადასულიყვნენ ისეთი სპეციალისტების მოფიქრებულ და საფუძვლიან მომზადებაზე, რომლებიც შეძლებდნენ არასტანდარტულად, შემოქმედებითად გადაეჭრათ თანამედროვე, სოფლის მეურნეობის ამოცანები“[2]. ეს ამოცანები კი მათ დაჰყავდათ შემდეგ მოკლე პოსტულატებამდე: „შეძლონ მოინიონ მოცულობისა და ქიმიური სისუფთავის მხრივ მისაღები მოსავალი: ამასთან უზრუნველყონ ნიადაგის თუნდაც არსებული ნაყოფიერების შენარჩუნება; მოსავლის მიღების პროცესში ზიანი არ მიაყენონ გარემომცველ ბუნებას“[3]. ავტორების აზრით, ეს ურთულესი ამოცანაა, რომელსაც ზემოდან ვერავითარი ბრძანებულებითა და აგროწესებით ვერ მართავ. ყველაფერი ადგილზე უნდა გადაწყდეს, ინდივიდუალურადაც კი თითოეულ ცალკე ნაკვეთზე პერსონალურად აგრონომის და მხოლოდ მის მიერ.

„ამასთან დაკავშირებით, - ნათქვამია სტატიაში, - ღირს ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ამერიკისა და სხვა ქვეყნების ფერმერთა უდიდესი ნაწილი კარგად მომზადებული სპეციალისტები არიან, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ დიპლომები აქვთ. და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან შესაბამისი აგრონო-

[1] Газ. “Свободная Грузия”, 11 февраля, 1992 г.
[2] Там же.
[3] Там же.

მიული განათლების გარეშე მომავალ ფერმერს თავის საკუთარ მიწაზე მუშაობის ნებასაც არ მისცემენ. ჩვენ ამას საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას, დასავლეთში კი მოცემულ პრობლემას პრინციპული სერიოზულობით ეპყრობიან...

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში ფერმერი რომ გახდე, ისიც კი არ არის ადვილი, და გამომდინარე აქედან, დღევანდელ ჩვენს გაიოლებულ მიდგომას მიწის პრივატიზაციის პრობლემასთან ვოლუნტარიზმის სუნი უდის"[1].

ავტორები თვლიან, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ყველა ფერმერი, როგორც ერთი, მაღალი ერუდიციის მქონეა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ისეთ დონეზეა მომზადებული, რომ სხვადასხვა კულტურის მოსაყვანად საკუთარ ტექნოლოგიებსაც კი ქმნიან, რეკონსტრუქციას უკეთებენ თავისი პირობების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, დასამუშავებელ იარაღებს, ნიადაგის ნაყოფიერების დამცავ სისტემებსა და ბევრ, ბევრ სხვა რამეს. ავტორთა განმარტებით, „გვხვდებიან, რასაკვირველია, შემთხვევითი ადამიანებიც, მაგრამ ისინი უმკაცრესი კონკურენციის პირობებში მეტწილად სწრაფად ღატაკდებიან და დეგრადაციას განიცდიან. არსებობას კი ინარჩუნებენ ყველაზე ინიციატივიანები და ყველაზე განათლებულები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად მფარველობენ კიდეც ხელმოცარულებს, აძლევენ რა მათ არსებობისათვის საჭირო სახსრების გამომუშავების საშუალებას, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა"[2].

ავტორებს მიაჩნიათ, რომ მიწის პრივატიზაცია მოითხოვს შესაბამის წინასწარ სოციალურ, ეკონომიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ მომზადებას და, გამომდინარე აქედან, გვთავაზობენ აგრონომის დიპლომის მქონე სპეციალისტთა გადამზადების ორგანიზაციას იმ მიზნით, რომ მათ მოიპოვონ მიწაზე კერძო სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

---

[1] Газ. "Свободная Грузия", 11 февраля, 1992 г.
[2] Там же.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მხრივ კონტროლის გაძლიერებაზე ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ნიადაგის ნაყოფიერება, მოსავლიანობის თანმიმდევრული ზრდა, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარია, ქიმიზაცია, რადიოლოგია, ტოქსიკოლოგია და სხვა.

ავტორებს დაუსაბუთებელ ოცნებად მიაჩნიათ ზოგიერთი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის მტკიცებანი უდოტაციო სოფლის მეურნეობის არსებობის შესახებ. მათი სიტყვებით, „ყველა თანამედროვე ეკონომიკურად განვითარებული, მდიდარი და აყვავებული ქვეყანა უკვე დიდი ხანია და დღესაც ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს ხარჯავს სოფლის მეურნეობის დოტაციაზე. მაგალითად, 1990 წელს აშშ დოტაციის სახით სოფლის მეურნეობას გადაუხადეს 79 მილიარდი დოლარი, იაპონიამ კი - 65 მილიარდი...

დოტაცია... თანამედროვე ეკონომიკური საფუძვლების რკინისებური მოთხოვნილებაა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც კი. მიზეზი სპეციფიკაა სოფლის მეურნეობისა, რომელიც სხვა დარგებთან შედარებით ყოველთვის არაპრესტიჟულია. იგი მძიმე შრომას მოითხოვს, ხასიათდება სამუშაო ადგილზე კომფორტის უქონლობით ყოველგვარ ამინდში, ხელს არ უწყობს ადვილ და წარმატებულ მეწარმეობას“[1].

საინტერესოა ავტორების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წამგებიანი სოფლის მეურნეობაც კი არსებობის უფლებას იმსახურებს. ამის დასამტკიცებლად ისინი იშველიებენ იაპონიის მაგალითს. „იაპონიას უკვე დღესვე შეეძლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ლიკვიდაცია მოეხდინა - ნათქვამია სტატიაში - და შეესყიდა ყველაფერი, რასაც კი მოისურვებდა, სხვა ქვეყნებში. მიაქციეთ ყურადღება, ეს უფრო იაფი იქნებოდა, ვიდრე ადგილზე ეწარმოებინა საკუთარი კვების პროდუქტები. იაპონიაში კი ასე არ იქცევიან, სამართლიანად თვლიან რა, რომ უფრო მნიშვნელოვანია არა ამწუთიერი სარგებელი, არამედ სოციალური მშვიდობის გარანტია საზოგადოებაში, მოქალაქეთა შრომითი მოწყობის შესაძლებლობა. ამის გათვალისწინებით, ყოველდღიური მილიარდები, რომლებსაც სოფ-

[1] Газ. “Свободная Грузия”, 11 февраля, 1992 г.

ლის მეურნეობისათვის დოტაციის სახით გამოყოფს იაპონიის მთავრობა..., წამგებიანი ღონისძიება არ არის. სულაც არა. ანალოგიურად მოქმედებს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა - აშშ, შვეცია და სხვები"[1].

მიწის რეფორმასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან ეკონომისტთა, პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა შორის ყველაზე მწვავე კამათსა და შეხლა-შემოხლას მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლების საკითხი იწვევდა. მათი ერთი ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ასეთი უფლების დაშვებას. მოტივი სხვადასხვა იყო - მიწის განლაგების, სპეკულაციის, ერთ ხელში თავმოყრის, სოციალური უსამართლობის საფრთხე და სხვ., მაგრამ უფრო ხშირად ეს აიხსნება შიშით, რომ ქართული მიწები უცხოელებს (მათში არაქართული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეებიც იგულისხმებიან) შეეძლოთ ჩაეგდოთ ხელში. ზოგი მიწის გაყიდვის აკრძალვის მოთხოვნას უფრო ზომიერი ფორმით გვაცნობს, ზოგი კი კატეგორიული სახით. პირველთა შორის იყო გივი გაჩეჩილაძე, რომლის მოსაზრებებს ჩვენ უკვე გავეცანით, მეორეთა შეხედულებებს კი გამოხატავს პროფესორთა ჯგუფი (თენგიზ ჩხეიძე, ოთარ საღარეიშვილი, რამინ რამიშვილი, ალექსანდრე ბენდიანაშვილი, ლევან ფრუიძე, ტიტე ჩიქოვანი), რომელმაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით ღია წერილით მიმართა ჩვენი ქვეყნის პარლამენტის წევრებს. მოჰყავთ რა ქართველებისადმი არაქართველთა არალოიალური დამოკიდებულების მაგალითები, ისინი ასკვნიან, რომ „ამ და სხვა უამრავი მიზეზის გამო დღეს მიწით ვაჭრობის დაკანონება საბედისწერო შეცდომა იქნება"[2]. წერილში ნათქვამია: „ეჭვგარეშეა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც სავალალო ეთნიკურ მდგომარეობას, რაც დამღუპველია ჩვენი ერისათვის. რა დასამალია, და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან - ჩვენი „თანამემამულეები" აქტიურად მონაწილეობდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. არც ისაა შემთხვევითი, რომ აფხაზეთში შეიქმნა ბაგრამიანის სახელობის სამხედრო ბატალიონე-

[1] Газ. "Свободная Грузия", 11 февраля, 1992 г.

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 28 მაისი, 1993წ.

ბი. ამიტომ ჩვენი ღრმა რწმენით, სანამ საქართველო ეთნიკურად ფეთქებად მდგომარეობაშია, მიწის გაყიდვა დაუშვებელია“[1].

წერილის ავტორთაგან ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩეოდა პროფ. თ. ჩხეიძე, მან შემდგომაც არაერთი მასალა დაბეჭდა ქართულ პრესაში (2003 წელს ისინი ცალკე კრებულადაც კი გამოსცა), რომლებიც მოწმობს, რომ იგი დღემდე ზემოაღნიშნული პოზიციის ერთგული რჩება და ენერგიულადაც იცავს მას.

სხვები მიიჩნევდნენ, რომ უსიამოვნებანი საქართველოს ქართული და არაქართული წარმოშობის მოქალაქეთა შორის დროებითი მოვლენაა. მათი ძირები საბჭოურ სინამდვილეშია და ახლა, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რომ ეს პრობლემა ყველასათვის სასიკეთოდ გადავწყვიტოთ. მათი აზრით, საქართველოს მოქალაქეების დაყოფა პრივილეგირებულ და დისკრიმინირებულ ნაწილებად, ხელს შეუშლის მათს ინტეგრაციას და დაახლოებას და ფეთქებადსაშიშ ვითარებას სწორედ ეს შექმნის. ამას გარდა შიში იმისა, რომ ქართველები უმიწებოდ დარჩებიან და მათს მიწებს არაქართული მოსახლეობა შეიძენს, რბილად რომ ვთქვათ, გადაჭარბებულია და მეცხრამეტე საუკუნის რეალობას უფრო შეესაბამება, ვიდრე დღევანდელობისას.

მიწის ყიდვა-გაყიდვის მომხრეები აგრეთვე თვლიან, რომ ჩვენს სინამდვილეში რეალურად და უფრო უმტკივნეულოდ მხოლოდ ამით შეიძლება მივაღწიოთ ცუდ მეურნეთა ან მიწის დამუშავების არმსურველ მიწათმფლობელთაგან მიწების გადაცემას იმათ ხელში, ვისაც მეურნეობის გაძღოლის უკეთესი უნარი და შესაძლებლობა აქვთ, და რომ დიდი ფართობების თავმოყრა ერთ ხელში არამცთუ არასასურველი არ არის, პირიქით, აუცილებელიცაა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების მისაღწევად. ღია წერილის ავტორთა თქმით, სწორედ ასე ფიქრობდა დეპუტატთა ერთი ნაწილიც, რომელსაც მიაჩნდა, რომ „მსხვილი კაპიტალისტური ფერმერული მეურნეობების გასამართავად აუცილებელია შესაფერი სავარგულების შეძენა. სხვანაირად, თურმე, ვერ გავხდებით მაღალგანვითარებული და ცივილიზებული ქვეყანა“[2]. ღია წერილის ავტორ-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 მაისი, 1993წ.

[2] იქვე.

თა მიერ ამ სიტყვებში „თურმეს“ ჩართვა გასაგებია. ალტერნატივად ისინი იჯარას გვთავაზობენ, როგორც „აგრარული ურთიერთობის უნიკალურ ფორმას, რომლის გამოყენებით, ამერიკის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის მსგავსად, ჩვენთანაც შეიძლება ნებისმიერი სახით კაპიტალისტური მეურნეობების გამართვა“[1].

მიწით თავისუფლად ვაჭრობის მხარდამჭერნი მიიჩნევენ, რომ „საბაზრო ეკონომიკის (რომელსაც ვერ ავცდებით) მთელი ფილოსოფია აკუმულირებულია კერძო საკუთრებაში. ეს უკანასკნელი კი წარმოუდგენელია, თუ არ იქნება ყიდვა-გაყიდვის თავისუფლება. ამ ლოგიკას ვერავინ გაექცევა. ამიტომაც გადაწყდა დაშვებულიყო მიწების პრივატიზაცია“[2]. ისინი თანხმდებოდნენ ერთ რამეშიც, რომ ეს უაღრესად საპასუხისმგებლო და რთული საქმეა. მათი ძირითადი ნაწილი იზიარებდა იმ აზრს, რომ ეს „ჰაიჰარად და უკონტროლოდ კი არა, საადგილმამულო ბანკის საშუალებით უნდა წარიმართებოდეს და რეგულირდებოდეს, ხოლო პირველი სიტყვა მისი მიზანშეწონილობისა და თანხმობის თაობაზე სოფლის საკრებულოს ეკუთვნის“[3]. მათი თვალსაზრისია ფიქსირებული ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ომარ ქეშელაშვილის სტატიაში „ნუ ეხუმრებით პრივატიზაციას“, საიდანაცაა მოხმობილი ორი უკანასკნელი ციტატაც.

თავის სტატიაში ომარ ქეშელაშვილი აკონკრეტებს, თუ როგორ წარმოუდგენია მას საადგილმამულო ბანკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. „საადგილმამულო ბანკმა - წერს იგი, - მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები რეგლამენტირებულ საფუძველზე და დიფერენცირებული მიდგომით უნდა აწარმოოს. მან კონტროლი უნდა გაუწიოს იმას, თუ ვინ ყიდის და ვინ ყიდულობს, საქართველოს მოქალაქეა იგი თუ არა, რომელ რეგიონში და რა ფასად იყიდება ესა თუ ის მიწის ნაკვეთი. ამისათვის მას უნდა გააჩნდეს საგანგებო შკა-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 მაისი, 1993ბ.
[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 ნოემბერი, 1992ბ.
[3] იქვე.

ლა მიწების ეკონომიკური შეფასებისა და მიწის სათავსოების შესახებ, ცალკეული მიკრორეგიონების მიხედვით“[1].

ავტორი მოგვიწოდებს გამოვიჩინოთ სიფხიზლე, რომ ბანკი მიწის ყიდვა-გაყიდვის დამაბრკოლებლად არ იქცეს. მისი აზრით, იგი „მოწოდებულია მხოლოდ წესრიგი შეიტანოს ამ საქმეში და მკაცრად დაიცვას კანონით მინიჭებული უფლებები, ხელი შეუწყოს სარფიან და ურთიერთსასარგებლო გარიგებებს, არ დაუშვას მიწების განიავების, არაადგილობრივ მოსახლეობაზე მიყიდვის, გამოძალვის შემთხვევები და სხვ.

ამასთან ბანკს უნდა ჰქონდეს თავისი წესდება, უფლებამოსილება, ფუნქციონირების კრიტერიუმები, ნორმები, პრინციპები და ეროვნული კრედო.

საადგილმამულო ბანკმა უნდა უზრუნველყოს: მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლიანობის დაკრედიტება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი კრედიტების გაცემა, ფასიანი ქაღალდებისა და აქციების შესყიდვა-გავრცელება, საანგარიშსწორებო მომსახურება... მან საკუთარი და მოზიდული რესურსების ფარგლებში დამოუკიდებლად უნდა აირჩიოს დაკრედიტების ობიექტები, ნორმები, ვადები, დაბეგვრისა და მისი რეგულირების ერთიანი წესი და რეჟიმი. ამავე დროს ბანკი ასრულებს სარეზერვო სისტემის ფუნქციებს და უარს ამბობს ფულის მიმოქცევის რეგულირების ან შეზღუდვის ცალმხრივ მოქმედებაზე.

საადგილმამულო ბანკში ოპერაციები უნდა სრულდებოდეს შეუზღუდავად, კომერციული ანგარიშის პრინციპებით, პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების, ბაზრის კონიუნქტურის და სხვა ამგვარი კრიტერიუმების საფუძველზე... ამასაც ვიტყვით, რომ ამ პროცესებს საქართველოში ქართული ხელწერა და სული უნდა დაჰკრავდეს და ეტყობოდეს. ყოჩაღი მეურნის ხელში ყიდვა-გაყიდვა, როგორც წარმატებების ბერკეტი ყოველთვის მოთოკილია და მიზნობრივად არის გამოყენებული“[2].

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 7 ნოემბერი, 1992წ.
[2] იქვე.

ასეთი ბანკის ,,აღმაშენებლის“ გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ ნანიტაშვილი ამ საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების არსებობის უმთავრეს აზრს ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის ხელშეწყობაში ხედავს. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც პრივატიზაციის შედეგად მიწა უბრუნდება მის ჭეშმარიტ პატრონს - გლეხს, საამისოდ პირობები უკვე შექმნილია, ,,მაგრამ მხოლოდ ენთუზიაზმით ამის გაკეთება, ცხადია, შეუძლებელია: იმისათვის, რომ გლეხმა კერძო მეურნეობას მოჰკიდოს ხელი და საერთოდ საქმეც ახეიროს, დიდძალი თანხა უნდა დახარჯოს. ამგვარი სახსარი კი ყველას როდი გააჩნია - დღეს, როცა მიწის პრივატიზაცია დაიწყო, მატერიალური თანადგომა და ტექნიკური უზრუნველყოფა მიწის კანონიერ პატრონს მართლაც ჰაერივით სჭირდება. ამიტომაც უპრიანი იყო საქართველოს საადგილმამულო ბანკის ,,აღმაშენებლის“ დაარსება, უფრო სწორად მეორედ დაბადება, რამეთუ იგი კანონიერი და პირდაპირი მემკვიდრეა დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წელს დაარსებული საადგილმამულო ბანკისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა იმდროინდელი საქართველოს დაკნინებული სოფლის მეურნეობის აღორძინებაში... სწორედ ასეთი ბანკის არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხს ფერმერული მეურნეობის შექმნაში“[1].

უფრო მოგვიანებით შეიქმნა გლეხთა და ფერმერთა საკრედიტო ბანკებიც, რომელთა მეპაიები ძირითადად ცალკეული სოფლების მაცხოვრებლები იყვნენ. ამ ბანკებიდან გლეხებს დაბალი პროცენტით ეძლევათ სესხი მიწის დასამუშავებლად, შხამ-ქიმიკატებისა და სასუქის შესაძენად და სხვა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის. ეს წამოწყება გარკვეულ იმედებს ქმნიდა, მაგრამ მათს რეალიზაციას ხელს უშლიდა სახელმწიფოს მწირი შესაძლებლობანი ამ საქმისათვის ფინანსური შემწეობის აღმოსაჩენად. ქართული მედია ამ პრობლემას კი ეხმაურებოდა, მაგრამ არა ისეთი მონდომებით, როგორსაც ვითარება მოითხოვდა.

მიწის რეფორმის თაობაზე გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებაზე პასუხებს შეიცავს საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 ივლისი, 1992წ.

ისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პაატა კოლუაშვილის ინტერვიუ, რომელიც მან გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტს მისცა. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, სწორედ ამ უწყებას დაევალა აღნიშნული ღონისძიების განხორციელება, რაც მისი სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს.

პაატა კოლუაშვილი იმათ გასაგონად, ვინც მიწის პრივატიზაციის დაწყებას ნაჩქარევად მიიჩნევდა, განმარტავდა, რომ „პრივატიზაცია არ წარმოადგენს ერთჯერად სახელობრივ აქტს - ეს არის ხანგრძლივი და სათუთი პროცესი. მას სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილი გააჩნია - პოლიტიკური, ინსტიტუციონალური და ტექნიკური. დღეს პოლიტიკური შემადგენელი განსაზღვრავს პრივატიზაციის პროცესის დაწყების აუცილებლობას. პირველ ეტაპზე საზოგადოებამ რეალურად უნდა დაინახოს, რომ ხდება ძირეული ცვლილებები საზოგადოების მოწყობაში, ხორციელდება რეალური ეკონომიკური მექანიზმისაკენ შემობრუნება...

რაც შეეხება პრივატიზაციის შემდგომ ეტაპებს, ჩვენ ისინი უფრო მეტი სიდინჯითა და სიფრთხილით უნდა განვახორციელოთ. აქ უნდა გავითვალისწინოთ როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება, ასევე ჩვენი სპეციფიკის ანალიზის შედეგები“[1]. გარდა ამისა მას იმედი ჰქონდა, რომ პრივატიზაციის პირველი ეტაპი საშუალებას მოგვცემდა შეგვეჩერებინა ეკონომიკური სტაგნაციის პროცესი და აღმოგვეფხვრა დეფიციტი.

პრივატიზაციის შემდგომი ეტაპებისა და საერთოდ, მთლიანი პროცესის კონცეფციის შემუშავებას რესპონდენტი ახალ პარლამენტს აკისრებდა, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე, ე.ი. რამდენიმე თვის შემდეგ უნდა არჩეულიყო. იგი არ იზიარებდა თვალსაზრისს, რომ მიწის მომავალ მესაკუთრეებს კვალიფიკაციის ამაღლება მართებდათ და თვლიდა, რომ „მიწის თანამედროვე მფლობელის ინტელექტუალური დონე დღეს განუზომლად მაღალია“[2]. ეს გარემოება და აგრეთვე ის, რომ „გაუნათლებელ და უცოდინარ მიწათმფლო-

[1] გაზ. „საქართველო“, 10 აპრილი, 1992წ.
[2] იქვე.

ბელს საბაზრო ეკონომიკა ვერ იგუებს, იგი გაკოტრდება"[1], პაატა კოღუაშვილის აზრით, უზრუნველყოფდა კარგ მოსავლიანობასაც, ეკოლოგიურ უსაფრთხოებასაც და მიწის დაცვასაც. ამის საფუძველს იძლეოდა ისიც, რომ სახელმწიფოს კუთვნილებაში დარჩენილი მიწების გაცემა საიჯარო და სარენტო წესით საკონკურსო საფუძველზე უნდა მომხდარიყო.

პ.კოღუაშვილი ითვალისწინებდა პროდუქციის ბრუნვის ოპტიმალური რეჟიმის არსებობის საჭიროებასაც და თვლიდა, რომ ამის მიღწევა შესაძლებელი გახდებოდა შესაბამისი შეღავათების ეკონომიკური სისტემის გამოყენებით.

დავა მიწის რეფორმის თაობაზე მისი დაწყებიდან კიდევ რამდენიმე წელი გრძელდებოდა. ამასთან ეს დავა მიმდინარეობდა არა თვით რეფორმის მიზანშეწონილობაზე, არამედ მისი ჩატარების ფორმის შესახებ. დამოკიდებულება მისდამი სულაც არ ყოფილა ცალსახა. ერთნი თუ დადებით მოვლენად მიიჩნევდნენ (გარკვეული შენიშვნებით, რასაკვირველია), მეორენი მკვეთრად უარყოფითად აფასებდნენ მას. სმკ ეკონომიკურ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ, მაგალითად, ეს რეფორმა, დაახასიათა როგორც პოპულისტური ღონისძიება. თავის ბროშურაში ,,ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი ,,შოკური თერაპიიდან" - ,,სოციალურ სტიმულირებამდე" იგი წერს: ,,1991 წლის დეკემბრის - 1992 წლის იანვრის ცნობილი მოვლენების შემდეგ. დაიწყო ეკონომიკური რეფორმის პოპულისტური ეტაპი. ამ დროს მოსახლეობის მხრიდან ,,იაფფასიანი" გზით მხარდაჭერის მოპოვების მიზნით ხელისუფლებამ უსასყიდლოდ დაარიგა მიწები..., რამაც დიდი ზიანი მიაყენა აგრარულ სექტორს... კერძოდ მიწების პრივატიზება განხორციელდა მექანიკურად, რამაც პრაქტიკულად დაანგრია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა (ტექნიკით, სასუქებით და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის სისტემა), ხოლო მიწაზე კერძო საკუთრების ინ-

[1] გაზ. ,,საქართველო", 10 აპრილი, 1992წ.

სტიტუტის საკანონმდებლო უზრუნველყოფის გარეშე მინათსარგებლობის ეფექტიანობა ძალზედ დაბალია"[1].

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ რეფორმას „ანტირეფორმა" უწოდა[2]. ჟურნალისტ მარიამ სოლომონიას აზრით, „ერთადერთი, რითაც გლეხი სარჩო-საბადებელს შოულობს ეს მიწაა და ისიც ხელისუფლებამ თავის დროზე საკუთრებაში იმდენად მცირე გადასცა (ჰექტარს არ აღწევს), რომ ფეხის გასაჭიმადაც არ ჰყოფნის"[3]. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თენგიზ ჩხეიძემ კი ე.წ. მიწის პრივატიზაცია - „რეფორმა" შეაფასა, როგორც მოვლენა, რომელმაც „სოფლის მეურნეობის განადგურება და მშრომელი გლეხობის გაუბედურება გამოიწვია"[4].

მიწის რეფორმის განხორციელებაში საქართველოს შემწეობას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები და უცხოეთის ცალკეული ქვეყნები. გაზეთ „ეკო-დაიჯესტის" ცნობით, „ფერმერთა დასახმარებლად საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ზრუნავს. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან უკვე რამდენიმე წელია, აქტიურად თანამშრომლობენ გაეროს სოფლის მეურნეობის განვითარების ორგანიზაცია (FAO), სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდი (FAD) და სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციები. მათ მიერ დაფინანსებული მსოფლიოში აპრობირებული გლეხთა საკრედიტო კავშირების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოშიც წარმატებით მიმდინარეობს. ევროპისა და ამერიკის სამთავრობო გრანტები და კრედიტები აგრარული სექტორის თითქმის ყველა დარგს აფინანსებს და რეალური შედეგებიც მივიღეთ"[5].

საქართველოში მიწა გლეხებს კერძო საკუთრებაში გადაეცათ ყიდვა-გაყიდვის უფლებით, მაგრამ ამ უფლების რეალიზაცია, წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა მიწაზე საკუთრების დამადასტურებელი სერთიფიკატების გაუცემლობის გამო, რომლის საშუალებით

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან" „სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995, გვ. 3.

[2] გაზ. „რეზონანსი", 13-14 იანვარი, 1996წ.

[3] გაზ. „ახალი თაობა", 2 აპრილი, 1999წ.

[4] გაზ. „საქართველო", 16-22 თებერვალი, 1999წ.

[5] გაზ. „ეკო-დაიჯესტი", 18-19 ოქტომბერი, 1999წ.

გლეხს შეეძლო მიწა კანონიერად ეყიდა, გაეყიდა, უსაფრთხოდ გაეცა იჯარით ან გამოეყენებინა საგირავნო საშუალებად. სერთიფიკატების გაცემა ფერხდებოდა იმის გამო, რომ იგი მოითხოვდა საკმაოდ დიდი მოცულობის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას, რომელიც გვარიანი თანხა ჯდებოდა. ამ სახსრების გაღება ჩვენს ქვეყანას ძალზე უჭირდა და არავინ უწყის, როდის შეძლებდა ამას, რომ არა აშშ მთავრობა, რომელმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდა და ეს ღონისძიება დააფინანსა. ამ და სხვა ქვეყნების ხელისუფლება ბევრი სხვა სახის დახმარებასაც გვიწევს უანგაროდ და ამისათვის ჩვენ მხოლოდ მადლობის თქმა გვმართებს.

მიწის რეფორმა იმდენად მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომ მთელი მოცულობით მისი გაშუქებისათვის თვალის მიდევნება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს შევეხეთ და იმდენად, რამდენადაც მინიმალურად აუცილებლად მოგვეჩვენა ჩვენი მიზნის მისაღწევად - ელემენტარული წარმოდგენა მაინც შეგვექმნა ამ პროცესის ასახვასთან დაკავშირებით ჩვენს პრესაში გამოკვეთილ ძირითად ტენდენციებზე.

როგორც დავინახეთ, ქართული მედია მთელი სერიოზულობით მიუდგა მიწის რეფორმას, მიიჩნია იგი უმნიშვნელოვანეს მოვლენად ქვეყნის ცხოვრებაში. მისი საშუალებით გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება, რომელთა განხორციელება მართლაც წაადგებოდა სოფლის მეურნეობის აღორძინებას და მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანას. რადგან ეს მოსაზრებები წამოაყენეს, ჩანს, ავტორები თვლიდნენ, რომ მათი რეალიზაცია შესაძლებელი იყო, ან ყოველ შემთხვევაში მოცდა ჯობდა მანამ, სანამ საამისოდ ვითარება მომწიფდებოდა. მაგრამ არსებობდა საკითხისადმი სხვა მიდგომაც, რომლის თანახმადაც ამ წინადადებათა ინიციატორები ნაკლებ ითვალისწინებდნენ მაშინდელ საქართველოში არსებულ უმძიმეს ვითარებას, ექსტრემალურ სიტუაციას და სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაძლებლობებს. ისინი თუმცა ხშირად მოგვიწოდებდნენ, ნუ ვიჩქარებთო, მაგრამ იქვე დასძენდნენ, ნურც მეტისმეტად დავაყოვნებთო. არადა, იმ პერიოდში მძვინვარე ანარქიისა და ნგრევის პროცესში, რომლის შეჩერება ქვეყნის ძალებს ნამდვილად აღემატებოდა, დალოდება ისეთი დროისა, როცა შემოთავაზებული მო-

საზრებების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობები შეიქმნებოდა, სახელმწიფოს არ შეეძლო. კარსმომდგარი საყოველთაო შიმშილის საშიშროება გვაიძულებდა გვეჩქარა თუნდაც ზოგ რამეში მოსალოდნელი არასასურველი შედეგების რისკის ფასად. ასეთმა შედეგებმაც უთუოდ არ დააყოვნა და ამის უარყოფა შეუძლებელია. აქ პირველ ყოვლისა იგულისხმება ის გარემოება, რომ განადგურდა ინფრასტრუქტურა, რის შესახებაც სავსებით სწორად წერდა პროფესორი ვლადიმერ პაპავა, ამას გარდა გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები, იმატა ხელით შრომის ხვედრითმა წილმა, თოხმა და ბარმა ხშირ შემთხვევაში შეცვალა მძლავრი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, შემცირდა აგრონომიული და სხვა სახის მომსახურების მასშტაბები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა, მოუგვარებელია მრავალი სხვა საკითხიც, რომლებზეც არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამაღლების პრობლემის გადაწყვეტა.

მიწის რეფორმის შედეგად გაზრდილ საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეულმა მოსავალმა მნიშვნელოვნად იმატა რამაც ჩვენი შიდა ბაზარი ნამდვილად გააჯერა (ესაა სწორედ ამ რეფორმის უმთავრესი მიღწევა), მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მოხდა გაწეული შრომის ინტენსიურობის მკვეთრი ზრდის ფონზე და მეორეც, რაც მთავარია, ამას არ მოჰყოლია გლეხის შემოსავლის გადიდება, პირიქით, კომუნისტური ხელისუფლების პერიოდისას იგი ბევრად ჩამორჩებოდა (რისი ახსნაც მარტო მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარიანობით არ შეიძლება), მწარმოებლისათვის კი მოწეული მოსავლის ოდენობის ზრდა შეიძლება წამგებიანიც კი აღმოჩნდეს, თუ ამას თან არ სდევს პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისი შემცირება, რამაც უნდა გამოიწვიოს ბაზარზე ფასების მოსალოდნელი გარდუვალი დაცემის მიუხედავად საერთო ამონაგების სათანადო მატება.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ „სოფლის მეურნეობა მეტნაკლებად გადაურჩა წარმოების ისეთ საშინელ დაცემას, როგორიც მოხდა ეკონომიკის სხვა სექტორებში“[1], მისი საერთო მდგომარეობა დღემდე მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინასაკრიზისო 1989 წლის დონეს.

[1] რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივა, თბ., 2002., გვ. 27.

მიწის რეფორმამ ჯერ-ჯერობით ვერ უზრუნველყო საერთაშორისო მასშტაბით ჩვენი სოფლის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ჩვენს გლეხსა თუ ფერმერს ძალზე უჭირს სხვა სახელმწიფოთა ბაზრებზე დამკვიდრება, ის კი არადა, ძველსაც, ტრადიციულსაც (ყოფილი საბჭოთა კავშირისას) კარგავს. არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა რუსეთში თავისი ჭირნახულის გასაყიდად წასულ გლეხს უკანდასაბრუნებელი ფულიც ვერ აუღია, რაც უმთავრესად სხვა ქვეყნებიდან იქ შეტანილი საქონლის მიერ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონკურენციო ბრძოლაში დაჯაბნის შედეგია. არაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, რომ ევროპისა და მით უმეტეს სხვა კონტინენტების ბაზრები ამავე მიზეზების გამო ჩვენთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია.

როგორც პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ აღნიშნა, 1996-2000 წლებში „სოფლის მეურნეობაში ზრდა ფაქტობრივად არ მომხდარა, რის შედეგადაც ამ დარგში შექმნილი დამატებითი ღირებულების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში ერთნახევარჯერ შემცირდა. ამას უკვე მხოლოდ გვალვებს ვეღარ დავაბრალებთ, მხოლოდ გვალვას (ამ წლებში საქართველოში დიდი გვალვები იყო - გ.კ.). მაშასადამე აქ ძალიან სერიოზული სტრატეგიული შეცდომებია დაშვებული. ეს უნდა ვაღიაროთ და ვეძებოთ გამოსავალი - უწინარესად გასაღების ბაზრები და დარგში კონკურენტული გარემოს შექმნის პირობები“[1].

ყველაფერ ამას, ცხადია, მარტო მიწის რეფორმას ვერ მივაწერთ, რასაკვირველია, იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკის საერთო დაცემამაც, რამაც მკვეთრად დააქვეითა სოფლის მეურნეობაში მოვლენათა მიმდინარეობაზე სახელმწიფოს სასიკეთო ზემოქმედების უნარი, და ბევრმა სხვა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა მიზეზმა. იმედი ვიქონიოთ, რომ ქვეყანაში საერთო ვითარების გაუმჯობესების კვალობაზე საქმე უკეთ წავა და ქართული მედიაც ამაში სათანადო წვლილს შეიტანს.

პროფესორმა ვლადიმერ პაპავამ თავის 1995 წ. გამოქვეყნებულ ბროშურაში „ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

„შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, საქართველოში ეკონომიკური რეფორმის რამდენიმე ეტაპი გამოყო. იგი თვლის, რომ ეს რეფორმა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ დაიწყო. ამ დროს, როგორც ცნობილია, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეამ მთელი საზოგადოება მოიცვა, რამაც „ეკონომისტთა და ეკონომიკის ცოდნის პრეტენზიის მქონეთა აზროვნებაში გამოიწვია გარდატეხა, რის საფუძველზეც შეიქმნა ეკონომიკური დამოუკიდებლობის არაერთი საინტერესო კონცეფცია“[1]. ამ პირველ ეტაპს მან ეკონომიკური რეფორმის გულუბრყვილო გააზრების ეტაპი უწოდა.

ვლადიმერ პაპავას ამ სიტყვების ფონზე გვახსენდება მაშინდელი საგაზეთო და ტელერადიოპუბლიკაციები, რომელთა ავტორებს, როგორც აღმოჩნდა, ვერაფრით წარმოედგინათ, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში და საერთოდ მთელს ჩვენს ცხოვრებაში ასეთი კატაკლიზმები მოხდებოდა, აბა, სხვანაირად, როგორ უნდა ავხსნათ მაშინ საჯაროდ გამოთქმული თუნდაც ის მოთხოვნები, რომ უმაღლესი სასწავლებლებისა, კვლევითი დაწესებულებებისა და სამრეწველო საწარმოთა ნაწილი თბილისიდან პერიფერიებში გადაგვეტანა, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორებს ამ მიზნებისათვის აუცილებელი გვარიანი ხარჯების გაღების შესაძლებლობა რეალურად ესახებოდათ.

მეორე ეტაპი დროის მიხედვით თანხვდება „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების ხანას, როცა ბროშურის ავტორის აზრით, „მიღებულ იქნა ეკონომიკური რეფორმისათვის მეტად მნიშვნელოვანი რამოდენიმე კანონი, რომლებიც იმ პერიოდში, სამწუხაროდ, არ ამოქმედებულა“[2]. რეფორმის ეს ეტაპი მან ჯერ კიდევ 1991 წლის მიწურულს შეაფასა, როგორც უძრაობის ტოლფასი მოძრაობის ეტაპი. ამ პერიოდზე ჩვენ უკვე საკმარისად შევჩერდით და საუბარს ამის შესახებ აღარ გავაგრძელებთ.

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 10-11.

[2] იქვე.

მესამე ეტაპის დაწყებას ვლადიმერ პაპავა უკავშირებს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებს. ამ ეტაპს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან პოპულისტური უწოდა. ამ დროს საქართველოში „რუსეთთან თითქმის ერთდროულად და რუსული სცენარით დაიწყო „შოკური თერაპიის“ მეთოდის გამოყენება“[1], როგორც ცნობილია, ეს მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასავლეთ გერმანიაში იშვა და იგი ამ ქვეყნის მაშინდელი ეკონომიკის მინისტრის ლუდვიგ ერჰარდის სახელს უკავშირდება, ხოლო მისი პოლონური მოდიფიკაციის, რომელიც პოსტკომუნისტური სახელმწიფოებისათვის კლასიკურ სქემად იქცა, ავტორი ლეშეკ ბალცეროვიჩია. რიგ ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა მის სამშობლოში, ამ მეთოდმა ჩინებული შედეგი გამოიღო, საქართველოში კი მისი რეალიზაციისათვის სათანადო პირობების არარსებობის გამო პირველ ეტაპზე კრახი განიცადა, მაგრამ შემდგომში, ვითარების შეცვლის კვალობაზე, საკმაოდ წარმატებით იქნა განხორციელებული (თუმცა ამის თაობაზე ცოტა უფრო ქვემოთ).

ვლადიმერ პაპავა წერს: „საქართველოში ვერ განხორციელდა... შოკური თერაპიის მეთოდის ზოგადი სქემიდან გამომდინარე ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა საბიუჯეტო დოტაციების და სუბსიდიების გაუქმება და ბრუნვაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ... ვერც განხორციელდებოდა, რადგანაც იმ დროს საქართველოს უწინარეს ყოვლისა არ გააჩნდა საკუთარი... ფულად-საკრედიტო (მონეტარული) სისტემა. ამგვარ პირობებში „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია განწირული იყო კრახისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სათანადო სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობის შემთხვევაში პრინციპულად შეუძლე-

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 12.

ბელი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა „შოკური თერაპიის“ მეთოდით“[1].

მისი აზრით, „ასეთ ვითარებაში ბევრად უფრო სწორი იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპობრივი გზის არჩევა, რომელიც დაემყარებოდა რეფორმისათვის და საერთოდ სახელმწიფოებრიობისათვის საჭირო ინსტიტუტების, თანამიმდევრულ შექმნას. საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის ამგვარი კონცეფცია ჯერ კიდეც 1991 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში. სამწუხაროდ, ეს კონცეფცია ვერ გადაიქცა ეკონომიკური რეფორმის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების საფუძვლად, რამეთუ ოფიციალური ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც უკვე აღინიშნა, დაეყრდნო „შოკური თერაპიის“ პოლონური გზის რუსულ „სარკეში“ ანარეკლის რეალიზებას“[2].

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ „როგორც პრაქტიკოსი რეფორმატორები ისე მეცნიერ-ეკონომისტები ორ ჯგუფად იყოფა: „პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ რეფორმებში „შოკის“ მომხრეებად და „გრადუალისტებად“ (gzadual– თანდათანობითი) . . .

ამ საყოველთაოდ აღიარებული კლასიფიკაციის გარდა საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სამი განსხვავებული სტრატეგიის სახით წარმოდგენა, რომელთაგან პირველია გრადუალიზმი (რომელიც ჩამოყალიბდა უნგრეთში), მეორე – „შოკური თერაპიის“ (პოლონურ-ჩეხოსლოვაკური „წარმომავლობის“) და „მესამე გზა“ („Third Road“) (რომლის სამშობლოდაც ბალკანეთის ქვეყნებია მიჩნეული); ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს თანდათანობით (დროში გაწელილ) გრადუალიზმში (gradual gradualism), როცა ბაზარზე გადასვლა დროში არის ძალზედ გავრცობილი, მხოლოდ მცირე სანარმოთა პრივატიზების, კერძო სექტორის მხოლოდ ვაჭრობაში, მომსახურებასა და ტურიზმში დაშვების შედეგად“[3].

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 8.

[2] იქვე.

[3] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 44-45.

ეკონომიკური რეფორმის პოპულისტური ეტაპი მთავრდება „შოკური თერაპიის“ მეთოდის არასრულფასოვანი ქართული მოდიფიკაციის აუცილებელი ფიასკოთი, რამაც შემდგომ პერიოდში გამოიწვია შეფერხება ეკონომიკის რეფორმირებაში“[1].

საბაზრო ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის კონცეფციის ავტორები, რომელზეც ვლ. პაპავა ლაპარაკობს, გამოდიოდნენ იმ პოსტულატიდან, რომ სოციალური დაცვის გარეშე შეუძლებელი იყო არა მარტო გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, არამედ თავად ასეთი ეკონომიკის არსებობაც. მათი განმარტებით, საბჭოთა კავშირში არსებული მასობრივი დეფიციტის პირობებში, რეფორმებს გარდუვალად მოჰყვებოდა ფასების მკვეთრი ზრდა, რაც კიდევ უფრო დაბლა დასწევდა ცხოვრების ისედაც დაბალ დონეს. ეს კი ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ მოსახლეობა უაღრესად ნეგატიურად განეწყობოდა რეფორმატორთა მიმართ და არ მისცემდა მათ საშუალებას სასურველი ცვლილებები განეხორციელებინათ. ამის თავიდან ასაცილებლად ისახებოდა გარკვეული სოციალური გარანტიები, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ გარდამავალი პერიოდის სიძნელეთა შემსუბუქება. გამომდინარე აქედან, გვთავაზობდნენ რეფორმების ორ ეტაპად განხორციელებას.

პირველ ეტაპზე მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმით დაკმაყოფილების მიზნით უნდა შემოღებულიყო საბარათო სისტემა იმჟამად მოქმედი სახელმწიფო ფასების უცვლელობის პირობებში, რაც შექმნიდა ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზების ობიექტურ შესაძლებლობას. ამ დროს ფართო მასშტაბით უნდა განხორციელებულიყო პრივატიზება და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტების შექმნა, რომ ბაზარი ამოქმედებულიყო.

მეორე ეტაპი ითვალისწინებდა ბარათებით გასანაწილებელ საქონელთა ჩამონათვალის შემცირებასა და საბაზრო ეკონომიკის ატრიბუტების შექმნის დასრულებას. პარალელურად სახელმწიფოს მოსახლეობის შემოსავალთა ინდექსირების საფუძველზე უნდა

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 8.

გაეცა ფულადი კომპენსაცია და ამ გზით შესაძლებელი გაეხადა ფასების ზრდით გამოწვეული ცხოვრების პირობების გაუარესების ნეიტრალიზება. ეს ეტაპი დასრულდებოდა გამანაწილებელი საბაზრო სისტემის „გაქრობით“.

ავტორები ითვალისწინებდნენ, რომ სსრ კავშირში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია პრაქტიკულად გამორიცხავდა ნებისმიერი ღონისძიების გატარების რეალისტური ვადების პროგნოზირების შესაძლებლობას, მაგრამ, მათი აზრით, ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ დაუყოვნებლივ არ შესდგომოდნენ „სასიცოცხლოდ აუცილებელი ეკონომიკური რეფორმების რეალიზების დაწყებას“[1].

ვლ. პაპავა უკმაყოფილებას გამოხატავს ხელისუფლების მიმართ, რომ მან სათანადოდ ვერ შეაფასა ამ კონცეფციის მნიშვნელობა. იგივე უნდა ითქვას ქართული მედიის შესახებაც, რომელსაც დიდად არ შეუწუხებია თავი მისდამი ყურადღების გამოჩენით.

აქ უნდა გავიხსენოთ პროფესორ ვალერიან ადვაძის ჩვენს მიერ უკვე ციტირებული სიტყვებიც იმის თაობაზე, რომ რუსეთმა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დაუკითხავად წამოიწყო ეკონომიკური რეფორმა „შოკური თერაპიის“ მეთოდით და ჩვენც, გვინდოდა ეს თუ არა, ჩათრეულნი აღმოვჩნდით ამ პროცესში და რომ ჩვენ იმ პერიოდში რაიმე დამოუკიდებელი მოქმედების შანსი არ გაგვაჩნდა, რადგან კვლავინდებურად ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ნაწილი ვიყავით და ამდენად ძველებურად ყოფილი სსრ კავშირის შემადგენლობაში, ერთიან სამანეთო სივრცეში ვრჩებოდით.

ისიც უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ქართულ მედიაში „შოკურ თერაპიას“ საკმაოდ აქტიურად ეწეოდა პროპაგანდა, რის გამოც იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული მეთოდი ჩვენთვის იძულების კი არა, არამედ შეგნებული არჩევანის შედეგი იყო. ეს უმეტესად პუბლიცისტებისა და პოლიტიკოსების გამოსვლებზე ითქმის. აქ, ერთი

[1] საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, თბ., 1991, გვ. 138.

მხრივ, თავი იჩინა მოდური პოზიციის მხარდაჭერისადმი მათთვის დღემდე დამახასიათებელმა მიდრეკილებებმა, ხოლო, მეორეს მხრივ, ეკონომიკაზე ზედაპირულმა წარმოდგენებმა, რომლებიც, ე.შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, პუბლიცისტური სტატიებით მიღებულ ცოდნას ეფუძნებოდა და არა ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

უნდა ითქვას, რომ „შოკური თერაპია“ თვითონ რუსეთშიც იწვევდა სკეპტიკურ დამოკიდებულებას. პროფ. ვ.ზ. ბალიკოევი ჯერ კიდევ 1996 წ. წერდა: „შოკურმა თერაპიამ გარკვეულწილად იმუშავა პოლონეთში და იქნებ იმუშაოს ჩეხეთშიც, მაგრამ არა მგონია მას წარმატება ხვდეს რუსეთში. რეფორმათა ამ გზის რამდენიმეწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენთან (რუსეთში – გ.კ.) იგი „არ მუშაობს“[1].

რ. გოცირიძე, რომელიც იმ პერიოდში ვიცე-პრემიერი და ეკონომიკური რეფორმების შტაბის ხელმძღვანელი იყო, 1993 წლის აგვისტოში მიცემულ ინტერვიუში გამოთქვამს ნუხილს, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობისას საკუთარი გეგმების მხოლოდ 25-30 პროცენტით რეალიზაცია შეძლო, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ „საქართველო და მისი ეკონომიკა არ არის ის, რაც იყო თუნდაც ორი წლის წინათ. ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში დაიწყო შეუქცევადი პროცესები, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციას“[2]. მისი სიტყვებით, რომ ვთქვათ, საჭირო იყო ამასთან ერთად იმის გათვალისწინებაც, თუ რა პირობებში მიმდინარეობდა ეს ცვლილებები. „ეკონომიკის რეფორმას ვერ განვიხილავ, – ამბობს იგი, – როგორც ცალკე პროცესს, მოწყვეტილს ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროცესებისაგან. მე მხედველობაში მაქვს დაძაბული საგარეო ურთიერთობანი, ომი, ბლოკადა, ეთნიკური დაპირისპირებანი და სხვა ცნობილი მოვლენები. და მაინც ვთვლი, რომ ამ ეტაპზე ბევრი გაკეთდა, თუმცა

---

[1] В.З. Баликоев, Общая экономическая теория, Нсб., 1996, с. 283.

[2] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 255.

მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო — ის, რაც ამ მოკლე პერიოდში მოხდა, შევა ისტორიაში“ [1].

ვლადიმერ პაპავას მიერ გამოყოფილი შემდგომი - ეკონომიკური რეფორმის შეფერხების ეტაპი მოიცავს 1993 წელს და 1994 წლის პირველ ნახევარს. მისი აზრით, „ამ შეფერხებების გამომწვევი მიზეზების ნაწილი სცდება ეკონომიკის სფეროს, ნაწილი კი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია“[2].

როგორც იგი განმარტავს, საქართველოს ეკონომიკა (და არა მარტო ეკონომიკა) არ იყო მზად 1992 წლის ზაფხულში დაწყებული ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების საწარმოებლად აფხაზეთში, ხოლო 1993 წლის შემოდგომაზე გაჩაღებული სამოქალაქო ომისათვის, რის გამო ქვეყნის ბიუჯეტი ფაქტობრივად მოიშალა: 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი.

„ერთადერთ შესაძლო წყაროდ დარჩა ფულის ემისია, რითაც იფარებოდა სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობა...

ჯერ ხელოვნურად (1992 წლის ზამთარში განხორციელებული პატიმართა ამნისტიით), — ამბობს ვლ. პაპავა, — ხოლო შემდგომ საომარ მოქმედებაში უარმიო ქვეყნის მონაწილეობით, საქართველოში ძალზედ გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია, რამაც საშიში გახადა სამეწარმეო საქმიანობა. შედეგად არაერთმა ბიზნესმენმა დატოვა სამშობლო, რამაც დააჩქარა კაპიტალის გადინება. ამავე დროს აშკარა ყაჩაღობა თანდათანობით გზას უთმობს რეკეტს, რაც ასევე არ ქმნის მეწარმეობის განვითარებისათვის სასიკეთო პირობებს. სამწუხაროდ, არც აშკარა ყაჩაღობის და არც რეკეტის გზით გამოძალული ქონების და კერძოდ ფულის დაგროვება ძირითადში ვერ მოხერხდა ამ ბოროტმომქმედთა ხელში (რასაც შეეძლო მომავალში ამ გზით გამდიდრებული პიროვნებები ჩაეყენებინა მდგომარეობაში, როცა დაგროვებული საკუთრების უპირატესობათა რეალიზაცია

[1] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 256.

[2] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ — „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 8.

მოითხოვს ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის შექმნას). ამის მიზეზი არის ის, რომ ამ პიროვნებათა უდიდესი ნაწილი ნარკომანია და ნაძარცვი ქონება გაედინება იმ მეზობელ ქვეყნებში, საიდანაც საქართველოში არალეგალური გზით შემოდის ნარკოტიკული საშუალებები"[1].

სუბიექტურ ფაქტორთაგან ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ, მისი აზრით, მთავრობას მოსკოვიდან ფულის ნიშნების შეუფერხებელი მოწოდების ილუზორული იმედი ჰქონდა. ეს იმედი რომ არ გაუმართლდა, ,,იგი იძულებული გახდა 1993 წლის აპრილში ბრუნვაში შემოეღო საქართველოს დროებითი ფულის ნიშანი - საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონი"[2].

ვლადიმერ პაპავა ბრალს სდებს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებს, რომ მათ ,,იმთავითვე კუპონის მიმართ გამოიჩინეს არასერიოზული, ზოგ შემთხვევაში აგდებული დამოკიდებულება, რამაც გადამწყვეტი გავლენა იქონია დევალვაციური პროცესის გაძლიერებაზე"[3]. მისი აზრით ,,ძირითადი შეცდომის არსი მდგომარეობდა ზოგიერთებისათვის სანატრელ რუბლის ზონაში მუდმივი ან დროებითი დარჩენის ვითომდა ეკონომიკური ხელსაყრელობის ილუზიაში. სწორედ ამიტომ კუპონი ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა არა თავიდანვე, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1993 წლის ივლის-აგვისტოში გაატარა ფულის ნაწილობრივი რეფორმა და ბრუნვიდან ამოიღო დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი"[4].

იმ პერიოდში საქართველოში მართლაც იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები, მათს შორის გახლდათ პარლამენტის მაშინდელი სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, რომლებსაც გულწრფელად სწამდათ ჩვენი ქვეყნისათვის რუბლის ზონაში ყოფნის სარგებლიანობა, რიგით

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი ,,შოკური თერაპიიდან" - ,,სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995, გვ. 8-9.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე.

[4] იქვე გვ. 10

მოქალაქეებშიც ცოტანი როდი იყვნენ ისეთები, ვინც ასევე ფიქრობდა. რაც შეეხება მედიასა და პოლიტიკოსებს ამ იდეას მათ გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს (იმის შიშით, რომ იგი მართლა არ განხორციელებულიყო), თუმცა არა ეკონომიკური მოტივით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებით. რუბლის მხარდამჭერნიც და მოწინააღმდეგეთა უმრავლესობაც იმედოვნებდნენ, რომ საკმარისი იყო ჩვენს ხელისუფლებას საამისო სურვილი გამოეხატა და იმპერიული ამბიციებით შეპყრობილი რუსეთი სიხარულისაგან გაგიჟდებოდა, დაუყოვნებლივ გადმოდგამდა შემხვედრ ნაბიჯებს. ისინი არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელსაც გააჩნია და რუბლის ზონაში არც საქართველოს და არც ყოფილი საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკის ყოფნა სულაც არ შეესაბამება ამ ინტერესებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ ბელორუსიის მაგალითი. ეს უკანასკნელი რამდენიმე წელი კატეგორიულად მოითხოვდა რუსეთთან ერთიანი ვალუტის შემოღებას, მაგრამ მისთვის სასურველ რეაქციას ვერ მიაღწია. და ეს მაშინ, როცა რეფერენდუმის ჩატარების შედეგად ამ ორმა ქვეყანამ ერთიანი სახელმწიფო შექმნა.

„სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, – წერდა უფრო მოგვიანებით ვლ. პაპავა, – რომ 1993 წელს, როცა რევანშიზმის ლიდერებმა „რუბლის ზონაში“ დაბრუნების იდეა წამოაყენეს, ხელისუფლებას ამ იდეის განხორციელება მართლაც, რომ მოენდომებინა, სავარაუდოდ რუსეთი საქართველოს ხსენებულ „ზონაში“ მაინც ვერ მიიღებდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ იმ ეტაპზე თვით რუსეთი ამისათვის სულ ცოტა ეკონომიკურად არ იყო მზად, ხოლო მეორე კი – არასტაბილური, კრიმინალური, ჰიპერინფლაციური საქართველო ვერ ჩაითვლებოდა შემოერთებისათვის მზადყოფნის მდგომარეობაში“ [1].

მარტო „იმ ეტაპზე“ კი არა, რუსეთს დღესაც კი, როცა იგი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ბევრად უკეთეს მდგომარე-

[1] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002., გვ. 405-406.

ობაშია, სულაც არ უჩანს იმის დიდი სურვილი, რომ „რუბლის ზონა“ გააფართოოს.

როგორც ცნობილია, კუპონმა ჰიპერინფლაცია განიცადა. იგი არსებითად გამოიდევნა მიმოქცევიდან, რადგან ვეღარ ასრულებდა საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქციას. კუპონის გამოყენების სფეროდ ფაქტობრივად დარჩა მხოლოდ პურით ვაჭრობა, სახელმწიფო ტრანსპორტი და კომუნალური მომსახურება. მისი ადგილი რუსულმა რუბლმა და ნაწილობრივ ამერიკულმა დოლარმა დაიკავა. ვლადიმერ პაპავა ამას ხსნის უკონტროლო საკრედიტო ემისიით. აგრეთვე პრაქტიკულად არარსებული ბიუჯეტის ხარჯზე, რიგი სასოფლო-სამეურნეო პრობლემების (1993 წლის შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ხოლო 1994 წლის გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების) გადაწყვეტის წარუმატებელი მცდელობით, „რაც გამოიხატა იმ პერიოდისათვის არნახულ საბიუჯეტო ემისიაში“ და რამაც „საბოლოოდ მოშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა“[1]. კუპონის მიმოქცევის არეალი, მისი განმარტებით, მაქსიმალურად შემცირდა ეროვნული ბანკის მიერ საბანკო სისტემიდან ნაღდი კუპონის გამოტანაზე ყოველგვარ ჯანსაღ აზრს მოკლებული შეზღუდვების შემოღების შედეგად. საბიუჯეტო ემისიას ასევე შეუწყო ხელი პურზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე ბიუჯეტიდან სუბსიდირებულმა ფასებმა, რამაც ბიუჯეტს დამატებითი „დატვირთვა“ შესძინა.

ვლადიმერ პაპავას აქ მოყვანილი მოსაზრებების გააზრებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ვითარებაც, რომელმაც აიძულა ხელისუფლება მეცნიერის მიერ უარყოფითად შეფასებული ნაბიჯები გადაედგა. ერთ შემთხვევაში საქმე გვქონდა ყურძნის მოსავლის რეალიზაციის, ხოლო მეორე შემთხვევაში მხვნელ-მთესველთა სათბობით მომარაგების ურთულეს და უმტკივნეულეს პრობლემათა გადაჭრის აუცილებლობასთან, რამაც პარლამენტი აიძულა მიეღო გადაწყვეტილებები კრედიტების გამოყოფის თაობაზე. სახელმწი-

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995., გვ. 20.

ფოს სახსრები არ ჰქონდა და ამიტომაც დაკრედიტება საბიუჯეტო ემისიის ხარჯზე მოხდა, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად სწორად იყო ორგანიზებული ამ გადაწყვეტილებათა რეალიზაცია და უზრუნველყო თუ ვერა სახელმწიფომ შესაბამისი შედეგების მიღწევა. ეს ისე სიტუაციის უკეთ გასათვალისწინებლად, თორემ რაც შეეხება ბიუჯეტზე ამ ღონისძიებათა ნეგატიურ ზემოქმედებას, ბროშურის ავტორთან ამის თაობაზე დავა ძნელია.

ვლადიმერ პაპავას თქმით, უდიდესი შეცდომა იქნა დაშვებული საგარეო ვაჭრობაშიც, რაც „გამოიხატა „უნიკალური" ქართული საკლირინგო სისტემის დამკვიდრებაში. თურქმენეთიდან გაზის შემოტანის ერთადერთ გზად მიჩნეულ იქნა ბარტერი. ხელოვნურად ძვირად იქნა შეფასებული, როგორც თურქმენული გაზი, ისე ქართული წარმოების ბევრი უხარისხო პროდუქცია. „ამგვარი მიდგომის „ნოვატორთა" აზრით, – წერს იგი, – შედეგად უნდა მიგვეღო საქართველოს საწარმოთათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარემო უხარისხო პროდუქციის საწარმოებლად, გარკვეული აზრით, მართლაც შეიქმნა. იმავე დროს ეს პროდუქცია უნდა შეეძინა მთავრობას ბიუჯეტის ხარჯზე. უბიუჯეტობის პირობებში ამგვარი ოპერაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ისიც ფულის ემისიის ხარჯზე (რამაც ასევე ხელი შეუწყო ინფლაციას). ამ პროდუქციის უდიდესი ნაწილი მთავრობის მიერ იძულებითი წესით ამოღებული იქნა საწარმოებიდან. შესაბამისი საფასურის მომავალში გადახდის გარანტიის მიცემით, რამაც ეს საწარმოები ჩააყენა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში და შედეგად ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბდა არგადახდების პრაქტიკულად ძნელად დასაშლელი „ქსელი"[1].

ავტორის შეფასებით, „სახელმწიფოს მიერ ამგვარი, ფაქტობრივად ექსპროპრიაციის გზით შეუძლებელი იყო თურქმენეთთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაცვლელი საქონლის სრული ოდენობით ჩავმოყრა. აზერბაიჯანის სატრანსპორტო არტერი-

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან" – „სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995, გვ. 10.

აზე ბოლო წლებში არსებული სირთულეების, ჯერ აფხაზეთზე, ხოლო შემდგომ ჩეჩნეთზე გამავალი სარკინიგზო გზების ბლოკირებამ ჯერ გაართულა, ხოლო მოგვიანებით შეუძლებელიც კი გახადა საქართველოს მთავრობის ხელში თავმოყრილი საქონლის დროზე ტრანსპორტირება თურქმენეთში. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს ორი წლის განმავლობაში დაუგროვდა თურქმენეთის მიმართ თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი.

სახელმწიფოთაშორისი საქონელგაცვლის ხსენებული მექანიზმის ასამოქმედებლად გამოიყენებოდა სახელმწიფო დაკვეთის სისტემა, რაც საჭიროებდა კვოტირებისა და ლიცენზირების მეტად რთულ სქემას.

სხვადასხვა ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სესხების აღებისას რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საპროცენტო განაკვეთის, ასევე კრედიტით შესასყიდი საქონლის ფასების ხელოვნურ გაზრდას, აღებული კრედიტების ქვეყნისათვის ნაკლებ საჭირო მიმართულებით გამოყენებას. დღესაც გაურკვეველი რჩება თურქეთის და რუსეთის კრედიტის ნაწილის, ჩინეთის, ირანის და სხვა კრედიტების აღებისას ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომების ავტორები და მამოძრავებელი მოტივები, რაც აუცილებლად უნდა გახდეს კანონიერების დამცავი შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების ყურადღების ობიექტი. ამ გზით საქართველოს დაუგროვდა საგარეო ვალი ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით. ჯამში კი ჩვენი საგარეო ვალი შეადგენს დაახლოებით ერთ მილიარდ დოლარს“[1].

ვლადიმერ პაპავას მიერ დასახელებული ფაქტორების უარყოფითი გავლენა ჩვენი ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობასა და მთლიანად ეკონომიკაზე დავას არ იწვევს, მაგრამ აქ ჩნდება კითხვებიც, რომლებიც ამავე დროს მავანთა პოზიციასაც გამოხატავს. კერძოდ, რამდენად ჰქონდა სახელმწიფოს შესაძლებლობა სხვანაირად ემოქმედა და სახელდობრ, როგორ, ობიექტურ თუ სუბიექტურ კატეგო-

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ - „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 11.

რიას უნდა მოვაკუთვნოთ ეს ფაქტორები? სამწუხაროდ, ბროშურა არ იძლევა მათზე პასუხს. ეს კი აუცილებელია ვიცოდეთ, რომ განვსაზღვროთ ხელისუფლების ბრალეულობის ხარისხი. რაც შეეხება ქართულ მედიას, იგი ამ ფაქტორთაგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მთავრობის მიერ იმ პერიოდში განხორციელებულ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელსაც მთელი ჩვენი უბედურების უმთავრეს მიზეზად ასახელებდა და შესაბამისად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა.

რამდენადმე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა რ. გოცირიძე, რომელმაც ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ინფლაციის ძირითად მიზეზად დაასახელა „არა იმდენად საბანკო-საკრედიტო ემისია, არამედ უკონტროლო და დაუმტკიცებელი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები“[1].

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს საგარეო ვალების პრობლემა თავის ყოველწლიურ მიმართვაში პარლამენტისა და ხალხისადმი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, რომელიც მან პარლამენტის სხდომაზე 2001 წლის მაისში წაიკითხა, ასე განმარტა: „ძალიან მწვავე პრობლემაა სახელმწიფო საგარეო ვალების ანუ ქვეყნის სუვერენული ვალის მომსახურება და გადახდა. მინდა ამ ციფრებს მიაქციოთ ყურადღება, რომლებსაც, პრაქტიკულად, პირველად ვაქვეყნებ. ოღონდაც აუცილებლად უნდა განვასხვავოთ რამდენიმე კატეგორიის ვალი. ამას ვამბობ იმიტომ რომ ძალიან ხშირად არა მხოლოდ პრესაში, სატელევიზიო გამოსვლებში, კრებებსა და მიტინგებზე ძალიან ხშირად გაიგონებთ: საქართველო გაიყიდა, ვალებშია, ეს ვალები ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იხადონ და ასე შემდეგ. ნაწილობრივ ეს ყველაფერი სწორია და მართალია, მაგრამ შეგვეძლო თუ არა იმ ვალების, კრედიტებისა თუ დახმარებების გარეშე გვეარსება და გარკვეული საფუძველი ჩაგვეყარა განვითარებისათვის? არის სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კრედიტები, რომელთა ძირითადი თანხის გადახდა საქართველომ მხოლოდ

[1] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 260.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უნდა დაიწყოს: არსებობს კრედიტორთა პარიზის კლუბის წევრი ქვეყნების დავალიანება, რომლის რესტრუქტურიზაციაც შესაძლებელი გახდა ნულოვანი ვარიანტის რატიფიცირების შედეგად და მადლობელი ვარ ამ საკითხში მხარდაჭერისათვის.

და თურქმენეთის ვალი 1992-1994 წლებში ქვეყანაში მოხმარებული ბუნებრივი გაზისათვის. ეს არის წმინდად გამოხატული ვალი, რომელიც გვმართებს ამ ქვეყნის წინაშე - დაახლოებით 350 მილიონი დოლარის ფარგლებში"[1].

ე. შევარდნაძის შეფასებით, ამ ვალის დაგროვება, როგორც ჩანს, ობიექტურად გარდაუვალი იყო სამოქალაქო ომისა და სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში. „მე მახსოვს ის საშინელი წლები, – ამბობს იგი, – როცა ორჯერ ვეახელი პრეზიდენტ ნიაზოვს და ვუთხარი: არც ფული მაქვს, არც პროდუქტები, მაგრამ თუ თქვენ შეწყვეტთ გაზის მოწოდებას, საქართველო დაიღუპება, ხალხი ამოწყდება და მართლაც საშინელი ზამთრები იყო. ჩვენ მაშინ დავიდეთ ეს ვალი და დღემდე ვუნდებით მის გასტუმრებას. თუმცა ახლა მინდა მივესალმო ფინანსთა სამინისტროს გონივრულ წინადადებას იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს წლებში შესაძლებელია მოიძებნოს ქვეყანაში რესურები ამ ვალის დასაფარავად"[2].

ვალების თემა უაღრესად პოლიტიზებულია. ამიტომაცაა, რომ ზოგი მათ დანაშაულად უთვლის ე.შევარდნაძეს, ზოგი კი დამსახურებად, რადგან პრაქტიკულად უიმედო მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მევალე არავინ გახდებოდა, თუ არა ის უდიდესი ნდობა და პატივისცემა, რომლითაც ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი სარგებლობდა მსოფლიო მასშტაბით. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ იყო აგრეთვე კოლოსალური ოდენობის უანგარო დახმარება, რომელსაც მეგობარი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები გვიწევდნენ. ბევრი ამას არ უარყოფს, მაგრამ თვლის, რომ ხალხს არაფერი მოხმარდა და ყველაფერი ჩინოვნიკებმა შეჭამეს.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 მაისი, 2001წ.

[2] იქვე.

ზემოაღნიშნულის თაობაზე ე.შევარდნაძე მიმართვაში აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების საწყის ეტაპზე დახმარება მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათისა იყო. თუმცა მას საარსებოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა, ვინაიდან ჩვენი უმთავრესი ამოცანა მაშინ ქვეყნის, ხალხის ფიზიკური გადარჩენა იყო.

„1994 წელს ჩემ მიერ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის დამტკიცებამ, რომელიც ჩემთან ერთად ჩემმა კოლეგებმა მოამზადეს, – განაგრძობს შემდეგ ე. შევარდნაძე, – შესაძლებელი გახადა სხვა ხასიათისა და შინაარსის დახმარების მიღება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა ღრმა ეკონომიკური რეფორმა საქართველოში.

მთლიანად, დახმარების ოდენობა მილიარდნახევარ დოლარს აღემატება.

ფინანსური რესურსები - 400 მილიონი დოლარი საბანკო სისტემის მეშვეობით გრანტებისა და შეღავათიანი კრედიტების სახით გადაეცა ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგს ტექნოლოგიური აღჭურვილობის, ნედლეულისა და მზა ნაწარმის შესაძენად. მე ვუშვებ იმას, რომ ბევრი დაიკარგა, გაიფლანგა, ბევრი მიითვისეს, მაგრამ ძირითადად ხომ ქვეყანაში დატრიალდა, ხალხს, მეურნეობის განვითარებას მოხმარდა. ამის გარეშე საქართველო დღემდე ვერ მოაღწევდა.

საბიუჯეტო დახმარება - 450 მილიონი დოლარი (აქ უკვე, ნაკლებად მოსალოდნელია განსაკუთრებული მითვისება და კომბინაციები) გამოეყო საქართველოს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების სახით. იგი გამოყენებულია ქვეყნის საბიუჯეტო საჭიროებისათვის, ძირითადად, სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად“[1].

პრეზიდენტის განმარტებით, სწორედ ამის შედეგად იქნა მონეტარულ სექტორში მიღწეული სტაბილურობა, განხორციელდა პრივატიზების მასშტაბური პროგრამა, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, კერძო სექტორის განვითარება, რომელიც იმჟამად უკვე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ორ მესამედზე მეტს ქმნიდა.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

უცხოეთის დახმარების წყალობით ინფლაციის დონე, ნაცვლად ყოველწლიური 6-7 ათასი პროცენტისა 11-12 პროცენტამდე შემცირდა. განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია, საბანკო სექტორის რეფორმირება, შეივსო ეროვნული ბანკის რეზერვები.

„სადღეისოდ, – ამბობს პრეზიდენტი, – სავალუტო ფონდის მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებული ოთხი პროგრამის საერთო ღირებულებამ 300 მილიონი დოლარი შეადგინა.

სწორედ ამ საფუძველზე დავიწყეთ უდიდესი სოციალური მნიშვნელობის პროგრამის განხორციელება: მიმდინარე წლის იანვარში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა სიღატაკის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სამწლიანი პროგრამა. იგი ითვალისწინებს 141 მილიონი დოლარის გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტის გამოყოფას“[1].

პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერასაც, რომლის ეგიდით ხორციელდებოდა 20 საინვესტიციო პროექტი ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროში, მათი მთლიანი ღირებულება 330 მილიონ დოლარს აღემატებოდა. აქედან უკვე დასრულებული იყო 82 მილიონი დოლარის ღირებულების 5 პროექტი.

ამას გარდა 195 მილიონი დოლარი მიიღო საქართველოს ბიუჯეტმა.

დიდი იყო ევროგაერთიანების თანადგომაც, რომელსაც იმ დროისათვის საქართველოსათვის 400 მილიონი ევრო ჰქონდა გამოყოფილი. აქედან მხოლოდ გრანტების სახით 300 მილიონი ევრო. ეს იყო ძირითადად სურსათითა და საკვებით დახმარება.

პრეზიდენტმა დაასახელა აგრეთვე გაეროს განვითარების პროგრამა, რომლის მოცულობა 23 მილიონი დოლარით განისაზღვრა, იფადი - აგრარულ სექტორში რეფორმების განხორციელების პროგრამით, აგრეთვე ამერიკის დახმარება, რომელიც ნახევარ მილიარდს აჭარბებდა.

„მთელი ეს ფინანსური სახსრები, – თქვა ე. შევარდნაძემ, – მოხმარდა ტელეკომუნიკაციებს, მრეწველობას, ტრანსპორტს,

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

დემოკრატიული მმართველობის სისტემის სრულყოფას, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას, მოსახლეობის უმწეო ფენების დახმარებას, ცალკეულ სანარმოთა მოდერნიზებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მცირე ბიზნესის ხელშეწყობას, ეროვნული ვალუტის მხარდაჭერას, სასამართლო რეფორმას, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, მიწის რეფორმას და მიწის კადასტრის შემუშავებას, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების დახმარებას, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული შედეგების დაძლევას...

ამ მხარდაჭერის გარეშე საქართველო ვერ გამოვიდოდა 1992-1994 წლების ნგრევისა და სრული უიმედობის მდგომარეობიდან"[1].

ეკონომიკური რეფორმის შეფერხების ეტაპისათვის დამახასიათებლად ვლადიმერ პაპავა მიიჩნევს აგრეთვე პრივატიზაციის პროცესის პრაქტიკულად შეჩერებას, აქციონირების პროცესის დაწყების დაყოვნებას, რასაც იგი 1992-1993 წლებში საწარმოებში მომუშავეთა ინტერესების გაუთვალისწინებლობით ხსნის. ამ პერიოდში შეიქმნა ენერგოკრიზისი, მისი აზრით, „კრედიტების არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ, დახარჯული ენერგორესურსების რეალური საფასურის ამოუღებლობამ, ტექნიკური ნორმების დაცვისადმი ქრონიკულმა უპასუხისმგებლობამ შეუძლებელი გახადა ელექტროსადგურების არათუ კაპიტალური, ხშირ შემთხვევაში მიმდინარე რემონტიც კი, ხოლო სპილენძის შემცველი აპარატურის და გადამცემი ხაზების ძარცვამ სპილენძის თურქეთში გაყიდვის მიზნით, კიდევ უფრო დაამძიმა ენერგეტიკასა (და არამარტო ენერგეტიკაში) არსებული სიტუაცია"[2].

ვლადიმერ პაპავა ყურადღებას მიაპყრობს სააღრიცხვო საქმიანობის ფაქტობრივად სრულ მოშლასაც, რის შედეგადაც, შეუძლებელი გახდა სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება ფირმების და მათი საქმიანობის შედეგების შესახებ, რამაც ხელოვნურად შეამცირა

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 მაისი, 2001წ.

[2] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან" – „სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995, გვ. 11.

ქვეყნის განმაზოგადებელი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად დასაბეგრი ობიექტების მასშტაბები.

ბროშურის ავტორის აზრით, ეს ეტაპი ხასიათდება აგრეთვე „საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა არასრულყოფილი აღრიცხვით, საბაჟო სამსახურის უმოქმედობით, სასაქონლო მარაგების გაწიავებით, სახელმწიფო ქონების საზღვარგარეთ უკონტროლო გადინებით, ლეგალური ხელფასის როლის დაკნინებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების არნახული გაფართოებით, ჰუმანიტარული დახმარების არადანიშნულებისამებრ გამოყენებით“[1].

ეკონომიკური რეფორმის შეფერხების ეტაპზე საუბარს აქ დავასრულებთ იმის გახსენებით, თუ რა დრო იყო მაშინ. იგი ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ქვეყანას თავს დაატყდა აფხაზეთისა და სამოქალაქო ომები და ამ ომებით გამოწვეული ბანდიტურ ჯგუფთა თავაწყვეტილი თარეში, როცა მიმდინარეობდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების მძიმე პროცესი, როცა იდგა ხალხის ფიზიკური გადარჩენის საკითხი. აქ შეიძლება არსებობდეს და კიდევაც არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო ხელისუფლებისათვის შესაძლებელი ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე ყველა ამ ფაქტორის ნეგატიური გავლენის შესუსტება, რამდენად განაპირობებდნენ ისინი ეკონომიკის რეფორმირებაში მაშინ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ მათი არსებობის გაუთვალისწინებლობა და მით უმეტეს უარყოფა, ვფიქრობთ, არ იქნებოდა სწორი. ეს მხოლოდ გამოუსწორებელ ობსტრუქციონისტს შეუძლია, რომელთა რაოდენობა ჩვენში (მათს შორის ეკონომისტებშიც) სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდია.

ბოლო, შეცდომების გამოსწორების ეტაპს, ვლადიმერ პაპავას თქმით, დასაბამი მიეცა 1994 წლის გაზაფხულიდან იმავე წლის დასაწყისში ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით შემუშავებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის დაწყებით. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე განხორციელდა რიგი ღონისძიებები-

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ – „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 12.

სა, რომელთა შედეგად არა მარტო შეჩერდა ეკონომიკის ნგრევის პროცესი, არამედ დაიწყო წინსვლაც. მნიშვნელოვნად განმტკიცდა, ხოლო შემდეგ სტაბილური გახდა კუპონის კურსი დოლართან მიმართებაში - საკმაოდ მოკლე ხნის განმავლობაში. ქართული ეროვნული ვალუტის ფასი 400 პროცენტზე მეტით გაიზარდა. გარკვეული წესრიგი დამყარდა სესხების აღებისა და გამოყენების სფეროში.

„საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარებისაკენ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ორწლიანი პაუზის შემდეგ 1995 წლის დასაწყისში პარლამენტის მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცება. ამ ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ის, რომ შემოსავლებისა და გასავლების დასაბალანსებლად უარი ეთქვა ემისიური კრედიტების გამოყენებას და საკრედიტო ემისიას საერთოდ“[1].

მკვეთრად დაეცა ინფლაციის ტემპი, რომელიც უკვე 1995 წლის პირველ ნახევარში თვეში საშუალოდ 2-3 პროცენტამდე დავიდა, მაშინ, როცა სულ რაღაც ერთი წლის წინ საქართველო ჰიპერინფლაციურ სპირალში იყო მოქცეული და ეს მაჩვენებელი 60-70 პროცენტს შეადგენდა. 1995 წლის პირველი ივლისიდან საბიუჯეტო სექტორში მინიმალური ხელფასი გახდა თვეში 2,69 დოლარი, ხოლო მაქსიმალური 12,69 დოლარი. ეს რა თქმა უნდა, ძალზედ ცოტა იყო, მაგრამ შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ 1994 წლის სექტემბრის დასაწყისში მინიმალური ხელფასი თვეში 10 ცენტზე ნაკლები გახლდათ, ხოლო მაქსიმალური ცოტათი თუ აღემატებოდა 1 დოლარს.

ვლ. პაპავას შეფასებით, „ეკონომიკური რეფორმის მოცემულ ეტაპზე მიღწეულ იქნა საფინანსო სისტემის სტაბილურობა, ეკონომიკის ცალკეულ სექტორში წარმოების დაცემის ტემპის საგრძნობი შემცირება, ხოლო ზოგიერთ მათგანში ზრდის ტენდენციის „ჩასახვა“, კერძოდ, 1995 წლის პირველ ნახევარში 1994 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მანქანათმშენებლობის პროდუქცია გაიზარდა 2,3 პროცენტით, ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქცია 42 პროცენტით, ჰიდროელექტროსადგურებში ელექტროენერგი-

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან“ — „სოციალურ სტიმულირებამდე“, თბ., 1995, გვ. 16.

ის წარმოება 11,1 პროცენტით და ა.შ.; ამავე დროს დაითესა 29 პროცენტით მეტი ფართობი. კერძო სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, ხოლო საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გადიდდა 3,2-ჯერ"[1].

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური რეფორმის პოპულისტური ეტაპის დახასიათებისას ვლ. პაპავა საუბრობდა „შოკური თერაპიის" მეთოდის არასრულფასოვანი ქართული მოდიფიკაციის აუცილებელი ფიასკოთი დამთავრებაზე. მისივე შეფასებით, მოგვიანებით ჩვენში შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ამ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა აღარ იწვევდა ეჭვს და მას ალტერნატივაც არ გააჩნდა. „შეცდომების გამოსწორების" ეტაპზე მიღწეულ წარმატებებში სწორედ „შოკურმა თერაპიამ" ითამაშა გადამწყვეტი როლი. ამასთან დაკავშირებით ვლ. პაპავა უფრო მოგვიანებით წერდა: „დღეს უკვე პრაქტიკით დადასტურდა, რომ „შოკური თერაპიის" მეთოდს ყველაზე მეტი წარმატება იმ ქვეყანაში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი (უფრო ზუსტად კი „შოკამდელი") ეკონომიკური მდგომარეობა იმდენად არადამაკმაყოფილებელია, რომ მოსახლეობა მზადაა გადაიტანოს ყველაფერი, ოღონდ დაძლეულ იქნას არსებული პრობლემები, ამ შემთხვევაში „შოკის" უარყოფითი ზეგავლენა იმდენად შესამჩნევია, რომ ასეთ პირობებში „შოკური თერაპიის" გამტარებელ რეფორმატორებს რაიმე პოლიტიკური სირთულეები არ ექმნებათ (ამის საუკეთესო მაგალითად 1994-1995 წლების საქართველო უნდა ჩაითვალოს). მაშასადამე, „შოკური თერაპიის" მეთოდის წარმატებით განხორციელება ემყარება პარადოქსს: „რაც უარესია – მით უკეთესია". აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის, რომელიც არსებობის (ან თითქმის არსებობის) ზღვარზეა მისული, „შოკური თერაპიის" მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა არ უნდა იწვევდეს რაიმე ეჭვს (უფრო ზუსტად კი ალტერნატივაც კი არ აქვს), რადგანაც პრაქტიკულად გარანტირებულია დადებითი შედეგები. ასეთი შემთხვევები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას, როგორც „მინიმალური შოკი მაქსიმალური თერაპიით"[2].

---

[1] ვლ. პაპავა, ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან" – „სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995, გვ. 18.

[2] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 54.

1994 წლის მაისში სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით საწარმოთა კოლექტივებს უპირატესობა მიენიჭათ აქციონირების პროცესში, რამაც ეს პროცესი აშკარად დააჩქარა. ამავე დროს სტიმულირებულ იქნა პრივატიზება პირდაპირი შესყიდვის გზით. 1995 წლიდან დაიწყო ვაუჩერიზაცია. ამ ეტაპზე გააქტიურდა მუშაობა სპეციალური კრედიტების მოსაზიდად ენერგეტიკულ სფეროში მძიმე მდგომარეობის დაძლევის მიზნით, გაუმჯობესდა სააღრიცხვო საქმიანობა, დაიწყო საგადასახადო სისტემის გამარტივების პროცესი. სექტორალური განვითარების თვალსაზრისით რეფორმები ყველაზე ინტენსიური ტემპით განვითარდა ჯანდაცვის სისტემაში, სადაც თანდათანობით მოხდა გადასვლა ფასიან სისტემაზე. სამედიცინო დაზღვევის სისტემის დამკვიდრებაზე. გააქტიურდა მუშაობა განათლების სისტემის რეფორმის მიმართულებითაც. ეს და ბევრი სხვა რეფორმისტული ღონისძიება განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მათი ფინანსური მხარდაჭერით.

დიდ დახმარებას გვიწევდნენ დონორი ქვეყნები და ორგანიზაციები. ამ დახმარების მასშტაბებზე წარმოდგენის შესაქმნელად მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ 1995 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გასავლების მხოლოდ 47 პროცენტი მოდიოდა გადასახადების ხარჯზე, ხოლო დანარჩენი 53 პროცენტი შეივსო ჰუმანიტარული შემწეობის გზით მიღებული ხორბლისა და ფქვილის მონეტიზაციით.

ზემოთქმულთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკური რეფორმის ამ ეტაპზეც არსებობდა არაეკონომიკური წარმოშობის პრობლემები, რომლებიც სერიოზულ დამაბრკოლებელ ფაქტორებად გვევლინებოდნენ წარმატების გზაზე. პირველ რიგში ეს ითქმის ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დაცვაზე, რაც უდიდეს ტვირთად აწვებოდა ბიუჯეტს. სამართალდამცავი ორგანოების გაძლიერებული ბრძოლის შედეგად ამ პერიოდში კრიმინოგენური სიტუაცია თუმცა გაუმჯობესდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც საკმაოდ დაძაბული რჩებოდა, ნახევრადფორმალური, ნახევრად სახელმწიფოებრივი და სხვა კრიმინალური ელემენტების მიერ აშკარა დაყაჩაღებისა და რეკეტის შიშით მთელი

რიგი საწარმოები ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ სრული დატვირთვით ამოქმედებას. ეს პრობლემა მხოლოდ 1996 წელს მოიხსნა.

ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციამ სახელმწიფოს საშუალება მისცა 1995 წლის შემოდგომისათვის ახალი ქართული ეროვნული ვალუტა - ლარი შემოეღო. მიუხედავად იმისა, რომ კუპონმა „ინფლაციური შიშის“ გამო ზოგადად ქართული ფულის მიმართ მოსახლეობაში გარკვეულწილად უნდობლობის სინდრომი დატოვა, ლარმა სწრაფად თითქმის მთლიანად გამოდევნა მიმოქცევიდან რუსული რუბლი (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისა, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, აგრეთვე ახალქალაქის რაიონისა, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის სამხედრო ბაზაზე მსახურობდა და ხელფასსაც რუსული ფულით ღებულობდა, იგივე შეიძლება ითქვას ბათუმში განთავსებულ ბაზაზეც[1]) და ნაწილობრივ ამერიკული დოლარიც. თუმცა ამ უკანასკნელის მოძალება დღესაც იგრძნობა, განსაკუთრებით მიმოქცევის სფეროს იმ სეგმენტებში, რომლებშიც „კომერციული საქმიანობის აღურიცხაობის შედარებით მეტი შესაძლებლობა არსებობს. მათ პირველ რიგში განეკუთვნება უძრავი ქონებით ვაჭრობა, სადაც გარიგებათა უმრავლესობა მეტწილად უცხოურ ვალუტაში ხორციელდება. აშშ დოლარებში ხდება გარიგებები ავტომობილების ბაზარზეც. დოლარი დომინირებს აგრეთვე ავეჯით, იმპორტული სანტექნიკითა და მოსაპირკეთებელი მასალებით ვაჭრობაშიც“[2].

სამწუხაროდ, ქართული მედია დოლარის ამ ფუნქციას ფაქტობრივად არამცთუ არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ემსახურებოდა კიდეც მისი შენარჩუნების ინტერესებს. სხვანაირად ძნელია შეაფასო პრესაში დაბეჭდილი და ტელევიზიით არაერთგზის გადაცემული რეკლამა თუ განცხადება, რომლებიც მოსახლეობას ვაჭრობას ამერიკული ფულით სთავაზობდნენ.

აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მოყვანილი ციტატის ავტორებს მ. კაკულიასა და ნ. ასლამაზაშვილს, როცა აღნიშნავენ:

---

[1] 2003 წლიდან ამ ბაზებზეც ლარებით დაიწყეს ხელფასების გაცემა.

[2] მ. კაკულია, ნ. ასლამაზაშვილი, დოლარიზაცია საქართველოში. მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000, გვ. 32.

„მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ლარი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი ანგარიშსწორება ჩვენს ქვეყანაში, რა შინაარსის მატარებელიც არ უნდა იყოს იგი, უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსები ითვალისწინებს საკმარისად მკაცრ სასჯელს ლარის როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალებით რეჟიმის დარღვევისათვის, ამ ტიპის დანაშაულის ჩადენისათვის ცოტა ვინმე თუ დასჯილა“[1]. ამ სიტყვებს ჩვენ დავძენდით, დასჯას ვინ ჩივის, გაკიცხულა კი?

რაც შეეხება ლარს, როგორც დაგროვების საშუალებას, აქ ბევრად უფრო რთულად არის საქმე. დოლარი დღემდე აშკარად ჩაგრავს (და მერე როგორ!) ქართულ ფულს და ამაში ქართული მედიის ზემოთხსენებული, ერთი შეხედვით თითქოს „უწყინარი საქციელიც“ თამაშობს გარკვეულ როლს. ყველაზე არასასიამოვნო მაინც ის არის, რომ უკანასკნელ წლებში ამ თვალსაზრისით ვითარების კიდევ უფრო გაუარესების ტენდენცია ისახება. დოლარიზაციის კოეფიციანტი ანუ უცხოურ ვალუტაში დენომირებული დეპოზიტების შეფარდება მათ მთლიან რაოდენობასთან წლითიწლობით იზრდება და ჭეშმარიტად შემაშფოთებელ მასშტაბებს აღწევს. 2002 წლისათვის იგი 85,3%(!) შეადგენდა.

მძიმე მდგომარეობაა სესხების გაცემაშიც. დოლარი ამ სფეროშიც განუყოფლად ბატონობს და პერსპექტივაც ჯერ-ჯერობით არასახარბიელოდ გამოიყურება. ამერიკული ვალუტა აქ ქართულს ჭარბობდა 1998 წელს - 1,8-ჯერ, 1999 წელს – 3,2-ჯერ, 2000 წელს – 4,5-ჯერ, 2002 წელს – თითქმის 6-ჯერ. ყოველივე ამის შედეგად „2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველო ზომიერად დოლარიზებული ქვეყნების ჯგუფიდან გადავიდა მაღალდოლარიზებული ქვეყნების ჯგუფში. ზომიერად დოლარიზაციის

---

[1] მ. კაკულია, ნ. ასლამაზაშვილი, დოლარიზაცია საქართველოში. მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000, გვ. 53.

ზედა ზღვარი 30 %-ია, საქართველომ კი 36%-ს გადააჭარბა, მაშინ როდესაც გერმანიაში 0,60%-ის, იტალიაში 2,0%, იაპონიაში 5,1 % და ა.შ თუმცა ზოგიერთ ექსკომუნისტურ ქვეყანაში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით მაღალია, მაგრამ საქართველოსთან შედარებით – დაბალი. მაგალითად, ესტონეთში 17,5%-ია, პოლონეთში 12,9%, ჩეხეთში 11,3% და ა.შ"[1].

დოლარიზაციის პროცესი ჩვენი სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს უქმნის საფრთხეს, ამიტომაც მის ნეიტრალიზებაზე ზრუნვა ქართული მედიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ უნდა იქცეს.

ლარის მიმართ ქართულ მედიაში ზოგჯერ პესიმისტური პროგნოზებიც გამოითქმოდა. გაზეთ „დრონის" კორესპონდენტი, მაგალითად, ახალი ქართული ფულის ლარის შემოღებისთანავე წერდა, რომ იგი „ეკონომიკის არმცოდნე კომუნისტური პარტოკრატიის ხელში მყარ ვალუტად მაინც რომ ვერ იქცევა, ეს ცხადზე ცხადია"[2]. ამის შემდეგაც ყოფილა შემთხვევები, როცა ლარს კუპონის ბედს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პესიმისტური გამოვლინებები არც ისე ხშირი იყო და, საბედნიეროდ, ასეთი მოლოდინი არ გამართლდა. ლარმა ძირითადად შეინარჩუნა სტაბილური კურსი უცხოური ვალუტის მიმართ, მოხერხდა ინფლაციის დონის მისაღებ ფარგლებში დაფიქსირებაც და ეს მაშინ, როცა მისი შემოღების შემდეგ რამდენჯერმე გაიზარდა ხელფასები და პენსიები, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გაღებული სოციალური ხარჯები. ის კი არადა სამომხმარებლო ბაზარზე გარკვეულ პერიოდში დეფლაციაც კი აღინიშნებოდა.

1996 წელს შესაძლებელი გახდა ლაპარაკი სერიოზულ წარმატებებზეც. გაზეთი „დრონი" ამის თაობაზე იტყობინებოდა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის მმართველი იან კალიცკი აღფრთოვანებულია საქართველოში ეკონომიკური განვითარების ტემპებით. აღფრთოვანება უპირველესად ლარის სტაბილურობას გამოუწვევია. მისი თქმით, ეკონო-

[1] რ. ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივები, თბ., 2002, გვ. 31.

[2] გაზ. „დრონი", 12-18 ოქტომბერი, 1995წ.

მიკური ზრდის ტემპის მიხედვით საქართველო დსთ-ში პირველ ადგილზეა. მაგალითად, თუ ეს მაჩვენებელი ჩვენთან წელიწადში 12 პროცენტს შეადგენს, სომხეთში - ხუთი პროცენტია, რომ აღარაფერი ვთქვათ თანამეგობრობის სხვა ქვეყნებზე, სადაც ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი მინუსებში გადადის"[1]. საყურადღებო და ნიშანდობლივია ამ პუბლიკაციის დასასრული, სადაც მისი ავტორი არ მალავს ჟურნალისტების ირონიულ დამოკიდებულებას იან კალიცკის შეფასებებისადმი: „და ბოლოს უნდა აღინიშნოს, - ნათქვამია აქ, - რომ იმდენად დიდი იყო ამერიკელი სტუმრების აღფრთოვანება საქართველოს ეკონომიკაში მიღწეული შედეგებით, რომ სახტად დარჩენილ ჟურნალისტებს, ალბათ, ცოტა ეუხერხულებოდათ კიდეც იან კალიცკის გადარწმუნება და ამდენად არც ერთს არ წამოგვცდენია სრულიად ლოგიკურად გაჩენილი კითხვა: როდის დაეუფლება საქართველოს ეკონომიკური მიღწევებით აღფრთოვანების გრძნობა იან კალიცკის მსგავსად საქართველოს მოსახლეობასაც"[2].

როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა მიიჩნიეს, რომ ამერიკის საკმაოდ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ეკონომიკურ საკითხებში მისი მაღალი კომპეტენციის მიუხედავად ქართველმა მასპინძლებმა ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობაზე ხელოვნურად გალამაზებული ინფორმაციის მიწოდებით უბრალოდ გააცურეს და შეცდომაში შეიყვანეს, თორემ უფრო ლოგიკური იქნებოდა, რომ კითხვა, რომელიც „ლოგიკურად გაუჩნდათ" ჩვენს ჟურნალისტებს, თვითონ მათთვის შეებრუნებინათ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იგივე გაზეთი „დრონი" მკითხველებს შეახსენებდა, რომ „1996 წელს დაწყებული იყო ეკონომიკური აღმავლობა (რომელიც მართლაც შთამბეჭდავი იყო)"[3].

1996 წელსვე ქართულ ეკონომიკაში წინსვლა დაუფიქსირებიათ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებისა და მეწარმეთა შეხვედრაზეც, რომელიც იმავე წლის 23 ოქტომბერს გამართულა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა

---

[1] გაზ. „დრონი", 29 ოქტომბერი, 1996წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „დრონი", 25 აპრილი, 2001წ.

და ვაჭრობის სამინისტროში „შეხვედრაზე აღინიშნა, - გვამცნობს გაზეთი „რეზონანსი“ - რომ ეკონომიკური რეფორმების მხრივ წინსვლა აშკარაა. ეკონომიკური ზრდა 10-15%-ს აღწევს. ინფლაცია მოთოკილია და ლარი სტაბილურობას ინარჩუნებდა“[1].

1995 წლის ოქტომბერში ნავთობის დიდმა კონსორციუმმა მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის ადრეული ნავთობის, საქართველოს გავლით ტრანსპორტირების შესახებ; რისთვისაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა გაყვანილიყო ნავთობსადენი. ეს გადაწყვეტილება გაზეთმა „დრონმა“ შეაფასა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მოგვიანებით გადაწყდა, რომ საქართველოზე უნდა გაევლო დიდ ნავთობსადენსაც. ქართველ პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა უმრავლესობამ კმაყოფილება გამოთქვა, ამ პროექტების გამო, თუმცა იყო მცდელობაც, რომ დაეკნინებინათ ან საერთოდ უარეყოთ მისი მნიშვნელობა. გ.კერვალიშვილმა კი ისინი ჩვენი ქვეყნისათვის ზიანის მომტან მოვლენებად შეაფასა. გაზეთ „ალიას“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იგი შენიშნავდა: „თუ თქვენ ხელისუფლების მიერ ნავთობსადენის გაყვანას სიკეთედ თვლით, გეტყვით, რომ ნავთობსადენში კაპიტალს ვინც აბანდებს, ის მდიდრდება. „გოიმი“ საქართველო კი ზარალდება. აი ამათ დაეჯახა გამსახურდია, ანუ მაფიას“[2]. სკეპტიკურად განიხილავს ნავთობსადენთან დაკავშირებულ იმედებს მწერალი იაკობ მელია, რომელიც გაზეთ „იბერია-სპექტრის“ ფურცლებზე წერს: „ჩემი აზრით, ნავთობსადენიც მომავალი კონფლიქტების წყაროა - დასავლეთი ეკონომიკურად განუვითარებელ პატარა ქვეყნებს ყოველთვის მასხრად იგდებდა და ამ მხრივ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი“[3].

ნავთობსადენების გაყვანას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩვენთვის უმძიმეს წლებში ჩაეყარა საფუძველი, როცა „ბევრს ეს აუხდენელ ოცნებად ეჩვენებოდა“[4]. იგივე ითქმის ევრაზიის სატრანს-

[1] გაზ. „რეზონანსი“, 24 ოქტომბერი, 1996წ.

[2] გაზ. „ალია“, 3-4 ივნისი, 1999წ.

[3] გაზ. „იბერია-სპექტრი“, 21 ნოემბერი, 1995წ.

[4] ე. შევარდნაძე, „აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ“, თბ., 2000, გვ. 8.

პორტო დერეფანზე, ე.წ. TRACECA-ზე, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპის ქვეყნებს აზიის სახელმწიფოებთან. ამ დერეფნის ამოქმედებასაც პრაქტიკულად ერთხმად მიესალმა ქართული მედია, თუმცა აქაც იყო ცალკეული ცდები მისი მნიშვნელობის იგნორირებისა. TRACECA-ს თაობაზე ე.შევარდნაძე წერს: „საქართველოს სუვერენული არსებობა და სტაბილური განვითარება მოითხოვს მსოფლიო შრომის დანაწილებაში მის ეფექტიან ჩართვას, განვითარებულ სამყაროში ეკონომიკურ ინტეგრაციას. დღეს საქართველომ უკვე პრინციპულად გადაწყვიტა ეს ურთულესი სტრატეგიული ამოცანა. საქართველომ არა მარტო გამონახა მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთობაში საკუთარი სპეციფიკური ფუნქცია, არამედ დაძლია ამ ფუნქციის საერთაშორისო დამკვიდრების ყველა ძირითადი პოლიტიკური წინააღმდეგობა. დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების იდეის საყოველთაო გაზიარებამ საქართველოს შეუქმნა შესაძლებლობა ევროპისა და აზიის შემაკავშირებელ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემაში ჩაერთოს საკუთარი სპეციფიკური შრომითი ფუნქციით - უზრუნველყოს მგზავრების, ტვირთის, ინფორმაციის და ენერგიის საკონტინენტთაშორისი ნაკადის სატრანზიტო მომსახურება. ამით საქართველო მოექცა მსოფლიოს უმძლავრესი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების სფეროში, გადაიქცა მათთვის არა მარტო სასარგებლო, არამედ საჭირო ქვეყნად. ეს გარემოება უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი და უსაფრთხო განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“[1].

ე. შევარდნაძის შეფასებით, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმძლავრეს მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენდა, რომელიც ქვეყანას უქმნიდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის საიმედო პირობებს: ენერგოშემცველებისა და სხვა ტვირთის საკონტინენტთაშორისო ნაკადს აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკის, მრავალი სექტორის, მათ შორის გადამმუშავებელი მრეწველობის,

---

[1] ე. შევარდნაძე, „აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ“, თბ., 2000, გვ. 8.

ტურიზმის, ინფრასტრუქტურის დარგების, სატრანსპორტო სისტემის თანამედროვე ფორმით განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების სტაბილური და მძლავრი წყაროების წარმოქმნა. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბიდან გამომდინარე, მისი მთელი ტერიტორია მოექცეოდა დერეფნის პოზიტიური ზემოქმედების არეალში, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და მდგომარეობაზეც აისახებოდა. სატრანსპორტო დერეფანი ამავე დროს გახდებოდა კავკასიის მთელი რეგიონის განვითარების, რეგიონში მშვიდობისა და პოლიტიკური სტაბილურობის ძლიერი პირობა.

მოგვიანებით მ. სააკაშვილმა „დიდი აბრეშუმის გზის“ ზემოთჩამოთვლილ ფუნქციებს დაუმატა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ გზის წყალობით „საქართველო იქნება რეგიონის ყველა ქვეყნისთვის მაღალტექნოლოგიური იდეების მიმწოდებელი“[1].

საქართველოზე გადის დერეფნის სახმელეთო გზის საერთო სიგრძის დაახლოებით ერთი მეექვსედი - 400 კმ.და 600 კმ-იანი საჰაერო გზა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კავკასიაზე გამავალი ევრაზიის სატრანზიტო მარშრუტები დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულებასთან ერთად მოიცავენ ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებასაც...

ევროკავშირის TRACECA-ს პროექტმა, რომელიც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობა გახდა, საფუძველი ჩაუყარა ისტორიული აბრეშუმის გზის აღორძინების იდეის განხორციელებას. ამ პროექტის ფარგლებში აშენდა აზერბაიჯან-საქართველოს შემაერთებელი ახალი წითელი ხიდი და სარკინიგზო საბორნე გადასასვლელები ფოთსა და ბათუმში, საფუძველი ჩაეყარა ევროპის ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაში საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაციების ჩართვას - TRACECA-ს პროექტის ნაწილია ენერგოგადამცემი ხაზების, გაზსადენების, ოპტიკური კაბელების სისტე-

[1] ჟურნ. „სარკე“, 2-8 სექტემბერი, 2003წ.

მის აგება... აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო სენატორ ბრაუნბეკის მიერ წარდგენილი „აბრეშუმის გზის სტრატეგიის“ 1999 წლის აქტი, რომელიც განსაზღვრავს ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებას და ამ რეგიონებში ამერიკული კაპიტალდაბანდებების მოზიდვას.

თუ რას ნიშნავდა ჩვენთვის „დიდი აბრეშუმის“ გზის პროექტის რეალიზაცია, ამის საილუსტრაციოდ იმის გახსენებაც იკმარებდა, რომ მისი დაწყების მომენტისათვის საქართველოს რკინიგზას სრული პარალიზება ემუქრებოდა. ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის პერსპექტივა კი იმდენად უიმედოდ გამოიყურებოდა, რომ მის ხელმძღვანელობას ერთადერთ იმედად რუსეთის რკინიგზასთან შეერთებაღა ესახებოდა. პრობლემის გადაჭრის ასეთი გზის უაღრესი არაპოპულარობის მიუხედავად ეს მოსაზრება არაერთხელ გაცხადდა ტელეეკრანებიდანაც. დღეს კი ჩვენი სახალხო მეურნეობის აღნიშნული დარგი ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან სფეროდ იქცა. ე. შევარდნაძის ცნობით, „80 მილიონი შედის რკინიგზიდან ბიუჯეტში“ (ტელეკომპანია „კავკასია“, 31. 12. 2003წ.).

როგორც მილსადენების, ისე „დიდი აბრეშუმის“ გზის პროექტების ხორცშესხმისათვის საქართველოს დიდი წინააღმდეგობები და ურთულესი პრობლემების დაძლევა მოუხდა. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე გვაქვს „მწვავე კონკურენციასთან, რომელიც არსებობს TRACECA-ს ალტერნატიულ ევრაზიის სხვა სატრანსპორტო მაგისტრალებთან, კერძოდ, ჩრდილოეთის (რუსეთის) და სამხრეთის (თურქეთი-ირანი) მარშრუტებთან“[1].

ქართულ მედიას არაერთხელ გამოუთქვამს მოსაზრება, რომ თავდასხმები ე.შევარდნაძეზე და საქართველოში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად განხორციელებული სხვა აქტები სწორედ ამიერკავკასიის სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნების იდეის

---

[1] ე. შევარდნაძე, „აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ“, თბ., 2000, გვ. 65.

დასამარებას ისახავდა მიზნად. პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა მხრიდან გაუღერებულა ბრალდებები ჩვენი ხელისუფლების მიმართაც, რომ იგი არაფერს აკეთებდა ამ პროექტებში ქვეყნის ჩართვისათვის. არადა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იგი უაღრესად სერიოზულ, მაგრამ უხმაურო მუშაობას ეწეოდა აღნიშნული მიმართულებით. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ეს ტაქტიკა ერთადერთი სწორი გზა იყო. ჩვენი მედია, საერთოდ, ღიზიანდება, როცა მას თავიდანვე არ უხსნიან კარტებს და ასეთ შემთხვევებში არც თუ იშვიათად გაუმართლებლად ტეხს განგაშს, რომ ხელისუფლება პოლიტიკის გამჭვირვალობის პრინციპს ენინააღმდეგება, მას რაღაც ბოროტი განზრახვა ამოძრავებს, თორემ ხალხის ზურგს უკან არ იმოქმედებდა, ასე არ მოიქცეოდაო.

1996-1997 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ დაახლოებით 11% შეადგინა, მაგრამ ეს „პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა: ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 1998 წელს 2%-ზე ნაკლები შეადგინა. მხოლოდ 2002 წელს მიაღწია ზრდის მაჩვენებელმა 5,3%-ს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროგრესი მრავალი ქვეყნისათვის სასურველი იქნებოდა, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ წარსული ეკონომიკური ვარდნიდან გამომდინარე, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოსთვის საკმარისი არ არის“[1]. 2003 წელს შეიმჩნეოდა შემდგომი წინსვლა, მაგრამ ნოემბრის მოვლენების ფონზე ამ ფაქტმა მედიის ჯეროვანი ყურადღება ვერ მიიპყრო.

1998 წლიდან საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ისევ დაწყებულ შეფერხებას ხელისუფლება მსოფლიოს, განსაკუთრებით რუსეთის ფინანსური კრიზისის ზეგავლენით ხსნიდა. ე.შევარდნაძე 2000 წლის საპრეზიდენტო-საარჩევნო პროგრამაში ამის თაობაზე წერს, რომ ამ კრიზისმა „სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. დაირღვა უზარმაზარი ძალისხმევით მოპოვებული მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სახელმწიფო ფინანსური დისციპლინა. საქართველოს ღია ეკონომიკას, რომელიც უკვე საკ-

[1] დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, თბ., 2003, გვ. 47.

მაოდ მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებს ვერ აღმოაჩნდა საკმარისი საკუთარი სიმძლავრე გარეშე ძლიერ ზემოქმედებათა შესარბილებლად. ქვეყნის წინაშე კვლავ დადგა ეკონომიკური სტაბილიზაციის ამოცანა"[1].

მსოფლიო საფინანსო კრიზისს მოჰყვა უმძიმესი გვალვები საქართველოში ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, რომლებმაც აგრეთვე სერიოზული ზეგავლენა იქონიეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და ენერგეტიკაზე.

ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები და საინფორმაციო საშუალებები ზემოაღნიშნული ფაქტორებით ჩვენი ეკონომიკის განვითარების შეფერხების ახსნას თავის მართლების უსუსურ მცდელობად თვლიდნენ. ნამდვილ მიზეზად კი მთავრობის უუნარობასა და მის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს მიიჩნევდნენ. ამ პოზიციის გამომხატველია გაზეთ ,,ახალი თაობის" მიმომხილველი გიორგი კვიტაშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს შეფერხება პროგნოზირებული ყოფილა, ხოლო რაც შეეხება რუსულ კრიზისს, მისი აზრით ჩვენს ქვეყანას ამ მოვლენის თავის სასარგებლოდ გამოყენებაც კი შესძლებია. მაგრამ ხელისუფლებას ეს ვერ მოუხერხებია. გაზეთი წერს, ,,1998 წლის ეკოკატასტროფა ხელისუფლებამ დააბრალა რუსეთში განვითარებულ მოვლენებს და დღემდე ეს აქვს თითზე დახვეული...

...4 წლის წინ ხელისუფლება გააფრთხილეს მოსალოდნელ დაცემაზე...

...რაც შეეხება ,,დიდ რუსულ კრიზისს", ხელისუფლების დაუდევრობით აქაც ბევრი რამ გაფუჭდა. ამ კრიზისს აბრალებენ სწორედ - აქაოდა, იქ დაწყებული არეულობა საქართველოშიც შემოიჭრა და ყველაფერი თავდაყირა დააყენაო. არადა, ხელისუფლება გონიერად რომ მოქცეულიყო, ,,რუსული კრიზისი" იქცეოდა ქართული ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთ ეტაპად.

---

[1] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება — საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 8-9.

საქმე ისაა, რომ როგორც კი რუსეთში კრიზისი დაიწყო, ამ ქვეყნის უცხოელმა პარტნიორებმა დაიწყეს თავის შეკავება რუსეთში ბიზნეს-გეგმების განხორციელებისაგან და იქ პროდუქციის შეტანისგან. ამან კი ის გამოიწვია, რომ ქართულ პროდუქციას ნელ-ნელა გზა გაეხსნა რუსულ ბაზარზე და ქართულმა ნაწარმმა აქტიურად დაიწყო ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ბაზრის ათვისება. საქმის ბოლომდე მისაყვანად საკმარისი იყო ერთადერთი რამ - საქართველოს ხელისუფლებას ამ პროცესისათვის ხელი უნდა შეეწყო, ამ მიმართულებით აქტიურად ემუშავა და წარმატება გარანტირებული იყო. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ, როგორც სჩვევია ხოლმე, გამოავლინა აბსოლუტური დადამბლავება და ამორფულობა. ამან მოიტანა ზემოთ ხსენებული პროცესის შეჩერება და დამუხრუჭება. წარსული შეცდომების გამო კი დღეს მდგომარეობა უფრო დამძიმებულია და მასთან ერთად ავსებულია მოთმინების ფიალაც"[1].

მიმომხილველი, სამწუხაროდ, არ აკონკრეტებს, სახელდობრ რა ნაბიჯები უნდა გადაედგა საქართველოს ხელისუფლებას, რომ „რუსული კრიზისი" ჩვენი ეკონომიკის „აღმავლობის ერთ-ერთ ეტაპად" ექცია. უამისოდ კი ძნელია მისი მოსაზრების საფუძვლიანობაზე მსჯელობა. ისე კი უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთის ფინანსურმა კატაკლიზმებმა ჩვენს ქვეყანაში იაფი რუსული საქონლის (მეტწილად კონტრაბანდულის) მოზღვავება გამოიწვია. ასე რომ თვითონ რუსებიც აქცევდნენ ზურგს საკუთარ ბაზარს იქ შექმნილი არახელსაყრელი კონიუნქტურული სიტუაციის გამო. ასეთ ვითარებაში ფრიად საეჭვოა, რომ „რუსული კრიზისის" ქართული ეკონომიკის აღმავლობის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობას რეალობასთან საერთო რამე ჰქონოდა.

რაც შეეხება უცხოელ ექსპერტებს, ისინი ეჭვქვეშ არ აყენებდნენ მსოფლიო ფინანსური კრიზისის უარყოფით გავლენას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.

1998 წელს დაწყებულ შეფერხებებს ეკონომიკაში დაერთო ფისკალური კრიზისიც და როგორც მისი შედეგი ბიუჯეტის საშემო-

---

[1] გაზ. „ახალი თაობა", 25 აპრილი, 2001წ.

სავლო ნაწილის შეუსრულებლობა. ამას მოჰყვა სერიოზული შეფერხებები ხელფასებისა და პენსიების გაცემაში და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში. ეს კრიზისიც რამდენიმე წელს გრძელდებოდა.

ხელისუფლების შეფასებით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა მაინც მოხერხდა ქვეყნის გადარჩენა ბევრად უფრო მძიმე შედეგებისაგან, ეკონომიკაში განვითარების ტემპები შენელდა, თორემ რეგრესი არ ყოფილა (ზოგიერთის აზრით კი, ჩვენთან ეკონომიკური კი არა, ფისკალური კრიზისი მოხდა). გადარჩა საბანკო სისტემა, თანაც ისე, რომ „საქართველოს არც ერთი კომერციული ბანკი არ გაკოტრებულა“[1]. შენარჩუნებულ იქნა ლარის სტაბილური კურსიც უცხოური ვალუტების მიმართ (და ეს მაშინ, როცა რუსული რუბლის ფასი იმ დროს ლამის ხუთასი პროცენტით დაეცა), მისაღებ ფარგლებში დარჩა ინფლაციის დონეც.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ხელისუფლებამ ლაპარაკი დაიწყო ვითარების გაჯანსაღების ტენდენციის გაჩენაზე, რაც შეეხება ოპოზიციას, იგი ასეთი ტენდენციის რაიმე ნიშან-წყალს ვერ ამჩნევდა. მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის ჯ.პატიაშვილის მიერ გამოთქმულ შეფასებას, რომ „ქვეყანა სულ უკან და უკან მიდის და პროგრესი, აღმშენებლობა არ ჩანს“[2], ლამის გაუთავებლად ვკითხულობდით პრესაში და ვისმენდით ტელეარხებიდან. ამასთან უკუსვლის, ნგრევის პერიოდად მოიაზრებოდა არა მარტო ბოლო წლები, არამედ დამოუკიდებლობის მთელი შემდგომი პერიოდიც. ასეთ მოსაზრებებს უპირისპირდებოდა სწორედ „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი ვაჟა თოდრია, როცა ამბობდა: „კეთილისმყოფელზე მეტი მტერი გვყავს, რომელთაც სურთ ისეთი სურათი დახატონ, თითქოს ყველაფერი ინგრევა და საიმედოც არაფერი ჩანს“[3].

არსებობს მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც ქართულ მედიასა და პოლიტიკაში შეინიშნება ობსტრუქციისა და დესტრუქტი-

---

[1] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 397.

[2] გაზ. „ახალი თაობა“, 30 მაისი, 2001წ.

[3] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 ნოემბერი, 2001წ.

ვიზმის ტენდენცია, საკმაოდ ხშირად ჩანს ერთგულებაც პრინციპისა - „რაც უარესი, მით უკეთესი!“ სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ პრინციპის გამზიარებელთა აზრით, ვითარების გაუარესება ხელსაყრელია ოპოზიციისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში დაეცემა ხელისუფლების რეიტინგი და შესაბამისად გაიზრდება მისი ოპონენტებისადმი მხარდაჭერა. ამიტომაც არის, რომ ამ უკანასკნელთა პოზიციაში დესტრუქციული მომენტი აშკარად ჭარბობს კონსტრუქციულს, ხელისუფლების სწორ გზაზე დაყენების სურვილს თრგუნავს მისთვის ხელის შეშლისადმი მისწრაფება, გაუსაძლის სოციალურ ტკივილებზე ყურადღების პერმანენტული აქცენტირება და ამით პოლიტიკური ქულების დაგროვების დაუოკებელი წყურვილი ცხადად პრევალირებს ვითარების გაუმჯობესებისათვის რეალურ ზრუნვაზე. სოციალური დემაგოგია კი სიტუაციიდან გამოსავლის გულწრფელ ძიებაზე.

ოპოზიციური პოლიტიკური ძალები მძაფრად უპირისპირდებოდნენ არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ერთმანეთსაც. ეს გარემოება ჰქონდა სწორედ რ. გოცირიძეს მხედველობაში, როცა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: „დღეს არ არის პაექრობა ძალაუფლების მყისვე ხელში აღებისთვის. ეს არის პოზიციური ბრძოლა ურთიერთდასუსტებისათვის, საზოგადოების თვალში საკუთარი სახის შექმნისათვის, ჯგუფური ბრძოლა „ლიდერის მაისურისათვის“, მაგრამ ამ ურთულეს სიტუაციაში, როდესაც ეკონომიკის დაცემა ჯერ კიდევ ბოლო ზღვრამდე არ მომხდარა და არც სოციალური უკმაყოფილების ზღვარია გაყინული, პასუხისმგებლობის აღებას ყველა უფრთხის. ამიტომაც არის, ამიტომაც არ ჩანს, გარდა ლოზუნგებისა და მკვახე, ხშირად შეურაცხმყოფელი მოწოდებებისა, კონკრეტული ალტერნატიული კონცეფციები, პროგრამები, მოქმედების გეგმა. როდესაც მიმდინარეობს მთავრობის კრიტიკა მაშინ, როცა ეს ძალიან ადვილია, ხშირ შემთხვევაში ობიექტურიც, ეს კრიტიკა არასოდეს არ არის დასაბუთებული გეგმის სახით. როცა ამბობენ, რომ არ მოსწონთ უკვე მოქმედი რეფორმების პროგრამა, ჯეროვნად არავის უთქვამს, აქვთ, თუ არა ისეთი პროგრამა, რომელიც ამ თუნდაც ცუდ პროგრამას ჯობია. ამიტომ ის პროცესი, რაც დღეს ვითარდება, არის არა მარტო

შიდასაპარლამენტო ბრძოლა ჯგუფებს შორის, არამედ ამ ჯგუფების მიერ ძალაუნებურად შეთანხმებული ზეწოლა მთავრობაზე მისი კომპრომეტაციის მიზნით"[1].

პოლიტიკოსები ბრძოლას, რომელზეც რ. გოცირიძე საუბრობს, უმთავრესად მედიის საშუალებით ეწეოდნენ და, მაშასადამე, ეს დესტრუქტივიზმი ამ უკანასკნელის მეშვეობით ხორციელდებოდა. პრესა, ტელევიზია, რადიო ხალისით უთმობდა მათ საგაზეთო-საჟურნალო ფართობსა თუ ეთერს და აშკარად უპირატესობას ანიჭებდა კონსტრუქციულად განწყობილ პოლიტიკოსებთან თუ პოლიტოლოგებთან შედარებით. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თვით პარლამენტის სხდომებზე გამართული პაექრობის მწვავე და თავშეუკავებელი ხასიათი უმთავრესად მათი ტელე-და რადიოტრანსლაციითაა განპირობებული.

საერთოდ, ქართულ მედიაში თუმცა აშკარად შეიმჩნეოდა ხელისუფლების მძაფრი კრიტიკით გატაცება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი დიდ იმედებს ამყარებდა ოპოზიციაზე. ამ უკანასკნელს საყვედურობდნენ, რომ იგი პოლიტიკას უარყოფის პრინციპზე აგებდა, კონსტრუქციულ ნაბიჯებს კი, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ მას ნამდვილად ძალუძდა ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესება, ფაქტობრივად არ გვთავაზობდა. ბევრ პუბლიკაციაში ის აზრიც კი გამოსჭვივის, რომ პოლიტიკურ პარტიებს საამისოდ არც სურვილი გააჩნია და არც პოტენციალი. აი, რას ამბობს ამის თაობაზე, მაგალითად, გაზეთ „კვირის პალიტრის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე: „გადავხედოთ პოლიტიკურ პარტიებს, აღფრთოვანებას არც ერთი არ იწვევს. მეტ-ნაკლებად სიმპათიებს, კი ბატონო. გამოდის, რომ არც იმისთვის ვართ მზად, რომ წელში გამართული პოლიტიკური პარტია დავბადოთ, აბა მოვთხოვოთ ამ პარტიებს, წარმოადგინონ მინისტრთა კაბინეტები და ვნახავთ, რომ ვერც ერთი ვერ დადებს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას, რომელსაც დაევალება მართვა! მმართველი პარტიაც ვერ ახერხებს მინისტრთა კაბი-

[1] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999. გვ. 243-244.

ნეტის ისე დაკომპლექტებას, რომ უპრეტენზიოდ მივიღოთ. მხოლოდ ეკონომიკურ ბლოკს აკომპლექტებდა ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“ და ყველაზე სუსტიც სწორედ ეკონომიკური ბლოკი აღმოჩნდა, არ ეყოთ ამის პოტენციალი“[1].

პარტიებში სათანადო კადრების პოტენციალის არარსებობა არაერთხელ აღუნიშნავს სოციალისტური პარტიის ლიდერს ვახტანგ რჩეულიშვილსაც. იგი კოალიციური მთავრობის შექმნას მოითხოვდა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ, მისი აზრით, ცალკე აღებულ არც ერთ პარტიას სრულფასოვანი კადრებით მთავრობის სრული დაკომპლექტება არ ძალუძდა.

საზოგადოება იმასაც ამჩნევდა, რომ საუკეთესო ინტელექტუალური ძალების უდიდესი უმრავლესობა პარტიებში გაწევრიანებას თავს არიდებდა. ჩანს, ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს მათი უნარისა და გამოცდილების გამოყენების დიდი სურვილი ჰქონდათ.

ოპოზიციის, ისევე როგორც ხელისუფლების, შეფასებისას კიდევ უფრო რადიკალური იყო აკაკი ბაქრაძე, რომელიც „დილის გაზეთის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში უაღრესად პესიმისტურ დასკვნას გვთავაზობდა: „ადრე თუ გვიან ჩვენი ხელისუფლება ნავა. მარადიული არაფერია ამქვეყნად, მაგრამ მისი შემცვლელიც ისეთივე არაფრის გამკეთებელი იქნება, როგორიც დღევანდელია. ისეთივე იქნება, რადგან ასპარეზზე არ ჩანს არც პოლიტიკური პარტია, არ ჩანან პოლიტიკოსები, რომელთაც ძალუძთ საქართველოში ვითარების შეცვლა. ამას ყველაფერი ადასტურებს - პარლამენტის სხდომები, პრესკონფერენციები, რადიო-ტელეგამოსვლები, სტატიები პრესაში, მათი საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგები“[2].

არანაკლებ მძაფრია ზაზა ბაკაშვილის შეფასება, რომელსაც იგი ქართული პოლიტიკის მესვეურთ აძლევს. იგი თვლის, რომ „საქართველოში პოლიტიკა უმეცართა დიდი თავშესაფარია“[3].

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 23-29 აპრილი, 2001წ.
[2] გაზ. „დილის გაზეთი“, 22 მარტი, 2001წ.
[3] გაზ. „ახალი თაობა“, 2 თებერვალი, 2001წ.

გიორგი ბაკაშვილის აზრით კი, ჩვენ გვყავს „უსაქმური და უნიათო პარლამენტი (აქ იგულისხმება როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი უმრავლესობა, ისე ოპოზიციური უმცირესობა - გ.კ.)“, რომელიც „ენის მოსაფხანად და საკუთარი ცხოვრების მოსაწყობ ადგილადაა ქცეული“[1]. მისი თქმით, „დეპუტატობა მშვენიერი რამაა. იჯექი ოთხი წელი თბილ სავარძელში, ილაყბე დაუსრულებლად, პოლიტიკური ოპონენტების ლანძღვა-გინებით დაიწერე ქულები, აკეთე ფული და ამავე დროს ყველაზე ხმამაღლა იყვირე კორუფციაზე, ახალი არჩევნების მოახლოებისთანავე კი აუხსენი ამომრჩეველს, თუ რატომ ვერ შეძელი დანაპირების შესრულება, სამაგიეროდ, თუ კიდევ აგირჩევენ, ოქროს ქარვასლას აუშენებ, შენსას რომ მორჩები“[2].

გამანადგურებლად ახასიათებს როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებას, ისე მთლიანად პარლამენტს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძეც, თანაც ისეთი ფორმით, რომ კორექტულობის დაცვასაც კი ზედმეტად თვლის მის პოზიციას სხვებისაგან მხოლოდ ის განასხვავებს, რომ ხსნას პარლამენტის გარეთ ხედავს. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი კატეგორიულად აცხადებს: „არ შეიძლება ხელისუფლებაში იყოს არაკორუმპირებული, არამოღალატე და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცი... მხოლოდ პარლამენტს გარეთაა სამინისტრო ხალხი, პარლამენტში და ხელისუფლების ხროვაში გეგულებათ ვინმე ქმედუნარიანი ხალხი?!... ეს ხელისუფლება არის ქართველი ერის „ნაგავი“ (ყოფილი კომუნისტები და კომკავშირლები)“[3].

ზემოთქმულიდან არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მოყვანილ ციტატებში ფიქსირებული პოზიცია ქართულ სინამდვილეში ცალსახაა. მედიაში გვხვდებოდა როგორც ცალკეული პარტიებისადმი იმედით განწყობილი, ისე ხელისუფლებისადმი ნდობის გამომხატველი პუბლიკაციები. ეს განსაკუთრებით ითქმის პარტიულ პრესაზე, აგრეთვე სტატუსით თავისუფალ, მაგრამ დაუფარავად გარკვეულ პოლიტიკურ ძალებზე ორიენტირებულ გაზეთებზე. ეგაა

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 7 დეკემბერი, 2000წ.
[2] იქვე.
[3] გაზ. „ახალი თაობა“, 28 მაისი, 2001წ.

მხოლოდ, რომ ასეთი მასალები ბევრად უფრო ნაკლებად ქვეყნდებოდა.

საქართველო დგას სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის რეფორმირების აუცილებლობის წინაშეც. ეკონომიკის რიგ დარგებს, რომლებიც საბჭოური დახურული სისტემის დროს ასე თუ ისე ახერხებდა ფუნქციონირებას, ღია ეკონომიკის, უცხოური საქონლისათვის საზღვრების გახსნის, სახელმწიფოს მხრივ პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფის ვალდებულებებზე უარის თქმის პირობებში აშკარად უჭირს არსებობის შენარჩუნება. როგორც ჩანს, მოგვიხდება ამ დარგებზე ან ხელის აღება, ან მათში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მკვეთრი შემცირება, შედეგად შრომის ბაზრისათვის ზედმეტი გახდება ბევრი სპეციალისტი და კვალიფიცირებული მუშახელი. მათ უთუოდ მოუწევთ სპეციალობის შეცვლა, რაც გასაგებია, რომ უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. სანაცვლოდ ჩნდება პერსპექტივები ახალი დარგების შესაქმნელად და ზოგიერთი ძველი მიმართულების აღმავლობისათვის.

ქართული მედია განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს საკურორტო მეურნეობასა და ტურიზმზე. ამ თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანას საყოველთაო აღიარებით ნამდვილად გააჩნია უდიდესი პოტენციალი. ბევრს ხიბლავს ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება, ჰავა, ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლები, კურორტების სამკურნალო შესაძლებლობანი და, რაც მთავარია, სტუმარ-მასპინძლობის ჩვენებური წესები. თავის დროზე ჩვენ უცხოელ ჟურნალისტთა დელეგაციების მომსახურება გვიწევდა და არაერთხელ გვსმენია მათგან, რომ მათი თანამემამულეებისაგან ბევრი მოგზაურობს ყოველწლიურად საზღვარგარეთ და რომ იცოდნენ, რა შესანიშნავი ქვეყანაა საქართველო და რა სასიამოვნოა და ლამაზია ქართველებთან ურთიერთობა, ტურისტებისა და დამსვენებლების ნაკადს ვერც აუხვალთო.

თუ როგორი კოლოსალური შემოსავლების მოტანა შეუძლია ტურიზმს, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ მისი წილი მსოფლიო ექსპორტის შემოსავლებში მხოლოდ ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და ავტომობილებისას ჩამორჩება, მოელიან, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

გაზეთი „ახალი ტალღა“ იმოწმებს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის სიტყვებს და წერს: „იყო დრო, საქართველო ყოველწლიურად 10 მილიონ ტურისტს მასპინძლობდა. დღეს კი ეს რიცხვი 400 ათასამდე შემცირდა... ყოველწლიურად შემოსული ტურისტი დაახლოებით ათას დოლარს ტოვებს და თუ, ვთქვათ, წელიწადში 100 ათასი ტურისტი გვეწვევა, სულ ცოტა 100 მილიონი დოლარი შემოვა“[1]. გაზეთი „ახალი თაობა“ კი გვატყობინებს, რომ „1998 წლის შედეგებით, ტურიზმიდან შემოსულმა შემოსავალმა 702 მილიონი ლარი შეადგინა“[2]. ეს თანხა ქვეყნის წლიური ბიუჯეტის ნახევარს მნიშვნელოვნად აღემატება, მაგრამ იმ პოტენციალთან შედარებით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, მაინც მიზერულია. ამ პოტენციალის რეალიზაცია ჩვენგან პირველ რიგში მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებულმა ნგრევის პროცესმა ყველაზე მეტად ეს ინფრასტრუქტურა დააზარალა[3]. ფაქტობრივად სრულიად განადგურდა სასტუმრო მეურნეობა, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, მოიშალა გზები, რასაც დაემატა კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, სამოქალაქო ომი, უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაცია. ყოველივე ამან კი უცხოელ სტუმართა ნაკადი ჩვენში ერთ პერიოდში ლამის ნულამდე დაიყვანა. უკანასკნელ წლებში ვითარება რამდენადმე გამოსწორდა. ტურისტთა ის რაოდენობა, რომელსაც ზემოთ გავეცანით, იმ პერიოდისათვის საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდა.

ბევრი უცხოელი ტურისტი თუ დამსვენებელი მზადაა გადაიხადოს ნებისმიერი თანხა, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს კომფორტს, მომსახურებას უმაღლეს დონეზე. ამ მხრივ ჩვენ ჯერ-ჯერობით დიდი პრობლემები გვაქვს. მართალია, ამჟამად ჩვენში სასტუმროების

---

[1] გაზ. „ახალი ტალღა“, 16 აპრილი, 1999წ.

[2] გაზ. „ახალი თაობა“, 7 აგვისტო, 1999წ.

[3] ვაჟა შუბლაძისვე ცნობით, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის საჭიროა 1200 მილიონი დოლარი. ამდენი თანხა ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საქმეში უცხოელ ინვესტორთა ჩაბმას.

მშენებლობის ნამდვილი ბუმია და არამარტო თბილისში, არამედ პერიფერიებშიც, მაგრამ მათი რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა, მით უმეტეს მაღალი კატეგორიისა. საკმარისია ითქვას, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისშიც კი მთელს საქართველოში ერთი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროც არ გაგვაჩნდა. ამ ფონზე ცოტა გაუგებრად ჟღერს საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრის თენგიზ ჯანელიძის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „დღეს, როდესაც ხალხს უჭირს, როცა ირგვლივ შიმშილი და სიკვდილია, ასეთ დროს ძვირად ღირებული სასტუმროებისა და მისი მსგავსი სხვა დაწესებულებების მშენებლობა მხოლოდ მკრეხელობაა და სხვა არაფერი“[1]. გაუგებარია იმდენად, რამდენადაც არა მარტო სიღარიბის დაძლევის, არამედ ქვეყნის ცხოვრების ევროპის სტანდარტებზე გასაყვანად ყველაზე საიმედო და სწრაფი გზა სწორედ ტურიზმისა და დასვენების ინდუსტრიის განვითარებაზე გადის. ეს კი შეუძლებელია ამ „მკრეხელურ მშენებლობათა“ გარეშე. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საამისო თანხებს ძირითადად უცხოელი ინვესტორები იღებენ, რომლებსაც ვერანაირად ვერ უკარნახებ, თუ სად უნდა ჩადონ თავიანთი კაპიტალი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტურიზმი ეკონომიკის არა მარტო ყველაზე მომგებიანი დარგია, არამედ მასში დაბანდებული კაპიტალის ყველაზე სწრაფად ამნაზღაურებელიც, რაც ინვესტორთათვის მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის.

გადასაჭრელი გვაქვს გზებისა და სატრანსპორტო მეურნეობის საკითხიც. თუმცა აქ დიდ იმედებს გვისახავს ევროპა-აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობის პერსპექტივები, რომელთა რეალიზაციაში აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

ყურადღება სჭირდება გართობის პრობლემის მოგვარებასაც. ჩვენს ქვეყანას ამ თვალსაზრისითაც დიდი პოტენციალი გააჩნია იმედი ვიქონიოთ, რომ ტურისტთა მზარდი ნაკადი მძლავრ სტიმულს მისცემს მის ამოქმედებასაც. საერთოდ ტურიზმი კომპლექსური პრობლემაა. იგი ასეთივე სტიმულს მისცემს სახალხო მეურნეობის ბევრი

---

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 2 მაისი, 2001წ.

სხვა დარგის (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მშენებლობა, სერვისი, სუვენირების წარმოება...) განვითარებასაც.

რასაკვირველია, უნდა მივხედოთ შიდატურიზმის განვითარებასაც.

ტურიზმისა და დასვენების ინდუსტრიის განვითარების ამოცანები მოითხოვს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას. მოსალოდნელია, რომ ამ სფეროში დასაქმდება ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ასეთი პერსპექტივის გამო ქართულ მედიაში თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გამოითქმის უკმაყოფილება, რომ ჩვენ „მომსახურე ერად" გადაქცევის საფრთხე გველის. ვფიქრობთ, რომ შეშფოთება ამის გამო არაფრითაა გამართლებული. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ოცნებობს იმაზე, რომ მეტი ტურისტი და დამსვენებელი მიიზიდოს, არც არავინ უკადრისობს ამას და რაღა ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისი. ესეც არ იყოს, გვინდა თუ არა, განვითარებული მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მალე სწორედ მომსახურების სფეროში იქნება დასაქმებული და, როგორც არ უნდა ეცადონ, ამას ვერავინ აიცილებს თავიდან. ასე რომ, ნუ ვეცდებით „ორიგინალობით" გამოვირჩეოდეთ.

სერიოზულად აფერხებს ჩვენში ტურიზმის განვითარებას შიდა კონფლიქტები, მადესტაბილიზებელი აქციები და განსაკუთრებით კრიმინოგენური სიტუაციის პერიოდული გართულებები. სამწუხაროდ, მოსახლეობის ფართო ფენებს არასაკმარისად აქვთ გააზრებული ყოველივე ამის ნეგატიური ზემოქმედება ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ პერსპექტიული დარგის განვითარებაზე და საკუთრივ მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე. საქართველოს მთელ რიგ რაიონებს, მაგალითად, სვანეთს, მხოლოდ ტურიზმი თუ ააღორძინებს, მაგრამ, მოსახლეობას ნაკლებად ესმის, თუ რა ცუდ სამსახურს უწევენ თავიანთ მხარეს უცხოელ სტუმართა გახშირებული დაყაჩაღებით. საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა რამდენიმე სპეციალური გადაცემაც კი მოანყო ამის თაობაზე, კარგი იქნება თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებიც იღვაწებენ ამ მიმართულებით.

ქართულ მედიას შესაბამის სამსახურებთან ერთად უთუოდ მეტი აქტიურობის გამოჩენა მართებთ ჩვენი ტურისტული და რეკრეაციული შესაძლებლობების რეკლამირების მიზნითაც.

დიდ იმედებს ამყარებენ ჩვენში თხილის ბიზნესის განვითარებაზეც. მიუთითებენ, რომ ჩვენ სრული შესაძლებლობა გაგვაჩნია მოკლე ხანში ამ მიმართულებით მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად ვიქცეთ. იგივე შეიძლება ითქვას, მევენახეობის აღორძინებაზე, რომლის პერსპექტივაზე საუბრისას ე. შევარდნაძე ამბობდა: „ორსამ წელიწადში მევენახეობა უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევს, ვიდრე ჩემს დროს იყო (ე. შევარდნაძეს აქ მხედველობაში ჰქონდა საქართველოს კპ ცკ პირველი მდივნის თანამდებობაზე მისი ყოფნის პერიოდი – გ.კ.), როცა 600 ათას ტონა ყურძენს ვკრეფდით"[1].

ფართო პერსპექტივები ისახება ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების გაყვანასთან დაკავშირებით. მოელიან, რომ ამან უთუოდ უნდა გამოიწვიოს უაღრესად ფართო მასშტაბის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

კარგი პირი უჩანს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებასაც, რის შესაძლებლობასაც იძლევა ჩვენში არსებული ინტელექტუალური პოტენციალი.

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 5 თებერვალი, 2002წ.

თავი მესამე

სამეწარმეო გარემო

მთავარი, რასაც ქართული მედია მოითხოვდა ხელისუფლებისაგან, სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა იყო. არსებითად ამ პრობლემის გარშემო ფოკუსირდებოდა ყველა ძირითადი პრეტენზია, რომელსაც მას უცხადებდნენ. ყურაღება უმთავრესად მახვილდებოდა ისეთი საკითხების მოგვარების აუცილებლობაზე, როგორებიცაა: პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, კრიმინოგენური სიტუაცია, საკანონმდებლო ბაზა, ფისკალური პოლიტიკა, კრედიტები, კორუფცია და სხვა.

საქართველოს ხელისუფლება თავის მთავარ დამსახურებად ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებას მიიჩნევდა. ოპოზიცია კი ამის თაობაზე, როგორც წესი, ირონიით ლაპარაკობდა. ამასთან იგი სიტუაციას ამ თვალსაზრისით ხან „ვითომ სტაბილიზაციად", „მოჩვენებით სტაბილიზაციად", „მყიფე სტაბილიზაციად" ახასიათებდა, რითაც მის არამდგრად ბუნებას უსვამდა ხაზს, ხან კი თვლიდა, რომ სტაბილურობას ჩვენში არაფერი ემუქრებოდა და მედიის მიერ მოსალოდნელი დესტაბილიზაციის საფრთხეზე პერიოდულად ნამონყებულ საუბარს ხელისუფლების მხრივ ინსპირირებულ პროპაგანდისტულ მანევრად განიხილავდა. საქმე ზოგჯერ იქამდეც კი მიდიოდა, რომ პრეზიდენტ ე.შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმებსაც ამ უკანასკნელთან შეთანხმებულ სპექტაკლად აცხადებდნენ[1], სპექტაკლად, რომელიც წელიწადში ორჯერ იდგმებოდა ხელისუფლების დაკვეთით. რაც მთავარია, იშვიათად თუ ხედავდნენ რაიმე კავშირს ტერორისტულ აქტებსა თუ სხვა სერიოზულ მადესტაბილიზირებელ მოვლენებსა და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების ხელყოფას შორის. ასეთ იშვიათობას წარმოადგენდა სწორედ ნიკა ჭედიას კორესპონდენცია „შოთა კვირაია ელიავას თუნდაც დღესვე შემოირიგებს", რომელიც გაზეთ „ახალ ტალღაში" გამოქვეყ-

[1] იხ. გაზ. „ახალი თაობა", 2 მაისი, 2001 წ.

ნდა. აქ ნათქვამია: „პოლიტიკაში დამთხვევა იშვიათად ხდება - შეიარაღებული გამოსვლა (აკაკი ელიავას სამხედრო შენაერთისა - გ.კ.) დაემთხვა პერიოდს, როდესაც „წკიპზე ეკიდა“ დიდი ნავთობსადენის საკითხი. ყველაზე გავლენიანმა ამერიკელმა ბიზნესმენებმა, ნავთობკომპანიებმა უარი განაცხადეს ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის დაფინანსებაზე, თურქეთში მზადდებოდა პრეზიდენტების შეხვედრა... ამ ფონზე ამბოხი საქართველოში შესანიშნავი საბაბი იყო საბოლოო გადაწყვეტილების შესაცვლელად. საეჭვოა, ყოველივე ეს მეამბოხეთა უმრავლესობას გაეცნობიერებინა, მაგრამ „პუტჩის“ ხელმძღვანელები ნამდვილად აცნობიერებდნენ. მათ თითქმის არაფერი შეშლიათ. წინასწარ იცოდნენ ისიც, საით და როგორ უნდა გაქცეულიყვნენ, თორემ, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ მათ სერიოზულად ჰქონდათ თბილისში ტანკებით შემოსვლის იმედი. სინამდვილეში მათი მიზანი ქვეყნის დისკრედიტაცია იყო. არასტაბილურობა (ან არასტაბილურობის იმედი) შეფასების ყველაზე სერიოზული ფაქტორია ინვესტიციების მოზიდვისათვის - მით უმეტეს მრავალმილიარდიანი პროექტების განხორციელებისათვის“[1].

იგივე შეიძლება ითქვას გოჩა ესებუას ჯგუფის მიერ გაეროს დამკვირვებელთა მძევლებად აყვანის შესახებაც. ტერორისტები ზოგიერთმა გაზეთმა „ნამდვილ გმირებად და ჭეშმარიტ მამულიშვილებად“ შერაცხა. ამ შემთხვევაშიც ზედმეტი იყო იმის მოლოდინი, რომ ხაზი გაესვათ უცხოელ ინვესტორთა თვალში საქართველოს იმიჯის შელახვისათვის.

ზოგიერთი პოლიტიკოსი აშკარად შეუპყრია „მიტინგური დემოკრატიის“ პერიოდის ნოსტალგიას. ისინი კვლავ ცდილობენ პოლიტიკური მიზნების მიღწევას ანარქიისა და დესტაბილიზაციის შექმნის გზით. ამასთან არ ფიქრობენ იმაზე, თუ რა დაუჯდება ეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. ი.წერეთელი, მაგალითად, ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს „ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ხელისუფლების თავიდან მოცილება მშვიდობიანი გზით. საამისოდ საჭიროა, შეგროვდეს 50000 ადამიანი და ხელისუფლების წინააღმდეგ მოაწყოს

[1] გაზ. „ახალი ტალღა“, 30 ოქტომბერი, 1998 წ.

ორდღიანი საყოველთაო სახალხო გამოსვლა. ასეთ გრანდიოზულ გამოსვლას ხელისუფლება ვერ გაუძლებს და გაიქცევა"[1].

მიუხედავად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა ჩვენს ქვეყანაში შედარებით იშვიათად ხდებოდა ამასთან დაკავშირებული სოციალური პროტესტის გამოვლინებანი, ყოველ შემთხვევაში მათი მასშტაბები 2003 წ. შემოდგომამდე არ ყოფილა ისე ფართო, როგორც მოსალოდნელი იყო. საბედნიეროდ, დროულად ხერხდებოდა ვითარების ნორმალიზება, თორემ მოვლენები რომ სხვანაირად წარმართულიყო, არ იყო გამორიცხული სოციალური აფეთქებაც. ნ.ნათაძის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ ასეთი ,,აფეთქების საფრთხე მართლაც რომ რეალურია"[2], ჩვენში ბევრი გაიზიარებდა.

ჯერ კიდევ 1991 წლის დეკემბერში გაზეთ „ერთობაში" ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნარიმან ტერაშვილი სტატიაში „სოციალური ფაქტორების იგნორირება დაუშვებელია" წერდა: სოციალური სტაბილურობის გარეშე ვერც ერთი ეკონომიკური რეფორმა არც ერთ ქვეყანაში წარმატებით არ განხორციელებულა და ვერც განხორციელდება"[3]. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ამ მოსაზრებამ ქართულ მედიაში ჯეროვანი მხარდაჭერა ჰპოვა.

სამწუხაროდ, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი სათანადოდ ვერ იაზრებდნენ სოციალური აფეთქების შესაძლო დამანგრეველ შედეგებს მთელი ქვეყნისათვის. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არც თუ იშვიათად ჩვენი პუბლიცისტები თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით რეალურად ემსახურებოდნენ არა ამ საშიშროების განეიტრალებას, არამედ მის გაძლიერებას. ჩვენს მედიაში აშკარად იგრძნობოდა სოციალური პასუხისმგებლობის დეფიციტი. სხვანაირად ალბათ ძნელია შეაფასო თუნდაც გაზეთ ,,ასავალ-დასავალის" ერთი პუბლიკაცია, რომლის ავტორიც გაოცებას და სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსები თუმცა ჩვენთან შედარებით ბევრად უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ მაინც იფიცებიან, ჩვენ კი ცხვრის თვინიერებასა და სახედრის ამტანობას ვიჩენთ და არ ვიფიცებით.

[1] გაზ. ,,ალია", 15-16 თებერვალი, 2001 წ.
[2] გაზ. ,,ახალი თაობა", 3 სექტემბერი, 1998 წ.
[3] გაზ. „ერთობა", №10, დეკემბერი, 1991წ.

„გვიჭრის ჭკუა ქართველებს, - ნათქვამია ამ პუბლიკაციაში, რუსებს დასაკარგი ბევრი აქვთ და მაინც იფიცებიან. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს და არ ვიფიცებით! თანაც არა მხოლოდ ჭკუა გვიჭრის, გმირები ვართ, ცხვარზე თვინიერნი და სახედარზე ამტანნი. აფერუმ ჩვენს გაძლებას!“[1]

ზოგჯერ მედიაში თავს იჩენს პესიმისტური განწყობილებანი იმის თაობაზე, დავეწევით თუ არა ოდესმე დასავლეთის ქვეყნებს ცხოვრების დონით. ბევრს, საერთოდ არ სწამს არამცთუ დაწევის, მიახლოების შესაძლებლობაც კი. პესიმიზმს ასაზრდოებს ისიც, რომ ჩვენში გავრცელებულია მეტისმეტად გაზვიადებული წარმოდგენები იქაური პირობების შესახებ. ადარებენ, მაგალითად, ამერიკულ და ქართულ ხელფასებს, სილატაკის ზღვარს იქ და აქ (თუმცა ჩვენში ცოტა ვინმეს თუ სჯერა იქ ამ ზღვარის არსებობა) და ა.შ.

განსხვავება რომ დიდია, ამას სადაოდ ვერავინ გახდის, მაგრამ მართლა ისეთი, როგორც ჰგონიათ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ გავერკვეთ, რა არის სიღარიბის ზღვარი და როგორ გამოანგარიშება იგი.

ამერიკელი მეცნიერების, პროფესორების სტენლი ფიშერის, რუდიგერ დორნბუშისა და რიჩარდ შმალენზის წიგნში „ეკონომიკა“ ნათქვამია: აშშ-ში „ოჯახი ღარიბად ითვლება, თუ მისი შემოსავალი 3-ჯერზე ნაკლებად აღემატება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ „ოჯახის ნორმალური სასურსათო მომარაგებისათვის“ განსაზღვრული ხარჯების დონეს.

ასეთი განსაზღვრის ლოგიკა იმ გარემოებაში მდგომარეობს, რომ დაბალშემოსავლიანი ოჯახები საკვებად თავიანთი შემოსავლების დაახლოებით 1/3 ხარჯავენ . . . შემდეგ ეს სიდიდე მრავლდება სამზე და ვღებულობთ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს ...

შედარებისათვის: სიღარიბის ზღვარი ოთხსულიანი ქალაქური ოჯახისათვის შეადგენდა (1984 წ-გ.კ.) 10609 დოლარს . . . სხვა სიტყვებით, ქალაქურ ოჯახებს, რომლებსაც წლიური შემოსავალი 10609 დოლარზე ნაკლები ჰქონდათ, არ ძალუძდათ სიღარიბის

[1] გაზ. „ასავალ-დასავალი“, 13 ოქტომბერი, 1998 წ.

ზღვარის შესაბამისი სასურსათო კალათის შეძენა“[1].

ავტორთა ცნობით, სიღარიბის ზღვარს მიღმა ამერიკაში 1984 წელს 33,7 მილიონი ადამიანი ანუ მთელი მოსახლეობის 14,4% იმყოფებოდა.

ვფიქრობთ, რომ სიღარიბის ზღვარის განსაზღვრის ამერიკულ მოდელში მიუღებელი არაფერია. იგი მარტივია და ყველასათვის გასაგები.

ამერიკელი ეკონომისტის, პროფესორ ლინუდ ტ. გაიგერის წიგნიდან „მაკროეკონომიკური თეორია და გარდამავალი ეკონომიკა“ ვგებულობთ, რომ აშშ-ში „1987 წელს მინიმალური ხელფასი ყოფილა საათში 3,35 დოლარის დონეზე, რაც მხოლოდ 78% შეადგენდა იმ დონისა, რომელიც სიღარიბის ზღვარად არის მიჩნეული, ე.ი. იმ თანხაზე ნაკლებს, რომელიც ელემენტარული არსებობისათვის იყო აუცილებელი“[2].

სიღარიბე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, აბსოლუტურად მოიხსენიება, მის გარდა არსებობს ფარდობითი სიღარიბეც, როცა, მართალია, ადამიანი უზრუნველყოფილია იმდენად, რომ შეინარჩუნოს ფიზიკური არსებობა, მაგრამ იგი მოკლებულია ელემენტარული ცხოვრებისეული სიამოვნების (გართობა, შვებულების დროს სადმე გამგზავრება და მისთ.) მიღების საშუალებას. ამის თაობაზე ამერიკელთა წიგნში ნათქვამია: „ზოგიერთი ოჯახი აბსოლუტური ტერმინებით ღარიბი არ არის და სავსებით შეუძლია ფიზიკურად თავის გადარჩენა, მაგრამ ამის მიუხედავად იტანჯებიან მორალური თვალსაზრისით, თუ მათი შემოსავალი მედიანას დონეზე მნიშვნელოვნად დაბალია. პრაქტიკაში ფარდობითი სიღარიბის ზღვარად მიჩნეულია დონე, რომელიც 2-ჯერ ნაკლებია საშუალო ოჯახის შემოსავლების მოცულობაზე . . . ეს ოდენობა შეადგენს 11 208 (0,5X22415) დოლარს. ოჯახებში, რომელთა მდგომარეობა ამ დონეზე დაბალია, განსაკუთრებული არაფერია. ასეთი მეთოდი (სიღა-

---

[1] Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, М.,1997, с. 371-372.

[2] Линвуд Т. Гайгер, Макроэкономическая теория и персходная экономика, М. , 1996, с. 405.

რიბის განსაზღვრისა – გ.კ.) მკვლევარებს შესაძლებლობას აძლევს მოსახერხებელი გახადონ გამოიყენონ იდეა იმის შესახებ, რომ სიღარიბე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანს ძალუძს უზრუნველყოს თავი საკვებით, საცხოვრებლით, ექიმების სამსახურით"[1].

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენში ოთხსულიან ოჯახს წელიწადში 10609 ან მითუმეტეს 11 208 დოლარი აქვს, ან საათში 3,35 დოლარი ხელფასი. ჩაითვლება იგი ღარიბად, რომლის ფიზიკურ არსებობასაც საფრთხე ემუქრება? რასაკვირველია, არა. პირიქით, ბევრი მას კარგად წელგამართულადაც კი ჩათვლის. მაშ, რაშია საქმე? იკითხავს გაუცნობიერებელი მკითხველი და ამ გაოცების მიზეზი ის იქნება, რომ იგი არ ითვალისწინებს ჩვენში და ამერიკაში დოლარის მსყიდველობით უნარიანობაში განსხვავებასა და ქართული მენტალიტეტისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ თავისებურებას, თუნდაც ხელგაშლილობისადმი მიდრეკილებას, რომლისგანაც ძალზე უჭირს გათავისუფლება მიუხედავად ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესებისა.

კიდევ ვიმეორებთ, ამერიკასა და საქართველოში არსებულ ცხოვრების დონეებს შორის ზღვარი, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ შეიძლება დავასკვნათ, რომ პესიმიზმის საფუძველი ჩვენთვის არც ისე მყარია, როგორც ზოგიერთი ფიქრობს. ასე, რომ ნუ დავკარგავთ მომავლის იმედს. ამ იმედის ჩასახვა კი ჩვენ მედიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვესახება.

სხვათა შორის, უცხოელ ექსპერტებს ჩვენი ჟურნალისტებისათვის არაერთხელ ურჩევიათ, რომ არ არის საჭირო საყოველთაო გაჭირვებაზე გაუთავებელი ლაპარაკი, ეს ხალხს მხოლოდ თრგუნავს და ამცირებს, შველით კი ვერაფრით შველის.

ეკონომიკაზე პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის ფაქტორის ზემოქმედების შესახებ საუბრისას ამერიკელი ეკონო-

---

[1] Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, М.,1997, с. 371-372.

მისტი, პროფესორი ლინვუდ ტ. გაიგერი წიგნში „მაკროეკონომიკური სტაბილურობა და გარდამავალი ეკონომიკა“ სვამს საკითხს დემოკრატიისა და ეფექტურობის ურთიერთმიმართების თაობაზე. „ეს პრობლემა მუდმივად წარმოიშობა ეკონომიკური რეფორმების დროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას . . . – წერს იგი, – შესაძლოა, სწორი იქნება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მოქალაქეებს სურთ შეცვალონ თავიანთი ეკონომიკური სისტემა, მბრძანებლური ეკონომიკა გადააქციონ საბაზროდ ისე, რომ თავისუფლად აირჩიონ თავინთი ლიდერი დემოკრატიული გზით, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ გარდაქმნათა ცხოვრებაში განხორციელებას „ჭარბი“ დემოკრატია ალბათ უფრო შეუშლის ხელს. აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში უამრავი პოლიტიკური პარტიის შექმნა აძნელებს სამთავრობო გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც რეფორმათა ჩატარების შინაარსსა და დროს ეხება. ბორის ელცინის ტიპის ძლიერ ლიდერს საკამათო გადაწყვეტილებთა მიღებისასაც კი შეუძლია მიაღწიოს მეტ წარმატებას, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში ზეწოლას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მხრიდან, რომელიც საპირისპირო მიმართულებით უბიძგებს. სწორი იქნება თუ არა გავწიროთ დემოკრატიული პროცესი, თუნდაც დროებით, მოძრაობის ამოცანების მიღწევის გულისათვის?“[1]

პასუხის გაცემა კითხვაზე, რომელსაც ლინვუდ ტ. გაიგერი სვამს, არც თუ ისე ადვილია, ყოველ შემთხვევაში ქართულ სინამდვილეში მაინც, სადაც არაიშვიათად ერთმანეთშია აღრეული დემოკრატია და ანარქია და სადაც სოციალური უპასუხისმგებლობის გამოვლინებანი არც პოლიტიკური ელიტისა და არც მედიის მიერ მაინცადამაინც მტკივნეულად არ აღიქმება.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში კრიმინოგენური სიტუაციია ჩვენში უაღრესად მძიმე იყო, რაც აიძულებდა პოტენციურ ქართველ ინვესტორებს უცხ-

---

[1] Линвуд Т. Гайгер, Макроэкономическая теория и переходная экономика, М. , 1996, с. 404.

ოეთში გადახვეწილიყვნენ. ისიც აღინიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დამთავრების შემდგომ ვითარება ამ თვალსაზრისით ასე თუ ისე მოწესრიგდა, მაგრამ ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გადაწყვეტილი. რომ არაფერი ვთქვათ მცირე ბიზნესით დაკავებულთა რეკეტირებაზე გამოსასყიდის მიღების მიზნით დრო და დრო იტაცებდნენ უფრო დიდი მასშტაბის ბიზნესმენებსაც. აქ კი მასმედია უდავოდ იმსახურებს ქების სიტყვებს. მისი აქტიურობა ამ პრობლემის გადასაჭრელად უთუოდ მისასალმებელია. ერთი კი მაინც უნდა ითქვას: ვითარებას ჩვენი ჟურნალისტები არც თუ იშვიათად უფრო მუქ ფერებში გვიხატავდნენ, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო.

დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს ეკონომიკის სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა წარმოადგენს. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა ჩვენში ამ მხრივ დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე. მაშინ ეს მიმართულება, სამწუხაროდ, ვერ იქცა პრიორიტეტულად საკანონმდებლო ხელისუფლების მუშაობაში. მიუტევებლად დიდხანს აქ აშკარად უპირატესობა ენიჭებოდა ზოგადპოლიტიკურ დისკუსიებს, ეკონომიკა კი უკანა პლანზე რჩებოდა. 1992 წელს არჩეულმა პარლამენტმა თავისი უფლებამოსილების სამი წლის განმავლობაში ეკონომიკური პროფილის თითებზე ჩამოსათვლელი კანონი მიიღო, რის გამოც იგი არაერთხელ გამხდარა იმდროინდელი პრესის კრიტიკის საგანი. გაზეთ „მსგეფსში“ გამოქვეყნებულ ერთ სტატიაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „იმ პარლამენტს არ შეეძლო კანონებზე მუშაობა, ფუჭად ხარჯავდა დროს უაზრო კამათებში, ვიწრო საკითხების განხილვაში“[1].

ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის უმწვავესი კრიზისის პერიოდშიც კი 1992-1995 წწ. მოწვევის პარლამენტი უყურადღებობას იჩენდა ეკონომიკური საკითხებისადმი. აფხაზური კონფლიქტის დროს პროფესორი ვ.ადვაძე წერდა: „ბრძოლა ეკონომიკურ უვიცობასთან,

[1] გაზ. „მსგეფსი“, 22-25 ნოემბერი, 1995 წ.

დემაგოგიასთან და პოპულიზმთან, ჩვენი ასეთი დაქცევის მიუხედავად, ჯერ კიდევ უიმედოდ გამოიყურება. თუმცა რა უნდა ვთქვა ჩემს რიგით თანამემამულეებზე, როდესაც მათი რჩეულების უმრავლესობასაც პარლამენტში არ ესმის ეკონომიკაში ვითარების კატასტროფულობა და ამ საკითხზე ჩვენი 15 წუთიანი მოხსენების მოსმენაც კი არ ისურვა“[1]. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ერთი კარიკატურა, რომელიც გაზეთ „დედამიწაში“ გამოქვეყნდა. აქ ასეთი სიტუაციაა ასახული: პარლამენტის მაშინდელი სპიკერი ვახტანგ გოგუაძე ამაოდ ცდილობს დააბრუნოს სხდომაზე პარლამენტარები, რომლებსაც შინისაკენ გაუწევიათ. „მოითმინეთ, ბიუჯეტის პროექტი უნდა განვიხილოთ, მოითმინეთ!“ ეუბნება იგი მათ, მაგრამ ვერაფერს ხდება. გვერდით მდგომი მამაკაცი ურჩევს მას: „უთხარი, რომ შევარდნაძე უნდა გალანძღო და დაბრუნდებიან“[2].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გურამ მუჩაიძეც ჩიოდა. „ქვეყნის დამაქცევარ ვირუსად შემოგვიგდეს პოლიტიკა. უფრო სწორად კი მისი სუროგატი, რადგან ნამდვილი პოლიტიკა მხოლოდ გამართულ ეკონომიკაზე დგას და ნამდვილი პოლიტიკოსიც პირველ რიგში კარგი ეკონომისტია... რაღა მაინც და მაინც ქართველი პარლამენტარი - პოლიტიკოსია ის გამონაკლისი მთელ მსოფლიოში, რომელსაც ეკონომიკის ანა-ბანის ცოდნა არა სჭირდება“[3].

კიდევ უფრო მძაფრად გამოხატა თავისი უკმაყოფილება 1992 წელს არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი ჟურნალისტმა არჩილ ცქიტიშვილმა, რომელსაც პარლამენტის მისამართით ალმოხდა: „ვის ხელშია საქართველო?“[4]

ამავე ტონალობაშია დაწერილი გაზეთ „დრონის“ ერთი პუბლიკაციაც, რომლის ავტორია სოსო სიმონიშვილი. „საქართველო შეჭამა პოლიტიკამ, - წერდა იგი, - უფრო სწორად კი იმან, რასაც ჩვენში პოლიტიკას უწოდებენ და რაც ვერაფრით ვერ იმსახურებს პოლიტიკურ ავანტურიზმზე უკეთეს სახელს. როგორ შეიძლება

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 იანვარი, 1992წ.
[2] გაზ. „დედამიწა“, 3 მარტი, 1994წ.
[3] გაზ. „დრონი“, 19 იანვარი, 1993წ.
[4] გაზ. „თბილისი“, 18 თებერვალი, 1993.

პოლიტიკური უწოდო ადამიანებს, რომლებიც ქართულ ვალუტაზე მსჯელობისას მხოლოდ მისი სახელის ირგვლივ კამათობენ, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემის განხლვისას კი მხოლოდ ის აინტერესებთ, ხომ არ მოასწავებს საქართველოს სამანეთო ზონაში დარჩენა „სნგ“-ში შესვლას? ცხადია, ამგვარი ანეგდოტური სიტუაციები იმით აიხსნება, რომ ამ ბატონებს ეკონომიკური ცოდნა ეკონომიკურ პრობლემებში უფრო მეტად ჩაღრმავების საშუალებას არ აძლევს“[1].

ეკონომიკური პრობლემებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით უკეთესი აღმოჩნდა 1995 წ. არჩეული პარლამენტი, მაგრამ ვერც იგი გადაურჩა მედიის კრიტიკის ქარ-ცეცხლს, თუმცა ამჯერად საკანონმდებლო აქტების არასრულყოფილობის გამო.

შემდგომი მოწვევის პარლამენტი ამ მიმართებით უფრო 1992 წელს არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს ჰგავდა, ვიდრე თავის წინამორბედს. საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის შემდეგ აქ პრიორიტეტი აშკარად შეიძინეს პოლიტიკურმა ბატალიებმა.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ჩვენს მედიას, ისევე როგორც მთელს საზოგადოებას კორუფცია მიაჩნია. ამასვე აღიარებს ხელისუფლებაც. ამიტომაც იყო, რომ პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „კორუფციის, როგორც ეროვნული სენის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უმთავრეს საქმედ მიმაჩნია. ვთქვი და კვლავ გავიმეორებ შემაძრწუნებელ სიმართლეს, თუ ჩვენ ვერ შევძელით კორუფციის დამარცხება, მაშინ ქართველობას, როგორც დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს მომავალი არა აქვს“[2].

კორუფციის არსი ასეა განმარტებული პრეზიდენტის დავალებით ე.წ. „შვიდკაცას“ მიერ მომზადებულ „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში“: „კორუფცია განმარტებულია, როგორც საჯარო ხელისუფლების ბოროტად

---

[1] გაზ. „დრონი“, 19 იანვარი, 1993წ.

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით, რომლის ტიპურ გამოვლინებებად მიჩნეულია მექრთამეობა, საჯარო საკუთრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება კერძო ინტერესებში, ინტერესთა კონფლიქტი და ა.შ. „როგორც წესი, კორუფციულ ურთიერთობაზე საუბრობენ იქ, სადაც ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე მაინც სახელმწიფოს წარმომადგენელია ან ასრულებს სახელმწიფოს მიერ მასზე დელეგირებულ ფუნქციებს“[1].

პროგრამა ანტიკორუფციული სტრატეგიის შემუშავებისთვის მნიშვნელოვნად თვლის, რომ ზღვარი გაივლოს ელიტურ და მასობრივ კორუფციას შორის. ეს უკანასკნელი „ძირითადად მოიცავს მოქალაქეთა ყოველდღიურ ურთიერთობას ხელისუფლების წარმომადგენლებთან - მაგალითად, საგადასახადო, მარეგისტრირებელ და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. ის გულისხმობს საშუალო და დაბალი რანგის მოხელეების მიერ მატერიალური რესურსების უშუალო გამოძალვას მოსახლეობისაგან. ამკვიდრებს უსამართლობას სახელმწიფოს მიერ მისი ფუნქციების აღსრულებაში და არყევს მოსახლეობის რწმენას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ელიტური კორუფცია არსებობს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ჩვეულებრივ ის დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხებისა თუ მატერიალური სიკეთეების მითვისებასთან. განსაკუთრებით კორუმპირებულ პოლიტიკურ სისტემებში ელიტური და მასობრივი კორუფცია ქმნის ერთიან პირამიდას, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ეშელონები მფარველობენ მასობრივ კორუფციას, ხოლო მასობრივი კორუფციიდან მიღებული შემოსავალი ნაწილდება ხელისუფლების სტრუქტურათა წარმომადგენლებზე, ხშირად კი მთელ სტრუქტურებზეც“[2].

ყოველდღიურ ყოფაში, როცა კორუფციაზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ ელიტურ კორუფციას გულისხმობენ, როგორც მოსახლეობაში, ისე მედიაშიც რისხვა, როგორც წესი, მის წინააღმდეგ არის მიმართული, რაც შეეხება მასობრივ ანუ წვრილმან კორუფციას, მის მი-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

[2] იქვე.

მართ წყრომის ხარისხი მნიშვნელოვნად კლებულობს, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად საშიშ მოვლენად მიაჩნიათ. ამასთან საშიშროებას აქ მხოლოდ კორუფციული პროცესის ერთ მხარეში - სახელმწიფო მოხელეებში ხედავენ, მეორე მხარის - მოსახლეობის ქმედებას კი სულაც უწყინარ საქმიანობად აფასებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კორუფცია ჩვენში უმთავრესად განიხილება როგორც ოდენ ხელისუფლების და არა მასთან ერთად საზოგადოების პრობლემაც. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი ე.შევარდნაძე თავის ერთ-ერთ ყოველწლიურ მიმართვაში პარლამანტისა და ხალხისადმი აღნიშნავდა: „მთავარი დასკვნა, რომელიც ამ პრობლემის (კორუფციის - გ.კ.) მრავალწლიანი ანალიზის შედეგად გამოვიტანე:

კორუფცია უპირველესად, რა თქმა უნდა, ხელისუფლების პრობლემაა, მაგრამ, საუბედუროდ, იგი არ არის მხოლოდ ხელისუფლების პრობლემა.

კორუფცია საქართველოში საზოგადო მანკია - იგი საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და კულტურის საერთო დონიდანაც გამომდინარეობს. ხოლო ნებისმიერი ხელისუფლება, მათ შორის ბიუროკრატია, მოგეხსენებათ, საზოგადოების ნაწილია.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ელიტარულ კორუფციაზე არანაკლებ საშიში და ზიანის მომტანია ეგრეთწოდებული წვრილმანი კორუფცია, თუნდაც იგივე წვრილმანი კონტრაბანდა, ფალსიფიკაცია, რომელიც კოლოსალურ ზარალს აყენებს ქვეყნის ბიუჯეტსა და ეკონომიკას.

კორუფციის რომელი კატეგორია უფრო ზიანის მომტანია, ვფიქრობ, სოფისტური მსჯელობის საგანი უფრო იქნებოდა.

კორუფცია ერთი მთლიანი მოვლენაა, რომელსაც მთლიანობაში უნდა ვებრძოლოთ და არა მხოლოდ კორუფციის პირამიდის მწვერვალს ან მის ზოგიერთ საყრდენს“[1].

ზემოაღნიშნულ პრობლემას ეხმაურება ნანა დევდარიანიც, როცა ამბობს: „ჩვენ ხომ კორუფციას ყოველთვის სხვაგან ვეძებთ

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

და ზემოთ ვიყურებით, ხოლო იქამდე ვის მიაქვს, არ ვკითხულობთ. არადა, ფული ზემოდან ხომ არ გვაწვიმს“[1].

კორუფციის უმთავრესი წყაროა ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელშიც მოიაზრება „1)კანონსაწინააღმდეგო ეკონომიკური საქმიანობა (გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება, უკანონო სავალუტო ოპერაციები, კონტრაბანდა, ნარკობიზნესი, ბრაკონიერობა და სხვა); 2) არაკანონსაწინააღმდეგო, მაგრამ არარეგისტრირებული ეკონომიკური საქმიანობა“ [2].

ე. შევარდნაძის შეფასებით, „სწორედ ჩრდილოვანი ეკონომიკა განაპირობებს პარადოქსულ ვითარებას, როდესაც, ერთი მხრივ, იზრდება ეკონომიკის რეალური სექტორი, მაგრამ კვლავინდებურად დაბალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ღრმავდება პრობლემები შექმნილი დოვლათის გადანაწილების თვალსაზრისით. ეკონომიკის ზრდა ნაკლებად აისახება მთელი საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე. ამას ნათლად გვიჩვენებს სოციალური ინდიკატორის დინამიკა, როგორიცაა სიღარიბის სიღრმე, ჯინის (შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი), ინდექსი, თანაფარდობა საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის“[3].

2000 წელს აღურიცხავი წარმოების წილი სამეწარმეო სექტორში 55 პროცენტზე მეტს შეადგენდა. მარტო დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით იმ წლის ბიუჯეტში ნაცვლად ფაქტობრივი 298 მილიონი ლარისა 754 მილიონი ლარი უნდა მიგვეღო, ანუ თითქმის სამჯერ მეტი. მრეწველობაში აღურიცხავი წარმოების წილი 40 პროცენტს შეადგენდა, სოფლის მეურნეობაში 10-11 პროცენტს, მშენებლობაში 55 პროცენტზე მეტს[4].

თუ ამ მასშტაბებს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რა რთულ ამოცანას წარმოადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკის დამარცხ-

---

[1] ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“, №1, ივლისი, 2000წ. (ციტირებულია კრებულიდან „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ“, თბ., 2003, გვ.60).

[2] რ. ასათიანი, ეკონომიკსი, თბ., 1996, გვ. 198

[3] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001 წ.

[4] იქვე.

ება. აქ დავიმოწმებთ პროფესორ მიხ.ჯიბუტის სიტყვებს, რომლებიც მან ტელეარხ „ევრიკის“ ეკრანიდან წარმოთქვა; „როცა ჩრდილოვანი ეკონომიკა 25 პროცენტზე მეტია, სამართალდამცავი ორგანოები უძლურნი არიან გაუმკლავდნენ მას“ (3.12.2000 წ.).

ჩვენში ხშირად გაისმოდა მოთხოვნები საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა და გადასახადების შემცირების აუცილებლობის შესახებ. ქართული მედია ამ საკითხების მოუგვარებლობას თვლიდა არა მარტო გადასახადების გადახდაში არსებული სერიოზული დარღვევების ძირითად მიზეზად, არამედ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორადაც. ვერსად მსოფლიოში ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც ამის თაობაზე საყვედურები ხელისუფლების მიმართ არ გაისმოდეს. ალბათ ასეც იქნება მუდამ, რადგან ეს გამომდინარეობს თვითონ საბაზრო ეკონომიკის არსიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწრაფვა მაქსიმალური მოგებისაკენ. ხელისუფლებაც ცდილობს დააკმაყოფილოს ქვეყნის საჭიროებანი (უპირველესად სოციალური და სამხედრო ხასიათისა) და შესაბამისად აიმაღლოს რეიტინგი საზოგადოების თვალში, რისთვისაც თითქოს სასურველი უნდა იყოს გადასახადების აკრეფა შესაძლებლობის ზედა ზღვარის ფარგლებში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აუცილებელია პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა. გადასახადები ისეთი უნდა იყოს, რომ მან არ მოუსპოს წარმოებას განვითარებისა და მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას კონკურენტუნარიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკა თავს ვერ დააღწევს კრიზისულ მოვლენებს, რაც შემდეგ თვითონ საზოგადოებასა და სახელმწიფოს ძვირად დაუჯდებათ. თუმცა აქ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საჭირო იყოს გარანტიების შექმნა უკლებლივ ყველა საწარმოსა თუ სხვა სახის საქმიანი წამოწყების შენარჩუნებისათვის. საბაზრო ეკონომიკა კონკურენციას გულისხმობს, რომელსაც თან სდევს მძაფრი ბრძოლა არსებობისათვის, ამ ბრძოლაში ვიღაც აუცილებლად მარცხდება და ხშირად კოტრდება კიდეც. (ეს, რასაკვირველია, სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ რას იზამ, სამაგიეროდ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კონკურენცია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის უმძლავრეს და შეუცვლელ სტიმულატორსაც წარ-

მოადგენს). ამის გამო იყო, რომ ფრანკ ბორმანს უთქვამს: „კაპიტალიზმი გაკოტრების გარეშე იგივეა, რაც ქრისტიანობა ჯოჯოხეთის გარეშე“[1].

გაკოტრების მასშტაბები ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც საკმაოდ სრულყოფილი საგადასახადო სისტემა არსებობს, მცირე როდია და ასეთი ვითარება არავის აშფოთებს, რადგან საერთო ჯამში ეკონომიკა წინ მიდის.

უთუოდ უნდა დავეთანხმოთ აკად. ლეო ჩიქავას, როცა წერს: „ამ კეთილმყოფელ თვისებათა გამო მიიჩნევენ კონკურენციას საბაზრო ეკონომიკის მიზანდასახულობათა მიღწევის უმნიშვნელოვანეს საშუალებად. მეტიც, იგი ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკასთან შედარებით, საბაზრო ეკონომიკის უპირატესობების განმსაზღვრელ ფაქტორთა ჯგუფს მიეკუთვნება (დღევანდელი თვალსაწიერიდან რაოდენ ღიმილის მომგვრელია ის, რომ უწინარეს ყოვლისა, კერძო საკუთრებისა და კონკურენციის არარსებობა ითვლებოდა, კაპიტალიზმთან შედარებით, სოციალიზმის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად)“[2].

ზოგჯერ აუცილებელია გადასახადების შემცირებაზე წასვლაც, თუნდაც სოციალური პროგრამების შეკვეცის რისკის ფასად, თუ, რასაკვირველია, ასეთი ნაბიჯი სახალხო მეურნეობის წინსვლის პერსპექტივას სახავს. მეორეს მხრივ, თვითონ მეწარმეებმაც არ უნდა მოითხოვონ მეტისმეტი შეღავათები, რადგან ამას შეუძლია გამოიწვიოს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება და დაარღვიოს სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობა, რაც მათვე შემოუბრუნდებათ ბუმერანგივით. მაშასადამე, აუცილებელია ვესწრაფოდეთ საზოგადოებისა და ბიზნესის ინტერესების ჰარმონიზაციას. მედიაც სწორედ ასეთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ქართულ პრესასა, ტელევიზიასა თუ რადიოში ლამის ერთხმად უტევდნენ 1997 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსს, რომელსაც

---

[1] ციტატა მოყვანილია ვლ. პაპავას წიგნიდან „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“, თბ., 2002, გვ. 150.

[2] ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997, გვ. 215.

ბევრი ეკონომიკური განვითარების მთავარ შემაფერხებელ მიზეზად განიხილავდა. ამასთან დაკავშირებით მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ ლიდერი გიორგი ყორღანაშვილი ამბობს: „შეუძლებელია რომელიმე ბიზნესმენმა მოინდომოს და კანონიერი თამაში ითამაშოს. მან რომ ყველაფერი გადაიხადოს, გაკოტრდება, დაინგრევა წარმოება და ქუჩაში აღმოჩნდება ისიც, ვინც სიმწრით იშოვნა სამსახური. დღეს ჩვენში ტოტალური სასიკვდილო კანონები მოქმედებს“[1]. იშვიათად, მაგრამ მაინც აისახება შედარებით შემრიგებლური თვალსაზრისიც, რომელსაც სახალხო პარტიის წარმომადგენელი გურამ ჩახვაძე გვაცნობს: „საგადასახადო კოდექსი საშინელი არ არის, მაგრამ გადახედვას მოითხოვს“[2].

პარლამენტარი ვ. მერაბიშვილი კი თვლიდა, რომ „მეწარმეობას არ გააჩნია საკანონმდებლო პრობლემები – პრობლემა მაკონტროლებელთა თარეშია“[3]. კიდევ უფრო ნათლად გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას საგადასახადო კოდექსისადმი საქართველოს ვაჭრობის, მრეწველობისა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვ. კაპანაძე, რომელსაც სამხრეთკავკასიელი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის წაკითხულ ლექციაზე უთქვამს: „რომ გითხრათ – საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსი ცუდია მეთქი, არ ვიქნები მართალი. იმიტომ რომ, მე ვიცნობ სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კოდექსებს და მერწმუნეთ, ჩვენი მათზე უარესი არ არის. რატომ? იმიტომ, რომ იგი მეტნაკლებად პროგრესულია და დღეს მსოფლიოში გავრცელებულ საგადასახადო კანონმდებლობებს შორის ყველაზე დახვეწილიც კი“[4]. თუმცა გარკვეული შენიშვნები კოდექსის მიმართ მასაც აქვს.

ასეა თუ ისე, ქართულ მედიაში აშკარად დომინირებდა შეხედულება, რომ მკვეთრად და დაუყოვნებლივ უნდა შემცირებულიყო გადასახადები. ამ შეხედულების მხარდამჭერთა აზრით, ასეთი გადა-

---

[1] გაზ. „დილის გაზეთი“, 7 ნოემბერი, 2001წ.

[2] გაზ. „კვირის პალიტრა“, 19-25 აპრილი, 1999წ.

[3] ჟურნ. „გზა“, №16, 19 აპრილი, 2001წ.

[4] ვ. კაპანაძე, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა (იხ. კრებული „ეკონომიკა და ჟურნალისტიკა“, თბ., 2002, გვ.61).

წყვეტილების მიღება არა მარტო სასიკეთოდ წაადგებოდა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, არამედ გაზრდიდა საბიუჯეტო შემოსავლებსაც, რადგან გამოიწვევდა გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის მნიშვნელოვან მატებას. თუმცა ქვეყნდებოდა ისეთი მასალებიც, რომელთა ავტორებიც სიფრთხილეს იჩენდნენ. ამას კი იმით ასაბუთებდნენ, რომ მსოფლიო გამოცდილება ამ გზით ურჩი გადამხდელების გამოსწორების დიდ იმედებს არ იძლევა. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, საბიუჯეტო შემოსავლების კლების საფრთხის თავიდან ასაცილებლად თავდაპირველად ორიენტაცია უნდა ყოფილიყო აღებული ამ საქმეში ადმინისტრირების დონის ამაღლებაზე. აქ კი სასწაულების იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. აუცილებელი იყო რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინება. რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკის აქტიურ ლიბერალიზაციას, ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში არსებითი ხასიათის განსხვავება არ შეინიშნებოდა. ორივე მხარე თანახმა იყო ასეთი ლიბერალიზაციისა. უწინარესად ეს ეხებოდა სოციალურ გადასახადებს, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბეგვრის სისტემას, და საერთოდ, საგადასახადო სისტემის გამარტივებას იმ თვალსაზრისით, რომ იგი თითოეული მეწარმისათვის საკმარისად გასაგები და ამავე დროს, სრულად ადმინისტრირებადი გამხდარიყო.

გადასახადების გადახდაში არსებული ჩავარდნები მნიშვნელოვნად აიხსნება საგადასახადო სისტემის მუშაკთა არასაკმარისი პროფესიონალიზმითაც. ეს არცაა გასაკვირი პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, სადაც ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის დაგროვილი სათანადო გამოცდილება. სწორად წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ნოვიე იზვესტიას“ ერთ-ერთი ავტორი: „საგადასახადო დაბეგვრა, რომ უბრალო საქმე იყოს, მაშინ აშშ-ში საგადასახადო ინსპექტორებს ცხრა წელიწადს არ ასწავლიდნენ. იმიტომ ხომ არ არიან ჩვენში გადასახადების ამკრეფნი უძლურნი, რომ ცუდად არიან განსწავლულნი?“[1]

გადასახადის გადამხდელთა ქცევა განპირობებულია არა მარ-

[1] Газ. "Новые известия", 20 апреля, 1999г. (ციტირებულია წიგნიდან "Основы творческой деятельности журналиста", СПб., 2000, с. 126).

ტო ადმინისტრირების ხარისხითა და კანონმდებლობით, არამედ საგადამხდელო კულტურის დონითაც, რომელიც ჩვენში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მისი ამაღლება მედიისა და მთლიანად საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საზრუნავი უნდა გახდეს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პოლიტოლოგ გია ნოდიას, როომელმაც ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ ეკრანიდან განაცხადა: „სახელმწიფო ვიქნებით მაშინ, როცა მივალთ დასკვნამდე, რომ გადასახადებს გადახდა უნდა და ეს პატრიოტულ საქმედ ჩაითვლება“ (29.01.02წ.). პრობლემა აქ ბევრი და არც ისე ადვილად გადასაწყვეტია. თავს იჩენს მძიმე მემკვიდრეობა, რომელსაც საბჭოურ სისტემას უნდა „ვუმადლოდეთ“, როცა მოხდა საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებითად სრული გაუცხოება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პირველი არ თვლიდა თავისად იმას, რაც მეორეს ეკუთვნოდა, ამიტომ სახელმწიფოსათვის მისი კუთვნილის მიუცემლობა და მოპარვაც კი მოსახლეობის მიერ სულაც არ განიხილებოდა ამ უკანასკნელის ინტერესების ხელყოფად.

აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენი რეალობა მკვეთრად განსხვავდება ცივილურ ქვეყნებში არსებულისაგან. როგორც ქრესტომატიული მაგალითი, ხშირად გვსმენია, რომ დასავლეთში კაცი რომ მოკლა, შეიძლება გიხსნან პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ თუ ვინმემ გამხილათ ურჩ გადამხდელობაში, სასჯელს ვერაფრით აიცილებთ თავიდან. ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია, არ გაითვალისწინებს თქვენი საქციელის არავითარ მოტივაციას და უეჭველად გამოგიტანთ გამამტყუნებელ ვერდიქტს. საზოგადოებას იქ კარგად ესმის, რომ სახელმწიფოს სიძლიერე და თვითონ მისი საკუთარი კეთილდღეობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია საგადამხდელო დისციპლინაზე და ამიტომაც არავის მისცემს ამ საქმეში რაიმე შეღავათს. დასავლეთის ქვეყნებში ხშირად გაიგონებთ იმის მტკიცებასაც, რომ ორი რამ არის გარდუვალი ამ ქვეყნად - სიკვდილი და გადასახადის გადახდა. ადამიანი ვერ აიცილებს თავიდან ვერც ერთს და ვერც მეორეს.

დასავლეთში ურჩ გადამხდელთა მიმართ ძალზე მკაცრია კანონიც. მისი დარღვევისათვის მძიმე სასჯელია გათვალისწინებული.

უპირისპირებს რა ამ თვალსაზრისით, იქაურ პრაქტიკას, რომელიც ზედმეტად ლმობიერად ეჩვენება, რუსეთის რეალობას, პროფ. ვ.ზ. ბალიკოევი წერს: „აი, დასავლეთში კი გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით შემოსავლების დამალვა მკვლელობისა და ყალბი ფულის ბეჭდვის შემდეგ ყველაზე მძიმე, სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაულია და იგი ფასდება როგორც დანაშაული სახელმწიფო წყობის საფუძვლების წინააღმდეგ“[1].

გაუმართლებლად ლიბერალურად გამოიყურება ამ მიმართებით ჩვენში არსებული სიტუაციაც. ბევრი ალბათ გაოცებულა კიდეც, როცა ტელეეკრანიდან და ეთერიდან მოუსმენია ან პრესაში წაუკითხავს, რომ ურჩ გადამხდელს სთხოვენ, დაფარე დავალიანება სახელმწიფოს მიმართ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაგათავისუფლებთო. მედიაში ამის გამო მეტწილად უკმაყოფილება გამოითქმის, მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომელიც თუმცა პრაქტიკულად არ აისახება და რომლის თანახმადაც დღევანდელ ვითარებაში, როცა ჩვენი ბიზნესი თოთო ბავშვის ასაკშია, ეს გასაგებიცაა. დასავლეთის სტანდარტების გამოყენება დიდ საფრთხეს შეუქმნიდა მის არსებობას და ამიტომაც აუცილებელია აქ მეტი ლმობიერების გამოჩენა, ვიდრე ეს ეკონომიკურად უფრო წელგამართულ ქვეყნებშია მიღებული.

ზემოთქმულიდან სულაც არ უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დასავლეთის ქვეყნებში გადასახადების გადახდის თვალსაზრისით იდეალური მდგომარეობა იყოს. აი, რას წერს პროფ. ლინვუდ ტ. გაიგერი თავის წიგნში „მაკროეკონომიკური თეორია და გარდამავალი ეკონომიკა“: „განვითარებულ ქვეყნებშიც გადასახადებისაგან თავის არიდება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, და ამ მოვლენის მასშტაბები ფართოვდება. . . სხვადასხვა ხვრელებიც საგადასახადო კანონმდებლობაში ასევე იძლევიან გადასახადებისაგან თავის არიდების საშუალებას . . . იურისტები და მეწარმეები უზარმაზარი რაოდენობის დროსა და ენერგიას ხარჯავენ, რომ როგორმე თავი აარიდონ გადასახადების გადახდას“[2].

---

[1] В.З. Баликоев, Общая экономическая теория, Нсб., 1996, с. 283.

[2] Линвуд Т. Гайгер, Макроэкономическая теория и переходная экономика, М., 1996, с. 227-228.

ქართულ მედიაში ბევრი საყვედური გამოითქმის საბაჟო სამსახურის მიმართ. მას უკიჟინებენ, რომ მისი მიზეზით კონტრაბანდამ ნალეკა საქართველო, რის გამოც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენი მეწარმეები. კონტრაბანდული საქონელი იაფად იყიდება, ჩვენი ნაწარმის იმავე ფასებში რეალიზება კი ადგილობრივ საწარმოთა გაკოტრებას იწვევს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ფიქსირდებოდა სიგარეტით ვაჭრობაში. გაზეთი „კვირის პალიტრა" იმოწმებს სტატისტიკური დეპარტამენტის ცნობას, რომლის თანახმადაც სამიდან ორი შემოტანილი სიგარეტი კონტრაბანდულია და რომ საქართველოს მოსახლეობა სიგარეტზე წელიწადში 222 მილიონ ლარს ხარჯავს, გადახდილი კია 40 მილიონი ლარი 170 მილიონის ნაცვლად[1].

აქ ფართოდ ფესვგადგმულ კორუფციასთან ჩვენი შესაბამისი ორგანოები რომ ვერაფერს გახდნენ, ხელისუფლებამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც ინგლისურმა კომპანიამ „აი-ტი-ესმა" გაიმარჯვა. უცხოელთა მოწვევა ბევრმა ჩვენში მტკივნეულად განიცადა, და ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან მიიჩნია, რომ „თავი მოგვეჭრა", თუმცა ზოგმა მაინც ჩათვალა, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. გაზეთი „ახალი ტალღა", მაგალითად, ამასთან დაკავშირებით წერდა: „საბაჟოზე უცხოელის დაშვება უდავოდ ეროვნული ღირსების შეურაცხყოფაა, მაგრამ სხვა გზა არ არის, სანამ საზოგადოება კორუფციას ურიგდება (სწორედ საზოგადოება და არა მხოლოდ ხელისუფლება), კიდევ ბევრჯერ აღმოვჩნდებით ესოდენ სამარცხვინო მდგომარეობაში და ვერც სახელმწიფოს ავაშენებთ, ვინაიდან საბაჟოზე კიდევ შეიძლება ინგლისელმა, ამერიკელმა და ფრანგმა მოგვიწესრიგოს დროებით საქმე, მაგრამ შეუძლებელია სახელმწიფო უცხოელმა აგიშენოს. ერთადერთი იმედი ის არის, რომ იქმნება ლოგიკური ჯაჭვი: კორუფციის გამო უცხოელთა „ინტერვენციას" წინააღმდგობას ვერ ვუწევთ, რაც საბოლოო ანგარიშით რეფორმების დაჩქარებასა და მოდერნისტული სისტემის შექმნაში დაგვეხმარება"[2].

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა", 16-22 დეკემბერი, 1999წ.
[2] გაზ. „ახალი ტალღა", 23 აპრილი, 1999წ.

ყველაზე უარესი ალბათ მაინც ის არის, რომ, როგორც გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, „აღიზარდა მთელი თაობა, რომელმაც კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობის მეტი სხვა ბევრი არაფერი იცის“[1].

საბაჟოებზე წესრიგის დასამყარებლად ჩვენში მეტ წილ შემთხვევაში რადიკალური, გადამწვეტი ზომების მიღებას მოითხოვენ და იმედოვნებენ, რომ ამით სწრაფად მიაღწევენ ვითარების ძირეულ შეცვლას. მაგრამ ეს პოზიცია არ არის ცალსახად დამკვიდრებული. საზოგადოების ერთი, თუმცა მცირე ნაწილი, რომელიც ისევე აღშფოთებულია არსებული ვითარებით, როგორც რადიკალები, მაინც სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს. მისი ლოგიკა ასეთია: კონტრაბანდით ცხოვრობს მოსახლეობის დიდი რაოდენობა და ამდენად მისი ერთბაშად მოსპობა ან თუნდაც მკვეთრი შეზღუდვა, თუკი საერთოდ ასეთი რამ შესაძლებელი იქნება, არსებობის საშუალებას მოუსპობს ძალზე ბევრ ადამიანს. ესეც არ იყოს, კონტრაბანდული საქონლის ნაკადის შემცირება პირველ ხანებში, გარკვეული დროით მნიშვნელოვნად გაზრდის ფასებს, ყოველივე ამას კი შეუძლია ისეთი დაძაბულობა გამოიწვიოს საზოგადოებაში, რომ სოციალური აფეთქების საშიშროება შეიქმნას. ამ თვალსაზრისის მომხრეები პრობლემის ეტაპობრივი მეთოდით მოგვარებას უჭერენ მხარს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პოზიციაც მისი არაპოპულარობის გამო პრაქტიკულად ვერ ჰპოვებდა ასახვას მედიაში.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ რადიკალური გზა აირჩია და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია. თუმცა საბოლოო დასკვნისათვის საკმარისი დრო ჯერ არ გასულა.

ფართო მასშტაბები აქვს საქართველოში ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებას. ბრძოლა კი მის წინააღმდეგ ძალზე სუსტად მიმდინარეობს. ვერც მედიაზე ვიტყოდით, რომ ამ პრობლემას დიდ ყურადღებას უთმობდეს. არადა ზიანი, რომელსაც ფალსიფიკაცია აყენებს ჩვენს ეკონომიკას, არანაკლებია კონტრაბანდით გამონვეულ ზარალზე.

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 დეკემბერი, 2002წ.

ამას მოწმობს სააგენტო „გეას“ მიერ გავრცელებული ინფორმაციაც, რომელშიც ნათქვამია: „ქართული წარმოების ღვინის, არყისა და ალკოჰოლური ნაწარმის 84% ფალსიფიცირებულია. ასევე უვარგისია პურპროდუქტის, არაჟნისა და ძეხვეულის ქართული ნაწარმი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის“, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა გია არსენიშვილმა. მისივე თქმით, მძიმე სიტუაციაა ფქვილთან დაკავშირებითაც. არის შემთხვევები, როცა ფქვილის გათეთრების მიზნით, მასში კარანოიდებს ურევენ, რომელშიც ქლორი და აზოტი შედის. ეს უკანასკნელი კი ადამიანში ნერვული სისტემის დაზიანებას და ეპილეფსიურ მოვლენებს იწვევს“[1].

კორუფციის თემაზე პუბლიკაციების გაცნობისას ხშირად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი ქვეყანა ყველაზე კორუმპირებულია მსოფლიოში და რომ ეს სენი თითქოს მხოლოდ ახლახან გაჩნდა საქართველოში. მდგომარეობა ამ მხრივ ჩვენში რომ საგანგაშოა, ამის უარყოფას არც არავინ ცდილობს, მაგრამ აქ ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიც, თავს იჩენს გაზვიადებისადმი ჩვენი ტრადიციადქცეული მიდრეკილება, რომლის თანახმადაც ჩვენ ან ყველაზე კარგები ვართ დედამიწაზე, ან ყველაზე ცუდები. კორუფცია მსოფლიო პრობლემაა, ის ყველგან არსებობს და ალბათ ყოველთვისაც იარსებებს მეტ-ნაკლები მასშტაბით, ანუ როგორც ჟურნალი „ეკონომიკური რეფორმები დღეს“ წერდა: „როგორც არასდროს მოხერხდება ყველა მიკრობის განადგურება, ისე არ განადგურდება კორუფციაც, მაგრამ კორუფცია გამონაკლისი უნდა იყოს და არა ცხოვრების წესი“[2].

როგორც გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ გვაუწყებს „მსოფლიო მოსახლეობის 40,8 პროცენტი თვლის, რომ მათი ქვეყნის მთავრობა კორუმპირებულია“[3]. კორუფციის მხრივ საბჭოთა კავშირშიც ძალზე

---

[1] გაზ. „ალია“, 27-29 ოქტომბერი, 2001წ.

[2] ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“, №1, ივლისი, 2000წ. (ციტირებულია კრებულიდან „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ “, თბ., 2003, გვ. 61).

[3] გაზ. „ბანკები და ფინანსები“, №52, დეკემბერი, 1999წ.

მძიმე მდგომარეობა იყო. გავიხსენოთ თუნდაც ლევ ტიმოფეევის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მთელი საბჭოური სახალხო მეურნეობა კორუფციულ ურთიერთობებს ეფუძნებოდა და რომ მათს გარეშე სოციალისტური ეკონომიკა ერთ დღესაც ვერ იარსებებდა. თავის დროზე აკაკი ბაქრაძეც აღნიშნავდა: „სსრკ-ში ძალაუფლება სამ ძალას აქვს ერთმანეთში გაყოფილი: პარტოკრატიას, ბიუროკრატიას, კლეპტოკრატიას, ამ სამში ყველაზე ძლიერი დღესდღეობით კლეპტოკრატიაა. პარტოკრატიაც და ბიუროკრატიაც მას მორჩილებენ. თუმცა გარეგნულად თითქოს პარტოკრატია „ებრძვის“ კლეპტოკრატიას“[1].

კორუფციის დონით ჩვენ იმ დროსაც არასახარბიელოდ გამოვიყურებოდით, თუმცა საბჭოთა კავშირის მასშტაბებით სადღაც შუა ადგილზე ვიმყოფებოდით. ჩვენზე უარესი მდგომარეობა იყო აზერბაიჯანში, შუა აზიასა და ყაზახეთში. ამ მხრივ დღესაც ანალოგიური ვითარებაა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გვაცნობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 94 ქვეყანაში ჩატარებული გამოკვლევების შედეგებს, საიდანაც ჩანს, რომ ბოლო 94-ე ადგილზეა კამერუნი, საქართველო 84-ზე. ჩვენზე ცუდად არის საქმე შუა აზიაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. დიდად არ განსხვავდებიან ჩვენგან სნგ-ს სხვა ქვეყნებიც, რომელთაგან რუსეთს 82-ე ადგილი უჭირავს, სომხეთს 80-ე[2].

თუმცა თუ ყოფილ ფინანსთა მინისტრს დ. იაკობიძეს ვერწმუნებით, ასე ვთქვათ, არც ისეა საქმე, როგორც ლაპარაკობენ. „მართალი გაზეთის“ კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობს: „რაც შეეხება კორუფციას, ჯერ ერთი, კორუფციის გაზომვა და დათვლა ძალიან ძნელია, მეორე — სადაც მაღალია პოლიტიკური აქტივობა, იქ არის კორუფციის მაღალი მაჩვენებელი. . . ჩვენთან ზომაზე მაღალია პოლიტიკური აქტივობა, მაგრამ მთლად წყალწაღებულები არა ვართ. წინა კვირას მეტეხში გააკეთა მოხსენება რუსეთის წარმომადგენელმა (სამწუხაროდ, გვარი არ

[1] გაზ. „კომუნისტი“, 15 ნოემბერი, 1989წ.
[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, 2000წ.

მახსოვს), რომელმაც განაცხადა, რომ სნგ-ს ტერიტორიაზე ყველაზე დაბალი კორუფციის დონე საქართველოშია, მაგრამ მაზანდა ყველაზე მაღალია"[1].

სწორედ საბჭოურ პერიოდში შეიქმნა ჩვენს საზოგადოებაში კორუფციისადმი უაღრესად შემწყნარებლური მენტალიტეტი, რომელიც ფულის მშოვნელ კაცს ,,კაი ბიჭად" თვლიდა, არაკორუმპირებულ თანამდებობის პირს კი სკამის გამფუჭებელ, უშნო, უვარგის ადამიანად. მაშინ ჩამოყალიბდა პრინციპი: ,,რა შენი საქმეა, შენ ხომ არა გპარავს!", ფართოდ გაიდგა საზოგადოებაში ფეხი ფარისევლობამ, როცა სინამდვილეში აღელვებდათ არა იმდენად კორუფციის არსებობა, რამდენადაც მასში მონაწილეობის შესაძლებლობის უქონლობა და როცა კორუფციის თაობაზე ყველაზე მეტს ხშირად ის გაჰყვიროდა, ვინც არც ძალას, არც ფულს არ იშურებდა, არავითარ საშუალებაას არ თაკილობდა, რომ თბილი ადგილი ეშოვნა. სხვანაირად რომ ვთქვათ, „სოციალური შურის" ფაქტორი აშკარად პრევალირებდა კორუფციის დაძლევის წყურვილზე. ეს ის ფაქტორია, რომელიც დღესაც ძალუმად იგრძნობა ჩვენში და რომლის გამოც პარლამენტარმა ა. აბრალავამ განაცხადა ტელეკომპანია „იბერიას" ეკრანიდან: „ჩამოყალიბდა ლუმპენიზირებული საზოგადოება, რომელსაც ის კი არ სურს, რომ ყველა მდიდარი იყოს, არამედ სხვას არ ჰქონდეს მასზე მეტი" (4.02.2004).

სახელმწიფო მოხელეთა ზნეობრიობის თვალსაზრისით ვითარება ჩვენში არც ,,მრგვალი მაგიდის" მთავრობის პერიოდში შეცვლილა უკეთესობისაკენ. ხელისუფლებაში ახლად მოსულნი თავაშვებულობითა და სიხარბით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ წინამორბედებს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს 65 ადამიანის მიერ ხელმოწერილი წერილი ზვიად გამსახურდიასადმი, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა 1991 წლის ივლისში. „ჩვენ, ე.წ. ,,ქუჩის ხალხი", რომლებიც არ წარმოვადგენთ არც ოპოზიციას და არც ჩასაფრებულ მეთვალყურეს, - ნათქვამია წერილში, - ის ხალხი ვართ, რომლებიც 1988 წლის აქციებიდან თქვენს გვერდით

[1] გაზ. „მართალი გაზეთი", №14(134), ივნისი-ივლისი, 2003წ.

ვდგავართ, გვწამს თქვენი და რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით თქვენს უანგარო სიყვარულში სამშობლოს მიმართ, ამიტომ არაერთხელ დაგვიფიცია და დღესაც ვფიცავართ, არასოდეს გიღალატებთ.

მხოლოდ ერთი სათხოვარი გვაქვს.

ჩვენი პარლამენტის და მთავრობის უმრავლესობა ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“-დან არიან, ამიტომ გვაქვს პრეტენზია.

კომუნისტებისაგან შეჩვეული ვიყავით და არ ვაქცევდით ყურადღებას მათ მთავრობის და პარლამენტის ე.წ. პრივილეგიებს, მეუღლეებისა და შვილების სახელმწიფო მანქანებით მომსახურეობას, ორსართულიანი აგარაკების განაწილებას და მათი მეგობარ-ნათესავების სამსახურებში მოწყობას. ჩვენ გვეგონა, ახალი მთავრობის და პარლამენტის წევრები ცოტა სხვაგვარად მოიქცეოდნენ, მაგრამ შევცდით. რა შეიცვალა? ისევ გრძელდება ამჟამად ჩვენი მთავრობის, დეპუტატების, უზენაესი საბჭოს მომსახურე პერსონალის სახელმწიფო მანქანებით ცოლების ლოდინი ბაზრების და სკოლების წინ. დღეს, როდესაც ასე უჭირს ჩვენს სამშობლოს ეკონომიკურად, ნუთუ არ ესმით, ჩვენს მიერ არჩეულ ხელისუფლებას, პრივილეგიების მემკვიდრეობის გაგრძელება არ შეიძლება. უზნეობაა.

უფრო შორსაც წავიდნენ, დაცვაც მოინდომეს არა ორი კაცის შემადგენლობით, კომუნისტურ პარტიას, რომელიც არც ჩვენი არჩეული იყო და არც იმსახურებდა სიყვარულს, მათ არ ყოლიათ ასეთი რაოდენობით დაცვა. დღეს კი არა გვგონია ჩვენს მიერ არჩეულ ამდენ არჩევნებ-რეფერენდუმებში გამარჯვებულ ხელისუფლებას (თქვენ და თქვენი ოჯახის გარდა, ბატონო ზვიად) სჭირდებოდეს დაცვა და თანაც ასეთი რაოდენობით. თუ კომუნისტურ მთავრობას სჭირდება დიდი კორტეჟი, დღევანდელ ხელისუფლებას სჭირდება ორი, აქედან ერთი დაცვისათვის.

ჩვენ კარგად გვესმის, მათი დაცვა, პერსონალური მანქანებით და აგარაკებით მომსახურება რა უჯდება სახელმწიფოს...

და კიდევ, ნიჭიერ და პატიოსან ხალხს, ვისაც თქვენს გვერდზე ყოფნა უნდათ, გზა გადაკეტილი აქვთ, თქვენამდე არ უშვებენ.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. იმედი გვაქვს, ყველაფერი გამოსწორდება და იქნება ისე, როგორც ნორმალურ, ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს შეეფერება. ჩვენ ხომ მაგისთვის ვიბრძვით"[1].

წერილი დეპუტატ გურამ პეტრიაშვილს გადასცეს. სწორედ მან წაიკითხა იგი უზენაესი საბჭოს სხდომაზე, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ფაქტობრივად გაგრძელება არ მოჰყოლია, აღარაფერს ვამბობთ შედეგებზე.

თვითონ ზ.გამსახურდია უმთავრეს შეცდომად, რომელიც მან საქართველოს უმაღლეს თანამდებობრივ პოსტზე ყოფნისას დაუშვა, კადრების შერჩევას ასახელებდა, ზოგჯერ კი ამ თვალსაზრისით არჩევანის ფაქტობრივ უქონლობაზეც მიუთითებდა. გაზეთ „იბერია-სპექტრში" გამოქვეყნებულ მის ინტერვიუში, რომელიც „ნეზავისიმაია გაზეტადან" გადმოიბეჭდა, კორესპონდენტის კითხვაზე, ამჩნევდა თუ არა იგი მის მიერ დაშვებულ შეცდომებს, იგი უპასუხებს: „როცა იქ ზიხარ, შეცდომას როგორ არ დაუშვებ: როცა ყველა კორუმპირებულია. ყველა ქრთამს იღებს, ყველა მოღალატეა, ყველა ყოფილი კაგებისტ-ჩეკისტია!... როგორ არ დაუშვებ შეცდომას? ვუშვებდი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ შეცდომას, მაგრამ ვუშვებდი არა ბოროტი საწყისიდან და ბოროტი სურვილიდან გამომდინარე, უნებურად ვუშვებდი. განსაკუთრებით კადრებში - კადრები არ იყო, რა ვქნა? - ვნიშნავდი ისეთ კადრებს, რომლებიც აღაშფოთებდნენ ხალხს და მეც აღმაშფოთებდნენ. მაგრამ რა ვქნა? - კაცი არ არის! აი როგორი შედარება მომყავდა: თითი დაგიჩირქდათ და მისი მოჭრაა საჭირო - რა ვქნათ? ვთქვათ, მოიჭერი, სხვა თითი ხომ არ ამოგივა. აი ასე: მოხსენი ერთი და კაცი არ არის. კაცი არ არის და ეს ადგილი ცარიელია. აი ასე მომყავდა ასეთი მაგალითები.

კადრები ამ 70-წლიანმა პერიოდმა მოსპო. ყველა აბსოლუტურად. და აი მე მოვედი უდაბნოში, გესმით? აი ერთი, ცარიელი ხელებით - არც მილიცია მყოლია და არც სუკი, არავინ: ყველა მოღალატეა, ყველა მექრთამეა. რა ვიღონო ასეთ საზოგადოებაში, ასეთ სახელმწიფოში?..."[2]

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 12 ივლისი, 1991წ.

[2] გაზ. „იბერია-სპექტრი", 12-18 მარტი, 1992წ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ქართულ მედიაში იყო იმის მცდელობაც, რომ „მრგვალი მაგიდის“ ხელისუფლების დროინდელი სიტუაცია კორუფციის თვალსაზრისით იდეალურ ფერებში დაეხატათ. ასე მაგალითად, თბილისის მაშინდელი მერი თამაზ ვაშაძე გაზეთ „ახალი თაობის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „მაგას (ზ.გამსახურდიას ზეობის პერიოდის ფინანსთა მინისტრს გ.აბსანძეს, რომელსაც ერთ-ერთ ბრალდებად სახელმწიფო ქონების დატაცება ჰქონდა წაყენებული - გ.კ.) ფულს ვინ შეაჭმევდა. ეროვნული ხელისუფლების დროს მადლობა ღმერთს კორუფცია არ იყო“[1]. კორესპონდენტის შენიშვნაზე - „ბატონო თამაზ, ეს დღეს ზოგისთვის დაუჯერებელია“, იგი უპასუხებს: „როგორ გეკადრებათ, მაშინ ხალხი ამაზე არ ფიქრობდა. ეს დღესაა დაუჯერებელი, რადგან ამ ათი წლის განმავლობაში ამათ ქვეყანა შეჭამეს, გააძვალტყავეს“[2].

თამაზ ვაშაძე არ იზიარებს არც იმ მოსაზრებას, რომ ზ.გამსახურდიას შეცდომები ჰქონდა დაშვებული კადრების შერჩევაში და თამამად აცხადებს: „კადრები არ შეარჩია გამსახურდიამაო. ამის თქმა სასაცილო არ არის? გამსახურდიას შესანიშნავი კადრები ჰყავდა“[3].

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში კორუფციის ფართოდ გავრცელების უმთავრეს მიზეზებზე საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ე.წ. „ანტიკორუფციული შვიდკაცას“ მიერ შედგენილ „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში“. „საქართველოში კორუფციის ფართოდ გავრცელების საფუძვლები და მიზეზები, – ნათქვამია ამ დოკუმენტში – უნდა ვეძებოთ როგორც ახლო თუ შედარებით შორეულ წარსულში, ისე მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში“[4] მათ შორის იგი გამოყოფს შემდეგს:

1. კომუნისტური წყობის მემკვიდრეობას. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „კორუფციის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა

---

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 30 აპრილი, 2001წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში. კომუნისტური პოლიტიკური სისტემა ხელს უწყობს სახელმწიფოს ფუნქციის ჰიპერტროფირებულ გაზრდას და, შესაბამისად, მის არაეფექტურობას, ხელისუფლების სისტემის დახურულობას და გაუმჭვირვალობას, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განდევნას სამართლებრივი სივრციდან, მოქალაქეთა სრულ გაუცხოებას სახელმწიფოს მართვის პროცესისაგან. ყოველივე ამის გამო კორუფციის ფართო გავრცელება კომუნისტური წყობის სტრუქტურულად გარდუვალი კომპონენტია, განსაკუთრებით მის პოსტტოტალიტარულ ეტაპზე, როდესაც შედარებით სუსტდება რეპრესიული რეჟიმის წინაშე შიშის ფაქტორი კომუნისტური წყობის შემდეგ რჩება აზროვნების და ქცევის ძველი სტერეოტიპები, ადგილს ინარჩუნებს ძველი სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი კორუმპირებული ნაწილი, ხოლო საზოგადოებას დიდი დრო სჭირდება საიმისოდ, რომ ხელისუფლების კონტროლის მექანიზმებს დაეუფლოს"[1].

2. სახელმწიფოს სისუსტეს მისი მრავალმხრივი ტრანსფორმაციის პირობებში. აქ იგულისხმება სახელმწიფოს „უუნარობა სათანადო კონტროლი გაუწიოს საკუთარი მოხელეების ქმედებას, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი თავიანთ მდგომარეობას მოახმარენ არა საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციების შესრულებას, არამედ უკანონო პიროვნულ გამორჩენას"[2]. დოკუმენტის ავტორები ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ იმ გარემოებასაც, რომ მრავალმხრივი ტრანსფორმაციის პირობებში, როცა „მოკლე ვადებში ძირფესვიანად იცვლება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემები, თანაც ეს ხდება განუვითარებელი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, მოუქნელი და გამოუცდელი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები ვერ უმკლავდებიან მათ წინაშე მდგომ ამოცანათა მრავალფეროვნებას, ხოლო კანონმდებლობის განვითარება ჩამორჩება სწრაფად ცვალებადი რეალობის მოთხოვნებს"[3]. ამასთან ერთად „სახელმწიფოს განსაკუთრებით უჭირს დაბალი

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ანაზღაურების მქონე მოხელეთა საქმიანობის გაკონტროლება... სიტყვის თავისუფლებისა და თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში საზოგადოებას განსაკუთრებით დიდი ინფორმაცია აქვს სახელმწიფო სტრუქტურაში კორუფციის გამოვლინებებზე... კორუფციის შესახებ ინფორმაციის მოზღვავება იწვევს საზოგადოებრივ შოკს და სახელმწიფოსადმი ნდობის მკვეთრ დაქვეითებას"[1].

3. სახელმწიფოს განსაკუთრებულ სისუსტეს სამოქალაქო თანხმობის დეფიციტისა და კონფლიქტოგენური სიტუაციების პირობებში. ეს განაპირობებს იმას, რომ „სახელმწიფო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, ხოლო მოსახლეობის ცალკეულ ფენებში არსებული პოლიტიკური სისტემისადმი ნდობის დონე საკმაოდ დაბალია. ასეთ ვითარებაში სამართლებრივ ნორმებზე დამყარებულ პოლიტიკურ კონტროლს ხშირად ცვლის კერძო გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნებას მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ არსებითად აფერხებს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს. ასეთი გარიგებები გულისხმობს კორუფციული კავშირების შეწყნარებას ან პირდაპირ წახალისებას"[2].

4. ძალოვანი სამინისტროების განსაკუთრებულ როლს, რაც განიხილება როგორც სახელმწიფოს სისუსტის ერთ-ერთი ნიშანი. „თვით ის ფაქტიც კი, რომ ბოლო წლებში ჩამოყალიბდა საგანგებო ტერმინი მათ აღსანიშნავად (რომელიც არ არსებობს განვითარებული დემოკრატების ლექსიკონში) მიანიშნებს იმაზე, რომ დარღვეულია ბალანსი სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის და არასაკმარისია შეიარაღებული ძალის მქონე უწყებებზე სამოქალაქო კონტროლი"[3].

5. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბალ დონეს, რაც განაპირობებს იმას, რომ „დღევანდელ საქართველოში სახელისუფლო ინსტიტუტები არასაკმარისად კონტროლდება საზოგადოების მიერ... სამოქალაქო საზოგადოების და სამოქალაქო კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ის, რომ ვერ ჩამოყალიბდა პოლი-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ტიკური პარტიების სისტემა, რომელთაც ფესვი ექნებოდა გადგმული მოსახლეობის ფართო ფენებში. ამის გამო სუსტია პოლიტიკური ოპოზიცია, რომელსაც საკმაოდ დიდი როლის შესრულება შეუძლია კორუფციის საწინააღმდეგო პროცესების კატალიზებაში. საქართველოში, მაგალითად, არც ოპოზიციური ძალებია თავისუფალი კორუმპირებულთა მძლავრი გავლენისაგან"[1].

6. ღრმა ეკონომიკურ კრიზისს. ეკონომიკური პარამეტრების შემცირება და ცხოვრების დონის დაცემა, რომელიც განიხილება, როგორც პოსტკომუნისტური რეფორმების გარდუვალი შედეგი, არყევს მომავლის იმედს, რის გამოც მოსახლეობა იმაზე უფრო ზრუნავს, თუ რა „გამოგლიჯოს" ცხოვრებას, ვიდრე მტკიცე სამართლებრივი წესრიგის დამყარებაზე. გაღატაკებულ საზოგადოებას დიდი სახელმწიფო აპარატის შესანახად საკმარისი რესურსები არ გააჩნია, მაგრამ იგი სოციალიზმის პირობებშია აღზრდილი და ამიტომ სახელმწიფოსაგან მოელის სოციალური გარანტიების უხვ და ყოვლისმომცველ სისტემას, რის გამოც ვერ ეგუება მისი ფუნქციების არსებით შეზღუდვას.

7. მორალურ კლიმატს. ელიტური კორუფციის გამოვლინებები საზოგადოების პროტესტს იწვევს, მაგრამ მეტწილად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კორუმპირებული „შინაური" არ არის, ანუ, როგორც ნანა დევდარიანი ამბობს თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, „ოჯახის კორუმპირებულ წევრს ყოველთვის გაამართლებ, მაგრამ გარეშე ადამიანის დასაცავად ხმას არ ამოიღებ. ნელ-ნელა უნდა შევიცვალოთ. ყოველ შემთხვევაში ამ სიდრომისაგან თუ არ გავთავისუფლდით, მაშინ სჯობს აღარ ვილაპარაკოთ კორუფციაზე, შევეგუოთ, რაც არის და ნუ დავადანაშაულებთ სხვას, რომ მისი ბრალია"[2].

სამწუხაროდ უნდა დავეთანხმოთ იმასაც, რომ ადამიანთა უმრავლესობა შეგუებულია მასობრივი კორუფციის ფაქტებს და ცხოვრების გარდუვალ ნაწილად აღიქვამს მათ... „კორუფციაში მხილე-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

[2] ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს", №1, ივლისი, 2000წ. (ციტირებულია კრებულიდან „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ" თბ., 2003, გვ. 60).

ბა თითქმის არ ამცირებს ადამიანის სოციალურ პრესტიჟს... საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდილობს ფარული ამორალური მოტივები თვით მამხილებელს მოუძებნოს. ე.წ. „რბილი“ ან არაკრიმინალური კორუფციის გამოვლინებანი, რომლებიც საერთაშორისო ტერმინოლოგიაში „კლიენტელიზმის“, „ნეპოტიზმის“, და „კრონიზმის“, კომუნისტურ ტრადიციაში კი „პროტექციონიზმის“ და „ნათლიმამობის“ სახელითაა ცნობილი, ხშირად საერთოდ არ აღიქმება ნეგატიურ მოვლენებად და არ არის დანახული მათი კავშირი კორუფციის კრიმინალურ გამოვლინებებთან. უკანონო გარიგებანი ფეხს იკიდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახელმწიფო და კერძო პირებთან ურთიერთობებშიც, რაც განსაკუთრებით საშიში მოვლენაა“[1].

1990 წლის ოქტომბერ-ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენმა ხალხმა არჩევანი მოახდინა არა მარტო დამოუკიდებლობის, არამედ საბაზრო ეკონომიკის, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის, ანუ კერძო პირთა ხელში გადასვლის სასარგებლოდაც, ფიქრობდა რა, რომ ამას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა. მოვლენები იმ დროს ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ჭირდა ახალი სიტუაციის სრულყოფილი გააზრებაცა და იმ კატაკლიზმების მკაფიოდ და სრული მოცულობით გათვალისწინებაც, რომლებიც ამ ცვლილებებს გარდუვალად უნდა გამოეწვია. ამის თაობაზე 1993 წლის ოქტომბერში გაზეთ „ბიზნეს-კურიერში“ ჩვენს ვრცელ სტატიაში „ეკონომიკა-პოლიტიკის მძევალი“, რომელიც ოთხ ნომერში დაიბეჭდა და რომელიც გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიწერა, ნათქვამია: გზა, რომლის გავლაც მოგვიწევს, „ძალზე მტკივნეული იქნება მოსახლეობის უმრავლესობისათვის... არ არის გამორიცხული სოციალური აფეთქება, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ნაკლებად ზრუნავენ ამ საშიშროების თავიდან აცილებაზე. პირიქით, ბევრ საგაზეთო პუბლიკაციაში, ტელე და რადიო გადაცემაში ცეცხლზე ნავთს ასხამენ - იმის ნაცვლად, რომ საზოგადოება შეამზადონ მოსალოდნელი სიძნელეების (რომელთა თავიდან აცილე-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

ბა შეუძლებელია), ვაუკაცურად ასატანად, გაუთავებლად და გამაღიზიანებლად ლაპარაკობენ საყოველთაო გაჭირვებაზე და ამით თითქოს თავსაც იწონებენ. ამავე დროს პრაქტიკულად არაფერს სთავაზობენ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით"[1].

ცოტანი, ძალზე ცოტანი ფიქრობდნენ იმაზეც, თუ როგორ, რა გზით უნდა გაჩენილიყვნენ ჩვენში ბიზნესი და ბიზნესმენები, სად და როგორ უნდა ეშოვნათ ამ უკანასკნელებს რაიმე საქმიანი წამოწყებისათვის აუცილებელი თავდაპირველი კაპიტალი, მოხერხდებოდა თუ არა სამართლიანობის პრინციპის დაცვა პრივატიზაციის პროცესში. ამ საკითხებზე საუბრისას პოლიტიკოსები ცდილობდნენ როგორმე შეერბილებინათ პერსპექტივა. ამას მოწმობს დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას პასუხიც სტუდენტთა დროებითი კავშირის წარმომადგენლების კითხვაზე, როგორ უნდა მომხდარიყო პრივატიზება ისე, რომ არ დაჩაგრულიყვნენ პრივატიზებული საწარმოების ის მუშაკები, რომლებსაც ფული არ აქვთ. „არავითარ შემთხვევაში, – უპასუხა მან, – პრივატიზაციის კანონში სწერია, რომ უპირატესობა პირველ რიგში აქვთ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს. აქციების საყიდლად მათ შეუძლიათ ბანკიდან აიღონ სესხი. თუ მათი თანხა მთელი საწარმოს ფასზე ნაკლები იქნება, მაშინ აქციებს სხვებსაც შესთავაზებენ"[2].

კანონში ჩადებული გარანტიები, როგორც შემდეგ დავინახეთ, ვერ გამოდგა მყარი. უფულო ხალხი პრაქტიკულად ქონების გარეშე დარჩა. თუმცა აქ არ გამოვრიცხავთ, რომ პოლიტიკოსებს მაშინ გულწრფელად სწამდათ იმის შესაძლებლობა, რომ პრივატიზაცია მართლაც მოხერხდებოდა სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

საბჭოურ პერიოდში კანონიერი გზით ფულის ისეთი ოდენობით დაგროვება, რომ რამდენადმე მნიშვნელოვანი საწარმოო ობიექტის შესყიდვა გამხდარიყო შესაძლებელი, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად პრობლემატური იყო. ესეც არ იყოს ფული რომც ეშოვნათ, კომუნის-

---

[1] გაზ. „ბიზნეს-კურიერი", 2 ოქტომბერი, 1993წ.

[2] გაზ. „დრონი", 27 დეკემბერი, 1992წ.

ტური ხელისუფლების ბოლო წლებში მაინც გაუუფასურდებოდათ და ქაღალდის გროვად ექცეოდათ. თავდაპირველი კაპიტალის „სუფთა ხელებით“ დაგროვება მით უმეტეს უნდა გაძნელებულიყო საყოველთაო ნგრევისა და ანარქიის დროს, რომელთა პირობებში მოუხდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის დაწყება და საბაზრო რეფორმების განხორციელება. ეს ვერ მოახერხა ვერც ერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ და არა მარტო მათ. ამასთან დაკავშირებით პროფესორი ვლადიმერ პაპავა თავის ვრცელ სტატიაში „საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მანიფესტი“ წერს: „კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირების ურთულესი პროცესი ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში კორუფციის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორია, რაც პრინციპულად განასხვავებს მას დასავლეთის ქვეყნებში არსებული კორუფციის გამომწვევი მიზეზებისაგან...

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში ადგილი აქვს კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას, პროცესს, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა პრინციპულად შეუძლებელია და რომელიც დასავლეთის დღეს უკვე განვითარებულმა ქვეყნებმა საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაიარეს.

ისტორიაში, სამწუხაროდ, იმის არც ერთი მაგალითი არ არსებობს, რომ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება მსოფლიოს თუნდაც ერთ რომელიმე ქვეყანაში განხორციელებულიყო „სუფთა ხელებით“ და მხოლოდ ლეგალური გზებით: ეს პროცესი, როგორც წესი, ემყარებოდა იმას, რაც თანამედროვე ტერმინოლოგიით ცნობილია კორუფციის სახელით“[1].

იგივე აზრს ავითარებს პოლიტოლოგი პროფესორი ომარ გოგიაშვილიც: „კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პერიოდი, - ამბობს იგი, - ყოველთვის გულისხმობს კორუფციას, ჩვენ ახლა სწორედ კაპიტალის პირვანდელი დაგროვების ეპოქაში ვართ. შეიძლება მე ახლა ძალიან საჩოთირო და საჭოჭმანო დებულებას ვავითარებ, მაგრამ ეს საკითხი, თეორიაში არსებობს. ჩემი მოგონილი არ გახლავთ.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 2001წ.

უნდა შეიქმნას ფულიანი ხალხის ფენა, რომელიც ამ ფულს დააბანდებს წარმოების ამოქმედებაში, საბანკო სისტემის შექმნაში და სხვ. ჩვენნაირი გარდამავალი სისტემის ქვეყნებში, რაღაც დონეზე, ამას კორუფციაც აკეთებს, კონტრაბანდაც და სხვა ნეგატიური მოვლენაც"[1].

თუ ვლადიმერ პაპავასა და ომარ გოგიაშვილს დავუჯერებთ (საფუძველიც არა გვაქვს, რომ არ დავუჯეროთ), მაშინ გამოდის, რომ საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, ანუ მოხდა ის, რაც ყველგან მოხდა, და რაც არც შეიძლებოდა, რომ არ მომხდარიყო. მაშასადამე, ჩვენც სხვა რა გზა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ გარკვეულ წილად მაინც შევეგუოთ მომხდარს, მაგრამ საზოგადოებას ძალზე უჭირს ასეთი დასკვნის მონელება, რაც აგრეთვე ბუნებრივი და გასაგებია.

საუკუნეთა მიჯნაზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობა საყოველთაოდ იყო აღიარებული. ყველა ეთანხმებოდა იმ აზრსაც, რომ ამ სენმა ისევე, როგორც გაღატაკებული მოსახლეობის მოთმინებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, და რომ ან დავამარცხებდით მას ან იგი ბოლოს მოუღებდა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს, განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმოდა მხოლოდ იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მეთოდებით უნდა წარგვემართა ეს ბრძოლა, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, თუ შერეული მეთოდებით. ანუ პირველი ორი ფორმის კომბინაციით. განსაკუთრებით მახვილდებოდა ყურადღება იმაზე, თუ რა უნდა გვექნა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებისათვის, მათი კონფისკაცია უნდა მოგვეხდინა თუ ლეგალიზება ანუ დაკანონება. პროფესორ ვლადიმერ პაპავას აზრით, მაგალითად, „კორუფციის თავდაპირველი დაგროვების პროცესში კორუფციის შეზღუდვის მიზნით მხოლოდ ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება აუცილებლად უარყოფით შედეგს მოგვცემს: მხოლოდ დამსჯელი ზომების გატარების შემთხვევაში კაპიტალის დაგროვების პრო-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10 ოქტომბერი, 2001წ.

ცესი კვლავ დაუბრუნდება თავის ამოსავალ წერტილს, ის ხელახლა დაიწყება და ამით კორუფციასაც გაუხანგრძლივდება „სიცოცხლე“[1].

ვლ. პაპავას მიაჩნია, რომ „მხოლოდ დამსჯელ ღონისძიებათა განხორციელებით კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების განახლებული პროცესი უფრო მეტად შენიღბული ფორმებით განხორციელდება, რის გამოც გაცილებით მახინჯ მოვლენად ჩამოყალიბდება. კერძოდ, თუ კი დღეს საქართველოში ახლად დაგროვებული კაპიტალის განივთების უმთავრესი ფორმა სახლების მშენებლობა, თუ სხვა უძრავი ქონების შექმნაა, რის შედეგადაც დასაქმებულია და შრომის შესაბამის ანაზღაურებას იღებს არაერთი ადამიანი, შეისყიდება სამშენებლო მასალები, რითაც საქმდება მათ მწარმოებელ საწარმოთა მშრომელები და ა.შ. (ანუ ადგილი აქვს ქეინზის ცნობილ მულტიპლიკატორს), მხოლოდ დამსჯელი ხასიათის ოპერაციების გატარების შედეგად, ჯერ ერთი, მხილების გაზრდილ საშიშროებას (ანუ რისკ-ფაქტორის გაზრდის გამო) გაიზრდება ქრთამის განაკვეთი, ხოლო მეორე - არაკანონიერი გზით ნაშოვნი ფული აღარ განივთდება საქართველოში და გაიწოვება საზღვარგარეთ. სხვა სიტყვებით, კორუფცია არა იმდენად შეიზღუდება, რამდენადაც შეიცვლებიან „მოქმედი გმირები“, ხოლო საზოგადოება დაკარგავს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ირიბ ეფექტს“[2].

კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესით განპირობებული კორუფციის შეზღუდვის ყველაზე მარტივ გზად ვლადიმერ პარავას ესახება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების არსებული შედეგების დაკანონება, რაც ეკონომიკური და ფინანსური ამნისტიის სახელით არის ცნობილი. მისი განმარტებით „ეს გზა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუტების დამკვიდრების... ღონისძიებებთან ერთად კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკურ მიდგომას წარმოადგენს“[3].

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 2001წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ვლადიმერ პაპავას კარგად ესმის, რომ „ეს გზა აშკარად მიუღებელი იქნება მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლის ყველაზე უფრო „ხმაურიანი“ ფრთა მოუთმენლად ელის (ზოგ შემთხვევაში სავსებით სამართლიანადაც კი) სოციალური შურისძიების შესაძლებლობას!“[1] ამის გათვალისწინებით იგი თვლის, რომ „აუცილებელია კორუფციის შეზღუდვის წმინდა ეკონომიკური მიდგომა შეერწყას ამ ტიპის დამსჯელი ხასიათის ზომებს (რომელთა შერჩევა უკვე იურისტების გადასაწყვეტია) ისე, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო გარემო არ გაუარესდეს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელუხლებელი დარჩეს უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურად აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპი“[2].

ამნისტიის მომხრეა პოლიტოლოგი აკაკი ყულიჯანაშვილიც, რომელიც ჟურნალისტ ზურაბ მჭედლიშვილისათვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: „როგორც მოქალაქე შეიძლება ემოციურად გაცხარებული ვიყო, რომ ქვეყნის ქონება კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ჩაუვარდეთ ხელში, მაგრამ როგორც პოლიტიკოსისთვის, ჩემთვის ცნობილი და გასაგებია, რომ პრივატიზაციისას ყველა ქვეყანაში ასე ყოფილა და დღესაც არის, რომ ხდება უკანონო გზით კაპიტალის დაგროვება ძირითადად უცხოეთის ბანკებში, მაგრამ შემდეგ ამ კაპიტალს აბრუნებენ უკან და დებენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების სახით. როგორც წესი, ამას აკეთებენ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული წრეები - კლანები, ნათესავები, მეგობრები და ა.შ. ეს საქმე უკვე გაკეთებულია საქართველოში და შევარდნაძეს ვინც ახვევია გარშემო, ყველას დაგროვილი აქვს ასეთი კაპიტალი. მიუხედავად ამისა, მჯერა, ჩვენი საზოგადოება ყველას შეუნდობს, თუკი ეს მომხვეჭელები ამ დიდძალი კაპიტალის ინვესტირებას მოახდენენ ქართულ ეკონომიკაში. მართალია, საშუალო ქართველი შეიძლება აღშფოთდეს და თქვას - როგორ თუ შევუნდოთ და მეც რომელიმე კლანის წარმომადგენლად მიმიჩნიოს, მაგრამ გავიმეორებ, რომ ყველა ქვეყანაში ასე იყო და, საბოლოოდ, დაგროვილი კაპიტა-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო, 2001წ.

[2] იქვე.

ლი საკუთარ ქვეყანაში აამუშავეს... უკვე ჟონავს ინფორმაცია, თუ ვის, რამდენი, მათ შორის დასავლური ფულიდან „მოტეხილი“ მილიონები, რომელი ქვეყნის ბანკებში აქვს ჩადებული. ამიტომ მოდით ვაპატიოთ ყველას, ოღონდ ეს ფანტასტიკური რაოდენობის კაპიტალი შემოიტანონ საქართველოში“.[1]

ვლადიმერ პაპავას, ომარ გოგიაშვილისა და აკაკი ყულიჯანაშვილის აღნიშნულ მოსაზრებას ზოგიერთი სხვა პუბლიცისტიც იზიარებდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ მოსაზრებებს დისონანსი შეჰქონდათ ქართულ მედიაში. აქ აშკარად დომინირებდა ადმინისტრაციული მეთოდების მხარდაჭერა, რაც ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის განწყობილებას, რომელიც მხარს უჭერდა უკანონო ქონების მეპატრონეთა სასტიკად დასჯას და ამ ქონების უპირობო კონფისკაციას, ამიტომაც იყო, რომ, როგორც ვლადიმერ პაპავა და თამარ გოგიაშვილი, ისე აკაკი ყულიჯანაშვილიც ერთგვარი მობოდიშებით გამოთქვამდნენ თავიანთ თვალსაზრისს.

ჩვენში ბევრი გაიზიარებდა სმკ-ს წევრის, უმუშევარ ნუგზარ ბერიძის პოზიციას, რომელიც დაფიქსირებულია გაზეთ „ახალ თაობაში“. „ნუთუ გგონიათ, ბატონო კორუმპირებულებო და მექრთამეებო, - წერდა იგი,- რომ შეგრჩებათ ყველაფერი?! არ შეგრჩებათ, შრომისმოყვარე და თავმოყვარე ქართველი ერი, რაც არ უნდა დიდი დრო გავიდეს, ამას არ გაპატიებთ, თქვენი ცოდვები თქვენს შთამომავლობაზე გადავა და თუ დროზე არ მოეგეთ გონს, დაიწყება ანგარიშსწორების დაუსრულებელი პერიოდი, რომელიც შეიძლება უმართავ პროცესებშიც კი გადაიზარდოს...

ჩვენი სახელმწიფოს განვითარებას ამ ისტორიულ და მნიშვნელოვან ეტაპზე კორუმპირებულობა და მექრთამეობა სამშობლოს ღალატს უნდა გაუთანასწორდეს და მასში მხილებულები უმაღლესი სასჯელით უნდა დაისაჯონ, დარწმუნებული ვარ, ასეთი ორი-სამი პრეცენდენტის შემდეგ მადა დაეკარგებათ სკამით გამდიდრების მსურველებს“[2].

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 17-23 აპრილი, 1998წ.

[2] გაზ. „ახალი თაობა“, 6 დეკემბერი, 1999წ.

უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევასა და დამნაშავეთა მკაცრ დასჯას მოითხოვდნენ არა მარტო რიგითი მოქალაქეები, არამედ პარტიათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც. ხშირ შემთხვევაში მედიის საშუალებით მათი გამოსვლები გამოწვეული იყო გაჭირვებული ცხოვრებით დათრგუნული ადამიანების მხარდაჭერისა და პრობლემის გადაჭრის გულწრფელი სურვილით, მაგრამ ზოგჯერ მათს პუბლიკაციებში აშკარად მოჩანდა დემაგოგიისა და პოპულიზმის, პოლიტიკური ქულების მოპოვების წყურვილის ნიშნებიც.

ეკონომიკური ამნისტიის კატეგორიულ მოწინააღმდეგეთა შორის იყო პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი, რომლის აზრითაც, „საქართველოში ნებისმიერი ეკონომიკური ამნისტია, მათ შორის კრიმინალური გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზაცია დამანგრეველია არა მარტო ეკონომიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. რადგან ამით მოხდება იმ უკანონობის დაკანონება, რაც საქართველოში წლების მანძილზე მიმდინარეობდა.

რაც მთავარია, ამით სტიმული მიეცემა ახალ ინიციატივებს, რომ დღეს მოხდეს ძარცვა და ხვალ - მისი დაკანონება“[1].

საქართველოს პირობებში გაუმართლებლად თვლიდა ეკონომიკურ ამნისტიას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის თავმჯდომარე რომან გოცირიძეც. მისი თქმით, „ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, მოპარული თანხების დაკანონებისა და უკანონო შემოსავლების პატიების ყოველი მცდელობა კორუფციის ახალი ტალღის აგორებას გამოიწვევს. ეს არც ეკონომიკურად და არც სამართლებრივად არ იქნება გამართლებული...

რაც მთავარია, უკანონო ქონების ლეგალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა არსებობდეს ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობა, მაგრამ, როდესაც ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირებაა, შესაძლებელია, რომ მიღებული კანონი მალევე შეიცვალოს და გამოვლენილი ქონების გამო მკაცრად დაისა-

[1] გაზ. „ბიზნეს-რეზონანსი“, 9 ივლისი, 2001წ.

ჯონ მისი მფლობელები, ანუ ეს კანონი შეიძლება გახდეს, უბრალოდ ქურდების გამოვლენისა და პოლიტიკური ანგარიშსწორების ბერკეტი"[1].

კომენტარს უკეთებს რა ყაზახეთის მთავრობის გადაწყვეტილებას უკანონოდ შეძენილი ქონების ეკონომიკური ამნისტიის მეშვეობით ლეგალიზაციის თაობაზე, რ.გოცირიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ,,ყაზახეთის მაგალითში აზიური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ტიპური ქცევა გამოიხატა - პოსტსაბჭოთა პერიოდში მოპარული ქონების დაკანონებას იქაური, ,,წითელი" ელიტა ცდილობს"[2]. იგი დარწმუნებულია, რომ ,,ყაზახეთის მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯის შედეგი ნულის ტოლი იქნება... ამ ქვეყანაში უკანონო ქონების მხოლოდ ნაწილობრივ ლეგალიზება მოხდება. უფრო მეტად კი მთავრობა ამ ლეგალიზების შედეგების გაზვიადებას შეეცდება, რათა ღარიბი ფენისა და მომავალი თაობის წინაშე მისი ქმედება რამენაირად გამართლებული იყოს"[3].

საუკუნეთა მიჯნაზე კორუფციასთან დაპირისპირებისას განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩეოდა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორთა ჯგუფი, რომლის ლიდერი გახლდათ მიხეილ სააკაშვილი. მისი ინიციატივით შეიქმნა ,,ნაციონალური მოძრაობა", რომელიც მიზნად ისახავდა კორუფციასთან ბროლას მოსახლეობის ფართო ფენების აქტიური ჩართვითა და ყველაზე შემტევი მეთოდებით. იუსტიციის მინისტრის პოსტზე ხანმოკლე ყოფნისას მ.სააკაშვილმა შეადგინა კანონპროექტი დაუსაბუთებელი და უკანონო ქონების შესახებ, რომელიც სწორედ ასეთი სულისკვეთების მატარებელი იყო. ამ კანონპროექტის პოპულარიზაციის მიზნით მისმა ავტორმა წამოიწყო ენერგიული კამპანია, რისთვისაც მან საქართველოს რიგი რაიონებიც მოიარა და შესაბამისად დამუხტულ მოსახლეობასაც შეხვდა. ასეთ ღონისძიებათა მეშვეობით ახალგაზრდა რეფორმატორთა ლიდერმა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა ჰპოვა, რისი დადასტურებაც გახდა ვაკის ოლქში ჩატარებულ საპარლამენტო

---

[1] გაზ. „ბიზნეს-რეზონანსი", 9 ივლისი, 2001წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

არჩევნებში მისი დამარჯერებელი გამარჯვება. მან არჩევნებში მონაწილეთა ხმების 66 პროცენტი მიიღო. ქართული მედიის ნაწილი ამ ფაქტს მიესალმა, ნაწილმა კი იგი აღიქვა, როგორც ქვეყნისათვის უაღრესად საშიში სიმპტომი. უკანასკნელთა შორის იყო „მართალი გაზეთი“. აქ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „მაინც რას მისცა ხმა ვაკის ამომრჩეველმა? მან ხმა მისცა ერთ რამეს, რომ ძალადობით მოპოვებული ქონება ძალით წავართვათ მის მომპოვებელს. დავუკვირდეთ ამ ფორმულას. ეს არ არის მხოლოდ პოპულიზმი, ეს არის საშიში ფორმულა, იმიტომ, რომ ძალადობა თავის თავში უკანონობასაც ნიშნავს. ერთ უკანონობას მეორე უკანონობით ვერ აღმოფხვრი და ვერ გაასწორებ, ანუ ბოროტებას ბოროტებით ვერ აღმოფხვრი, ის ახალ ბოროტებას ბადებს“[1].

გაზეთი გვთავაზობს დავიხიოთ 12 წლით უკან და გავიხსენოთ რა ხდებოდა 1988-89 წლებში: კარებების აჭედვა, ვიღაცეების გადაყენება და ვიღაცეების ჩაყენება. ე.წ. ახალი კადრების მოსვლა. „ამ პროცესებს, – წერს იგი, – საბოლოოდ სახელმწიფოს განიავება, გაჩანაგება მოჰყვა. ასეთმა იდეოლოგიამ ჩაუყარა საფუძველი ნგრევის პროცესს, რომელიც დღემდე ვერ გავაჩერეთ. ე.ი. ჩვენი საზოგადოება 1989 წლიდან ვერ გაზრდილა და მან ვერ შეიძინა გამოცდილება. ისე როგორც მაშინ მოსახლეობისთვის სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. ამ შემთხვევაში სააკაშვილის მოდელი რომ ამუშავდეს, მოსახლეობისთვის ასევე არაფერი შეიცვლება. პირიქით - ყველაფერი ხალხს უფრო მძიმე ტვირთად დააწვება. მაგრამ მოსახლეობამ ხომ, ასე ვთქვათ, სააკაშვილის მიერ გადაყრილი საკენკი აკენკა და თან რამდენმა - 66 პროცენტმა, საშინელებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ცხოვრობს... ბოლშევიკური მენტალიტეტით და ვერ აცნობიერებს, რომ სახელმწიფოს წინსვლისთვის აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, რომელიც თვითონ იქნება სახელმწიფო ცხოვრების მაკოორდინირებელი და თანაავტორი“[2].

---

[1] გაზ. „მართალი გაზეთი“, №53(75), ნოემბერი, 2001წ.

[2] იქვე.

გაზეთს სერიოზულად აშფოთებს ის გარემოება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძვალ-რბილშია გამჯდარი ბელადომანიის სენი. თითოეული ჩვენთაგანი კი არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების თანამონაწილე, არამედ ვეძებთ ბელადებს და გვგონია, რომ ერთ კაცს შეუძლია რაღაც შეცვალოს. ერთ კაცს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ერთ კაცს შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს საზოგადოება, რასაც აკეთებდნენ ადრეც, აკეთებენ დღესაც. რაც გააკეთა სააკაშვილმა და ძალიან წარმატებითაც. გაივლის დრო და საზოგადოების ეს 66 პროცენტი აუცილებლად ინანებს ამ გადაწყვეტილებას. ეს გარდაუვალია. ძალიან მოკლე ხანში გამოჩნდება, რომ სააკაშვილის დაპირებები იყო ილუზორული ხასიათის და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ აქვს. სააკაშვილის განცხადებები, მოახდინოს რევოლუცია ხავერდოვანი მშვიდობიანი გზით, ბლეფი გახლავთ"[1].

კორუფციის პრობლემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში ძირითადად მსჯელობდნენ ხელისუფალთა როლსა და პასუხისმგებლობაზე, რაც გასაგებიცაა, რადგან პირველ ყოვლისა სწორედ ეს უკანასკნელნი არიან თანამდებობრივად მოწოდებულნი იხსნან ქვეყანა ამ მავნე სენის დამღუპველი შედეგებისაგან. ეს პუბლიკაციები მეტწილად მკვეთრად უარყოფითი შეფერილობისაა. აკრიტიკებენ ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მძაფრად კი უმაღლესი სტრუქტურების ხელმძღვანელებს. სახალხო ფრონტის ლიდერის ნ.ნათაძის აზრით, ე.შევარდნაძე ვერ შეძლებს ,,დაასახელოს ვინ ჰყავს ერთი პატიოსანი კაცი მაინც"[2].

საუკუნის დასასრულს გახშირდა თავდასხმები პრეზიდენტზეც, რომელსაც ბრალად სდებდნენ პოლიტიკური ნების უქონლობას კორუფციის ასალაგმავად რადიკალურ ღონისძიებათა გასატარებლად. გაზეთ ,,კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ სახალხო პარტიის წევრის გურამ სახვაძის ინტერვიუში ვკითხულობთ: ,,პრეზიდენტი კორუფციასთან მებრძოლად სახავს თავს, ერთის მხრივ იგებს რიგითი მოქალაქის გულს, მეორეს მხრივ იმიჯს იქმნის საზღვარგარეთ, მაგრამ ეს ბრძოლა რჩება უბრალო განცხადებად. ამას მოწმობს თუნ-

[1] გაზ. „მართალი გაზეთი", №53(75), ნოემბერი, 2001წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა", 3 მაისი, 2000წ.

დაც ის, რომ ყოველი წელი კორუფციასთან ბრძოლის წელია და ყოველი წლის დასაწყისში ჩვენ ვისმენთ დაპირებას, რომ კორუფცია აღმოიფხვრება, მაგრამ კორუფციის არსებობით თვითონაა დაინტერესებული უმაღლესი და მმართველი ძალა, რადგან ეს შემოსავლის დიდ წყაროს ქმნის"[1].

ოპოზიცია ინტენსიურად ცდილობდა იმ აზრის გატარებას, რომ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ხელისუფლების, მათს შორის სახელმწიფოს პირველი პირის შეცვლის შემხთვევაში იყო შესაძლებელი. ასეთ პოზიციას უწევდა პროპაგანდას, მაგალითად, მოძრაობა „ჭყონდიდელის" თავმჯდომარე, პარლამენტარი ჯემალ გამახარია. „ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ამბობს იგი ერთ-ერთ ინტერვიუში, - რომ საქართველოში კორუმპირებულია უპირველესად ხელისუფლება, ვინ უნდა განახორციელოს ეს პროგრამა (ლაპარაკია საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ პროგრამაზე, რომელიც პრეზიდენტის დავალებით შეადგინა ე.წ. ანტიკორუფციულმა შვიდკაცამ - გ.კ.), ამ კორუმპირებულმა ხელისუფლებამ? ვის სჯერა, რომ ისინი საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებენ. მთელი 70-იანი წლები იყო დაპატიმრებების სერია. დააპატიმრეს რაიკომის მდივნები, მინისტრები, შედეგი კი იყო კორუფციის ცენტრალიზაცია - ახალი კორუმპირებულთა დასაყრდენის შექმნა. ასე რომ მე ამ დაპატიმრებებისაგან არავითარ კარგს არ მოველი. ისე არ გამიგოთ, ადამიანი, რომელმაც სახელმწიფო ქონება მოიპარა არ დაისაჯოს, ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ გააჩნია ვინ სჯის. თუ ხელისუფლება თავად არის დასასჯელი, ცხადია ასეთი დასჯა ასეთ შედეგს არ გამოიღებს. თავში უნდა იყოს სისუფთავე. მერე ასეთი ბრძოლა შედეგს გამოიღებს"[2]. რესპონდენტის შეფასებით, ხელისუფლებაში კლანებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა, რის შედეგადაც ერთი კლანი განადგურდება და გაძლიერდება მეორე. რაც შეეხება შედეგს არც მოსახლეობისთვის და არც სახელმწიფოსთვის არ იქნება. რესპონდენტი გვთავაზობს, რომ პროგრამის პირველ პუნქტად კორუფციასთან ბრძოლისას ჩაიწეროს ხელისუფლების გადაყენება. რადგანაც, მისი აზრით,

[1] გაზ. „კვირის პალიტრა", 19-25 აპრილი, 1999წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა", 9 ნოემბერი, 2000წ.

„დღეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას“[1].

კიდევ უფრო კატეგორიული ფორმით გამოთქვამს თავის თვალსაზრისს ბესო ჯუღელი, რომელიც ფიქრობს, რომ „ამ კაცის (ე.შევარდნაძის - გ.კ.) ხელში შედეგს არ უნდა ველოდოთ. მან მიწაში 10 მარცვალი ხორბალი რომ ჩააგდოს, ერთიც არ ამოვა“[2] მას ერთადერთი მიხეილ სააკაშვილის იმედი აქვს იმიტომ, რომ, მისი აზრით, იგი „მებრძოლი კაცია და პროფესიონალი. დედას, მამას, ძმას, დას გაწირავს საქმის სასარგებლოდ. დანარჩენი, ნებისმიერი კაცი რომ დანიშნო, კორუფციის ჭაობში ჩაეფლობა“[3].

და მაინც პრეზიდენტისა და მისი მთავრობის კრიტიკის სიმწვავით ყველას გადააჭარბა მოქალაქეთა კავშირის ე.წ. რეფორმატორთა ფრთამ, რომელიც 2001 წლის შემოდგომიდან მოყოლებული ღიად ითხოვდა, რომ ვადამდე ჩატარებულიყო არა მარტო საპარლამენტო, არამედ საპრეზიდენტო არჩევნებიც, რითაც ე.შევარდნაძისადმი სრულ უნდობლობას აფიქსირებდა. ასეთი უნდობლობაა გამოხატული მ.სააკაშვილის სიტყვებში, რომლებითაც მან მიმართა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მაყურებლებს: „მე როგორც ქართველი, როგორც ერთ-ერთი რიგითი თქვენგანი, აღარ ვენდობი პრეზიდენტ შევარდნაძეს, მან ბევრჯერ მოგვატყუა აქამდე და ნუ მოვატყუებინებთ კიდევ ერთხელ საკუთარ თავს. ჩვენ არა ვართ არავის სათამაშო. ჩვენ გვაქვს თავმოყვარეობა, ღირსება და ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენთან ერთად“.[4]

ბევრმა „რეფორმატორთა“ ასეთი პოზიცია შეაფასა როგორც უცნაური ფერისცვალება, რადგან მანამდე არც ისე დიდი ხნით ადრე ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ე.შევარდნაძეს, რომელიც მათი პოლიტიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე და არჩევნების დროს ძლიერი „ლოკომოტივი“ იყო. პრეზიდენტის თანაპარტიელთა ასეთი მოქმედე-

---

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 9 ნოემბერი, 2000წ.

[2] გაზ. „ახალი თაობა“, 30 აპრილი, 2001წ.

[3] იქვე.

[4] ციტირებულია გაზ. „ასავალ-დასავალის“ (9-11 ნოემბერი, 2001წ.) მიხედვით.

ბა მათმა ოპონენტებმა დაახასიათეს როგორც პოლიტიკური გადარჩენის სურვილით ნაკარნახევი წარსულისაგან გამიჯვნის ამაო მცდელობა და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ცუდად შენიღბული გამოხატულება.

ე.შევარდნაძის დადანაშაულება კორუფციასთან დაპირისპირებაში პასიურობის გამო რ.საყვარელიძეს პოლიტიკურად მოტივირებულად მიაჩნია. ერთ-ერთ ინტერვიუში ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ზოგჯერ კორუფცია პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტია და არა მიზანი, რადგან ხშირად ის პარტია, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ იბრძვის, საკუთარ თავში არ ებრძვის კორუფციას. ამიტომ, თუკი იდეოლოგიის ინსტრუმენტებმა მედიამ და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თვალსაჩინო გახადეს, რომ ეს პროცესები პრეზიდენტის ინიციატივაა, მაშინ შევარდნაძის დამსახურებად ჩაითვლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ თუკი მიიჩქმალა პრეზიდენტის როლი, მაშინ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა პირთა რეიტინგი აიწევს. ამიტომ, როგორც პოლიტიკური ფიგურა, შეიძლება შევარდნაძე შეეწიროს ამ ბრძოლას. ეს ძალიან რისკიანი ბრძოლაა და სწორედ ამ რისკის საპირწონე ქვა, რომელმაც სასწორის პინა შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მხარეს გადახაროს, ისევ მასმედიაა და მასში გაშლილი იდეოლოგიური სურათი“[1].

რ. საყვარელიძე მიუთითებს საკითხისადმი ასეთი მიდგომის წამგებიანობაზე ჩვენთვის: „რუსული მხარე რომ იყოს ჩართული ამ პროცესში, – ამბობს იგი, - სწორედ ქართული მედიის გამოყენებით, ის შეეცდებოდა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ღვაწლი სხვებისთვის მიეწერა, პრეზიდენტისთვის ეს რეიტინგი ჩამოეშორებინა და ამით მისი პოლიტიკური წონა მინიმუმამდე დაეყვანა საქართველოში. ასე რომ ამ პროცესში საგარეო-პოლიტიკური როლი არის და მან შეიძლება ქვეყანას დააკარგვინოს შევარდნაძის ის ძალა და იმიჯი, რაც დღემდე აქვს. არადა, ჩვენს ინტერესებშია, რომ ბუშის ადმინისტრაციის ეპოქაში შევარდნაძე პოლიტიკურად ძლიერი იყოს“[2].

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 23-29 აპრილი, 2001წ.
[2] იქვე.

გვხდებოდა იმედის გამომხატველი პუბლიკაციებიც, თუმცა შედარებით ნაკლებად. ასეთი იმედი განსაკუთრებული სიცხადითაა გამოხატული გაზეთ „ცნობის ფურცელში“, რომელშიც ვკითხულობთ: „ყველაფერს აქვს საზღვარი - უსინდისობასაც! გადამწყვეტი მოქმედებებისა და გადამჭრელი ზომების მიღების დროა დამდგარი. ეს ყველაზე უკეთ შევარდნაძემ იცის. როგორ გააკეთოს ეს, შევარდნაძემ კარგად იცის და ასეთი შევარდნაძე მოსახლეობასაც ახსოვს.

რადგან უკან დასახევი გზა მოჭრილია, რაგან კორუფციამ სამარცხვინო და უკიდურესად კრიტიკულ დონეს მიაღწია, რადგან მთელი საქართველო ერთმა მუჭა ხროვამ ფეხებზე დაიკიდა, შევარდნაძე გაიხსენებს წარსულს.

ამ ბოლო დროს პრეზიდენტი ხშირად საუბრობს დავით აღმშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის საქართველოზე, როგორ უსწორდებოდა თუნდაც დიდი დავითი ურჩებს, ისტორიიდან ესეც კარგად გვახსოვს.

ასე რომ, ტანჯული მოსახლეობისათვის „გიხაროდენ“-ის მეორე სერია დაიწყება, რომელიც ცუდად უნდა დაუმთავრდეთ ხალხის ამ დღეში ჩამყენებლებს“[1].

ციტირებულ ტექსტში ლაპარაკია პრეზიდენტის წარსულზე. ავტორს აქ მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა საქართველოში შინაგან საქმეთა მინისტრად და კომპარტიის ცკ პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში ე.შევარდნაძის ენერგიული ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, რითაც მან მაშინ ფართო საზოგადოების (და არამარტო საქართველოში) მხარდაჭერა მოიპოვა.

ე.შევარდნაძისგან მოითხოვდნენ ყველაზე რადიკალურ ზომებს კორუფციის წინააღმდეგ. XX ს. დასასრულს ეს უკანასკნელიც თითქოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ბრძოლაში უფრო შემტევი პოლიტიკის გატარების დრო დადგა. ამას მოწმობს იმ პერიოდში მის მიერ არაერთგზის გაკეთებული მკაცრი განცხადებებიც:

„მე მაქვს შესაფერისი გამოცდილება და პირობებიც, რათა ქართული სახელმწიფოებრიობის ამ უბოროტეს მტერს - კორუფციას - ხერხემალი გადავუმტვრიო“[2].

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 27 მარტი, 2000წ.

[2] გაზ. „ახალი თაობა“, 7 დეკემბერი, 1999წ.

„საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება ამ საზარელი, ეროვნული ენერგიის შემბოჭავი სენისაგან - ჩემი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია“[1].

ასეთივე სულისკვეთების გამომხატველია პრეზიდენტის დავალებით ე.წ. ანტიკორუფციული შვიდკაცას მიერ შედგენილი „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებების“ პროექტი, რომელშიც აღნიშნულია: „ანტიკორუფციული პროგრამა ეფუძნება საქართველოს პრეზიდენტის ურყევ პოლიტიკურ ნებას, რომ საქართველო უნდა განიკურნოს კორუფციის - ამ ავთვისებიანი სენისაგან“[2].

ბევრი სვამდა კითხვას, თუ რატომ დააგვიანა პრეზიდენტმა კორუფციის პრობლემის დაძლევის ამოცანის ასეთი სიმწვავით დაყენება, „ხომ შეიძლებოდა გაცილებით ადრე დაწყებულიყო ეს პროცესი?“[3] ანტიკორუფციული პროგრამის ძირითად მიმართულებებში ამ კითხვაზე ასეთი პასუხია გაცემული: „დღეს უკვე არსებობს სათანადო გარემოც ამ ნების განსახორციელებლად. ძირითადად მოგვარდა ის პრობლემები, რომლებიც ხელისუფლებას დღემდე კორუფციასთან სრულმასშტაბიანი შეტევის საშუალებას არ აძლევდა - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების თარეშის აღკვეთა, ხელისუფლების განხორციელება კონსტიტუციური ინსტიტუტების მეშვეობით, განახლებული მართლმსაჯულების სისტემა და სხვა“[4].

ამ პერიოდის ცალკეულ პუბლიკაციებში გამოითქმოდა მოსაზრება, რომ ე.შევარდნაძე უეჭველად გაატარებდა რადიკალურ ზომებს კორუფციის დასაძლევად, რადგან ეს იყო მისი უკანასკნელი შანსი ჯეროვანი ადგილი დაემკვიდრებინა საქართველოს ისტორიაში. ასე მსჯელობდა, მაგალითად, მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს სპიკ-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „კვირის პალიტრა“, 6-12 ნოემბერი, 2000წ.

[4] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

ერი, პოლიტოლოგი, პროფესორი ომარ გოგიაშვილი. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობდა: „ედუარდ შევარდნაძემ მთელი თავისი ცხოვრება ბეწვის ხიდზე იარა. თუ ისე გაგრძელდა, როგორც დღეს არის, შეიძლება დამარცხებული წავიდეს პოლიტიკური ასპარეზიდან. ეს მან კარგად იცის, რომ შანსი აქვს ისტორიაში დიდ საერთაშორისო ფიგურად დარჩეს. არის კიდეც ჭეშმარიტად დიდი მოღვაწე (იმას მნიშვნელობა არა აქვს მოსწონთ იგი ოპონენტებს თუ არა). ამერიკაში მისმა ახლანდელმა ვიზიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი საერთაშორისო ავტორიტეტი ძალიან მაღალია. ჰოდა არა მგონია, თავისი პოლიტიკური კარიერა ისე დაამთავროს, რომ სალაპარაკოდ დატოვოს, მსოფლიო გლობალურ პრობლემებს აგვარებდა (ცივი ომის, ბერლინის კედლის და ა.შ.) და საკუთარი ქვეყნის კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ვერ მოუარაო. ამიტომ იმედი მაქვს, როგორც კი სიტუაცია საბოლოოდ მომწიფდება, ის უმკაცრეს ბრძოლას გამოაცხადებს - მე კარგად ვიცნობ პრეზიდენტს“[1].

პრეზიდენტისაგან უწინარესად მოითხოვდნენ მკაცრი ადმინისტრაციული ზომების გატარებას კორუმპირებულთა და მათთან აქტიური ბრძოლის სურვილისა თუ უნარის არმქონე თანამდებობის პირთა მიმართ - მოხსნას, დაჭერას და ა.შ. ამის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტსა და ომარ გოგიაშვილს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: კორესპონდენტი კითხულობს, თუ „რატომ მივიდა საქმე აქამდე, რატომ არ დასხიპა თავები პრეზიდენტმა“ კორუმპირებულ მოხელეებს, რაზეც რესპონდენტი უპასუხებს: „ამაზე თვითონ პრეზიდენტის სიტყვებით გიპასუხებთ. მას იმედი არა აქვს, რომ კადრების სწრაფი ცვლილება, თუ უფრო სერიოზული ძვრები არ მოხდა, კორუფციას რამდენადმე სერიოზულად შეამცირებს. ერთხელ მითხრა, 1972 წელს, როცა საქართველოს ხელისუფლებაში მოვედი, უამრავი თანამდებობის პირი შევცვალე, ზოგი დავიჭირე კიდეც, მაგრამ ახლადდანიშნულთაგან ბევრმა მხოლოდ ერთი წელი გაძლო და უარესად აურია ფულში ხელი. თუ წარმოება არ ამუშავდა, თუ

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ოქტომბერი, 2001წ.

შემოსავლები არ გაიზარდა, ერთეული ადამიანების ცვლილება შედეგს არ გამოიღებსო"[1].

ვერ ვიტყოდით, რომ ქართული მედია ვერ ამჩნევდა სიძნელეებს, რომლებიც ართულებდნენ კორუფციის პრობლემის გადაჭრას, მაგრამ ეს სიძნელეები იშვიათად ხდებოდა მსჯელობის საგანი. უფრო ის აზრი ინერგებოდა, რომ ყველაფერი დამოკიდებული იყო მხოლოდ უმაღლესი თანამდებობის პირთა კეთილ ნებაზე და რომ საკმარისი იყო ასეთი ნების გაჩენა და ყველაფერი ადვილად და უმტკივნეულოდ გადაიჭრებოდა. არადა ამ საქმეში ობიექტური ხასიათის ხელისშემშლელი ფაქტორი ცოტა როდი იყო. ზოგიერთ მათგანზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, როცა შევეხეთ ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემებს.

პრესა, რადიო, ტელევიზია ყველაზე მეტად ყურადღებას ამახვილებდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა დაბალ ხელფასებზე. მიუთითებდნენ, რომ ისინი ამ თვალსაზრისით ისეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ იძულებულნი იყვნენ კორუფციულ პროცესებში ჩართულიყვნენ. ეს გარემოება, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია. მეტიც, ამის გარეშე კორუფციასთან ბრძოლაში სერიოზული წარმატებების მიღწევის იმედი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ იგი არ შეიძლება გამოდგეს სამართალდამცავ ორგანოებში არსებული მძიმე ვითარებისა და ამ სფეროში (ისევე როგორც სხვაგან) დასაქმებულ თანამდებობის პირთა გასამართლებლად. "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ნაწილობრივ შეძლო ამ საკითხის მოგვარება, ჩაატარა შესაბამისი რეფორმები და ხელფასების მნიშვნელოვანი მომატებაც მოახერხა. ეს უთუოდ უნდა შეფასდეს როგორც პოზიტიური ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია გარკვეული შედეგები მოგვიტანოს, მაგრამ აქ სასურველი იქნებოდა გაგვეთვალისწინება ამერიკელი მეცნიერის სიუზან როუზ-აკერმანის გაფრთხილებაც. წიგნში „კორუფცია და ხელისუფლება" იგი წერს: „გაუმჯობესებული ხელფასი ამცირებს აღებული ქრთამის

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 17 ოქტომბერი, 2001წ.

ღირებულებას, მაგრამ არა ნულამდე. მაღალმა ხელფასმა შესაძლოა უბრალოდ გაზარდოს მოხელის მიერ მოთხოვნილი ქრთამი, ახლა უკვე სასურველი თანამდებობის დაკარგვის რისკის გამო. მოხელეები „გამხდარი არამზადების“ მდგომარეობიდან შეიძლება „მსუქანი არამზადების“ მდგომარეობაში გადავიდნენ. მექრთამეობის შემთხვევები შეიძლება შემცირდეს, რამდენადაც ნაკლები მოხელეები მოითხოვენ და მიიღებენ ქრთამს, მაგრამ ყოველი ქრთამის ოდენობა გაიზრდება. ასე რომ, წახალისების და სასჯელის ზომა დაკავშირებული უნდა იყოს მოხელის საქმიანობის დონესთან“[1].

ძნელია არ დაეთანხმო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს გია მეფარიშვილსაც, რომ ,,ვისაც ამ საძრახისი ქმედების მიდრეკილება აქვს, ხელფასი ყოველთვიურად რომ გაუორმაგო, მაინც იმას გააკეთებს, რაც სულში აქვს“[2].

საზოგადოებას უჭირს დაიჯეროს, რომ სამართალდამცავ ორგანოებში კადრების მთლიანი შეცვლაც კი არსებით გარდატეხას გამოიწვევს მათს რიგებში ანტიკორუფციული ვითარების გაუმჯობესების თვალსაზრისით და ამის მიზეზი თვითონ საზოგადოებაშივე უნდა ვეძიოთ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ორგანოებში თვითგანწმენდაზე ვიფიქროთ.

როცა ე.წ.ძალოვან უწყებებში სათანადო წესრიგის დამყარებაზე ვსაუბრობთ, არც ის უნდა გვავიწყდებოდეს, რომ აუცილებელია ვიზრუნოთ უმაღლესი ხელისუფლების მიმართ მათი ლოიალობის ჯეროვანი დონის უზრუნველყოფაზეც, რისი გაუთვალისწინებლობაც შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს ქვეყანას.

საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებში ,,სუფთა ხელების“ დეფიციტის არსებობას ჩვენში პრაქტიკულად ყველა აღიარებს, ამის გამო იყო, რომ ერთი ხანობა სერიოზულად სვამდნენ საკითხს საგანგებო ანტიკორუფციული სამსახურის ორგანიზაციის შესახებ. ასეთი სამსახური თავის დროზე ჰონკონგში შეიქმნა, შემდეგ ავსტრალიასა

---

[1] სიუზან როუზ-აკერმანი, კორუფცია და ხელისუფლება, თბ., გვ. 113.
[2] გაზ. „ახალი თაობა“, 6 დეკემბერი, 1999წ.

და სინგაპურშიც და მისი მეშვეობით თვალსაჩინო შედეგებიც იქნა მიღწეული. შედარებით მოკლე დროში მოხერხდა კორუფციის ლოკალიზება.

ანტიკორუფციულ სამსახურს უნდა შექმნოდა იდეალური პირობები, რათა ემუშავა „სუფთა ხელებით“ და მაგალითი გამხდარიყო სხვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მას უნდა დაკისრებოდა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, პრევენციული ოპერატიულ-საგამომძიებლო საქმიანობა, დიდი თანამდებობის პირთა საქმეების გამოკვლევა. გათვალისწინებული იყო სამსახურის აღჭურვა სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გარეშე წარმატების მიღწევა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ჰონკონგში, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით ჩვენ გვიტოლდება, ასეთ სამსახურში 1500 კაცი იყო დასაქმებული, ჩვენთან ას კაცამდე იქნებოდა, აქედან ორმოცამდე მაღალხელფასიანი (4 ათას ლარამდე თვეში), დანარჩენი ტექნიკური მუშაკი უნდა ყოფილიყო. ყველა ხარჯს კისრულობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩაფიქრებული იყო, რომ ანტიკორუფციულ სამსახურს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ემუშავა თუმცა ზოგი მოითხოვდა, რომ იგი ისეთივე დამოუკიდებელი ყოფილიყო, როგორც კონსტიტუციური სასამართლო, რადგან, მათი აზრით, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მისი ყოფნა ამ სამსახურის მავანთა და მავანთა ძალაუფლების შენარჩუნების და პოლიტიკური ოპონენტების რეპრესირების მექანიზმად გადაქცევის საშიშროებას ქმნიდა. ბევრი კი საერთოდ ილაშქრებდა ასეთი ანტიკორუფციული უწყების იდეის წინააღმდეგ. საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს ამ უკანასკნელი პოზიციის მხარდამჭერებმა.

ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი „შვიდკაცას“ საგანგებო განსჯის საგანიც გახდა. ამის თაობაზე მის მიერ მომზადებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ანტიკორუფციული პოლიტიკის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი საკითხია კორუფციის გამოვლინებათა წინააღმდეგ ოპერატიული ღონისძიებების გატარება, კორუფციის საკითხებზე მომუშავე ექსპერტების ერთი ნაწილი თვლის, რომ, რაკი სამართალდაცვის არსებულმა ორგანოებმა ვერ მიაღწიეს ანგარიშ-

გასაწევ წარმატებებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ თვით ისინი წარმოადგენენ კორუფციის გავრცელების ერთგვარ წყაროს, აუცილებელია კორუფციის წინააღმდეგ დამსჯელ ღონისძიებათა გატარება ახალ საგანგებოდ შექმნილ ანტიკორუფციულ უწყებას მიენდოს. მოწინააღმდეგეთა აზრით, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეს ახალი უწყება დაცული იქნება კორუფციის სენის შეღწევისაგან. გარდა ამისა, რესურსებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის პირობებში ამგვარი უწყების შექმნა, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, მიზანშეუწონელია.

სამუშაო ჯგუფი („შვიდკაცა“ - გ.კ.) თვლის, რომ დღევანდელი ვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შეიქმნას ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება პრეზიდენტს“[1]. ამ ორგანოს უნდა ეთავა ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების პოლიტიკური უზრუნველყოფა. მას უნდა ეთამაშა პოლიტიკური ცენტრის როლი, რომელიც სხვადასხვა ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაციას მოახდენდა, რაც ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა. პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგს: ანტიკორუფციული პროგრამა, როგორი დეტალურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მხოლოდ საფუძველი შეიძლება გამხდარიყო ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებისა. აუცილებელი იყო ამ პოლიტიკის ეფექტურობის მუდმივი გადაფასება და პრიორიტეტებისა და პრევენციული ღონისძიებების გეგმის გადახალისება, რისთვისაც საჭირო იყო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მუდმივი მონიტორინგი კორუფციული პროცესების თვალსაზრისით.

ბ. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივ ძალებთან თანამშრომლობის კოორდინაციას, რაც თავის მხრივ გულისხმობდა ორ მიმართულებას:

საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებშიც საზოგადოებას

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

განემარტებოდა „ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ცალკეული ღონისძიებების აზრი, ის კონკრეტული ზიანი, რაც კორუფციას (მათ შორის მის არაკრიმინალურ ფორმებს) მოაქვს თითოეული ადამიანის ცხოვრებისათვის, ის, თუ რა უფლებები და შესაძლებლობები აქვს თითოეულ მოქალაქეს საიმისოდ, რომ თავი აარიდოს კორუფციულ ურთიერთობებში შესვლას;

თანამშრომლობის ორგანიზაციას იმ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან თუ ცალკეულ მოქალაქეებთან, რომლებიც ანტიკორუფციული ინიციატივებით გამოდიან"[1]. მიზნის განსახორციელებლად პროგრამის ავტორები სასურველად თვლიდნენ შექმნილიყო საზოგადოებრივი საბჭოები მაღალი რეპუტაციისა და ნდობის მქონე მოქალაქეებისაგან, რომლებიც რეგულარულ ზედამხედველობას გაუწევდნენ ანტიკორუფციული სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტის განხორციელებას. უნდა მომხდარიყო ასეთი საზოგადოებრივი (საზედამხედველო) საბჭოების შემადგენლობის რეგულარული როტაცია, რათა უზრუნველეყოთ საზოგადოების ფართო მონაწილეობა ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებაში და ამ პოლიტიკის სტრატეგიის ახალი იდეებით გამდიდრება.

გ. საერთაშორისო ანტიკორუფციულ პროგრამებთან და ინიციატივებთან თანამშრომლობა.

დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინირებელ ორგანოს ,,არ ექნება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისა და გამოძიების უფლებები. რესურსები და ძალისხმევა კონცენტრირებული უნდა იყოს სამართალდაცვის არსებული სისტემის ძირეული რეფორმირების ამოცანაზე. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ამ სტრატეგიის წარუმატებლობის შემთხვევაში, ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინირებელ ორგანოს მომავალში არ დაემატოს ახალი ფუნქცია და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელსაც ექნება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ფუნქციები ელიტური კორუფციის განსაკუთრებით საშიში გამოვლინებების წინააღმდეგ.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

ამასთანავე ანტიკორუფციული პოლიტიკის მაკოორდინირებელმა ორგანომ უნდა გამოძებნოს გზები კონსტიტუციითა და კანონებით საქართველოს პრეზიდენტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების უფრო ეფექტურად გამოსაყენებლად კორუფციის დაძლევის ინტერესებისათვის"[1].

ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით მართლაც შეიქმნა პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც საგანგებო უფლებებით აღიჭურვა. კერძოდ, მას მიენიჭა უფლება გამოიძახოს ნებისმიერი თანამდებობის პირი, დაუსვას მას შეკითხვები, მოისმინოს მისგან საჭირო ინფორმაცია და პრეზიდენტის წინაშე დააყენოს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭოში შევიდა პრეზიდენტის მიერ დანიშნული 12 კაცი, რომლებიც წარმოადგენენ როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მასმედიას. ეს საბჭო უმალ მოინათლა ,,თორმეტკაცას" სახელით.

ქართულ მედიაში კორუფციასთან ბრძოლის შემაფერხებელ ფაქტორად მიიჩნევდნენ სადეპუტატო იმუნიტეტსაც. ამ საკითხს შეეხო პრეზიდენტი ე.შევარდნაძეც, რომელმაც პარლამენტის სხდომაზე თქვა: ,,ერისა და პარლამენტის წინაშე ვაცხადებ: კორუფციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა არა თუ გაგრძელდება, არამედ დღითიდღე გაძლიერდება - აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება პარლამენტის თანადგომას და ჩვენთან ერთად პასუხისმგებლობას.

მინდა მივესალმო დეპუტატთა იმ საუკეთესო ნაწილს, რომელიც აცხადებს, რომ მზად არის მოიხსნას სადეპუტატო იმუნიტეტი, თუნდაც ნაწილობრივ, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ დანაშაულობათა ძიებისას საქმის აღძვრასა და დეპუტატის დაკითხვის უფლებას. უფრო შორს მე არ მივდივარ"[2]. სამწუხაროდ, ასეთივე მზადყოფნა პარლამენტში ბევრს არ გამოუთქვამს. ამ პრობლემაზე იქ სერიოზული მსჯელობის მცდელობაც არ ყოფილა. 2004 წლამდე არ

---

[1] გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

[2] იქვე.

ყოფილა არც ერთი პრეცენდენტიც იმისა, რომ გენერალური პროკურორის შუამდგომლობა რომელიმე დეპუტატისათვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე პარლამენტს დაეკმაყოფილებინოს. არადა ასეთი შუამდგომლობა რამდენჯერმე აღიძრა. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზეც, რომელმაც „ვერ გასწირა“ ვერც ერთი დეპუტატობის კანდიდატი. შედეგად, ბევრის აზრით, პარლამენტის წევრობა ჩინებული საშუალება აღმოჩნდა ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად.

იმუნიტეტის შეზღუდვა პარლამენტარებისა და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირთა მიმართ მოხერხდა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ.

კორუფციაზე საუბრისას ჩვენში ხშირად იშველიებენ ქართულ ანდაზას - „თევზი თავიდან ყროლდებაო“, რაშიც იმ აზრს აქსოვენ, რომ ეს სენი ოდენ „ზემოელთა“ მიზეზით არსებობს, მისი წყაროც მხოლოდ ისინი არიან და საკმარისია, ღვთის ნებით კარგი, პატიოსანი ხელისუფლება მოევლინოს ქვეყანას და ყველაფერი გამოსწორდება. ამ ლოგიკის დამადასტურებელ არგუმენტად ხშირად „სტალინის დროს“ იხსენებენ, როცა კორუფცია თითქოს არ არსებობდა. კორუფციის არარსებობაზე მაშინდელ ეპოქაში რა მოგახსენოთ, მაგრამ მისი მასშტაბები კი ნამდვილად ბევრად მცირე იყო. რა ახსნა უნდა მოვუძებნოთ ამ გარემოებას? ხომ არ გამოდგება ეს არგუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ კორუფციასთან ბრძოლა დიქტატურის დროს უფრო ადვილია, ვიდრე დემოკრატიის პერიოდში?

„სტალინის დროს“ ხელისუფლება უდავოდ უმკაცრეს ზომებს ატარებდა მექრთამეობის, სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ეკონომიკური ხასიათის სხვა დანაშაულობების წინააღმდეგ. მაღაზიაში მყიდველისათვის 5-10 გრამის დაკლებისთვისაც კი სისხლის სამართლის წესით სჯიდნენ, მაგრამ კორუფციის შედარებით დაბალი დონე იმ დროს აიხსნება არა ხელისუფლების სიმკაცრით, არამედ იმით, რომ საზოგადოება მაშინ სხვა იყო. საბჭოურმა სისტემამ იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ადამიანების გადაგვარება და მოსახლეობაშიც შედეგად ძლიერი იყო ანტიკორუფციული

ცნობიერება, კორუმპირებულთა მიმართ რეპრესიულ ღონისძიებათა მხარდაჭერა. შემდგომში ასეთი მხარდაჭერის ბაზა საზოგადოებაში ძალზე შესუსტდა და ამიტომაც დღეს სტალინიც რომ გაცოცხლდეს და მართვის სადავეებს დაუბრუნდეს, თავისი მეთოდების გამოყენების მცდელობით იგი საკუთარი პერსონის გაბითურების გარდა სხვას ვერაფერს მიაღწევს.

საბჭოურ პერიოდში ხელისუფალს საკმაოდ ადვილად შეეძლო ებრძანებინა სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოებისთვის ამა თუ იმ ადამიანის დაპატიმრება და მისთვის მსჯავრის დადება. ვის ახსოვდა ამ დროს სამოქალაქო უფლებები, ან სასამართლოს დამოუკიდებლობა. ამ უკანასკნელს მხოლოდ ის ევალებოდა, რომ ხელისუფალთა მიერ გამოტანილი განაჩენი იურიდიულად გაეფორმებინა. საზოგადოება კი ადამიანის ბედის ასეთ გადაწყვეტას არათუ ეგუებოდა, არამედ ხშირად იწონებდა კიდეც. მეტიც, რაც უფრო აქტიურად იყენებდა კორუფციასთან ბრძოლაში მსგავს მეთოდებს ხელისუფალი, მით უფრო იზრდებოდა მისი ავტორიტეტიც. სამწუხაროდ, მოსახლეობის ფართო ფენებში და ქართულ მედიაში ასეთი განწყობა დღესაც საკმაოდ ძლიერია. შედეგად იქმნება პარადოქსული ვითარება, როცა ხელისუფლებისაგან, ერთის მხრივ, მოითხოვენ ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პატივისცემას, ხოლო, მეორეს მხრივ, საყვედურობენ მას, რომ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში არ იყენებს ძველებურ საშუალებებს.

არ შეილება არ დავეთანხმოთ „შვიდკაცას“ მიერ მომზადებულ ანტიკორუფციულ პროგრამაში ნათქვამს: „კორუფციის პრობლემის განსაკუთრებულმა სიმძიმემ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ მის წინააღმდეგ საგანგებო ზომების მოთხოვნა და ამ პრობლემით პოლიტიკური მანიპულირება ხშირად ყოფილა დემოკრატიის უარყოფისა და დიქტატორული რეჟიმების დამყარების სოციალური და იდეოლოგიური ფონი. ამიტომ, ანტიკორუფციული ღონისძიებების დაგეგმვისას, აუცილებელია თავიდან იქნეს აცილებული „კუდიანებზე ნადირობის“ სოციალური ატმოსფერო, გარანტირებული იყოს ადამიანის უფლებების დაცვა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში

უდანაშაულობის პრეზუმფცია თანმიმდევრულად უნდა იქნეს დაცული. კორუფციასთან ბრძოლა უნდა იყოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების გზა და არა დემოკრატიის ისედაც სუსტი საფუძვლების მორყევის საბაბი. ის აზრი, თითქოს ავტორიტარული რეჟიმები უფრო ეფექტურად ებრძვიან კორუფციას, ილუზიაა, თავიანთი დახურულობის გამო ისინი უკეთ ნიღბავენ კორუფციის ფაქტებს, მაგრამ ასეთი ხელისუფლების გაუმჭვირვალობა და უკონტროლობა თავისთავადაა კორუფციის გავრცელების მნიშვნელოვანი ფაქტორი"[1]. ასეთი დასკვნის ჭეშმარიტებას ადასტურებს საბჭოური სისტემის სინამდვილეც, რომლის დანგრევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ფართოდ გავრცელებული კორუფცია გახდა.

კორუფციასთან დაპირისპირებაში დემოკრატიის პირობებშიც შეუძლებელი იქნება ხელშესახები წარმატებების მიღწევა, თუ არ იარსებებს სამოქალაქო საზოგადოება, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა აიძულოს ხელისუფლების წარმომადგენლები ენერგიულად შეებრძოლონ ამ ბოროტებას, ხოლო, მეორე მხრივ, მათთან ერთად ხელიხელჩაკიდებულმა შეუტიოს მას. ჩვენში კი ასეთი საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება, თანაც ეს პროცესი ძალზე ძნელად მიმდინარეობს. საბჭოურ სინამდვილეში აღზრდილ ადამიანებში ჯერ კიდევ ძლიერია „ჭანჭიკის თეორიის" რეციდივები, რომლის თანახმადაც ქვეყნის ბედზე ზრუნვა, მათ შორის კორუფციასთან ბრძოლაც მხოლოდ ხელისუფლების პრეროგატივაა, რიგით მოქალაქეებს კი ამ საქმეში არაფერი ევალებათ, მათზე არც არაფერია დამოკიდებული, რადგან სახელმწიფოს საერთო მექანიზმში ისინი უბრალო ჭანჭიკები არიან და მეტი არაფერი.

სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ თვითონ საზოგადოებაა ინფიცირებული და იმდენად სერიოზულად, რომ ზოგჯერ ეჭვიც ჩნდება, მართლა სურს თუ არა მას კორუფციის ალაგმვა. ჩვენში ხომ კორუმპირებულნი მეტწილად მაშინ იწვევენ აღშფოთებას, როცა ისინი „უცხონი" არიან, ხოლო თუ „ჩვენიანებშიც" გამოერევნენ, როგორც იტყვიან „მაშინ სხვა საქმეა", ყოველ შემთხვევაში მათთან

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

ახლობლობას, ნათესაობას, მეგობრობას, ნაცნობობას სულაც არ ვთაკილობთ, არც თუ იშვიათად მათ განსაკუთრებული პატივითაც ვმოსავთ, როგორც ჩვენთვის „ძალზე საჭირო ადამიანებს“. ამიტომაც არის, რომ მექრთამე თუ სხვა „მარცხენა შემოსავლის“ პატრონი „შინაურებში“ ამაყობს კიდეც, რომ თვიდან თვემდე ხელფასის შემყურე არ არის და ამით შურის გრძნობასაც იწვევს. ისიც ხომ ცნობილია, რომ დღესაც, ისევე როგორც საბჭოურ პერიოდში კორუფციის წინააღმდეგ ბევრი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ „იმაღლებს ხმას“, რომ თვითონ ვერ მონაწილეობს ამ პროცესში.

ზემოაღნიშნულის თაობაზე მსჯელობას ქართული მედია და პოლიტიკოსები, როგორც წესი, ერიდებიან. გასაგებია რატომაც. ეს მათ პოპულარობას ვერ შეუმატებს. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო მომგებიანია ხელისუფლების კრიტიკა. თუმცა გვხვდება გამონაკლისი შემთხვევებიც. რ.საყვარელიძე, მაგალითად, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: კორუფციის „მხრივ, ხელისუფლებას და საზოგადოებას დიდად არ განვასხვავებ ერთმანეთისაგან. წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებიდან ამოირჩა ასამდე კორუმპირებული პირი და მოვიდა ხელისუფლებაში, დანარჩენი საზოგადოება კი არის კრისტალურად პატიოსანი. რა, ის ასი კაცი მოახერხებს კორუფციის სისტემის შექმნას? ვერ მოახერხებს. მაგრამ წარმოვიდგინოთ 100 პატიოსანი კაცი და დანარჩენი კორუმპირებული საზოგადოება, ის პატიოსანი 100 კაცი მოახერხებს კორუფციასთან ბრძოლას? სწორედ იდეოლოგიამ უნდა დაგვანახვოს, რომ მთელი საზოგადოებაა კორუფციის სუბიექტი და არა მხოლოდ ხელისუფლება“[1].

მსგავს შეხედულებებს გამოთქვამს მოძრაობა „სიცოცხლისათვის“ ლიდერი გ.ყორღანაშვილიც, რომელიც აგრეთვე თვლის, რომ „მართო ხელისუფლება კი არ არის კორუმპირებული, მთელი საზოგადოების მენტალიტეტია კორუფცირებულ აზროვნებაზე აგებული“[2].

პოლიტოლოგი ა.ყულიჯანაშვილი ზემოთქმულს ასეთ ახსნას უძებნის: „ყველა ქართველი ცდილობს კანონის გვერდის ავლით საქმის კეთებას, რადგან კანონის უპატივცემულობა ჩვენს მენტალობაშია.

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 23-29 აპრილი, 2001წ.
[2] გაზ. „დილის გაზეთი“, 7 დეკემბერი, 2001წ.

ამას აქვს ისტორიული მიზეზები, რადგან მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველო მუდამ ვილაცის ხელში იყო, შესაბამისად, გამომუშავდა ცნობიერება: „მთავარია გადარჩე, ჩემი დროც მოვა... ამიტომ არ დავემორჩილები კანონს...“ ეს ცნობიერება უკიდურესად გაამძაფრა კომუნისტურმა პერიოდმა. შემდეგ გამოვიარეთ ეროვნული მთავრობის პერიოდი, სადაც გამოჩნდა ჩვენი უსუსურობა და ცივი წყალიც გადაგვესხა... მოვიდა შევარდნაძის მთავრობა და მაინც არ დადგა „ჩვენი დრო“... შემდეგ მოვიდა დემოკრატიული კანონები, მაგრამ რატომღაც კვლავ ისევ აღიქვა ქართველმა მენტალობამ, რომ ეს არ არის ჩვენი კანონები. შედეგად ეს კანონებიც მოირგეს ისე, რომ, თუ ადრე რუსეთს აწერდნენ ფულს, დღეს დასავლეთს ვაწერთ. არადა დასავლეთი უკვე ხედავს, რომ ყველა აწერს ფულს, ქართველი ჩინოვნიკიდან დაწყებული და ვიცი ეწყინებათ, მაგრამ მაინც ვიტყვი, არასამთავრობო ორგანიზაციებით დამთავრებული. ესენიც ხომ ქართველები არიან“[1].

ქართულ საზოგადოებაში ანტიკორუფციული ცნობიერების დეფიციტს უცხოური მედიაც ამჩნევს. გაზეთი „ახალი ტალღა“ გვაცნობებს, რომ „ბი-ბი-სის“ ცენტრალური აზიის ქვეყნებზე მაუწყებლობის მიმომხილველის თქმით, „საქართველოში კორუფცია ჯერჯერობით უმართავია, ვინაიდან დაავადებულია საზოგადოების ყველა ფენა, დაწყებული „ველური კაპიტალიზმის“ მემკვიდრეებით - სტიქიური ბაზრობებით, მინიატურული პრიმიტიული სასაქონლო კიოსკებით, დამთავრებული გიგანტური ფინანსურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზატორებითა და უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ეშელონებით. მან მოიცვა სასამართლო და ძალოვანი სისტემები, ანუ ის სტრუქტურები, ვისზეც დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფოსა და საზოგადოების უშიშროება და მატერიალური მდგომარეობა, არამედ თვით მათი არსებობა“[2]. „ქართული საზოგადოება ჯერ არ არის მზად კორუფციასთან საბრძოლველად, - წერს იგივე გაზეთი, - რადიო „დოიჩე-ველეს“ კომენტარში ნათქვამია, რომ „კორუფცია კომპლექსური პრობლემაა.

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 23-29 აპრილი, 2001წ.

[2] გაზ. „ახალი ტალღა“, 23 აპრილი, 1999წ.

მისი მასშტაბი იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის შიდა-პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა. კორუფციის წაჭრილი თავის ნაცვლად უმალ ამოიზრდება ახალი, თუ მას არ გამოეცალა სოციალური ბაზა. ეს ძალზე ხანგრძლივი პროცესი შეიძლება იყოს“[1].

გაზეთი ,,ახალი ტალღა“ გვაცნობს რადიოსადგურ ,,თავისუფლების“ ერთ-ერთი გადაცემის შინაარსსაც: ,,თუ რამდენად ძნელად დასამორჩილებელია საქართველოში კორუმპირებული სამყარო“ - წერს ეს გაზეთი, - რადიო ,,ლიბერტი ლაიფის“ თქმით, იქიდანაც ჩანს, რომ გადასახადების გადაუხდელობა ,,არა მარტო ნორმად ითვლება, არამედ პოლიტიკურ გმირობადაც“. კონტრაბანდული სიგარეტითა და სასმელებით ვაჭრობის მოშლის მცდელობა კი საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მიიჩნია თვით სახელმწიფო მოხელეთა გამოგონებული კორუფციის ახალ მექანიზმად“[2].

გაზეთ ,,ალიაში“ გამოქვეყნებულ მათე კირვალიძის სტატიაში ,,შევარდნაძემ საქართველოს მხრწნელი შხამი იპოვა“ მოყვანილია ინგლისურ ჟურნალ ,,ეკონომისტის“ სიტყვები იმის თაობაზე, რომ ,,კლანურ საქართველოში ნათესავის ან ახლობლისათვის რამე საქმის გაკეთება და პატივისცემა განიხილება, როგორც რაღაც მორალური ვალდებულება“[3]. ამის გამო ხომ არ არის, რომ ჩვენში ხშირად ამორალურ პიროვნებად ითვლება არა ის, ვინც ,,ნათლიმამობის“ პრინციპს მისდევს, არამედ ის, ვინც ამ პრინციპს არ ემორჩილება.

საზოგადოებისა და მედიის მხრივ მხრივ დიდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რომ პატიოსან მოხელეს არ მოსავს დამსახურებული პატივისცემით, მაშინაც კი, როცა პატიოსნება ზნეობრივი გმირობის ტოლფასია, არადა ასეთ პატივისცემას მნიშვნელოვან წილად შეეძლო გაენეიტრალებინა იმ ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება თანამდებობის პირზე, რომლებიც უბიძგებენ მას კორუფციისაკენ, მეტიც სტიმულიც მიეცა ბევრისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომ წესიერად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. და პირიქით, ,,ზნეობრივი გმირობის“ მო-

[1] გაზ. „ახალი ტალღა“, 23 აპრილი, 1999წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „ალია“, 12-13 ოქტომბერი, 2001წ.

სურნე, თუ ასეთი გამოჩნდა, დაუფასებლობის გამო უთუოდ დამცირებულად იგრძნობს თავს და ბუნებრივია, იფიქრებს: „თუ ყველა მექრთამეა და ქურდი, მე რატომ უნდა ვიყო სხვანაირი, ხომ გიჟად ჩამთვლიან ამ შემთხვევაში. ვისთვის ან რისთვის უნდა გავწირო თავი, ვისთვის ან რისთვის უნდა გავიჭირვო, როცა სულერთია, არავინ დაიჯერებს ჩემს პატიოსნებას“. რაც ყველაზე უარესია, ასე ფიქრს ადამიანი ჩვენში ბავშვობიდანვე იწყებს და რაღა გასაკვირი იქნება ამის შემდეგ, რომ სანთლით საძებარი გაგვიხდეს პიროვნება, რომელიც, ვთქვათ, სამართალდამცავ ორგანოში წავიდოდა სამუშაოდ სამართლიანობის დამყარების და არა ფულის შოვნის სურვილით.

საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს საერთოდ არ სჯერა პატიოსანი მოხელის არსებობის თეორიული შესაძლებლობაც კი, არ სჯერა იმიტომ, რომ არ სწამს საკუთარი თავისაც. ჩვენში ხომ ბევრი ასე მსჯელობს: „მე რომ მინისტრი ან რომელიმე სხვა თანამდებობის პირი ვიყო, რასაკვირველია, ხელიდან არ გავუშვებ ქრთამის აღებისა თუ ფულის „მოტეხვის“ შანსს, სულელი უნდა ვიყო, რომ სხვანაირად მოვიქცე. ის რა, ჩემზე უკეთესია?“ ამიტომაც არის, რომ ნებისმიერ მოხელეს აპრიორულად კორუმპირებულად ვთვლით, ყოველ შემთხვევაში ადვილად (და ხშირად სიამოვნებითაც) ვიჯერებთ მის ბრალეულობას ეკონომიკური თუ სხვა სახის დანაშაულის ჩადენაში ისე, რომ არ მოვითხოვთ არავითარ მტკიცებულობას. სამწუხაროდ, არც მედიაა თავისუფალი ამ სენისაგან. იგი საკმაოდ ფართო შესაძლებლობებს უქმნის პოლიტიკოსებსა და პუბლიცისტებს საიმისოდ, რომ მავანსა და მავანს ბრალი წაუყენონ ათასი სახის ცოდვის ჩადენაში ისე, რომ თავი არ შეაწუხებინონ ასეთ მტკიცებულებათა წარმოდგენით, მაშინაც კი, როცა საქმე ყველასაგან პატივცემულ ადამიანს ეხება. თუ, მაგალითად, გაზეთ „ქართველი ერის“ ერთ-ერთი პუბლიკაციის ავტორს დავუჯერებთ, საქართველოში „მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების მასიური გაყიდვა და შეეცარიის ბანკებში მისი დაბანდება. ამას აკეთებს ყველა, ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული სახელმწიფოს ბოლო მოხელემდე დამთავრებული, ვისაც კიხელი მიუწვდება“[1].

---

[1] გაზ. „ქართველი ერი“, 12-17 ნოემბერი, 1998წ.

ჟურნალისტი თ.ქორიძე ზემოაღნიშნულის მსგავსი მოვლენების გამო წერს: „ისე ჩვენ ეჭვისა და უნდობლობის სინდრომი ისე გვაქვს გამჯდარი, ხშირად გვეეჭვება, თეთრი არის თუ არა თეთრი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი საზოგადოება სიჯანსაღისაგან შორს დგას და მოვლენებს საკუთარი საზომით აფასებს“[1].

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ყველას განურჩეველი განქიქებით არა მარტო კორუმპირებულებს ვუწევთ ფასდაუდებელ სამსახურს, არამედ მომავალ თაობებს ვუსპობთ სულიერ საზრდოს. „იმისათვის, რომ ავაზაკი ჩვეულებრივ მოქალაქედ ჩანდეს, - ამბობს იგი, - სხვებიც უნდა იყვნენ გასვრილნი. ეს ჩვეულებრივი, უბრალო არითმეტიკული გათვლები ცნობილია, თუმცა ეს კორუმპირებულთ ძალას მატებს, მომხვეჭელობას და უსამართლობას მეტი საშუალება და გზები ეხსნება...

მე ვეკითხები იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ იღწვიან. რად გინდათ ისეთი სახელმწიფო, სადაც ნათელი ადამიანის სახეები არ გეყოლებათ. ნუთუ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს არ სჭირდებათ სამაგალითო ადამიანები, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, სუფთა, ნათელი სულისა, ნუთუ მომავალ თაობას არ დაუტოვებთ გაულანძღავ პოეტს, მწერალს, მხატვარს, განსწავლულ კაცს, რომელიც პატარებს სულიერ საზრდოს აწვდის...

დემოკრატია არ ნიშნავს ადამიანის სიძულვილს, არც თავაშვებულობას, არც წაყრუებას, რომელიც სუფევს ჩვენში...

კორუმპირებულთა ნება იმდენად დიდია, რომ მათი სურვილისამებრ მთელს ქვეყანაში სუფთა ადამიანი აღარ უნდა არსებობდეს“[2].

არანაკლები აღელვებით ლაპარაკობს ამის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის ზონაში თ.შაშიაშვილი. სტატიაში „და პოპულისტი გმირად იქცა“ იგი წერს: „შეურაცხყოფილია პატიოსნება, სძულთ წესიერი კაცი, მით უფრო, თუ იგი ხელისუფლებაშია...

ხალხმა კერპად პოპულისტი აქცია. მან ყალბი გმირი შექმნა. ეს

[1] გაზ. „ალია“, 28 თებერვალი, 2000წ.
[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 აგვისტო, 2001წ.

არის პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქა, როცა ღირსეული შეურაცხყოფილია“[1].

ვფიქრობთ, რომ არც ჟურნალისტ არჩილ გოგელიას სიტყვებია სიმართლეს მოკლებული: „კორუფცია და ცილისწამება საქართველოს ორი უბოროტესი მტერია“[2]. და თუ პირველს ასე თუ ისე ვებრძვით, მეორე ჩვენში პრაქტიკულად ხელშეუხებელია. კანონი დიფამაციის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ძალუმად მოქმედებს, ჩვენთან, სამწუხაროდ, მკვდარია. ბევრ პუბლიკაციას აშკარად ეტყობა, რომ მომზადებულია სხვადასხვა პოლიტიკური, ფინანსური და დანაშაულებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეულ პიროვნებათა დაკვეთით. შედეგად კი ვიმკით იმას, რომ საზოგადოების თვალში მედიაც თანდათან კარგავს მოუსყიდველის რეპუტაციას. აი, მაგალითად, რას წერს ვლ. პაპავა: „სამწუხაროდ, ამ სენს (კორუფციას – გ.კ.) ვერც ინფორმაციის მასობრივი საშაულებანი გადაურჩა, როცა ფინანსურად ძლიერი (მათ შორის პოლიტიკური შეფერილობის მქონე) კლანები მოსყიდვის გზით ახერხებენ მათთვის კარნახს, თუ საზოგადოებაში რა სახის ინფორმაცია უნდა იქნეს გავრცელებული“[3]. მისი აზრით, „ეს ისევ და ისევ სახელმწიფო ინსტიტუტების მოუწყობლობითა და პირობებითაა განპირობებული, როცა პრესასა და ტელევიზიას დამოუკიდებელი არსებობა უჭირს“[4]. ამის მიუხედავად, იგი მაინც თვლის, რომ „ის ქმედითი ინსტრუმენტები, რომელთა შორის კონკურენციის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის პირობებში კორუფციის შეზღუდვაა შესაძლებელი, მხოლოდ პრესა და ტელევიზიაა“[5].

ზემოთქმულის არანაკლებ სავალალო შედეგია ისიც, რომ, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნელი ჩაფიძე წერს, „ქვეყანაში თითქმის აღარ არსებობს ხალხისათვის მისაღები ავტორიტეტული პოლიტიკური ძალა“[6].

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 ოქტომბერი, 2001წ.

[2] გაზ. „დრონი“, 1 ივნისი, 2001წ.

[3] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 217.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ოქტომბერი, 2001წ.

ვფიქრობთ, ზიანის მეტს ვერაფერს მოიტანს ქართულ მედიაში გაბატონებული ტენდენცია - ბიზნესმენთა ლამის ყოველი ნაბიჯი თაღლითობის გამოვლინებად წარმოგვიჩინონ. აუდიტორიას ინტენსიურად უნერგავენ იმ აზრს, რომ მდიდრებმა ქონება მოპარული ანაბრებით შეიძინეს, თანაც ჩალის ფასად და რომ მათი კეთილდღეობა გაღატაკებული მოსახლეობის ძვლებზეა აშენებული და ა.შ. იქმნება პარადოქსული ვითარება, როცა, ერთი მხრივ, თითქოს უსიტყვოდ უჭერენ მხარს პრივატიზაციის კურსს და აკრიტიკებენ ხელისუფლებას, რომ ამ კურსს ნელი ტემპით ახორციელებს და სწორედ ესაა მთავარი მიზეზი აქამდე ჩვენი წელგაუმართაობისა, ხოლო, მეორეს მხრივ, განგაშს ტეხენ იმის გამო, რომ „იყიდება საქართველო". სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველი, როგორც წესი, ინათლება სახალხო საკუთრების ხელში ჩაგდების მოსურნედ. შედეგად ფრაზა - „სურს შეიძინოს" მეტწილად იცვლება ფრაზით - „სურს ხელში ჩაიგდოს".

„დღეისათვის ქვეყანაში ვერ მოძებნით ვერც ერთ მოქმედ საწარმოს თუ ორგანიზაციას, - წერს გაზეთი „ახალი თაობა", - რომელიც სუფთა, სტერილურ ეკონომიკურ ნიადაგზე იქმნებოდა აღმოცენებული, თითქმის ყველა მათგანი, მათ შორის ყველაზე წარმატებული, გოგი თოფაძის „ყაზბეგი" სახელმწიფო ქონების დატაცებიდან იღებს სათავეს, როდესაც თოფაძემ ლუდის ქარხნის პრივატიზება მოახდინა, მასში რამდენიმე ათეული ათასი გადაიხადა, მაშინ როცა მისი ღირებულება 6 მილიონ დოლარს აღწევს. „ყაზბეგის" მფლობელს (სხვებისგან ის განასხვავებს, რომ მან წარმოების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე, მის ამოქმედებაზე იზრუნა და არა უცხოეთის ბანკებში ფულის გადაქაჩვაზე"[1].

ასეთი ბრალდების სამართლიანობას ჩვენში ბევრი იზიარებს. ამას ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს მედიაც, რომელიც, როგორც წესი, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ამ უაღრესად მტკივნეულ საკითხს სწორედ ამგვარად აფასებს. არადა მოყვანილი ციტატიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ სიტყვების ავტორს წარმოდგენა არა აქვს არც

[1] გაზ. „ახალი თაობა", 11 ოქტომბერი, 2001წ.

საბალანსო და საბაზრო ღირებულებების ცნებებზე და მათს შორის არსებულ განსხვავებაზე და არც პრივატიზაციის ჭეშმარიტ მიზნებზე. იშვიათად, მაგრამ მაინც აისახება-ხოლმე პრობლემისადმი სხვაგვარი მიდგომაც, რომელიც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათს შორის საქართველოშიც, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე უფრო პრაგმატულად და გამართლებულად გამოიყურება. ეს გამოცდილება გვეუბნება, რომ ქონების განსახელმწიფოებრიობის პროცესში მთავარია არა ის, თუ რამდენად გაიყიდა ესა თუ ის ობიექტი, თუმცა ამასაც, რასაკვირველია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მყიდველი უცხოელია, არამედ ის, თუ ვის ხელში ჩავარდება იგი. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, სახელმწიფო უფრო იმით უნდა ინტერესდებოდეს, თუ როგორ მოუვლის ახალი მეპატრონე პრივატიზებულ ქონებას და ზრუნავდეს იმაზე, რომ საამისოდ მას პირობები შეუქმნას. ცნობილია, მაგალითად, რომ ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მილიარდობით მარკის ღირებულების საწარმოები სიმბოლურ თანხად - 1 მარკად გაიყიდა. ეს პრინციპი მითუმეტეს ჩვენთვის არის გამოსადეგი, თორემ თუ იგივე გოგი თოფაძეს „ყაზბეგისათვის“, რაც ფული ექნებოდა, სულ წავართმევდით და საბრუნავ თანხასაც არ დავუტოვებდით, მაშინ რიღათი შეძლებდა იგი წარმოების რეკონსტრუქციასა და ამუშავებას. ამის გაუთვალისწინებლობით ხომ არ შეიძლება მნიშვნელოვან წილად აიხსნას ის გარემოება, რომ ბევრი ჩვენი პრივატიზებული საწარმო უმოქმედო გახდა? ჩვენი ქვეყნის უაღრესად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები რომ არა, იქნებ სულაც უკეთესი იქნებოდა, რომ მყიდველისათვის უკანვე დაგვებრუნებინა მის მიერ შესყიდული ობიექტის შესაძენად გაღებული თანხაც, ოღონდ სესხის (რასაკვირველია, შეღავათიანი) სახით, რომ მას ეს თანხა ამ ობიექტის საკეთილდღეოდვე მოეხმარა.

უთუოდ უნდა დავეთანხმოთ ნ.ლეკიშვილს, როცა ის ამბობს: „მეწარმეებს შეღავათი გავუწიეთ პრივატიზებისას, მაგრამ სამუშაოების დასაწყებად ხელშეწყობა არ ჰქონიათ“[1]. ახალი ათასწლეულის დასაწყისში გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ სახელმწიფოს ამ მიმა-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 23 მარტი, 2000წ.

რთებით გარკვეული ნაბიჯები გადაედგა, რაც გათვალისწინებულიც იქნა ე.შევარდნაძის წინასაარჩევნო პროგრამაშიც. ამას გარდა პრეზიდენტი სვამს საკითხს მესაკუთრის პასუხისმგებლობის თაობაზეც: ამასთან დაკავშირებით 2001 წლის მაისში პარლამენტის სესიაზე მან განაცხადა: „აუცილებელია შეიქმნას სათანადო სამართლებრივი ბაზა ქონების, მით უმეტეს, წარმოების საშუალებათა უყაირათო ან სრულიად გამოუყენებლობის წინააღმდეგ.

უნდა განისაზღვროს მესაკუთრის პასუხისმგებლობის საკითხები ისევე, როგორც სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა მესაკუთრის მიმართ“[1].

შეიძლება გვეფიქრა იმაზეც, რომ ესა თუ ის ობიექტი უცხოელებისთვის მიგვეყიდა, რომლებიც მეტსაც გადაგვიხდიდნენ და წარმოებაშიც მეტს დააბანდებდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, მასობრივი პრივატიზაციის პერიოდში (და შემდგომაც) სად იყო უცხოელი მყიდველი, მით უმეტეს ამდენი, და, მეორეც, ვითომ უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა ჩვენს საწარმოს მხოლოდ უცხოელები დაეპატრონებოდნენ, შეეგუებოდა და ვითომ ნაკლებ მტკივნეულად აღიქვამდა ამას ჩვენი მოსახლეობა? ესეც არ იყოს, საზღვარგარეთელი ინვესტორები, როგორც წესი, ერიდებიან ადგილობრივი პარტნიორის გარეშე ბიზნესის წამოწყებას.

ეჭვი არ არის, რომ ქართულ ბიზნესში დღესდღეობით მართლაც ბევრია, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო ელემენტი. მაგრამ ხელაღებით უკლებლივ ყველას დადანაშაულება ათას ცოდვაში, და მითუმეტეს მოსახლეობისათვის პრობლემების შექმნაში, დაუშვებელია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც უკიდურესად დაძაბულ სოციალურ სიტუაციას. ნუ დაგვავიწყდება, ძალზე ახლოს ვართ კრიტიკულ ზღვართან, რომლის იქითაც ჰაერში შემართული ნაჯახი და დანგრეული ქვეყანა მოჩანს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს ის გარემოება, რომ ამ (და არამარტო ამ) სახის დანაშაულში მამხილებელი პუბლიკაციების შეფასების კრიტერი-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

უმს მკითხველისათვის, ტელემაყურებლისა და რადიომსმენელისათვის არც თუ იშვიათად წარმოადგენს არა ავტორთა მიერ მოხმობილი ფაქტები და არგუმენტები, არამედ დადანაშაულებული პირებისა თუ ორგანიზაციებისადმი პოლიტიკური სიმპათიები თუ ანტიპათიები. ეს კი იმის მიზეზი ხდება, რომ ყოვლად აბსურდული ცილისწამება მავანს სარწმუნოდ ესახება, ხოლო კარგად დასაბუთებული ბრალდება უსინდისო პასკვილად. რეალურ ვითარებაში გარკვევის სურვილი ნაკლებად ვლინდება. შედეგად ხშირად ცილისმწამებელი გმირის მანტიით იმოსება, პატიოსანი მამხილებელი კი ცილისმწამებლად გამოიყურება.

კორუფციაში დადანაშაულებული პირები ჩვენში არც თუ ისე იშვიათად წარმატებით იყენებენ ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში კარგად დამუშავებულ მეთოდს - ოპოზიციაში გადაბარგებას. ამასთან ნიშანდობლივია, რომ სანამ მათ საფრთხე არ დაემუქრებათ, ისინი ცდილობენ ყოველ შესაძლო შემთხვევაში ხაზი გაუსვან თავიანთ ლოიალობას ხელისუფლებისადმი და „რწმენითა და სიმართლით“ ემსახურებიან კიდეც მას, მაგრამ როგორც კი დალანდავენ რაიმე საშიშროებას, მყისვე რადიკალურად იცვლიან შეხედულებებს და იწყებენ ყვირილს იმის თაობაზე, რომ მათ იმიტომ კი არ დევნიან, რომ რაიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, არამედ იმიტომ რომ ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგანან. სამწუხაროდ, ეს მეთოდი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე ჭრის.

ეკონომიკური დანაშაულების შესახებ კრიტიკულ მასალათა ქმედითობის დონე ჩვენში, საერთოდ, უაღრესად დაბალია. ამის უარყოფა შეუძლებელია. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები ხშირად მედიის მიერ ფიქსირებულ ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტებზეც კი არ იღებენ სათანადო ზომებს. ჩვენის აზრით, ეს გარემოება განპირობებულია იმითაც, რომ თვითონ საზოგადოებაც არ რეაგირებს ამ ფაქტებზე ჯეროვნად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი არაფერს განსაკუთრებულს არ ხედავს მათში. შედეგად მისი ზეწოლაც ხელისუფლებაზე იმ მიზნით, რომ აიძულოს ეს უკანასკნელი გაატაროს საჭირო ღონისძიებანი, მეტად სუსტია. არადა თუ დასავლეთის ქვეყნებში სახელწიფო მოხელეები მეტ ანგარიშს უწევენ საზოგადოებრივ

აზრს, ეს უმთავრესად იმის შედეგია, რომ იქ ასეთი ზეწოლა ინტენსიურად ხდება.

ძნელია არ დაეთანხმო პრეზიდენტ ე.შევარდნაძის სიტყვებს იმის თაობაზე, რომ „ყოველთვის არა ვართ თანმიმდევრულნი: ზოგადად ყველანი, მთელი საზოგადოება, კორუფციის წინააღმდეგ გამოვდივართ მაშინ, როდესაც საქმე აბსტრაქტულ ცნებებს, პრობლემის თეორიულ მხარეს ეხება.

მაგრამ როგორც კი ხელისუფლება შეეხება კონკრეტულ ჯგუფთა ინტერესებს, სავსებით კონკრეტულ კლანებს და ცალკეულ კორუმპირებულ პიროვნებებს, მხარდაჭერისა და ანტიკორუფციული აღშფოთების ხარისხი უმალვე იკლებს, იწყება ბრალდებანი სისასტიკისა და დაუნდობლობის თაობაზე, მრავლად ჩნდებიან გულმოწყალენი, ვინც მზად არის შენდობისთვის და იგივე ხალხი აგრძელებს ზოგად ჰიპოთეტურ მსჯელობას კორუფციაზე, თითქოს კორუფცია, სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, სავსებით კონკრეტული, ყოველდღიური მოვლენა არ იყოს“[1].

ასეთი „გულმოწყალება“, სამწუხაროდ, ჩვენი მედიისთვისაც არ არის უცხო. იშვიათად როდი ვყოფილვართ იმის მოწმენი, თუ როგორი დაბეჯითებით მოითხოვენ ჩვენი საინფორმაციო საშუალებანი ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელთა, ამა თუ იმ პირთა პასუხისგებაში მიცემას, მაგრამ, როგორც კი ეს ხდება, მაშინვე ქრება მამხილებელი პათოსი და ამ პირებს მათი ადვოკატების ან უშუალოდ თვითონ მათი ინტერვიუების მეშვეობით ისე წარმოგვიდგენენ, რომ აღშფოთებით გვაფიქრებინებენ, ვის მოუვიდა აზრად ამ ხორცშესხმული ანგელოზებისთვის ბრალის წაყენებაო. თუმცა ასეთ შემთხვევებში ბევრს ეჭვი ეპარება, რომ აქ საქმე მხოლოდ უბრალო გულმოწყალებასთან გვქონდეს.

სახელმწიფო კანცელარიის სოციოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფრიად ოპტიმისტური წარმოდგენისაა სახელმწიფოს შესაძლებლობებზე კორუფციასთან დაპირისპირებაში,

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

არ მოელის კორუფციულ პროცესებში ჩართულთა მხრიდან მათ მიმართ რეპრესიული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში რამდენადმე სერიოზულ წინააღმდეგობას და ვერ ხედავს ამ დაპირისპირების გამო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების თუნდაც დროებითი გართულების პერსპექტივას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი აქ ვერ ამჩნევს რაიმე რისკფაქტორს, გამოკითხულთა 40 პროცენტს, მაგალითად, მიაჩნია, რომ კორუფციასთან ბრძოლაში „ყველაფერი მშვიდად წარიმართება, წინააღმდეგობა შედარებით ნაკლებად მოსალოდნელია“[1], მხოლოდ 18 პროცენტი მოელის, რომ „მოსალოდნელია პროვოკაციები, შანტაჟი, დაშინება იმათი, ვინც ვალდებულია, უფლებამოსილია და მონდომებულია ებრძოლოს კორუფციას“[2], 4 პროცენტი თვლის, რომ „გაუარესდება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება“[3], 1 პროცენტი, რომ „გაუარესდება ქვეყნის ეკონომიკური ვითარება“[4] და ამდენივე, რომ „შემცირდება ხელისუფლების ავტორიტეტი“[5].

შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით ასეთივე სურათი იქმნება ქართული მედიის მასალების გაცნობისასაც, თუმცა აქ გვხვდება ისეთი პუბლიკაციებიც, რომლებშიც კორუფციასთან დაპირისპირების საკითხი უფრო სერიოზულ რაკურსშია განხილული. ანტიკორუფციულ პროგრამაში ნათქვამია: „დღევანდელ ვითარებაში კორუფციის წინააღმდეგ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეულ პოლიტიკურ რისკთან, რადგან ის შეეჯახება მეტად ძლიერ და კარგად დაცულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს: სუსტი სახელმწიფოებრიობის ფონზე სერიოზულ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური საბოტაჟი, სოციალური უკმაყოფილების თუ პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება მმართველობის ზოგიერთი რგოლი იმდენად შეზრდილია კორუფცი-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2 აგვისტო, 2001წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე.

ულ სისტემასთან, რომ ამ უკანასკნელის სწრაფმა დემონტაჟმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო კრიტიკული შეფერხებები სახელმწიფოს ფუნქციონირებაში“[1].

„ანტიკორუფციული შვიდკაცას“ მიერ მომზადებულ დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმება გაზეთი „ახალი თაობაც“[2]. ამ მოსაზრებას უფრო კონკრეტულ სახეს აძლევს რამაზ საყვარელიძე გაზეთ „კვირის პალიტრაში“. იგი, კერძოდ, ამბობს: „შევარდნაძეს რომ შეესრულებინა რეფორმატორთა მოთხოვნა და დაეწყო კორუმპირებულთა ციხეში ჩაყრა, დიდი შანსი იყო, რომ პოლიციის უზარმაზარი არმია, რომელსაც შესანიშნავად ფლობდა კახა თარგამაძე, შემოტრიალებულიყო პრეზიდენტის ხელისუფლების წინააღმდეგ. შევარდნაძე არასოდეს არაფერს გამორიცხავს და ყოველთვის ფრთხილობს. ამ თვისებების გამოა ამდენ ხანს პოლიტიკაში და ბოლოდროინდელ პროცესებშიც სხვების ხელით გააკეთა ის, რის გაკეთებასაც მისგან ითხოვდნენ, ანუ იქამდე მოამწიფა პროცესი, სანამ თვითონ კახა თარგამაძეს არ ათქმევინა - გადავდგებიო! სანამ არ იქნებიან ძალოვანი სტრუქტურები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი და დაახლოებით თანაბარი ძალისა, რათა ერთი სტრუქტურის კონტროლიდან გამოსვლის შემთხვევაში მეორეთი შეიძლებოდეს მისი დაბალანსება და კომპენსირება, მანამდე ძალოვნების მიმართ ლეგიტიმური პოლიტიკის გატარება ძალიან ძნელი იქნება“[3].

აღსანიშნავია, რომ „კვირის პალიტრა“ მანამდე ერთი წლით ადრეც მიუთითებდა ასეთი საფრთხის არსებობაზე, მეტიც, პრეზიდენტის ფიზიკური განადგურების შესაძლებლობაზე: „მისთვის (ე.შევარდნაძისთვის - გ.კ.) პრობლემა ალბათ ისიც არის, - წერდა გაზეთი, - რომ საკმარისია რამდენიმე მაღალჩინოსანს ციხეში უკრას თავი, რომ ასეთივე სხვა ჩინოვნიკებმა გააკეთონ ის, რის გაკეთებასაც რამდენჯერმე შეეცადნენ უცხოეთის სპეცსამსახურები“[4].

და მაინც მიუხედავად ყველაფრისა ანტიკორუფციულ პროგრამაში დაფიქსირებულია რისკზე წასვლის დაბეჯითებული მოთხოვ-

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა“, 9 ნოემბერი, 2000წ.
[3] გაზ. „კვირის პალიტრა“, 24-30 დეკემბერი, 2001წ.
[4] გაზ. „კვირის პალიტრა“, 17-23 აპრილი, 2000წ.

ნა. „ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის ფონზე, - ნათქვამია აქ, - ამ სრულიად რეალური საფრთხეების მომიზეზება კორუფციის საწინააღმდეგო ღონისძიებების გადასადებად დაუშვებელია. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ რისკზე წასვლა აუცილებელია, რადგან ამის ალტერნატივაა სახელმწიფო ინსტიტუტების და სამოქალაქო კავშირების რღვევის პროცესის შეუქცევადობა, რასაც საბოლოო ჯამში მაინც მოჰყვება ფართო სოციალური უკმაყოფილება და პოლიტიკური დესტაბილიზაცია. ამავე დროს უნდა განისაზღვროს საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიის კომპონენტთა თანმიმდევრობა სახელმწიფოს ეტაპობრივი გაძლიერების პრინციპიდან გამომდინარე"[1]. იგივე აზრისაა გაზეთი „ახალი თაობაც", რომელიც აგრეთვე თვლის, რომ „მაინც აუცილებელია ამგვარ რისკზე წასვლა, სხვა შემთხვევაში დაირღვევა არა მარტო მართვის სისტემა, არამედ ქვეყნის პრესტიჟი, რაც შეწყვეტს ყოველგვარ დახმარებას უცხოეთიდან. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია დაიწყოს ქვეყანაში სოციალური უკმაყოფილება ან დესტაბილიზაცია"[2].

პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა უმრავლესობა კორუფციასთან ბრძოლაში პოლიტიკური რისკის ფაქტორის არსებობას ვერ ან არ ამჩნევს (უმეტესწილად ამით არის სწორედ გამოწვეული მათი რადიკალიზმი) და პრეზიდენტის სიფრთხილეს ამ საქმეში სკამის დაკარგვის შიშით, ზოგჯერ კი „კორუმპირებული სანათესაოს" ინტერესების დაცვის ანდა საერთოდ კორუმპირებულ თანამდებობის პირთა, რომლებსაც მისი ძალაუფლების საყრდენად განიხილავს, განაწყენების სურვილის არქონით ხსნის. ამასთან მსჯელობას ყოველივე ამის თაობაზე, როგორც წესი, პოლიტიკური ქულების დაგროვების წყურვილით განპირობებული დემაგოგიისა და პოპულიზმის სუნი უდის. უნერგავენ რა მოსახლეობას იმ აზრის, რომ პრეზიდენტს არ სურს, თორემ კორუფციის დამარცხებას რა უნდა, ამით ნებსით თუ უნებლიეთ სერიოზულად აფერხებენ ამ ბოროტებასთან საბრძოლველად საზოგადოების ჯეროვან მობილიზებას.

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა", 21 ნოემბერი, 2000წ.

მედიამ კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ კორუფციასთან დაპირისპირებაში საზოგადოების გააქტიურების გარეშე სერიოზულ წარმატებებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება. ძნელია არ დავეთანხმოთ „შვიდკაცას“ შემდეგ დასკვნასაც: „კორუფციის დამარცხებას სჭირდება მტკიცე ნება და თანმიმდევრული ძალისხმევა არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების მხრიდან. ანტიკორუფციულ ღონისძიებებთან დაკავშირებული პოლიტიკური რისკის პირობებში სერიოზული საზოგადოებრივი მხარდაჭერის და მეტიც, საზოგადოების აქტიური ნაწილის უშუალო მონაწილეობის გარეშე ასეთ ღონისძიებებს წარმატების შანსი ვერ ექნება.

ასეთი ცვლილება საზოგადოების დამოკიდებულებაში ერთბაშად ვერ მოხდება, მაგრამ უკვე დღეს საქართველოში დაგროვილია კორუფციის საყოველთაო გავრცელების წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი აღშფოთების მნიშვნელოვანი მუხტი. ამ მუხტის არსებობა უმნიშვნელოვანესი სოციალური კაპიტალია, რომელსაც სახელმწიფოს ანტიკორუფციული სტრატეგია უნდა დაეფუძნოს“[1].

საქართველოს სახალხო დამცველის, ყოფილი ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებული ჯგუფის წევრის ნანა დევდარიანის აზრით, ამ დროისათვის საზოგადოებაში მომხდარა გარკვეული თვისობრივი გარდაქმნა, რომელიც კორუფციის დასამარცხებლად უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა, ვიდრე მანამდე არსებობდა, ჟურნალ „ეკონომიკური რეფორმები დღეს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში კითხვაზე, თუ რაში ხედავდა იგი ამ ბოროტების დაძლევის პერსპექტივას, იგი უპასუხებს: „ვიდრე კორუფცია რიგით მოქალაქეს ან მის ინტერესებს არ შეეხო, ამ ბრძოლას საზოგადოების არანაირი მხარდაჭერა, გარდა სეირის ყურებისა, არ მოჰყოლია. საზოგადოებაში დამოკიდებულება მაშინ გამწვავდა, როცა იგრძნო, რა მდგომარეობაში ჩავარდა საყოველთაო კორუფციის გამო. 1997-1998 წლებში მცირე მეწარმე ჯერ კიდევ რაღაცას აკეთებდა და მის ირგვლივ მცირე წრე დააქმებული ჰყავდა. შემდეგ ამ მონოპოლიური სტრუქტურების

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ნოემბერი, 2000წ.

მოძლიერების ფონზე, მცირე მეწარმეს ადგილი არ დარჩა. ძალიან ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა. ამის გამო ახლა ამ ბრძოლას მხარდაჭერა ექნება. ორი-სამი წლის წინათ კი ამ ფორმით მუშაობა რომ დაგვეწყო, თავად საზოგადოება ახმაურდებოდა: — აი, რეპრესიები იწყება, გვსჯიან, გვიჭერენ. ახლა ასეთი დამოკიდებულება არ იქნება. მეტსაც გეტყვით, ნებისმიერ პოლიტიკოსს გაუჭირდება დაიცვას რომელიმე კორუმპირებული. ამით ის ძალიან არაპოპულარული გახდება, რადგან საზოგადოებისათვის თითოეული კორუმპირებული პიროვნება ცნობილია"[1].

ვფიქრობთ, საჭიროა და აუცილებელიც, გავითვალისწინოთ, რომ კორუფციასთან ბრძოლა რთული და გრძელვადიანი ამოცანაა და არ შევუქმნათ აუდიტორიას ილუზიები იმის თაობაზე, რომ ამ პრობლემის გადაჭრა იოლზე იოლია, ანუ, როგორც ერთმა პარლამენტარმა ტელეეკრანიდან რიხიანად განაცხადა „საკმარისია ერთი-ორი თანამდებობის პირს თავისი ადგილი მიუჩინოს პრეზიდენტმა და ყველაფერი მოგვარდება". ასეთი აზრისანი, სამწუხაროდ, საზოგადოებაშიც ცოტანი როდი არიან. მათი განწყობისათვის გუნდრუკის კმევა ვერაფრით შეუწყობს ხელს კორუფციის დამარცხებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოუთმენლობა აქ დესტაბილიზაციის გამომწვევ ყველაზე სერიოზულ ფაქტორად გვევლინება, დესტაბილიზაციის საფრთხე კი ზრდის პოლიტიკურ რისკს; რაც, თავის მხრივ, უმცირებს ხელისუფლებას ენერგიული ზომების მიღების შესაძლებლობასა და ზრდის იმის ალბათობას, რომ კორუფციას კი ვერ დავამარცხებთ ჩვენ, არამედ კორუფცია დაგვამარცხებს, აქედან გამომდინარე დამანგრეველი შედეგებით. ზემოთქმულის თაობაზე „ანტიკორუფციულ პროგრამაში" ნათქვამია: „კორუფციასთან ბრძოლა გრძელვადიანი ამოცანაა, რომელიც ძლიერ პოლიტიკურ ნებას და თანმიმდევრულად გატარებულ სტრატეგიას უნდა ემყარებოდეს. არ უნდა ველოდოთ კორუფციის „აღმოფხვრას" თუ „დამარცხებას" მოკლე ვადაში საგანგებო ზომების მიღებით. ანტიკორუფციული პოლიტიკა ქვეყნის

[1] ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს", №1, ივლისი, 2000 წ. (ციტირებულია კრებულიდან „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ ", თბ., 2003, გვ. 60).

უმაღლესი ხელმძღვანელობის პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქცეს. აუცილებელია ადექვატური ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმები ანტიკორუფციული სტრატეგიის განსახორციელებლად. ამავე დროს, ანტიკორუფციული ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება არ უნდა იყოს ერთჯერადი ამოცანა. უნდა ხდებოდეს მუდმივი მუშაობა მისი ეფექტურობის შეფასებაზე და მასში ცვლილებების შეტანაზე ვითარების ცვლილებების კვალდაკვალ"[1].

ანტიკორუფციული პროგრამა შეიცავს, ჩვენის აზრით, უმნიშვნელოვანეს თეზას, რომ ეს პროგრამა ,,უნდა იქცეს ეროვნული კონსოლიდაციის და არა შემდგომი დეზინტეგრაციის საფუძვლად. კორუფციასთან ბრძოლა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც საზოგადოების ერთი ჯგუფის ბრძოლა მეორესთან, რის შედეგადაც ერთი იმარჯვებს, მეორე კი დამარცხებული რჩება. ის უნდა განვიხილოთ მთლიანად ქართული საზოგადოების მხრიდან თვითგანკურნებისა და თვითგანწმენდის მცდელობად"[2]. ეს მოწოდება უნდა გავიაზროთ როგორც გაფრთხილება, რომ არ ავყვეთ ულტრარადიკალთა ლოზუნგებს, რომლებიც რეალურად საზოგადოებაში სიძულვილის ატმოსფეროს შექმნას ემსახურებიან და ფაქტობრივად სამოქალაქო ომისაკენ მიგვაქანებენ.

პროგრამა გვთავაზობს ანტიკორუფციულ ღონისძიებათა შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ,,დაუსჯელობის სინდრომის" დაძლევა, კორუფციის ფაქტების გამოვლენისა და დასჯის ეფექტური სისტემის შექმნა, პრევენციული ღონისძიებების კომპლექსის გატარება, ანტიკორუფციული ღონისძიებების ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და მის განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობა. აქვე განსაზღვრულია ანტიკორუფციული პოლიტიკის ძირითადი სფეროები და პრიორიტეტები: სამენარმეო გარემოს ლიბერალიზაცია, სახელმწიფო სახსრების ფინანსური მენეჯმენტი, სახელმწიფო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, ,,ძალოვანი" და სამართალდაცვის ორგანოები, მართლმსაჯულება, წარმომადგენლობითი

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.
[2] იქვე.

დემოკრატიის განვითარება, განათლების სფეროში რეფორმების დაჩქარება.

შემოთავაზებულ ღონისძიებათა გასატარებლად პროგრამა შეიცავს კარგად გააზრებულ რეკომენდაციათა საკმაოდ ვრცელ პაკეტს. დაინტერესებულ მკითხველებს თვითონაც შეუძლიათ მათი გაცნობა, ამიტომ ამის თაობაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმასღა დავსძენთ, რომ კორუფციასთან ჭიდილს „ანტიკორუფციული პროგრამა", მართალია, „რთულ და გრძელვადიან ამოცანად" სახავს, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, ეს გარემოება „არ გახდეს იმის საფუძველი, რომ მასთან ბრძოლის ღონისძიებები გადაიდოს, ხოლო სახელმწიფო ორგანოებს მოკლევადიან პერსპექტივაში არ მოეთხოვოს კონკრეტული შედეგი კორუფციასთან ბრძოლის საქმეში"[1].

„ანტიკორუფციულ პროგრამაზე" და მთლიანად კორუფციის თემაზე საუბარი გვინდა დავასრულოთ სინანულის გამოთქმით. იმის თაობაზე, რომ იგი არ გამხდარა ქართული მედიის ჯეროვანი განხილვის საგანი მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა ცალკე ფურცლების სახითაც დაიბეჭდა და უფასოდ დაურიგდა მისი გაცნობის ყველა მსურველს.

ამბობენ, ქართველ კაცს ტრადიციულად ფულის კეთებაზე მეტად მისი ხარჯვა უყვარსო. იქნებ ამის დადასტურებაც იყოს ის, რომ ჩვენში ცოტანი როდი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფულს ბიზნესში ჩადების ნაცვლად კაზინოებში, როგორც იტყვიან, „უპრაგონოდ" ფლანგავენ. ამას ისიც ემატება, რომ მოგებულები ძირითადად სპეციალურად სათამაშოდ ჩამოსული უცხოელები არიან, რომლებსაც ამონაგები თანხა კონვერტირებადი ვალუტის სახით საზღვარგარეთ გააქვთ, რითაც კიდევ უფრო მეტი ზარალი ადგება ჩვენს ეკონომიკას. ამ მავნე გატაცების მასშტაბებზე მიუთითებს საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტის პიერ ორლოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ „საქართველოში 50-ჯერ მეტი კაზინოა, ვიდრე შვეიცარიაში, რომელიც მდიდარ ქვეყნად ითვლება", რის შესახებაც ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა გვამცნო (3.06.2001 წ.).

---

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1 ნოემბერი, 2000წ.

პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ თავის დროზე კაზინოების დახურვა მოითხოვა, მაგრამ არც პარლამენტში, არც მედიასა და არც მთლიანად საზოგადოებაში ამას ჯეროვანი მხარდაჭერა არ მოჰყოლია და საკითხი „ჩავარდა“. თუმცა კაზინოების არსებობის მიზანშეწონილობის თაობაზე სხვა აზრიც არსებობს. გაზეთ „ახალი თაობის“ ცნობით, მაგალითად, საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის ჯიფას პრეზიდენტს გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილს პრესკონფერენციაზე განუცხადებია: „როგორ შეიძლება დღევანდელ პირობებში მრეწველობის აღორძინება, ვის სჭირდება ჩვენი ნაწარმი? მსოფლიო ჩვენი კულტურით გვიცნობს და ამიტომ სწორედ კულტურა უნდა გამოვიყენოთ კომერციული მიზნებისთვის... საქართველო ერთი დიდი სცენაა, სადაც ყველა რაღაც როლს ვთამაშობთ და ასეთი არტისტული ნიჭით დაჯილდოებულ საქართველოს მრეწველობა კი არა კაზინოები, თეატრები და შოუები გადაარჩენს“[1]. ამ სიტყვების ავტორს კონცეფციაც ჩამოუყალიბებია, რომლისთვისაც „ოქროს საწმისის დაბრუნების კონცეფცია“ უწოდებია.

მედიაში არაერთხელ გამოთქმულა საყვედური „ქართული მენტალიტეტის“ მიმართ, რომელიც პოლიტოლოგმა ომარ გოგიაშვილმა ასე ჩამოაყალიბა: „ვიღაცამ ფული იშოვნა კანონიერი თუ უკანონო გზით. იმის მაგივრად რომ ეს ფული წარმოებაში დაებანდებინა, რაღაც აემოქმედებინა, 20 კაცი მაინც დაესაქმებინა, სასახლეების მშენებლობა დაიწყო და ისეთი უძვირფასესი მანქანები შეიძინა, რომლებსაც ძალიან მდიდარ ქვეყნებშიც კი იშვიათად ნახავთ. ამ ქართულმა მენტალიტეტმა (მე ყველაზე დიდი სახლი უნდა მქონდეს, მე ყველაზე ძვირფასი მანქანა უნდა მყავდეს) საშინლად უარყოფითი როლი შეასრულა. სხვათა შორის მოსახლეობის გაღიზიანება და ზოგიერთი პოპულისტი პოლიტიკოსის მაღალი რეიტინგი სწორედ ამან გაანაპირობა. მაგალითად, იგივე საირმის გორის „ოაზისს“ მოსახლეობაში ნამდვილი ფსიქოზი მოჰყვა“[2]. ამ მენტალიტეტის გამოვლენადაც უნდა ჩაითვალოს ალბათ ის გარემოება, რომ რჩება შთაბეჭდილება თითქოს საქართველოში, აქ გამეფებული საყოველთაო

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 10 სექტემბერი, 1999წ.
[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ოქტომბერი, 2001წ.

გაჭირვების ფონზე, მშენებლობის ნამდვილი ბუმია, იმდენი საცხოვრისი შენდება, რომ მათ შემხედვარეს უნებლიედ აღმოხდება: „საიდან, როგორ, თითქოს ყველა მშიერია, თითო-ოროლა კაცის გარდა და ამდენი სახლი?!“ თუმცა იქნებ რ.საყვარელიძის სიტყვების კიდევ ერთხელ მოხმობაც იყოს უპრიანი; „როდესაც გავიძახით, ქვეყანა გაჭირვებულიაო, ვერც კი ვამჩნევთ და ობიექტურად არც კი გაანგარიშებულა, რომ არც ისე გაჭირვებულია ქვეყანა, როგორც გვგონია“[1]. სხვათა შორის, დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთ-ერთ უტყუარ კრიტერიუმად საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მასშტაბები ითვლება. ნათქვამი, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენში საინვესტიციო შიმშილი არ იგრძნობოდეს. იგრძნობა და მერე როგორ! ამის მოწმეა უმუშევართა უზარმაზარი არმია, ასეულ ათასობით დაუსაქმებელი მუშახელი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, სპეციალისტი.

„ინვესტიციური კრიზისი საქართველოში გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე საერთოდ ეკონომიკური კრიზისი: მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ ყველაზე უფრო მწვავე კრიზისულ 1994 წელს შეადგინა წინაკრიზისული 1988 წლის დონის 27,8%, ხოლო კაპიტალური დაბანდების მოცულობამ მხოლოდ 2,8 %. მართალია, მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი იზრდებოდა, მაგრამ მაინც უმნიშვნელოდ და 1999 წ. შეადგინა, შესაბამისად, 37,6 და 5,7 %. აქედან ჩანს, თუ რაოდენ ღრმა არის ინვესტიციური კრიზისი საქართველოში და რატომ ვერ ხერხდება დღემდე მთლიანი შიდა პროდუქტის წინაკრიზისული დონის მიღწევა. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციების შემცირება 6,5-ჯერ უსწრებდა წინ მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემას წინაკრიზისულ დონესთან შედარებით“[2].

ზემოაღნიშნულს ემატება ისიც, რომ „საინვესტიციო ხელშეკრულებების პირობები და ინვესტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში არ სრულდება“[3].

---

[1] გაზ. „კვირის პალიტრა“, 23-29 აპრილი, 2001წ.

[2] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001. გვ. 296.

[3] გაზ. „ეკო-დაიჯესტი“, 1-2 დეკემბერი, 1999წ.

ყველგან, მთელს მსოფლიოში ინვესტირების ძირითადი წყარო საბანკო სისტემაა. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მას სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. სამწუხაროდ, ჩვენი ბანკების შესაძლებლობანი ამ ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით უაღრესად შეზღუდულია. მიზეზი ამისა მათი ფინანსური რესურსების სიმწირეა. არადა „1999 წლის მონაცემებითაც კი 65-დან 85%-მდე ფულადი მასა საბანკო სისტემის გარეთ ტრიალებდა“[1]. 2001 წლის მაისისათვის ქვეყანაში აღურიცხავი სავალუტო მასა 350 მილიონ დოლარს აღწევდა[2]. ეს თანხები რომ საბანკო სივრცეში მოხვედრილიყო, რამდენი პრობლემა მოგვეხსნებოდა. მექანიკურად გაჩნდებოდა დამატებითი საკრედიტო რესურსი ადგილობივი ბაზრიდან, დაფინანსდებოდა ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულება, შეიქმნებოდა ახალი სამუშაო ადგილები... როგორც „დილის გაზეთი“ წერს, „საქართველო დიდად ჩამორჩება ანალოგიურ და მასზე გაცილებით მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოებს. თუნდაც, ლიტვის ათი უმსხვილესი ბანკის აქტივი ათჯერ და მეტად აჭარბებს საქართველოს მთლიანი საბანკო აქტივების მოცულობას. ლაპარაკი არ არის სხვა, განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებზე, რადგან მათთან შედარებაც უხერხულია“[3].

ჩვენს საბანკო სისტემაში არსებული ზემოთაღნიშნული პრობლემები ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირისა და ზოგიერთი სხვა გარემოების გარდა განპირობებულია მის მიმართ მოსახლეობის ნდობის არასაკმარისი ხარისხითაც. აქ საბედისწერო როლი ითამაშა ჯერ საბჭოური საბანკო სისტემის კრახმა, რამაც მრავალი მეანაბრის კოლოსალური ოდენობის თანხები შთანთქა, შემდეგ კი ქართული კუპონის მიერ განცდილმა ჰიპერინფლაციამ და განსაკუთრებით ცალკეული ბანკების მიერ მოსახლეობის მასობრივმა მოტყუებამ, ფაქტობრივმა ძარცვამ სხვადასხვა ხრიკების გამოყენებით. XX საუკუნის დასასრულისათვის თითქოს დაისახა ვითარების გაუმჯობესების ტენდენცია, მოსახლეობის ნდობამ ბანკების მიმართ მატება იწყო, შესაბამ-

---

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 8 მაისი, 2000წ.

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.

[3] გაზ. „დილის გაზეთი“, 17 თებერვალი, 2000წ.

ისად იზრდებოდა ანაბართა ოდენობაც[1], მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მოკრძალებულ შედეგებად უნდა ჩაითვალოს იმასთან შედარებით, რისი შესაძლებლობაც არსებობს ჩვენში. ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის ჩვენი საბანკო სისტემის იმიჯის ამაღლება ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემად რჩებოდა. ამ პრობლემის გადაჭრაში უმთავრესი როლი, რასაკვირველია, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. პირველ რიგში სწორედ მან უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ქართულ ბანკში შეტანილი თანხა დაცული იყოს. TBC ჯგუფის ხელმძღვანელის მამუკა ხაზარაძის აზრით, „ამის ერთადერთი გარანტია არის სადაზღვევო მექანიზმი, რომელიც ძალიან ბევრ ქვეყანაში წარმატებულად მუშაობს. თუ ეს მექანიზმი საქართველოშიც შეიქმნა, ბანკები აღარ უნდა კოტრდებოდეს და თუ გაკოტრდა, თანხები მყისეულად იქნება გადახდილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ და შესაბამისმა ფონდმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარანტიები. ეს საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი იქნება იმისთვის, რომ მოსახლეობა ენდოს საბანკო სფეროს“[2]. ამის საწინააღმდეგოდ რაიმეს თქმა ძნელია, მაგრამ ამ საქმეში აუცილებელია გავითვალისწინოთ მედიის უმნიშვნელოვანესი როლიც, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე, ნეგატიური ხასიათისაც. ჩვენი საინფორმაციო საშუალებების საქმიანობა, სამწუხაროდ, უფრო უკანასკნელის ნიშნებს ატარებს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ მაგალითად, ე.წ. „პირამიდის თამაშის“ მეშვეობით მეანაბრეთა გაძარცვას ნებსით თუ უნებლიეთ მათაც შეუწყეს ხელი, ფართოდ დაუთმეს რა საგაზეთო ფართობები თუ საეთერო დრო ამ აფიორის რეკლამირებას. ჩვენს ჟურნალისტებს არც თუ იშვიათად ავიწყდებათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ ბანკების რეპუტაციის შებღალვა (თუ, რასაკვირველია, საამისოდ სერიოზული საფუძველი არ არსებობს). ჭორისა თუ ყურმოკრული ცნობების გამოქვეყნება, როცა ეს საბანკო სფეროს ეხება, განსაკუთრებით მოუთმენელია. უამისობა კი ჩვენში ნამდვილად არ იგრძნობა. არაერთ პუბლიკაციაში აშკარად გამოსჭვივის თავგამოდებული მცდელობა ამ სფეროს პოლიტიზებისა

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 მაისი, 2001წ.
[2] გაზ. „დილის გაზეთი“, 17 თებერვალი, 2000წ.

და პოლიტიკის მძევლად მისი გადაქცევისა. ამით შეშფოთებულმა საქართველოს ბანკების ასოციაციამ საგანგებო განცხადებითაც კი მიმართა ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ,,საქართველოს საბანკო სექტორმა, როგორც კერძო სექტორმა, - ნათქვამია აქ, - საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ბოლო პერიოდში გატარებულ სწორ და მოზომილ ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან ერთად ქვეყნის სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა. დღეს მოქმედი კომერციული ბანკები კლიენტურას სთავაზობენ საბანკო მომსახურების მთლიან სპექტრს. ყოველწლიურად იზრდება კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება. თუმცა კი რამდენიმე წლის წინათ იგი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

დღეს ცოტა გაუგებარი და გაურკვეველია ის მოტივაციები, რომლის შედეგადაც ქართული პრესის ფურცლებიდან ხორციელდება მიზანმიმართული ცილისმწამებლური კამპანია წამყვანი ქართული კომერციული ბანკების მიმართ.

საქართველოს ბანკების ასოციაციას არაერთხელ განუცხადებია, რომ საბანკო სფეროს პოლიტიზირება და მით უმეტეს მისი პოლიტიკაში ჩათრევა ქვეყნის საფინანსო სექტორის განვითარებისათვის დამღუპველია, რადგან ბანკების უკან დგანან არა მხოლოდ მათი მეაკუთრეები, რაზეც ხშირად არასწორი აქცენტები კეთდება, არამედ ათასობით მეანაბრე, იურიდიული პირი და თანამშრომელი. თუნდაც ერთი, მეტნაკლებად წარმატებული საბანკო ინსტიტუტის ,,ჩაძირვა" ხელოვნურად გამოიწვევს საბანკო სექტორისადმი ნეგატიურად განწყობის ჯაჭვურ რეაქციას, რომელიც თანაბრად გავრცელდება მთელ საბანკო სექტორზე. დაიწყება რა ბანკებიდან თანხების გატანა, იგი გადაიზრდება საბანკო კრიზისში და შემდგომ იმის გარჩევა, თუ რომელი ბანკია წარმატებული, შეუძლებელი გახდება. ქვეყნის ეკონომიკა აღმოჩნდება სრული კოლაფსის წინაშე"[1].

საუკუნეთა მიჯნაზე ქვეყნის საფინანსო სისტემის მნიშვნელობა, მდგომარეობა და მისი განვითარების მიმართულებები ასე დაახასი-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 30 აგვისტო, 2001წ.

ათა საქართველოს პრეზიდენტმა: „საბაზრო ეკონომიკის პირობებში სტაბილური ეკონომიკური განვითარება - წერს იგი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში - შეუძლებელია ეფექტიანი საფინანსო სისტემის გარეშე. სადღეისოდ საქართველოს საფინანსო სისტემას, ძირითადად, კომერციული ბანკები ქმნიან. სხვა საფინანსო ინსტიტუტები (საფონდო ბირჟები, საინვესტიციო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა) ჩანასახის მდგომარეობაში არიან.

საბანკო სისტემა ახდენს მოსახლეობისა და ორგანიზაციების დანაზოგების აკუმულირებას და მათ ინვესტირებას საქართველოს და სხვა ქვეყანათა ეკონომიკებში. ასეთი სისტემის არსებობა აუცილებელი პირობაა ჩვენი საწარმოების გრძელვადიანი ფუნქციონირებისათვის. ეს სისტემა პრაქტიკულად არ არსებობდა სოციალისტური ეკონომიკის დროს. ასე რომ, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აქ არა რეფორმის, არამედ სისტემის თავიდან ჩამოყალიბების ამოცანა იდგა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული - ჩამოყალიბდა თანამედროვე საბაზრო სტრუქტურის საბანკო სექტორი, რომელიც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკისათვის შესაფერის საკანონმდებლო ბაზას. დასრულდება საბანკო პრივატიზაცია; საქართველოს აქვს დამოუკიდებელი ეროვნული ბანკი და მაღალკონკურენტუნარიანი კერძო კომერციული ბანკების ქსელი. ჩამოყალიბებულია გარკვეული საკანონმდებლო ბაზა ჩვენს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის და სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირებისათვის“[1].

პრეზიდენტის განმარტებით, მომავალში შეიქმნება ისეთი საბანკო სისტემა, რომელიც დააფინანსებს როგორც მსხვილ საწარმოებს, ისე მცირე ბიზნესს და ფერმერებს, რისთვისაც ხელისუფლება განახორციელებს (უცხოური ტექნიკური დახმარების რესურსების გამოყენებით) საწარმოების საკრედიტო დახმარების, მიკროკრედიტების და კრედიტების დაზღვევის პროგრამებს.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებისათვის ჩინებულ

[1] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება, – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 70.

პერსპექტივებს ქმნის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნებისა და მათი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. უცხოელი და ზოგიერთი ჩვენი ექსპერტი ამასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანას მეორე შვეიცარიად გადაქცევას უწინასწარმეტყველებს.

და მაინც ცხადია ისიც, რომ ჯერჯერობით საქართველოში არსებული ფინანსური რესურსები აშკარად არასაკმარისია ჩვენი ეკონომიკის ფეხზე წამოსაყენებლად. ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია უცხოელ ინვესტორთა ფართო მონაწილეობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ სწორედ მათზე მოდის „ძირითად კაპიტალში . . . ინვესტიციების დიდი ნაწილი . . . 1995-1999 წლებში სულ საქართველოში განხორციელდა 1347 მლნ. ლარის ინვესტიცია, მათ შორის 60, 9% უცხოური ინვენტიციების სახით“[1].

ინვესტიცია კი ბევრი, ძალიან ბევრი გვჭირდება. ეს გარემოება კარგად აქვს გაცნობიერებული ბევრ საინფორმაციო საშუალებას, ამიტომაც საკმაოდ ხშირად საყვედურობენ ხელისუფლებას, რომ იგი ჯეროვნად არ ზრუნავს უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე. თუმცა პუბლიცისტთა და პოლიტიკოსთა გარკვეული ნაწილი ლამის ტრაგედიად აღიქვამს საზღვარგარეთელ ინვესტორთა შემოსვლას და ეჭვის თვალით უყურებს თითოეულ მათს ნაბიჯს. მედიის საშუალებით, პარლამენტის ტრიბუნიდან... არაერთხელ გვსმენია, თუ როგორ ცდილობენ მავანნი და მავანნი განგაშის ატეხვას იმის გამო, რომ „უცხოელები გვჩაგრავენ“, „გვატყუებენ“, „თაღლითობენ“, „ჩალის ფასად ეპატრონებიან ჩვენს ქონებას“, „არად დაგიდევენ ჩვენს ინტერესებს“ და სხვ.

ზემოაღნიშნული განწყობილებანი ქართულ მედიასა და მთლიანად საზოგადოებაში რომან გოცირიძემ ჯერ კიდევ ჩვენ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების წინახანებში შენიშნა და მათ „ეკონომიკური ჰომეინიზმი“ უწოდა. 1990 წლის აგვისტოში ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში იგი წერდა: „დღეს საქართველოს

[1] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001. გვ. 296.

უფლებების უმნიშვნელოდ გაფართოების პირობებშიც კი, როცა მოგვეცა საშუალება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ვიფიქროთ, ფეხს იკიდებს შეხედულებები, რომლებიც ამ ურთიერთობათა აშკარად პატრიარქალურ, გულუბრყვილო–პატრიოტულ ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ შეხედულებათა მიხედვით, თურმე მომავალში საქართველოს უპირველესი მტერი იქნება უცხოური კაპიტალი. ყველაფერს, რაც კი გვაბადია, ბუნებისა და ადამიანის მიერ შექმნილს, კაპიტალისტებზე გაყიდვის საფრთხე ელის. ეხლაც კი, როცა საქართველოში უცხოური კაპიტალის ჭაჭანებაც არაა, ატეხილია ყვირილი – „იყიდებაო საქართველო“. შესაბამისი განწყობილების გამომხატველი ლოზუნგებიც გაჩნდა: „არ გავყიდოთ ჩვენი წყალი და ა.შ.“[1].

დასკვნაც ფრიად მძიმე იყო, თუმცა ვერ ვიტყოდით, რომ საფუძველს მოკლებული ყოფილიყო: „ჩვენი საზოგადოების ცნობიერება დღეს მფრინავი თეფშების მისაღებად უფროა მზად, – ამბობს რ. გოცირიძე, – ვიდრე უცხოური კაპიტალისა“[2].

რ. გოცირიძე ამას იმით ხსნიდა, რომ იმ დროს ჩვენთვის საერთაშორისო ურთიერთობები უცხო ხილი იყო. მათი არც ცოდნა გაგვაჩნდა, არც გამოცდილება. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან „ყველაფერს სხვა წყვეტდა და სხვა განაგებდა“[3].

სტატიის ავტორის შეფასებით, „ჩვენი ცოდნა იმაზე, თუ რა გავყიდოთ და რა ვიყიდოთ, ვისგან მივიღოთ დახმარება ან ვის გავუწიოთ, ვისთან ერთად ვაშენოთ და რა ვაშენოთ, როგორი სესხი ავიღოთ ან სულაც გვჭირდება თუ არა იგი“ ეფუძნებოდა „უმარტივეს, მასობრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულ ყოფით წარმოდგენებს“[4]. მას განსაკუთრებით აშფოთებდა ის, რომ ეს წარმოდგენები შესაძლოა ქცეულიყო საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის პრიმიტიულ „ხალხოსნურ“ მოდელად, რომელიც, გამორიცული არ იყო, რომ მომავალში სახელმწიფო ხელისუფლების სამოქმედო

---

[1] რ. გოცირიძე, ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999, გვ. 143.
[2] იქვე.
[3] იქვე
[4] იქვე

პროგრამაც კი გამხდარიყო. მისი აზრით, ასეთი საშიშროება მაშინ უკვე არსებობდა კიდეც. ამასთან დაკავშირებით, გვახსენდება ამ სიტყვების გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოსული ხელისუფლების ერთ-ერთი იდეოლოგის კატეგორიული პოზიცია, არაერთხელ განმეორებული მაშინდელი მედიის საშუალებით, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგვეყიდა წყალი, რადგან მას მხოლოდ „ჩვენი ყვავილები უნდა მოერწყა“.

გაზეთ ,,რეზონანსის“ ერთ-ერთი ავტორი (გიორგი მხეიძე) გამოთქვამს საყვედურს იმის თაობაზე, რომ ,,ბევრი უცხოელი საქართველოში ყოფნისას საკუთარ თავს ისეთი ქცევის უფლებას აძლევს, რასაც სხვაგან, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ნამდვილად ვერ გაბედავდა“[1]. როგორც ჩანს, ასეთი საყვედური არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. მათ შორის, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში როგორც ინვესტორი, ჩვეულებრივ, ცოტანი როდი არიან ,,თავგადასავლების მაძიებლები“, მაგრამ განა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც არ არსებობენ ასეთი ბიზნესმენები? არსებობენ, რასაკვირველია, მაგრამ ეგ არის, რომ იქ მათს საქმიანობაზე ბევრად უფრო მკაცრი კონტროლია დაწესებული. ასე რომ ეს პრობლემა გარკვეულ წილად მომავალ საქართველოსაც შეაწუხებს, თუმცა უფრო ნაკლებად.

უნდა დავეთანხმოთ იმავე ავტორს მაშინაც, როცა ამბობს: ,,აშკარა უსინდისობაა ამტკიცო, რომ არსებობს მხოლოდ ორი არჩევანი: ან ცივილიზებულ დასავლეთთან თანამშრომლობაზე უარის თქმა (როცა ეჭვქვეშ დააყენებ რომელიმე უცხოელი ინვესტორის ქმედებას საქართველოში), ან კარტბლანშის მიცემა შენს ქვეყანაში ჩამოსული უცხოელისათვის, განურჩევლად იმისა, რაც არ უნდა გააკეთოს. ინვესტორისადმი კეთილგანწყობა მის არამართლზომიერ ქმედებაზე თვალის დახუჭვას არ უნდა ნიშნავდეს“[2]. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში რისკფაქტორი უცხოელ ინვესტორთათვის ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია (თუმცა განუზომ-

[1] გაზ. „რეზონანსი“, 24 ნოემბერი, 2000წ.

[2] იქვე.

ლად უფრო მაღალი იყო იგი დამოუკიდებლობის პირველ წლებში), რის გამოც ჩვენ იძულებულნი ვართ გარკვეულ დათმობებზე წავიდეთ მათ მიმართ. ესეც არ იყოს ჩვენ ჯერ არ გაგვაჩნია სათანადო გამოცდილება მათი შერჩევისა (უმთავრესად ამით აიხსნება ჩვენს მიერ მათს მოზიდვაში დაშვებული შეცდომები). ასეა თუ ისე, ჩვენში საზღვარგარეთიდან ფულის ჩასადებად ჩამოსულ ბიზნესმენებს გაფრთხილება სჭირდებათ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ მათი ხელაღებით და განურჩევლად განქიქება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ უცხოურ ინვესტიციებს ყველაზე მდიდარი ქვეყნებიც კი ახალისებენ. 2000 წლისათვის იაპონიაში, მაგალითად, მათი რაოდენობა 30 მილიარდ დოლარს უტოლდებოდა.

საუკუნეთა მიჯნაზე ე.შევარდნაძემ ხელისუფლების პოლიტიკის არსი უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში ასე წარმოგვიდგინა: „საქართველოს ეკონომიკამ გაიარა სტაბილიზაციის ეტაპი, - წერს იგი თავის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პროგრამაში, - ახლა ეკონომიკური განვითარების ამოცანა გვიდგას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კი ვერ მიიღწევა მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე. სამწუხაროდ, ადგილობრივი საინვესტიციო რესურსები (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) სადღეისოდ ძალზე შეზღუდულია; ამიტომ ამ ეტაპზე, ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობას იძენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

კავკასიის სტაბილურად არასტაბილური რეგიონის რეპუტაცია აქვს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ინვესტიციების მოზიდვას. ამიტომ ჩვენ ამ მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევა გვჭირდება – პოლიტიკური რისკის კომპენსირება ინვესტიციებისათვის განსაკუთრებით ხელშემწყობი გარემოს შექმნით უნდა მოვახერხოთ.

ჩვენი საკანონმდებლო ბაზა უცხოური ინვესტირებისათვის ძირითადად მათი საკუთრების დაცვის, ვალუტის კონვერტაციისა და მოგების შეუფერხებელი ექსპორტირების საკმარის გარანტიებს ქმნის. სამწუხაროდ, გვაქვს არსებული კანონმდებლობის რეალურად ამოქმედების პრობლემები – არის შემთხვევები, როცა უცხოელი ინვესტორები სახელმწიფოს ცალკეული მოხელეების არაობიექტურობის (დანაშაულებრივი მოქმედების) მსხვერპლი ხდებიან. ასეთი

ფაქტები ძლიერ უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო იმიჯზე და ზღუდავს ინვესტიციების შემოსვლას. საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ინვესტიციების ხელშემწყობი კანონები მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩეს და რეალურად განხორციელდეს"[1].

მსხვილი სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად საინვესტიციო კლიმატის მთავარ ბარომეტრად პრეზიდენტს მაინც შედარებით მცირე ინვესტორი მიაჩნია, რომლებიც სახსრებს მცირე და საშუალო სამრეწველო და მომსახურების საწარმოებში აბანდებენ. მდგომარეობა მას ამ მხრივ არ აკმაყოფილებს და თვლის, რომ აქ „ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი"[2], მაგრამ გვპირდება, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარების რესურსების გამოყენებით ხელისუფლება განახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას - ეს პროექტები შეეხება საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯის ამაღლებას, ჩვენი პროდუქციის გამოფენების მოწყობას უცხოეთის ქვეყნებში, ქართველი ბიზნესმენებისათვის უცხოელი პარტნიორების გამონახვაში დახმარებას და სხვა"[3].

პრეზიდენტი ამავე დროს გვთხოვს, გავითვალისწინოთ, რომ „სადღეისოდ მსოფლიოს ღია ეკონომიკურ სივრცეში უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვაში მრავალი ქვეყანა ეპაექრება ერთმანეთს. ეს კონკურენცია განსაკუთრებით გამძაფრდა მსოფლიო ფინანსური კრიზის შემდეგ. საქართველოც უნდა ჩაებას ამ კონკურენტულ ბრძოლაში და ნათლად გაიცნობიეროს, თუ რომელი ქვეყნებია მისი. ძირითადი კონკურენტები ამ ბრძოლაში, რა უპირატესობა გვაქვს ჩვენ მათთან შედარებით და რა განსაკუთრებული პირობები შეგვიძლია შევთავაზოთ შესაძლო ინვესტორებს"[4].

---

[1] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება — საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 66-67.

[2] იქვე, გვ. 67.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 68.

ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა ნაწილი დიდ იმედებს ამყარებს თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზის) შექმნაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის აჭარის ლიდერ ა.აბაშიძესა და მის მხარდამჭერ ჟურნალიტებსა და პოლიტიკურ მოკავშირეებზე. ლაპარაკობენ ჩვენი პირობებისათვის ფანტასტიკურ თანხაზე, რომელსაც, მათი აზრით, თეზი მოუტანს საქართველოს. პარლამენტარ ვახტანგ ბოჭორიშვილს თუ ვერწმუნებით, „თავიდან ბიუჯეტში 2 მილიარდი დოლარი შევა წელიწადში. შემდგომ წლებში კი ეს ციფრი გაიზრდება“[1]. იგივე არაერთგზის განუცხადებია თვითონ ა.აბაშიძესაც. თუმცა ასეთი ზონების სარგებლიანობის შესახებ მოსაზრებას ყველა როდი იზიარებს. ბევრს აეჭვებს ჩვენს პირობებში მისი ეკონომიკური ხელსაყრელობა და აშინებს სეპარატიზმის განვითარების პერსპექტივა, რომელსაც მათი შეხედულებით, თეზი შეიცავს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე, მაგალითად, თვლის, რომ „თეზი შეიძლება არსებობდეს იმ ქვეყანაში, სადაც სრული ჰარმონიაა ცენტრსა და რეგიონებს შორის, თეზს თითქმის ყოველთვის პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ“[2]. პარლამენტის ეკონომიკური რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე ვანო მერაბიშვილი კი პირდაპირ აცხადებს: „არსებობს ეჭვი, რომ ასლან აბაშიძეს თეზი ხელშეუხებლობის და ცენტრთან დაპირისპირების წარმოქმნისთვის სჭირდება“[3].

ვლ. პაპავა წერს: „ბოლო წლებში საქართველოში (და არამარტო საქართველოში) იდეა თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ საკმაოდ პოპულარულია და მას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ... სამწუხაროდ, ეს პრობლემა პოლიტიკური დაპირისპირების პრიზმაშია გადაყვანილი, რის გამოც ზონის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მისი შექმნის მიზანშეწონილობის ანალიზს ნაკლები ყურადღება ექცევა“[4].

---

[1] გაზ. „ალია“, 12-18 მარტი, 2001წ.

[2] გაზ. „ალია“, 13 მაისი, 2001წ.

[3] იქვე.

[4] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 217.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ ქართულ მედიაშიც არაერთი მასალა გამოქვეყნებულა, მაგრამ პრობლემის პოლიტიზების (შეიძლება ითქვას, უკიდურესი პოლიტიზების) გამო ჩვენში მისი შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე რამდენადმე სერიოზული და საფუძვლიანი განსჯა აქამდე ფაქტობრივად არ მომხდარა. ამ მიზეზით ფართო საზოგადოებას ძალზე უჭირს არგუმენტირებული არჩევანის გაკეთება და იგი, არსებითად, თავისი პოლიტიკური სიმპათია – ანტიპათიების ამარაა დარჩენილი.

უცხოელ ინვესტორთა მოზიდვაში სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის პარტნიორულ ბიზნესურთიერთობათა დაბალი კულტურა, რომელსაც არც თუ ისე იშვიათად ამჟღავნებს მათთან მოთანამშრომლე ქართული მხარე. ამბიციათა სიჭარბისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო ქართველ ბიზნესმენებსა და სახელისუფლო სტრუქტურების წარმომადგენლებს როგორღაც უჭირთ მათი პრიორიტეტის აღიარება და იმ აზრთან შეგუება, რომ, როგორც იტყვიან, „პარადს თვითონ ვერ უხელმძღვანელებენ“. არის არაერთი მცდელობაც უცხოელ პარტნიორთა მოტყუებისა და სხვადასხვა უპატიოსნო მოქმედებით მათი ელემენტარული გაქურდვისა (თავს იჩენს საბჭოური პერიოდიდან შემორჩენილი ჩვევები), რასაც ისინი ხშირად ქვეყნისათვის ზურგშექცევით უპასუხებენ. აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ე.შევარდნაძეს, რომელიც ამბობს: „ინვესტორი, რასაკვირველია, იბრძოლებს თავისი პრიორიტეტისათვის და თუ ეს არ გვინდოდა, თუ ეს უსამართლოდ მიგვაჩნდა, მაშინ საინვესტიციო პროექტი საერთოდ არ უნდა წამოგვეწყო და თავდაპირველი ხელშეკრულება ინვესტორთან არ უნდა გაგვეფორმებინა.

სხვაგვარ ლოგიკას ინვესტორი, თავად ინვესტიციის ეკონომიკური ბუნების გათვალისწინებით არ დაეთანხმება და დაუშვებელია პიროვნული ამბიციის გამო ქვეყანას საერთოდ დაუკარგო ინვესტორები, რომლებიც შემოსვლასა და კაპიტალდაბანდებას აპირებენ ქვეყანაში.

აღნიშნული ფაქტორი, სხვათა შორის, არანაკლებ მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს ფორმირების თვალსაზრისით, ვიდრე თუნდაც პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ან

თვით შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც, რასაკვირველია, მოითხოვს სრულყოფას"[1].

ე.შევარდნაძის განმარტებით, „ჩვენი ეკონომიკური სტრატეგია გულისხმობს საქართველოს დიდ საინვესტიციო პროგრამებში უცხოური სტრატეგიული ინვესტორების მაქსიმალურ ჩართვას. ეს პროექტები მოიცავენ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზაციას, ნავთობის ტრანსპორტირების და ევრაზიის დერეფნის მშენებლობას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებები უკვე მიღწეულია. საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ამ კურსს"[2].

უცხოელ ინვესტორთა შემოსვლისა და მათი აქ დამაგრების მდგომარეობით ჩვენში პრაქტიკულად არავინ არის კმაყოფილი, მაგრამ ამის მიზეზს არსებითად მხოლოდ ხელისუფლების ფაქტორში ხედავენ, სხვა მომენტებზე, რომლებზეც ჩვენ გვქონდა საუბარი, ყურადღებას არ ამახვილებენ. ეს განსაკუთრებით ითქმის პოლიტიკური სტაბილიზაციის შესახებ. არადა შიდაპოლიტიკური რყევები ჩვენს ქვეყანაში უცხოელებს განსაკუთრებით აშინებთ. ცნობილია, მაგალითად, ფაქტები, რომ უკვე ხელმოსაწერად გამზადებული საკმაოდ სოლიდური პროექტებით ჩამოსული საზღვარგარეთელი ინვესტორები უკანვე გაბრუნებულან ჩვენში ამა თუ იმ მიზეზის გამო უეცრად გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციის გამო.

უცხოელ ინვესტორთა შემოსვლას ჩვენში ხშირად სერიოზულად აფერხებს მოსახლეობაში არსებული მცდარი წარმოდგენები გასაყიდად გამოტანილი ჩვენი ობიექტებით მათი დაინტერესების თაობაზე. სამწუხაროდ, მედიაც ყოველთვის როდი თამაშობს აქ პოზიტიურ როლს, ქმნის რა ისეთ სურათს, თითქოს ამ ობიექტებზე ტაციობა არსებობდეს, რაც სრულიად არ შეესაბამება რეალურ ვითარებას და იქნებ პირიქითაც იყოს. შედეგად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ უცხოელ კომპანიებს აშკარად გადაჭარბებულ მოთხოვნებს უყენებენ, რის გამოც წლობით ჭიანურდება საქმის გადაწ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 13 მაისი, 2001წ.

[2] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 66-67.

ყველა, გასაყიდ სანარმოებს ვალები ეზრდებათ, მათს თანამშრომლებს კი უმუშევრობით გამოწვეული ტანჯვა უხანგრძლივდებათ.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესმა მთელი სიმწვავით ცხადჰყო ეკონომიკური ცოდნის დეფიციტი. ჩვენში, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, სწავლული ეკონომისტების აზრით, ყველაზე მწვავეა იმ დეფიციტთა შორის, საქართველოში დღესდღეობით რომ არსებობს აქ მხედველობაში ჰყავთ არა მარტო და არა იმდენად მოსახლეობის ფართო ფენები, არამედ და უმთავრესად ეკონომიკური პოლიტიკის შემოქმედნი და მესაჭენი, სამეურნეო ხელმძღვანელები და საერთოდ ბიზნესში ჩაბმული ადამიანები. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავითვალისწინებით იმას, რომ საბჭოური სინამდვილე, რომელსაც დიდი ხანი არაა, რაც თავი დავაღწიეთ, დღევანდელი დღისათვის აუცილებელი ასეთი ცოდნის შეძენის არა მარტო საშუალებას არ იძლეოდა, არამედ არც საამისო სტიმულებს ქმნიდა. უცხოელ ინვესტორებს ამ პრობლემის გადაწყვეტაშიც შეუძლიათ ჩვენთვის ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა, რადგან მათ ფინანსურ კაპიტალთან და მოწინავე ტექნოლოგიებთან ერთად მოაქვთ დასავლური მენეჯმენტიცა და მარკეტინგიც. იმ გამოცდილების წყალობით, რომელიც მათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების შედეგად დაუგროვდათ, ისინი უკეთ არიან გაცნობიერებულნი ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ხელოვნებაში, საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ვითარებაში, უკეთ იცნობენ შესაძლო პარტნიორებს და ჩვენთან შედარებით მრავალ სხვა უპირატესობას ფლობენ. ცხადია, არც ჩვენი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტები და ბიზნესმენები სხედან გულხელდაკრეფილნი და ბევრს მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ ვითარება მოითხოვს მათგან, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში მიაღწიონ მიზანს, სხვა გამოსავალი მათ არა აქვთ გარდა იმისა, რომ ერთდროულად მოახდინონ ცოდნის შეძენა-დაგროვება და მისი პრაქტიკაში გამოყენება. ამასთან ხშირად ისინი იძულებულნი არიან იაროონ გაუკვალავი გზით, როგორც იტყვიან, სიბნელეში ხელის ფათურით.

ზემოაღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლები სიმწვავით დგას სხვა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნების წინაშეც. გასაგე-

ბიცაა. გეგმიური სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრეცენდენტი ხომ უკანასკნელ დრომდე არსად არსებობდა. როცა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში საბაზრო რეფორმების განხორციელება დაიწყეს და სიძნელეებს წააწყდნენ, ამ სიძნელეებზე საუბრისას მსოფლიოში ცნობილმა ერთმა ეკონომისტმა ასეთი შედარება მოიყვანა: წარმოიდგინეთო, თქვა მან, რომ კვერცხისგან ერბო-კვერცხი შენვით, ხოლო შემდეგ ისევ მოინდომეთ ერბო-კვერცხისგან კვერცხის აღდგენა. ლამის ასეთ პრობლემასთან გვაქვს საქმე სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესშიო. ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები გულმოდგინედ ცდილობენ დაგვეხმარონ, მაგრამ ხშირად არც მათ რეკომენდაციებს მოაქვთ სასურველი შედეგი, რადგან ეს რეკომენდაციები სხვა ქვეყნების პოზიტიურ გამოცდილებას კი ეფუძნება, მაგრამ ჩვენი რეალობისათვის შეუსაბამო გამოდგნენ, რისი წინასწარ გათვალისწინებაც ვერ ხერხდებოდა. თუმცა, რბილად რომ ვთქვათ, მაინცდამაინც არც ცდილობდნენ ამას. ვლ. პაპავა წიგნში „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა“ წერს: „აუცილებელია ხაზი იმ გარემოებასაც გაესვას. რომ მხოლოდ უნიფიცირებული მიდგომებით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკა (როცა უყურადღებოდ, ან თითქმის უყურადღებოდ არის დარჩენილი თითოეული ცალკე აღებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა) საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, ეს კი იმის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზია, თუ ყოველთვის რატომ ვერ ხერხდება თეორიულად გამართული სქემებით შედგენილი რეფორმატორული პროგრამებით წარმატების მიღწევა“ [1].

ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ რეფორმები ჩვენში სხვა ქვეყნებზე უფრო მძიმე სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში ტარდებოდა, რაც რადიკალურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ რისკფაქტორს უფრო ამძიმებდა და აიძულებდა ხელისუფლების ფრთხილად

[1] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 20-21.

და წინდახედულად ემოქმედა, რომ მდგომარეობა კონტროლიდან არ გამოსულიყო.

პოლიტიკოსთა და პუბლიცისტთა ერთი ნაწილი ზემოაღნიშნული გარემოებებით ხსნის რეფორმების განხორციელების პროცესში დაშვებულ ბევრ შეცდომასა და განცდილ მარცხს. სხვები კი ამ გარემოებებს არსებითად არ მიიჩნევენ და მთავარ მიზეზს ხელისუფალთა უუნარობასა და პოზიტიური შედეგების მისაღწევად აუცილებელი ნაბიჯების გადასადგმელად პოლიტიკური ნების უქონლობაში ხედავენ.

ქართულ ნაწარმს აშკარად უჭირს კონკურენციის გაწევა არა მარტო კონტრაბანდულ, არამედ საერთოდ უცხოურ საქონელთან. ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში არც საბჭოურ პერიოდში ყოფილა სახარბიელო. სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის ზოგიერთ სახეობას თუ არ ჩავთვლით, დაბალი ფასების მიუხედავად ჩვენი მომხმარებელი მეტწილად თავს არიდებდა მის შეძენას და ხშირ შემთხვევაში ამჯობინებდა გადამყიდველისაგან ბევრად უფრო ძვირად ეყიდა საზღვარგარეთული პროდუქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა საზღვრები გაიხსნა და უცხოურმა საქონელმა ფართო ნაკადად იწყო შემოსვლა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ჩვენი მომხმარებელი ადრე თუ მხოლოდ ხარისხს უწუნებდა ადგილობრივ ნაწარმს, ახლა მას პრეტენზია ფასებთან დაკავშირებითაც გაუჩნდა. ვითარებას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ თუ წინათ ქართულ საქონელს გასაღების ბაზარი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რეგიონში (ვთქვათ, შუა აზიასა და ყაზახეთში) მაინც ჰქონდა, სადაც არჩევანის უქონლობისა და შედარებით დაბალი მომთხოვნელობის გამო ეს საქონელი ასე თუ ისე საღდებოდა, ამჟამად კონკურენტები იქაც გვყავს და იქიდანაც გამოვიდევნეთ.

ასეთ სიტუაციაში ხსნას გარკვეული წრეები და მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსები და პუბლიცისტები პროტექციონისტულ პოლიტიკაში ხედავენ. ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ ხელისუფლებისაგან შიდა ბაზრის დაცვას არა მარტო კონტრაბანდისაგან, არამედ კანონიერი იმპორტისაგანაც. ამიტომაც მოგვიწოდებენ არც თუ იშვიათად, რომ ის, რასაც თვითონაც ვაწარმოებთ ან შეგვიძლია ვაწარმოოთ, არ შემოვიტანოთ.

როგორც ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა“ წერდა: „აუცილებელია შიდა ბაზრის დაცვა, თუ ბაზარი არ იქნა დაცული, შრომას ფასი დაეკარგება. გლეხი ვერ გაყიდის პროდუქციას და ვერც კონკურენციას ვერ გაუწევს შემოტანილ საქონელს. სოციალისტური პარტიის ლიდერ ვახტანგ რჩეულიშვილის აზრით, . . . პროტექციონიზმი გააძვირებს ბაზარს, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას“[1].

ამ იდეის ყველაზე ერთგული დამცველია პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და ამავე სახელწოდების ფრაქცია პარლამენტში. მისი აზრის გამომხატველია პარლამენტარი ვახტანგ ძაბირაძე, რომელიც თვლის, რომ „მოთხოვნა ასეთია: საკუთარი ბაზრის დაცვა და წარმოებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო სისტემის შექმნა, ანუ პირობების შექმნა... ყველაფერი ტყუილია. ვერანაირი ნავთობსადენი ვერ გვიშველის თუ ადგილობრივი წარმოება არ შეიქმნა... დღეს ეკონომიკაში საჭიროა პროტექციონიზმი და არა იზოლაცია“[2].

საქმე ზოგჯერ იქამდეც კი მიდის, რომ მოითხოვენ: „საქართველოში დროებით, თუნდაც ერთი წლის ვადით, აიკრძალოს უცხოური პროდუქციის შემოტანა“[3].

ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირად საყვედურობენ საერთაშორისო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომ ისინი უხეშად ერევიან ჩვენს ეკონომიკურ პოლიტიკაში, ხელს უწყობენ ჩვენში უცხოური საქონლის მოზღვავებას და ასამარებენ ადგილობრივ წარმოებას. როგორც გაზეთი „რეზონანსი“ გვაუწყებს, ამ ფონდის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლებისა და მეწარმეთა შეხვედრაზე, რომელიც 1996 წლის 23 ოქტომბერს გამართულა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა და ვაჭრობის სამინისტროში, „ქართველმა დირექტორებმა უკვე ტრადიციადქცეული პრეტენზიები წაუყენეს სავალუტო ფონდის „მამებს“. პარლამენტის დეპუტატმა, მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა ბე-

[1] ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, ივნისი, 1998წ.
[2] გაზ. „ახალი თაობა“, 16 ოქტომბერი, 1999წ.
[3] გაზ. „ახალი თაობა“, 6 მაისი, 1996წ.

სარიონ ჯუღელმა სტუმრებს სავალუტო ფონდის იდეოლოგიის პუნქტებად ჩამოყალიბება მოსთხოვა. ,,დღეს საქართველოს 1482 მლნ. დოლარის ვალი აქვს. მათ შორის სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის. ამ კრედიტებს ჩვენ იმპორტული საქონლის შემოსატანად ვიყენებთ, მეწარმეობის ასაღორძინებლად კი არაფერი კეთდება“, - განაცხადა ბესარიონ ჯუღელმა.

მეწარმეთა აზრით, მოსახლეობაში არსებობს აზრი, რომ დასავლეთი საქართველოს იმისათვის აძლევს კრედიტებს, რომ შემდეგ ამ თანხებით მათივე პროდუქცია იქნეს შეძენილი.

შეხვედრაზე კვლავ დაისვა საკითხი ქართული ბაზრის იმპორტული საქონლისაგან დაცვის თაობაზე“[1].

მსგავს ბრალდებებს უფრო კატეგორიული ფორმით იმეორებს გოგი თოფაძე. მეტიც, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში რაიმე პოზიტიურს იგი საერთოდ ვერ ხედავს. ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მას განუცხადებია, რომ ,,საერთაშორისო ორგანიზაციებს სურთ საქართველო იმპორტიორი ქვეყანა გახადონ და არა მწარმოებელი, რადგან ეს მათ უფრო აწყობთ, ვინც იმპორტის უკან დგანან. შემოსული ლუდი 4-5 დოლარი ღირდა, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ლუდის წარმოება დაიწყო, მისი ფასი დაეცა. ეს კი მათ არ აწყობთ, ვისაც იმპორტისაგან შემოსავალი ჰქონდა. ამიტომ ლუდზე ზეწოლა კვლავ მიმდინარეობს და უფრო აგრესიულ ფორმებშიც გადაიზრდება.

მე ჯერ არ მინახავს არც ერთი ქვეყანა, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების ნაკარნახევით ეკონომიკას წინ წაეწიოს. მათ სურთ ჩვენი ქვეყანა იმპორტიორი იყოს, რადგან თუნდაც ლუდის იმპორტი საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესია“[2].

რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს ალექსანდრე შუშანაშვილს კი ,,საერთოდ არ ესმის“ ,,საერთაშორისო კრედიტების მიღებით რატომ ვართ დაინტერესებული და აღფრთოვანებ-

---

[1] გაზ. ,,რეზონანსი“, 24 ოქტომბერი, 1996წ.

[2] გაზ. ,,თბილისის უნყებანი“, 19-22 მარტი, 1999წ.

ული"[1]. იგი აღშფოთებით ამბობს: „კრედიტი პროცენტიანი ვალია, რომელსაც ადრე თუ გვიან გადაგვახდევინებენ. კი, მაგრამ ჩვენი დანგრეული და დაქუცმაცებული ეკონომიკის, აღვირახსნილი მექრთამეობისა და კორუფციის პირობებში რისი იმედი გვაქვს, ვინ და რითი გადაიხდის ამ ვალებს, რა დააშავეს იმათ, ვისაც ამ ვალებს მემკვიდრეობით ვუტოვებთ. რა გავაკეთეთ იმ კაპიტალით, რაც უკვე მივიღეთ, გგონიათ ახალი კრედიტები გვიშველის...

სად გაგონილა ვალებით თუ საჩუქრებით ან კაცი ან ქვეყანა წელში გაიმართოს. როდესაც დე გოლი პრეზიდენტი გახდა, ერთ-ერთი პირველი ბრძანება, ჰუმანიტარული დახმარების და კრედიტების შემოტანის აკრძალვა იყო. თუ ფრანგები თავს თვითონ ვერ ირჩენენ, ღირსნი არიან გაწყდნენო. ჩვენი მიწა-წყლის პატრონს რა გვჭირს სამათხოვრო. ბოსტნეულის მოყვანას, საქონლისა თუ ფრინველის მოვლა-პატრონობას რა, უცხოური კრედიტები და ინვესტიციები უნდა? სირცხვილი არაა თურქეთიდან შემოგვქონდეს კიტრი და პამიდორი, ხოლო ჩვენი ხალხი საბერძნეთში გარბოდეს მანდარინის საკრეფად.

ქვეყნის გადარჩენა თუ გვინდა, ამ საკითხებს მივხედოთ და ნაკლებად ვიფიქროთ იმაზე, ვინ რას გადმოგვიგდებს და გვიწყალობებს"[2].

საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ყველაზე კატეგორიული ფორმით მაინც ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ დააფიქსირა. ტელეკომპანია „იმედის" ეკრანიდან, მაგალითად, მან ყოველგვარი მობოდიშების გარეშე უცერემონიოდ განაცხადა, რომ „სავალუტო ფონდი არის აბსოლუტურად იდიოტური ორგანიზაცია, რომელიც სოციალისტებისაგან არის შემდგარი და რომელთანაც ურთიერთობის გაწყვეტა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს" (16.08.2004წ).

ასეთი შეფასებები ქართულ მედიაში ცოტა როდი გამოქვეყნებულა, მაგრამ საპირისპირო ხასიათის პუბლიკაციებიც საკმაოდ

---

[1] გაზ. „ალია", 24-26 თებერვალი, 1996წ.

[2] იქვე.

გვხვდება. ამიტომაც წერს გაზეთი „ახალი ტალღა“, რომ „საერთაშორისო სავალუტო ფონდს საქართველოში ზოგი პანაცეად აღიქვამს, ზოგიც მტრად“[1]. გაზეთის აზრით, „საბოლოო ანგარიშით, საერთოდ ფონდის უარყოფა შეუძლებელი ხდება. მით უმეტეს გაღატაკებულ ქვეყანაში, რომელიც რომ არა ამ საერთაშორისო ინსტიტუტის დახმარება (ვგულისხმობთ არა მარტო მატერიალურ დახმარებას, არამედ მეთოდიკურ სახელმძღვანელოსაც) ჩვენი ქვეყნის თვით არსებობაც კი ეჭვქვეშ დადგებოდა“[2].

გაზეთი „ახალი თაობა“ იტყობინება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიის ხელმძღვანელ შადმან ვალავის ერთერთ შეხვედრას ქართველ მეწარმეებთან სკანდალური ხასიათი მიუღია. სსფ და პირადად შადმან ვალავი ამ შეხვედრაზე საქართველოში ბიზნესის ჩაკვლაში დაუდანაშაულებიათ[3]. ამასთან დაკავშირებით თემურ ბასილიას გაზეთის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა სათაურით „სავალუტო ფონდის ლანძღვამ საქართველო შეიძლება სერიოზულად დააზარალოს“, განუცხადებია: „იმისათვის, რომ გავიგოთ, რა როლს ასრულებს სსფ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში, უნდა გავიხსენოთ, როგორი იყო ჩვენი ქვეყანა მაშინ, როცა ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ და რა გვაქვს ახლა. არასწორია სსფ-ის დადანაშაულება იმ სიძნელეებში, რომლებიც დღეს ჩვენს ბიზნესში არსებობს...

...საქართველოს ეკონომიკა 1992-93 წლებში კატასტროფის წინაშე იდგა. ყოველდღიურად ეცემოდა წარმოების მოცულობა. ინფლაციის ტემპმა წელიწადში 8500 პროცენტი შეადგინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები თითებზე ჩამოსათვლელია, 1994 წლიდან იწყება ჩვენი თანამშრომლობა სსფთან და მსოფლიო ბანკთან...

მათი დახმარებით შემუშავდა ეკონომიკის სტაბილიზაციის პრო-

---

[1] გაზ. „ახალი ტალღა“, 30 ოქტომბერი, 1998წ.

[2] იქვე.

[3] გაზ. „ახალი თაობა“, 6 მაისი, 1996წ.

გრამა. პირველ რიგში, საჭირო იყო წესრიგის დამყარება ფინანსურ და საბიუჯეტო სფეროებში"[1].

თ.ბასილიას საქართველოს ეკონომიკის მიერ კრიზისული მოვლენების დაძლევა უპირველესად სწორედ სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის დამსახურებად მიაჩნია. მისი განმარტებით, ამ ორგანიზაციების დახმარება ,,მხოლოდ რეკომენდაციებით არ იფარგლება. ჩვენ დიდი თანხებიც მივიღეთ...

სსფ-ის კრედიტები: ეს ტე ეფ-84 მილიონი დოლარი, სთენდ ბაი - 113 მილიონი დოლარი. პროგრამა ი ეს აიეფ, რომელიც წელს (1996 წელს - გ.კ.) დავიწყეთ - 246 მილიონი დოლარი. მსოფლიო ბანკის კრედიტები 194 მილიონ დოლარს შეადგენს და წლის ბოლოსთვის ეს თანხა 250 მილიონ დოლარამდე გაიზრდება...

... სწორედ სსფ და მსოფლიო ბანკი იყვნენ ინიციატორები პარიზში საქართველოსა და დონორი ქვეყნების შეხვედრისა, რომელზეც დამატებითი დახმარება გამოგვეყო. ეს არის მარცვლეული, მაზუთი, დამატებითი ფინანსური დახმარება. თუ ყველა ამ ციფრს შევკრებთ, თანხა მილიარდს გადააჭარბებს. ყოველივე ამის შემდეგ იმის თქმა, რომ სსფ-მა და მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის არაფერი გააკეთეს, ელემენტარული უმადურობაა.

თუ დღეს საქართველოს მსოფლიოში რაღაც იმიჯი აქვს, ამაში უდიდესი წვლილი ამ ორგანიზაციებს მიუძღვის. სწორედ სსფ-სა და მსოფლიო ბანკთან საქართველოს ურთიერთობა არის იმის გარანტი, რომ აქ შეიძლება ბიზნესის წარმოება.

არსებობს საქართველოს განვითარების ორი გზა. პირველი, რომელსაც ჩვენ მსოფლიო ბანკთან და სსფ-თან ერთად ვატარებთ, ემსახურება ჩვენი რეალური დამოუკიდებლობის გამყარებას, საქართველოს ინტეგრაციის მსოფლიო ეკონომიკაში...

მეორე გზაა საქართველოს ინტეგრაცია დსთ-ის საბაჟო და საგადასახადო კავშირებში"[2].

თ.ბასილია უარყოფს იმ აზრს, რომ სსფ დიქტატის პოლიტიკას ეწევა. ,,არავითარი დიქტატი არ არის, - ამბობს იგი, - სსფ-ს და მსოფ-

[1] გაზ. „ახალი თაობა", 6 მაისი, 1996წ.
[2] იქვე.

ლიო ბანკს აქვთ მოღვაწეობის საკუთარი პრინციპები, რომელსაც ისინი არსად და არასდროს არღვევენ"[1]. ეს პრინციპები საქართველოში სსფ-ს მუდმივმა წარმომადგენელმა ჰანტერ მონრომ ასე განმარტა გაზეთ „ახალი ტალღის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში: „ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან შემდეგი ხასიათისაა: ჩვენ რეკომენდაციებში აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა მოახერხოს გადასახადების აკრეფა, რათა დროულად გაიცეს ხელფასები და პენსიები, სტიპენდიები, დაფინანსდეს სოციალური სფეროს სხვა მინიმალური ხარჯები. ადამიანს უნდა ჰქონდეს სინდისი და მიხვდეს, რომ ეყოფა ფუფუნება, დროა გადაიხადოს გადასახადი...

რა თქმა უნდა, საქართველოში არის ბიუჯეტური შეზღუდვები. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყოველ დიასახლისს მკაცრად აქვს გათვლილი საოჯახო ბიუჯეტი. მათ იციან, როგორ წარმართონ ოჯახის ცხოვრება. ასევეა სახელმწიფოშიც...

...მე ვიცი, თქვენთან არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც სავალუტო ფონდთან თანამშრომლობა არ მოსწონს, მაგრამ ჩვენი რეკომენდაციები ქვეყნის ინტერესების სასიკეთოა - ეს არის გამართული ბიუჯეტი, ძლიერი საბანკო სისტემა და, თუ ამ ეტაპზე საქართველო არ გაითვალისწინებს ფონდის რეკომენდაციებს, ეს მას მომავალში ძვირად დაუჯდება"[2].

გაზეთ „ახალი თაობის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პაატა კოლუაშვილი ამბობს: „სავალუტო ფონდი შესანიშნავი კეთილშობილი ორგანიზაციაა, მაგრამ რასაც ის იტყვის, არ არის საჭირო ჩვენ ყველაფერზე თავი ვიქნიოთ"[3]. რესპონდენტს ამით იმის თქმა სურს, რომ სსფ-თან კამათი და, მაშასადამე, კონსტრუქციული თანამშრომლობაც სავსებით შესაძლებელია. ეს აზრი არა ერთხელ გამოუთქვამს ე.შევარდნაძესაც. სსფ-თვის არც ჩვენი შიდა ბაზრის დაცვის მოთხოვნაა კატეგორიულად მიუღებელი. გაზეთ „რეზონანსის" ცნობით, ფონდის აღმასრულებელ დირექ-

[1] გაზ. „ახალი თაობა", 6 მაისი, 1998წ.
[2] გაზ. „ახალი ტალღა", 30 ოქტომბერი, 1998წ.
[3] გაზ. „ახალი თაობა", 6 მაისი, 1996წ.

ტორს ნიდერლანდებიდან ჯეი დი ვაინჰოლცს, რომელიც საქართველოს წარმომადგენელიც ყოფილა ამ ფონდში, განუცხადებია, რომ „ის მზად არის საქართველოს მთავრობას დაეხმაროს ადგილობრივი ბაზრის დაცვის საკითხებში, ,,თუმცა უნდა არსებობდეს კონკურენტული გარემო იმისათვის, რომ მეწარმეებს სტიმული ჰქონდეთ თავიანთი პროდუქციის გაუმჯობესებისათვის“[1]. სტუმარს აქ მხედველობაში ჰქონდა ისეთი სიტუაციის შექმნის აუცილებლობა, რომელიც გვაიძულებდა გვეზრუნა არაეფექტური წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებაზე, რის გარეშეც შეუძლებელია ჩვენი პროდუქციის ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება და, მაშასადამე, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდა. თუ მეწარმეებს საერთოდ ჩამოვაშორებდით კონკურენტებს და ამით შევუქმნიდით პირობებს, რომ ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეენარჩუნებინათ არსებობა, ეს არც ეკონომიკის განვითარებას წაადგებოდა და არც ხალხის ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეს. მოსახლეობა უსასრულოდ ვერ მოითმენდა ასეთ მდგომარეობას და წარმოებაც ბოლოს და ბოლოს მაინც გაკოტრდებოდა. მომხმარებელიც უსათუოდ ზურგს შეაქცევდა ქართულ პროდუქციას და თუნდაც აკრძალული ხერხებით შეეცდებოდა უკეთესი და უფრო იაფი უცხოური ნაწარმის შეძენას. საამისო გამოცდილება საბჭოურ პერიოდში ჩვენ საკმაოდ გვაქვს დაგროვებული. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ „საბჭოთა საქართველოს განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო პროდუქციის ხარისხის ძალიან დაბალი დონე“ [2].

მედიის საშუალებით ზოგჯერ მოუწოდებდნენ მოსახლეობასაც, რომ მას ნებაყოფლობით ეთქვა უარი უცხოური საქონლის შეძენაზე და ქართული ნაწარმისათვის მიეცა უპირატესობა. გაზეთი ,,ახალი თაობა“, მაგალითად, გვაცნობებს, რომ სრულიად საქართველოს ზვიადის პარტიის პრესკონფერენციაზე ამ პარტიის წარმომადგენელს აპოლონ ადონიას მოუყვანია ,,ასეთი მაგალითი: 1905-07 წლებში

---

[1] გაზ. „რეზონანსი“, 24 ოქტომბერი, 1996წ.

[2] თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, 2001, გვ. 75.

ინდოეთში ხალხმა დანვა ყველანაირი უცხოური ნაწარმი და ამით გამოხატა თავისთავადობა და პატივისცემა ყველაფერი ეროვნულისადმი"[1]. მაგრამ, როგორც წესი, ჩვენში ასეთ მოწოდებებს სერიოზულად არავინ აღიქვამს მისი სრული არარეალურობის გამო. ამიტომაც არის, რომ გაზეთის კორესპონდენტიც ირონიულად დასძენს: ,,საბედნიეროდ, მას ბაზრობებისთვის და ჯიხურებისთვის ცეცხლის წაკიდება არ მოუთხოვია"[2].

ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ერთი რამ კი ნამდვილად შეუძლიათ - პროპაგანდა გაუწიონ ქართულ ნაწარმს. ამაზე, რასაკვირველია, უნდა იზრუნონ თვითონ მეწარმეებმაც. პირველი დამაიმედებელი ნაბიჯები ამ მხრივ უკვე გადადგმულია. გაზეთი ,,7 დღე" გვატყობინებს, რომ ,,საქართველოს მრეწველთა კავშირი, როგორც ჩანს, სერიოზულად შეაშფოთა ჩვენს ბაზრებზე უცხოური პროდუქტის მომზადებამ და ამიტომ გადაწყვიტა, მიმდინარე 1997 წლიდან განახორციელოს პროექტი ,,საქართველოს პროდუქცია მხოლოდ ხარისხიანი". მრეწველთა აზრით, პროექტის უმთავრესი მიზანია სამამულო პროდუქციის წარმოების გამოცოცხლება, ხარისხის ამაღლება და საქართველოს საქონელმწარმოებელთა ძალისხმევა დაიცვან ბაზარი ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან"[3]. ამ იდეის რეალიზაციის მიზნით გაუხსნიათ პირველი სუპერმარკეტიც (,,პატრიოტი"), რომელშიც დაბალი ფასებით მხოლოდ ქართული პროდუქცია იყიდება. გაზეთის ცნობით, ,,ძალიან მალე, მრეწველთა განცხადებით, თბილისის სხვადასხვა უბანში გაიხსნება 24-მდე ,,ეროვნული სუპერმარკეტი", რომლის არსებობას ისინი პრინციპული აუცილებლობით ასაბუთებენ. მრეწველთა კავშირის განცხადებაში ნათქვამია, რომ საჭიროა არაორდინარული ნაბიჯი, რათა ქართულმა პროდუქციამ შეაღწიოს უცხო ფირმების მიერ ოკუპირებულ ბაზარზე. უკვე არსებობენ ქართველი მეწარმეები, რომელთა პროდუქცია საკმაოდ კონკურენტუნარიანია"[4].

[1] გაზ. „ახალი თაობა", 1 მაისი, 1995წ.
[2] იქვე.
[3] გაზ. „7 დღე", 6 აგვისტო, 1997წ.
[4] იქვე.

გაზეთ ,,ახალი თაობის“ კორესპონდენტი მერი ნამორაძე გულისტკივილით წერს: ,,საზოგადოება ლამის დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია, საქართველოში მცირე საწარმო გამართო, ხალხი დაასაქმო, ფართო მოხმარების პროდუქცია აწარმოო და კონკურენციაც კი გაუწიო უცხოურს. ლამის იმაშიც დაგვარწმუნეს, რომ ქართული პროდუქცია ვერ იქნება ხარისხიანი და მომხმარებლისგანაც მუდამ ზურგშექცეული დარჩება“[1], მაგრამო, - დასძენს იგი შემდეგ იმედიანად, - ,,საქმის სიყვარულს და მონდომებას, მადლობა ღმერთს, ყველა წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლია“[2] და ცდილობს დაგვარწმუნოს ამაში ქართული ფარმაცევტული საწარმოს ,,ჯი-ემ-პის“ მაგალითზე.

აღნიშნული თვალსაზრისით გარკვეულ მუშაობას ეწევა ზოგიერთი ტელეარხი და ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ, ეს იმდენად სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა ჩვენთვის, რომ მთლიანობაში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც აშკარად გვრჩება.

ამა თუ იმ სახით პროტექციონისტულ პოლიტიკას ქვეყნების უმეტესობა ეწევა. ეს განპირობებულია იმით, რომ საჭიროა გარკვეული დრო, სანამ ეს ქვეყნები პროდუქციის ეფექტური წარმოების უნარს გამოიმუშავებენ, შეიქმნიან ორგანიზაციისა და მართვის მწყობრ სისტემას, რაც მათ საშუალებას მისცემს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია გამოუშვან. ეკონომისტთა უმრავლესობას მსოფლიოში მიაჩნია, რომ გარკვეული დროით საკუთარი მრეწველობის დაცვა საჭიროა, მაგრამ ბევრისათვის ეს დრო უსასრულოდ გრძელდება. ყოველივე ამის თაობაზე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, პროფესორი ლინვუდ ტ. გაიგერი წერს: „საერთაშორისო კონკურენციის ზეწოლის გარეშე, რომელიც აიძულებს სიახლეების განხორციელებას, რისკის გაწევას, დაძაბულად მუშაობას, შესაბამისი ტექნოლოგიების შერჩევას, დაცული საწარმოები და დარგები აწესებენ მონოპოლიურ ფასებს, მათი ეფექტიანობა მცირდება. ყველაფერ მას მოსდევს სტაგნაცია და თანამედროვე სტანდარტებისაგან ჩამორჩენა.

[1] გაზ. „ახალი თაობა“, 24 ნოემბერი, 2000წ.
[2] იქვე.

ხანგრძლივ პერსპექტივაში ცხოვრების მაღალ დონეს შეიძლება მივაღწიოთ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში და საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში. სწორედ ეს აიძულებს თითოეულ ქვეყანას აწარმოოს ის პროდუქცია, რომლის წარმოებაც ძალუძს მას ყველაზე ეფექტურად და შემოიტანოს პროდუქცია, რომლის ეფექტური წარმოება არ შეუძლია"[1].

ლინვუდ ტ. გაიგერს მოჰყავს ამერიკის მაგალითი და ამბობს: „წარმოვიდგინოთ „როგორი ღარიბი იქნებოდა აშშ ბევრი შტატი, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობა რომ არ არსებულიყო და მხოლოდ ის პროდუქცია მოეხმარათ, რომელთა წარმოება ამ შტატებს შეეძლოთ . . . საზოგადოება მთლიანობაში მოიგებდა თავისუფალი, პროტექციონიზმით შეუზღუდავი საგარეო ვაჭრობით"[2].

ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პოზიცია ცალსახა არაა. ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ „თავისუფალი ვაჭრობა უკვე აღარ არსებობს, ამიტომ ქვეყნებმა უნდა დაიცვან თავიანთი მრეწველობა, მაგრამ ერთდროულად გაატარონ ისეთი სამრეწველო პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება წარმოების ეფექტურობის ამაღლებისაკენ და მთავრობებმა უნდა დაიცვან მომხმარებელი მონოპოლიური ფასებისაგან"[3].

ვლ. პაპავაც თვლის, რომ „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პირობებში ქვეყნების მრეწველობისათვის პროტექციონისტულ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძნელი იქნება"[4]. ასეთ პოლიტიკას იგი „საბაზრო სტალინიზმის" კვალიფიკაციას აძლევს. „ეკონომიკურ თეორიაში მიჩნეულია, – წერს იგი, – რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის საუკეთესო სავაჭრო პოლიტიკას იმპორტზე ნულოვანი საბაჟო ტარიფები წარმოადგენს, ექსპორტის ყოველგვარი გადასახადე-

---

[1] Линвуд Т. Гайгер, Макроэкономическая теория и переходная экономика, М., 1996, с. 349-350.

[2] Там же

[3] Там же

[4] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 303.

ბისაგან განთავისუფლების, კვოტირების გაუქმებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვებისა და ლიცენზირების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღწევა ქვეყნის შიგა ბაზრის სრული ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარში და საერთაშორისო კონკურენციის ... პოზიტიური ზეგავლენა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში"[1]. თუმცა დასძენს, რომ ამგვარ სავაჭრო პოლიტიკას (მიუხედავად მისი აშკარა უპირატესობისა) მსოფლიოში სრულად მხოლოდ თითო-ოროლა ქვეყანა თუ მისდევს.

აშშ ამ ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციასაც კი უწევს მფარველობას. რომ არაფერი ვთქვათ სუბსიდირებაზე, „ამერიკის კონტინენტზე წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების აშშ-ში შეტანის მცდელობისას, თავისი ბაზრის დაცვის მიზნით, ამ პროდუქტებზე აშშ-ს შემოაქვს დამატებითი სეზონული გადასახადი"[2].

ჩვენი პირობებისთვისაც კი ჯერ კიდევ უაღრესად დაბალია საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ჩვენთვის ბალანსი ექსპორტსა და იმპორტს შორის. ამ პრობლემის გადაჭრა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. უახლოეს წლებში სიტუაცია თუ არ შეიცვლება, ჩვენს ეროვნულ ვალუტას და მთლიანად ეკონომიკას ძალზე სერიოზული პრობლემები შეექმნება.

როგორც ე.შევარდნაძე ამბობს 2000 წლის თავის წინასაარჩევნო პროგრამაში, „სამრეწველო პროდუქციაზე საქართველოს შიდა ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა. უმეტეს შემთხვევაში, იგი არ არის საკმარისი ადგილობრივი სამრეწველო სანარმოების განვითარებისათვის. სამრეწველო ობიექტების უმრავლესობა გადარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საექსპორტოდ გაიტანს თავის პროდუქციას"[3].

---

[1] ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002, გვ. 301.

[2] ვ. ლორთქიფანიძე, საბაჟო საქმის საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 21.

[3] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 41.

აქედან გამომდინარე, გასაგებია უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ქართულ ნაწარმს კონკურენციის გაწევა შეეძლოს, არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტი თავის თვალთახედვას ასე გვაცნობს: „საქართველო საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ნაწილი ხდება. ამის დასტურია ჩვენი ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მეწარმეები საქართველოსა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე უცხოურ კომპანიებთან თანასწორუფლებიან კონკურენციაში არიან ჩართული. სამწუხაროდ ჩვენს მეწარმეებს არა აქვთ ამგვარი მძაფრი კონკურენციის პირობებში მუშაობის გამოცდილება, რომლის შედეგად ძალიან შეუმცირდა ქართულ საქონელს არა მარტო საზღვარგარეთული, არამედ ადგილობრივი ბაზარიც“[1].

პრეზიდენტი ჰპირდება მეწარმეებს, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ადგილობრივ წარმოებას, რათა მან თავისი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. მისი განმარტებით, ეს ხელშეწყობა გამორიცხავს სავაჭრო ბარიერების შემოღებას, ეკონომიკურ იზოლაციას და საწარმოებისათვის „სასათბურო პირობების“ შექმნას. „ჩვენი მიზანია ადგილობრივი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება და საბაზრო პირობებში მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, – ამბობს იგი, – ამ მიმართულებით უკვე ხორციელდება და მომავალშიც განხორციელდება შემდეგი პროგრამები: საექსპორტო პროდუქციის წახალისება, საერთაშორისო ბაზრების ინფორმაციის მოპოვებაში ხელშეწყობა, მენეჯერთა სწავლება და გადამზადება, კერძო საწარმოების საკონსულტაციო ხელშეწყობა, დახმარება უცხოელი პარტნიორების მოძიებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური რესურსების მოზიდვა. საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ დაიცავს ჩვენს მეწარმეებს სხვა ქვეყნების დისკრიმინაციული ზომებისაგან - ამაში მნიშვნელოვანწილად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრის სტატუსიც დაგვეხმარება“[2].

---

[1] ე. შევარდნაძე, აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000, გვ. 38.

[2] იქვე, გვ. 39.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრიანება მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ამას ნამდვილად შეუძლია კეთილნაყოფიერი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. მსო გარანტიებს გვაძლევს უცხოეთის ქვეყნებში ჩვენი ნაწარმის დაუბრკოლებლად შეტანისათვის, გვიქმნის ხელსაყრელ პირობებს საამისოდ, მაგრამ მისი წევრობა ამავე დროს გვაკისრებს დიდ პასუხისმგებლობასაც. მართალია, პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში გვეძლევა გარკვეული შეღავათები შიდა ბაზრის დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ვადის გასვლის შემდეგ აღარც ჩვენ გვექნება უფლება ვინმეს რამენაირად შევუშალოთ ხელი უცხოური საქონლის შემოტანაში. ამიტომაც აუცილებელია ვიჩქაროთ და ვეცადოთ, რაც შეიძლება სწრაფად გავხადოთ ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი. ამის თაობაზე პარლამენტარი და მსხვილ გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი ამბობს: „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში კი გავწევრიანდით, მაგრამ თუ ჩვენს მეწარმეებს ექსპორტის განვითარების პირობები ვერ შევუქმენით, უმძიმეს ვითარებაში ჩავვარდებით. პრეზიდენტი საკანონმდებლო დონეზე შემოვა ისეთი ინიციატივებით, რომელიც ექსპორტის სტიმულირებას მოახდენს. ყველა საწარმო იქნება დაინტერესებული, რომ ექსპორტზე იმუშაოს. ეს კი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაა. ქვეყანა ოჯახივითაა - ფული თუ გარედან არ შემოვიდა, რაც არ უნდა ძლიერი საკუთარი მეურნეობა გქონდეს, ვერაფერს გახდები, ოჯახი წელში ვერ გაიმართება. ასეა სახელმწიფოც - როგორც არ უნდა განავითაროს შიდა ბაზარი და აამუშაოს საწარმოები, თუ ნაწარმი არ გაიტანა და ფული არ შემოვიდა, ვერც სახელმწიფო გაიმართება წელში“[1].

ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემა, რომელიც დღევანდელ საქართველოს აწუხებს და რომლის გადაჭრის გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის წინსვლაზე საუბარი როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროში, ენერგეტიკული კრიზისია. ეს კრიზისი გან-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 27 მარტი, 2000წ.

საკუთრებით საცნობელი გახდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თუმცა იგი ბევრად ადრე წარმოიშვა. საბჭოური ხელისუფლების უკანასკნელ წლებში ამ თვალსაზრისით ჩვენში არსებულ ვითარებას გაზეთი „კომუნისტი“ ასე აფასებდა. „ბოლო ხანებში - წერდა იგი - განსაკუთრებით იჩინა თავი ელექტროენერგიის ნაკლებობამ. 1983 წლიდან დაწყებული კი იგი თანდათანობით იზრდება. გასულ 1987 წელს ელექტროენერგიის დეფიციტმა 3 მილიარდ კილოვატსაათს გადააჭარბა. იმის გამო, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში საგრძნობლად ჭარბობს ჰიდროელექტროსადგურები, დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში - ამ დროს ენერგოსისტემა იძულებულია მომხმარებელს შეუზღუდოს, ხოლო ზოგჯერ მთლიანად შეუწყვიტოს კიდეც ელექტროენერგიის მიწოდება.

ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველოში დაბალია ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების დონე. ახლა იგი რესპუბლიკაში უდრის 2775 კილოვატსაათს, რაც ანალოგიურ საშუალო საკავშირო მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლებია (48,6 პროცენტი), ხოლო განვითარებულ ქვეყნებს 3-4-ჯერ და მეტად ჩამოვრჩებით. ამის შედეგად დაბალია შრომის ელექტროაღჭურვილობის დონეც. საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით იგი შეადგენს მრეწველობაში 67,7 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობებში - მხოლოდ 36,9 პროცენტს და კოლმეურნეობებში, ასე განსაჯეთ - 20,3 პროცენტს, არც საყოფაცხოვრებო და მომსახურების სფეროა უკეთეს მდგომარეობაში - ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ქალაქში შეადგენს 802 კილოვატსაათს, ანუ საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 75,4 პროცენტს, ხოლო სოფლად - 181 კილოვატსაათს ანუ 74,6 პროცენტს. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ აღნიშნული ჩამორჩენა ბოლო ხანს არათუ არ სწორდება, არამედ მატულობს კიდეც“[1].

მეტი თვალსაჩინოებისათვის გავეცნოთ იმავე დროისათვის მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების მონაცემებსაც, რომლებ-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 26 ოქტომბერი, 1988წ.

საც გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ გვთავაზობს. ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში საფრანგეთი გამოიმუშავებდა „7 ათასამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას, დიდი ბრიტანეთი, იაპონია და შვეიცარია - 6 ათასამდე, გფრ- 7 ათასზე მეტს, ამერიკის შეერთებული შტატები - 12 ათასამდე“[1].

მოყვანილი მაჩვენებლები მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ საქართველო ჰიდროენერგორესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უმდიდრეს ქვეყნად ითვლება. „მისი მდინარეების საშუალო წლიური ენერგოსიმძლავრე 12 მლნ. კილოვატია, ე.ი. 160 კილოვატი საქართველოს ყოველ ერთ კვადრატულ მეტრზე, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს წყლის რესურსებით ისეთი მდიდარი ქვეყნების ენერგოსიმძლავრეს, როგორიც არის: შვეიცარია, ფინეთი, ნორვეგია“[2]. საერთო მარაგით საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მესამე ადგილზე იყო, „მაგრამ თუ ამ რესურსებს ერთ კვადრატულ კილომეტრზე გადავიანგარიშებთ, ჩვენ უკვე მყარად ვიკავებთ პირველ ადგილს“[3]. როგორც საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ო.ვარძელაშვილი წერდა, „მარტო დღეისათვის რეკომენდებული ჰიდროენერგორესურსების ათვისება მოგვცემდა საშუალებას ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის გამომუშავების დონით უკან ჩამოგვეტოვებინა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ატომური, თბო და ჰიდროსადგურების გამომუშავების ჯამით. გარდა ამისა ჩვენ ჯერ წესიერად არც კი დაგვითვლია, თუ რა ენერგორესურსები გვაქვს მცირე მდინარეებზეც“[4].

ვითარების გაუმჯობესებისათვის საბჭოურ ხელისუფლებას საგანგებო ღონისძიებანი დაუსახავს. კერძოდ, 1990 წელს შეუდგენიათ რესპუბლიკის ენერგეტიკული პროგრამა მომავალი 15 წლის მანძილზე, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ 2005 წლისათვის ელექტროენერგიის წარმოება 37,6 მილიარდ კილოვატსაათამდე გაზრდილ-

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 დეკემბერი, 1989წ.
[2] გაზ. „თბილისი“, 21 აგვისტო, 1991წ.
[3] გაზ. „თბილისი“, 24 აგვისტო, 1989წ.
[4] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 დეკემბერი, 1989წ.

იყო, რაც 1990 წლის საგეგმო დონესთან შედარებით 2,2-ჯერ მეტი იქნებოდა ამ გეგმებზე საუბრისას გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებიდან 37,2 პროცენტი მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე და 62,8 პროცენტი - თბოელექტროსადგურებზე. მომავალი 15 წლის მანძილზე რესპუბლიკის სათბობენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაზე დაიხარჯება დაახლოებით 4 მილიარდი მანეთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ენერგეტიკა მომავალშიც უმთავრესად დაფუძნებული იქნება შემოტანილ სათბობზე. რაც შეეხება ელექტროენერგიას, უკვე 1995 წლიდან, ენერგიის რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ელექტრობალანსი დადებითი იქნება; ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი გაიზრდება 2,1-ჯერ“[1].

როგორც ვხედავთ, ეს გეგმები საკმაოდ ამბიციურად გამოიყურება, მაგრამ ისინი შედგენილი იყო არა მარტო საბჭოთა კავშირის ნგრევის, არამედ უკვე მაშინ კარსმომდგარი სერიოზული ეკონომიკური კრიზისის პერსპექტივის გაუთვალისწინებლად და, ცხადია, რომ მათ განხორციელება არ ეწერათ, თუმცა მომავლისათვის ასეთი პროგრამის ხორცშესხმა ჩვენში სავსებით რეალურია, ჩვენს ქვეყანას საამისოდ დამატებით შესაძლებლობებს უქმნის ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობები, რომელთა რეალიზაცია აღარავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

ზემოხსენებული პროგრამის შედგენამდეც ენერგეტიკული პრობლემის გადასაჭრელად საბჭოური ხელმძღვანელობა ჰიდროელექტროსადგურების საკმაოდ მასშტაბური პროექტების განხორციელებას შეუდგა. კერძოდ, დაიგეგმა რამდენიმე დიდი ჰესის აგება, მაგრამ „პერესტროიკის“ პერიოდის მძლავრი საპროტესტო მოძრაობის შედეგად (ამ პროცესში ფართოდ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩვენი საინფორმაციო საშუალებანიც), ეს მშენებლობები შეწყდა. მოესწრო მხოლოდ ერთის - ენგურჰესის მწყობრში ჩადგომა, დანარჩენისა კი ან დაკონსერვდა ან საერთოდ არ დაწყებულა. განსაკუთრე-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 26 ოქტომბერი, 1988წ.

ბული ხმაური ატყდა ხუდონჰესის გამო, რომლის მშენებლობაზე საკმაოდ დიდი ოდენობის თანხა დაიხარჯა, მაგრამ მაინც შეჩერებულ იქნა.

მსხვილი ჰესების საწინააღმდეგო მოძრაობაში ყველაზე მეტად აქტიურობდნენ ადამიანები, რომლებიც, როგორც წესი, არ იყვნენ „არც ენერგეტიკის დარგის სპეციალისტები და არც მატერიალური ბალანსების სფეროში დასაქმებული ეკონომისტები“[1].

საპროტესტო მოძრაობას მსხვილი ჰესების მშენებლობის გამო თითქოს მხოლოდ ეკოლოგიური მოსაზრებები განაპირობებდნენ, მაგრამ მთლად ასეც არ იყო სინამდვილეში საქმე. მისი მონაწილენი თვლიდნენ, რომ ასეთი ელექტროსადგურები თავიანთი ხელოვნური ზღვებით ისედაც მცირემიწიან საქართველოს აკარგვინებდნენ საკმაოდ დიდ ფართობს, ანადგურებდნენ ფლორასა და ფაუნას, ზედმეტად ანესტიანებდნენ ჰაერს, ცვლიდნენ კლიმატს, კაშხალის მოწყვეტის საშიშროება კი საფრთხეს უქმნიდა ვრცელ ტერიტორიებზე დასახლებული ხალხის ქონებასა და სიცოცხლეს, იქ განლაგებულ მატერიალური კულტურისა და ისტორიულ ძეგლებს და სხვ. ეს პრეტენზიები არ იყო საფუძველს მოკლებული, მაგრამ საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერება მაშინ არ ყოფილა (და არც ახლაა) ისეთ დონეზე, რომ მარტო ამ მოსაზრებების გამო გამხდარიყო საპროტესტო მოძრაობა ასე მასშტაბური. საკმაოდ საგრძნობი იყო ისიც, რომ მოსახლეობა ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა „პერესტროიკის“ პოლიტიკით შექმნილი შესაძლებლობა რევანში აეღო ხელისუფლებისაგან იმ დამცირების გამო, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა ამ უკანასკნელისაგან, და აეძულებინა იგი მის ნებაზე ეთამაშა. შედეგად ხშირად დაპირისპირება ხელისუფლებასთან უფრო თვითმიზნურ ხასიათს ატარებდა და ნაკლებად იყო მოტივირებული კარგად გააზრებული და გაცნობიერებული აუცილებლობის შეგნებით. ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ფაქტობრივად არავინ აქცევდა ყურადღებას თვალსაჩინო სპეციალისტების გამოსვლებს, თუმცა ისინი საფუძვლიან კონტრარგუმენტ-

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 დეკემბერი, 1989წ.

ებს გვთავაზობდნენ მსხვილი ჰესების მშენებლობის სასარგებლოდ. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს. „აქვს თუ არა დიდ ჰესებს უარყოფითი მხარეები? რა თქმა უნდა აქვს. - წერდა ო.ვარძელაშვილი - განა არსებობს რაიმე დიდი საქმე უარყოფითი მხარეების გარეშე? ამ ბოლო ხანებში ბევრი ჩვენი მეცნიერი - სპეციალისტი თვლის, რომ მცირე ჰესებიც დიდ ეკოლოგიურ დარტყმას მოგვაყენებს. მაგრამ დავუბრუნდეთ დიდი ჰესებისაგან მოსალოდნელ უარყოფით მხარეებს.

რა თქმა უნდა, ასეულ ათასობით, ზოგჯერ მილიონობით ჰექტარი ფართობების დატბორვა, რასაც ვხედავთ რუსეთის, უკრაინის, ეგვიპტის, ერაყის, თურქეთის თუ სხვა ქვეყნების პირობებში ბარის მდინარეების გადაკეტვისას. ძალზე მძიმე მოვლენაა და ეკონომიკურად საჭოჭმანოც, თუ ამ ქვეყნების სხვა ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფას მივიღებთ მხედველობაში. ჩვენ კი ვკეტავთ მხოლოდ მთის ვიწრო ხეობებს და ლაპარაკი გვაქვს ასობით, უკიდურეს შემთხვევაში ათასობით ჰექტარის დატბორვაზე. რა თქმა უნდა ჩვენი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის ესეც დიდია, მაგრამ ჩვენ ხომ სხვა ენერგეტიკული რესურსები თითქმის არ გაგვაჩნია“[1].

ავტორი არ უარყოფს, რომ დიდი წყალსაცავები ცვლის ჰავას და ახალი ხასიათის ეკოსისტემის შექმნას უწყობს ხელს, მაგრამ, მისი შეფასებით, ეს ცვლილებები უმეტეს შემთხვევაში დადებითი ხასიათისაა. კლიმატი უფრო თბილი და ზომიერი ხდება. შეიძლება თუ არა, რომ გარკვეულ კონკრეტულ პირობებში კლიმატის ცვლილებები უარყოფითი იყოს, – კითხულობს იგი, – რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ეს ასევე კონკრეტული შესწავლის საგანია.

იწვევს თუ არა, მაგალითად, ენგურის წყალსაცავი რაღაც გაუგონარ ავადმყოფობას სვანეთში? ამ კითხვას ძალზე ძლიერი ემოციური დატვირთვა აქვს. წარმოიდგინეთ ჩვენი ლაღი, ამაყი და თვალტანადი სვანი „რაღაც-რაღაც ავადმყოფობისაგან“ დაბეჩავებულ-დაჩიავებული. დასკვნა თავისთავად მოდის - ვის სჭირდება ასეთი ენერგეტიკა?

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 დეკემბერი, 1989წ.

მაგრამ რატომ, რა სარწმუნო წყაროები გვაქვს ამის მტკიცებისა? განა შავი ზღვის ნაპირებზეც არ ცხოვრობენ სვანები, განა მოგვცა მედიცინამ ასეთი დასკვნა, ან ვინ დაგვიშალა, რომ დასკვნა მივიღოთ სათანადო ინსტიტუტიდან?

ანდა სარწმუნოა თუ არა, რომ სვანეთში ზვავები და მეწყერები წყალსაცავმა გამოიწვია. ხელაღებით არაფრის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ განა არ ვხედავთ, რომ დღეს მთელი ჩვენი პლანეტა ეკოლოგიური კატაკლიზმების რაღაცა პერიოდული ციკლის სტადიაშია. შორს რომ არ წავიდეთ, ვნახოთ რა ასეთი წყალსაცავები და ჰესები გვაქვს, მაგალითად, ხარაგაულის რაიონში, რომ ასე გაძლიერდა იქ მეწყერებიც და ზვავებიც.

და ბოლოს, კაშხალის მოწყვეტის საშიშროება. ეს უფრო ტექნიკური საკითხია, ვიდრე პრინციპული. კაშხალი ისე უნდა აიგოს, რომ არ დაინგრეს არც ადრე აღნიშნული, არც მოსალოდნელი სიძლიერის კლიმატურ-გეოლოგიური მოვლენებისაგან, მაგრამ არსებობს თუ არა რომელიმე კაშხალი ან სხვა დიდი ნაგებობა მსოფლიოში, რომელიც აბსოლუტურად დაზღვეულია კატასტროფისაგან? რა თქმა უნდა, არ არსებობს"[1].

მსგავსი არგუმენტაცია მოჰყავს დიდი ჰიდროელექტროსადგურების აშენების აუცილებლობის იდეის დასაცავად ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ შალვა კერესელიძესაც გაზეთ ,,სოფლის ცხოვრებაში" გამოქვეყნებულ სტატიაში ,,საქართველო: დამოუკიდებლობის წინამძღვრები". ,,ჰიდროელექტროსადგურებმა, რომ სახნავ-სათესად ვარგისი მიწების ნაწილი მართლა მიიტაცეს, ეს სწორია, - წერს იგი, - მაგრამ მეორეს მხრივ, ამ მიტაცებულ მიწებზე, რომ სამაგიეროდ დიდებული კრიალა და სუფთა წყალსაცავები გაგვიჩინეს თევზისა და ფრინველ-ცხოველების ბუნებრივი მომრავლებისათვის, სასმელი და სარწყავი წყლების სახით, რატომ ვივიწყებთ?"[2].

ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ წყალსაცავებმა ჰაერი დაანესტიანეს, მისი მტკიცებით, ბათუმსა და ქობულეთში ნალექებ-

[1] გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტი", 26 დეკემბერი, 1989წ.
[2] გაზ. ,,სოფლის ცხოვრება", 21 დეკემბერი, 1989წ.

ის რაოდენობა 2000 მილიმეტრზე მეტია წელიწადში, მაგრამ მათ ამის გამო საკურორტო მნიშვნელობა არ დაუკარგავთ. „ისმება კითხვა, – ამბობს იგი, – რა ასე გადაჭარბებულ მიუღებელ სინესტეს შექმნიდა რიონჰესი, ენგურჰესი და ხუდონჰესი ზღვასთან შედარებით წვეთის მოცულობის მცირე წყალსაცავებით, რომ მათ ჩვენ გვავნონ? ჰაერის „დანესტიანების“ კონცეფციის გამოყენება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საწინააღმდეგოდ, არადამაჯერებლად მეჩვენება. ასახელებენ აგრეთვე საფრთხეს, რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ერთ უბედურ დღეს გასკდეს მისი კაშხალი და ამ წყალსაცავი ზღვებიდან გადმოვარდნილი წყალის ბობოქარმა ტალღებმა მთელი ახლომდებარე სამყარო წალეკოსო. ისმება კითხვა - ასეთი შიში მართლა რეალურია, თუ ესეც კვლავ მოგონილია? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, პირველ ყოვლისა, გავიხსენოთ, რა ფაქტები გვაქვს და რა ცოდნა დააგროვა ამ მიმართებით მსოფლიოს მეცნიერებამ. ჰიდროელექტროსადგურებს საკმაოდ დიდი ისტორია აქვთ, მაგრამ მათი კახშალების გარღვევების შემთხვევები თითზე ჩამოსათვლელია. და თუ სადმე მათი დაზიანება აღინიშნა, ეს არ ყოფილა გამოწვეული მათი აგების პრინციპული გარდუვალობით, ყველგან ამის მიზეზი იყო მხოლოდ სამშენებლო ტექნოლოგიის დარღვევები და მაშინ რა საშიშია, რომ ჰიდროსადგურები არ ავაგოთ“[1].

და მაინც ასეთი სულისკვეთების მატარებელი პუბლიკაციები იმდროინდელ მედიაში იშვიათობა იყო. განუზომლად მეტი ქვეყნდებოდა მასალები, რომლებშიც დიდი ჰესების მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. და ეს ასახავდა ამ საკითხის გარშემო მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ განწყობილებას. იმ პერიოდის მიტინგებზე, რომლებსაც ფაქტობრივად პერმანენტული ხასიათი ჰქონდათ, არა ერთხელ გაჟღერებულა უმძიმესი ბრალდება კომუნისტური პარტიისადმი, რომ ამ უკანასკნელმა ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე შეგნებულად წამოიწყო და მიზანსწრაფულად წარმართა ეკოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ. ერთ-

[1] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 21 დეკემბერი, 1989წ.

ერთ მიტინგზე ჩვენ გავხდით მოწმე იმისა, თუ როგორ ჩამოაგდეს ტრიბუნიდან ისე, რომ სიტყვის დამთავრება არ აცალეს, თვალსაჩინო მეცნიერი-ჰიდროტექნიკოსი, როცა იგი შეეცადა რბილ ფორმებში უარეყო ეს ბრალდება. საკითხისადმი სწორედ ასეთი ულტრარადიკალური მიდგომაა ფიქსირებული საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის გურამ მაქაცარიას სტატიაში მრავლისმეტყველი სათაურით „ბრალს ვდებ გენოციდში“, რომელიც გაზეთ „წუთისოფელში“ გამოქვეყნდა. ავტორი ენგურჰესს, რომლის გარეშეც რა დღეში იქნებოდა ამჟამად საქართველო, ამის წარმოდგენაც კი ძნელია, უწოდებს „ქართველ ტექნოკრატთა მიერ შექმნილ ურჩხულს“ და თვლის, რომ მისი აშენებით „ქართველი ერის ისტორიაში დაიწყო საბედისწერო ერა“[1].

მსგავს პირობებში ლამის გმირობის ტოლფასი იყო მედიის საშუალებით საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, იმის მტკიცება, რომ ენგურჰესის მშენებლობა არამცთუ ბოროტება არ ყოფილა, არამედ აუცილებელი იყო სხვა დიდი ჰესების აგებაც. სწორედ ასე უნდა შეფასდეს ომარ ვარძელაშვილის სტატია „ენერგეტიკა-ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი“, რომელშიც ნათქვამია: „მე ვთქვი, რომ ფუქსავატები უნდა ვიყოთ, რომ ენგურჰესის აშენების შემდეგ აღარ ავაშენოთ ხუდონჰესი-მეთქი. რატომ? იმიტომ, რომ ენგურჰესის აშენებით თითქმის ყველა უარყოფითი, რაც დიდ ჰესს და მის წყალსაცავებს ახასიათებს, უკვე სახეზე გვაქვს. წყალსაცავში ჩვენ ვიჭერთ მდინარის მთელ დებიტს. მის ზემოთ რამდენი წყალსაცავიც არ უნდა ავაშენოთ, წყალი კი არ მოიმატებს, არამედ ერთი და იგივე რაოდენობის წყლისაგან რამოდენიმეჯერ მივიღებთ ენერგიას“[2]. ამ შემთხვევაში ენგურის არსებული კაშხალის დატვირთვა კი არ იზრდება, არამედ მცირდება კიდეც. შესაბამისად მისი მოწყვეტის რისკიც მცირდება და კატასტროფის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის მასშტაბებიც. „სპეციალისტების ანგარიშით კასკადის რამდენ ახალ სადგურსაც ავაშენებთ პირველი კაშხალის ზემოთ, იმდენად უფრო გაიაფდება მიღებული ელექტრო-

[1] გაზ. „წუთისოფელი“, 5 დეკემბერი, 1990წ.
[2] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 26 დეკემბერი, 1989წ.

ენერგიის ერთეულის ღირებულება, – ამტკიცებს იგი, – გამოიყურება თუ არა ასეთი მსჯელობის ფონზე ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტა ზერელე გადაწყვეტილებად? მე მგონია გამოიყურება. ჰოდა, ფუქსავატობა სწორედ ზერელობა და დაუდევრობაა. სხვათა შორის ხუდონის მშენებლობაზე უკვე დახარჯული გვაქვს 150 მილიონ მანეთზე მეტი არა რესპუბლიკის, არამედ საკავშირო ბიუჯეტიდან. ამასთან, იგივე ბიუჯეტიდან მესტიის მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გათვალისწინებული გვქონდა 60 მილიონი მანეთი, ახლა ამასაც ვკარგავთ. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მომავალში გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების ანარიცხები უნდა გახდეს სვანეთის მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო"[1].

ეს შეგონებანი ამაო გამოდგა. მეტისმეტად დიდი იყო განსხვავება ძალთა შეფარდებაში მსხვილი ჰესების მშენებლობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ, რომლებიც ამავე დროს უაღრესი აგრესიულობითაც გამოირჩეოდნენ, რომ მოვლენათა სხვაგვარი განვითარება ყოფილიყო შესაძლებელი. ის კი არა და ერთხანს მსჯელობაც ამის თაობაზე ფაქტობრივად ტაბუირებულ იქნა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა საზოგადოებისათვის უფრო თვალსაჩინო გახდა ენერგეტიკული დეფიციტის რეალობა და როცა რადიკალური განწყობილებანი მოსახლეობაში რამდენადმე მინელდა, მოხერხდა აღნიშნულ საკითხზე საუბრის განახლება, თუმცა პრობლემის სიმწვავე ამ თვალსაზრისით ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვისაც კი ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მოხსნილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბოფიზიკის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი შეყრილაძე ამის თაობაზე სტატიაში „როგორ ვიარეთ?" წერდა: „ენერგეტიკის პრობლემების სფეროში საზოგადოებრივი აზრი ჩვენში დეზორიენტირებულია. წამყვან სპეციალისტებს თითქმის თავგანწირვად ულირთ პრესაში ელემენტარულ ჭეშმარ-

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 26 დეკემბერი, 1989წ.

იტებათა გამოთქმა. ბევრმა რიგითმა მოქალაქემ არც კი იცის, რომ ენგურჰესის შესადარი სიმდიდრე რესპუბლიკაში სხვა არც კი გაგვაჩნია, რაც ყველაზე სამწუხაროა ხუდონჰესის მშენებლობის შეწყვეტაში გადამწყვეტი როლი ეროვნული მოძრაობის პოზიციამ შეასრულა, შედეგად მშენებლობის მხარდაჭერა ანტიეროვნულ ქმედებას გაუტოლდა"[1]. ი.შეყრილაძე თვლის, რომ ,,ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება იყო საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების პირდაპირი შელახვა. ჩვენზე მდიდარი და უფრო მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების მიმდევარი ქვეყნები ექვივალენტური ენერგეტიკული ეფექტის მიღებისთვის გაცილებით მეტ მსხვერპლზე მიდიან"[2].

სტატიის ავტორის აზრით, ხუდონჰესისა და საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სხვა ობიექტების მშენებლობათა შეჩერების მოთხოვნით ჩვენ ფასდაუდებელი სამსახური გავუწიეთ კრემლს იმ შეცდომათა გამოსასწორებლად, რომელიც მან თავის დროზე დაუშვა, როცა საქართველოს ამ მშენებლობებისათვის უზარმაზარი თანხები გამოუყო. ,,ახლა შევეცადოთ ხსენებული მშენებლობების პრობლემას საბჭოთა იმპერიის პოზიციებიდანაც შევხედოთ, - ამბობს იგი, - მაშინ, როცა ჩვენ თბილისში ამ პრობლემაზე ვკამათობდით, მოსკოვში სამომავლო დასკვნები უკვე გაკეთებული იყო. კერძოდ, პერსპექტივაში იმპერიის ეკონომიკური კრახის გარდაუვალობა ხელისუფლების უმაღლეს დონემდე იყო გაცნობიერებული. რაც შეეხება საქართველოს, აქ ცენტრს წინა წლებში ერთი დიდი შეცდომა აღმოაჩნდა დაშვებული. ეს იყო სწორედ იმ მილიარდი მანეთის რიგის კაპიტალდაბანდების გამოყოფა, რომელიც ხსენებული მშენებლობებისათვის იყო გამიზნული. ამ შეცდომის გამოსწორება უკვე დაწყებული მშენებლობების შეწყვეტის გზით ცენტრს უჭირდა. ეს დაკავშირებული იყო მოსახლეობის არც თუ მცირე ჯგუფისათვის საარსებო წყაროს გამოცლასთან (ამ ჯგუფის მასშტაბს, ცხადია, კაპდაბანდების მასშტაბი განსაზღვრავდა, რისი შეუნიღბავად გაკეთებაც სოციალურ დემაგოგიაზე დამყარებული

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 11 იანვარი, 1992წ.
[2] იქვე.

იმპერიისათვის ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი იყო. ასე რომ ამ მშენებლობათა წინააღმდეგ ჩვენში გაშლილი შეურიგებელი ბრძოლა ცენტრისათვის დიდი შვება იყო. მას მიეცა უნიკალური შესაძლებლობა მიზნისთვის ისე მიეღწია, რომ თან შეწყვეტის მოწინააღმდეგისა და დიდი სამშენებლო კოლექტივების ინტერესების დამცველის როლიც კი შეესრულებინა“[1].

როგორც ალტერნატივას მსხვილი ჰესების მოწინააღმდეგენი მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას გვთავაზობდნენ. მათი აზრით, ამ უკანასკნელებს მთელი რიგი უპირატესობანი გააჩნია. რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერს კონსტანტინე შიშოვს ამის დასტურად მიაჩნია მათი ,,ეკოლოგიური სისუფთავე, ნაგებობათა სიმარტივე, მშენებლობის მცირე ვადები, საჭირო მუშახელის სიმცირე და სხვ.“[2]. მცირე ჰესების აგებას იგი მით უფრო მიზანშეწონილად თვლის, რომ საქართველოში ამის მდიდარი პრაქტიკა არსებობს და ჩვენს მდინარეებსაც კოლოსალური ენერგეტიკული პოტენციალი აქვს.

მცირე ენერგეტიკას ანიჭებს უპირატესობას გამოცდილი ქართველი ენერგეტიკოსი მიხეილ ზუბიაშვილიც, რომლის ინტერვიუ გაზეთმა ,,თბილისმა“ დაბეჭდა სათაურით ,,უსამართლოდ უარყოფილი ანუ ავაღორძინოთ მცირე ენერგეტიკა“. ოღონდ თავის პოზიციას იგი ასაბუთებს იმით, რომ მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დიდ დროსა და კოლოსალურ სახსრებს მოითხოვს, რისი გაღების საშუალებაც საქართველოს არ ჰქონდა. იგი ამბობს: ,,მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურები არ მოითხოვენ მსხვილ კაპიტალდაბანდებებს. შეიძლება აიგოს 2-2,5 წელიწადში და თავის თავს აანაზღაურებენ უფრო სწრაფად, ვიდრე მსხვილი ჰესები“[3]. თუმცა კორესპონდენტის კითხვაზე ,,თქვენი დასაბუთებული მოსაზრებანი მთლიანად ეწინააღმდეგება მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მომხრეთა აზრს?“ რესპონდენტი გარკვევით უპასუხებს: ,,არავითარ შემთხ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11 იანვარი, 1992წ.
[2] გაზ. „თბილისი“, 24 აგვისტო, 1989წ.
[3] გაზ. „თბილისი“, 26 აგვისტო, 1991წ.

ვევაში. გთხოვთ სწორად გამიგოთ: ერთი მეორეს ხელს არ უნდა უშლიდეს. პირიქით, ისინი ჰარმონიულად უნდა ავსებდნენ ერთმანეთს და და ითვალისწინებდნენ ადგილობრივ პირობებს, რეგიონის ინტერესებს. მაგალითად, ისეთმა მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, როგორიც გახლავთ შვეიცარია და იტალია, მსხვილი ჰესების პარალელურად სრულად აითვისეს მცირე და საშუალო მდინარეების ენერგია და ამით ევროპაში ელექტროენერგიის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორები გახდნენ. ამ ქვეყნებში მთის ფერდობებიდან ნამოსული ნიაღვრებიც კი ენერგიად არის გამოყენებული"[1].

მიხეილ ზუბიაშვილი განმარტავს, რომ ,,60-იანი წლების დამდეგამდე, რესპუბლიკაში გვქონდა 300 მცირე და საშუალო ჰესი. დროთა განმავლობაში მათი დიდი ნაწილი ძალიან მოძველდა, გაოხრდა მათი მეურნეობა, ელექტროენერგიის დეფიციტი კი, მიუხედავად ენგურის გიგანტის ამოქმედებისა, დღითიდღე მატულობდა. ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალს დიდი ხანია პირადად მე ვხედავ მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობაში. ისინი იმუშავებდნენ ავტონომიურად, თითქმის მთელ ნელიწადს, საქართველოს მთელი ენერგოსისტემისგან დამოუკიდებლად"[2].

რესპონდენტს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს ისიც, რომ ,,ქართული სპეციალისტი - ჰიდროენერგეტიკოსები მუდამ საუკეთესოებად ითვლებოდნენ კავშირში, ხოლო მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობაში მუდამ პირველობდნენ როგორც რუსეთის ისტორიაში, ისე სსრკ-ში"[3].

მსხვილი და მცირე ჰესების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის რაღაც შუალედურ პოზიციას გვთავაზობს ვლადიმერ ჯაფარიძე სტატიაში ,,უპირველესად ენერგეტიკა". იგი თვლის, რომ ,,წყალსაცავების მოწინააღმდეგეთა პოზიციებიც სერიოზულია და გასათვალისწინებელია მათი არგუმენტები. ასეთი წყალსაცავები იწვევს ბუნებრივი პირობების შეცვლას (თუმც კი ზოგჯერ

[1] გაზ. „თბილისი", 26 აგვისტო, 1991წ.
[2] იქვე.
[3] იქვე.

უკეთესობისაკენ), კორექტივები შეაქვს ხეობის ტერიტორიის სამეურნეო საქმიანობაში, ცვლის მის გეოსტრუქტურას, ჰავას, ახდენს ნაპირების გადაფორმებას, ფარავს სასარგებლო ფართობებს - ტყეებს, საძოვრებს და რაც ყველაზე ტრაგიკულია, ზოგჯერ აუცილებელი ხდება სოფლების აყრა-გადასახლება, იტბორება და ნადგურდება არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები.

დასამალი არ არის, აი ასეთ წინააღმდეგობათა ვითარებაში იქმნება წყალსაცავები, მაგრამ ესეც ფაქტია, ასეთ ცვლილებებს ძირითადად იწვევენ დიდი წყალსაცავები, საქართველოში კი უმთავრესად მცირე წყალსაცავები გვჭირდება, რომელთა როლი ბუნებრივი პირობების შეცვლაში მეტად უმნიშვნელოა. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ ჩვენთან წყალსაცავების მშენებლობა აუცილებელია, ოღონდ მათ დაგეგმარებაში უნდა მონაწილეობდნენ არა მარტო ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსები, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, არამედ აგრეთვე ეკოლოგიის სპეციალისტები, არქეოლოგები, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა თანადგომა აგვაცილებს შეცდომებს“[1].

მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის არც დიდი ჰესების მომხრენი უარყოფენ. მხოლოდ ისინი თვლიან, რომ ენერგეტიკის პრობლემის გადასაჭრელად გადამწყვეტი როლი მხოლოდ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ შეასრულონ. შალვა კერესელიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩემი აზრით, დიდი ელექტროსადგურების ნაცვლად მთლიანად მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე გადასვლა დიდი შეცდომა იქნება. ამით ჩვენ, რა თქმა უნდა, მთლიანად როდი გამოვრიცხავთ მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას, განსაკუთრებით ისეთი შორეული რეგიონებისათვის, სადაც დიდი სადგურებიდან ენერგიის მიწოდებას ბევრი სიძნელე, დანაკარგი და ხარჯი ახლავს“[2].

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო ჰიდროენერგორესურსებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა, მაგრამ ეს

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ოქტომბერი, 1992წ.
[2] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1989წ.

სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურებით უნდა შემოვიფარგლოთ და უარი ვთქვათ ენერგიის სხვა წყაროებზე. თითოეულ ამ წყაროს თავისი უპირატესობანი და ნაკლოვანებანი გააჩნია და მათს გამოყენებასაც ჰყავთ მომხრეები და მოწინააღმდეგენი. ყველაზე მეტად უპირისპირდებიან ატომური ენერგიის გამოყენების შესაძლებლობას. თავის დროზე (კომუნისტური ხელისუფლების ბოლო წლებში) კიდევაც დაიგეგმა ერთი ასეთი ელექტროსადგურის აშენება ჩვენში, მაგრამ ეს განზრახვა ფაქტობრივად ჩანასახშივე ჩაკვდა მოსახლეობის პროტესტის გამო. სერიოზული მსჯელობა ამ საკითხზე მედიის საშუალებით არც გამართულა, თუმცა ცალკეულ სპეციალისტთა და პუბლიცისტთა მხრიდან იყო მცდელობა ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის საჭიროების დასაბუთებისა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ შალვა კერესელიძე, რომელიც წერდა: „პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ატომური ენერგიის აღმოჩენამ, მისმა ეფექტიანმა გამოყენებამ შესძრა მთელი ჩვენი სამყარო, შესძრა უდიდესი ძალითაც და უდიდესი შიშითაც. ადამიანებს რა დაავიწყებს ხიროსიმასა და ჩერნობილს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ატომურ ენერგიას კვლავ იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. უკვე აწყობილია და წარმატებით მუშაობს მსოფლიოში 400-ზე მეტი მძლავრი, იაფი, სუფთა ატომური ელექტროსადგურები. ატომური ელექტროსადგურის გარეშე დღეს თითქმის არც ერთი დიდი ქვეყანა არაა დარჩენილი“[1].

ენერგიულად უჭერდა მხარს ატომჰესების აშენებას მწერალი გურამ ფანჯიკიძეც. მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „შარავანდედში“ მან დაბეჭდა კიდეც რამდენიმე საყურადღებო მასალა ამ საკითხზე, მაგრამ მისი ხმაც დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამაო გამოდგა სპეციალისტთა მცდელობა დაერწმუნებინათ მოსახლეობა, რომ ატომური ელექტროსადგურების უსაფრთხოებ-

[1] გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 21 დეკემბერი, 1989წ.

ის უზრუნველსაყოფად საიმედო გარანტიები იყო შექმნილი, მათ ფაქტობრივად არავინ უსმენდა.

საზოგადოება ჩვენში არამარტო ატომური ელექტროსადგურების აშენებას, არამედ სამეცნიერო მიზნებით ატომური ენერგიის გამოყენებასაც ეწინააღმდეგებოდა. ამის დამადასტურებელი იყო მცხეთის მახლობლად ატომური რეაქტორის დახურვაც, რის გამოც გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „რამდენიმე დღეა მცხეთა ბობოქრობს. საქველმოქმედო საზოგადოება „მცხეთელის“ ინიციატივით პიკეტი დგას მუხათგვერდთან არსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის წინ. „მომავალი თაობა რადიაციის გარეშე“, „მცხეთა-ურადიაციო ზონა“ - წერია ტრანსპარანტებზე“[1].

გაზეთის ცნობით, ამ აქციას წინ უძღოდა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა ატომური რეაქტორის გაუქმება მოითხოვეს. მათი აზრით, უკანასკნელ ათწლეულებში რაიონში იმატა ავთვისებიანი სიმსივნეებით, ლეიკოზით, ანემიით დაავადებულთა, პათოლოგიურ და ტოქსიკურ ორსულობათა რიცხვმა, მკვდრადშობადობამ.

„საქმე განსაკუთრებით ჩერნობილის ავარიის შემდეგ გამწვავდა, – წერდა გაზეთი, – შარშან აგვისტოში „მცხეთელის“ თაოსნობით მოეწყო დიალოგი ბირთვული ცენტრის წარმომადგენლებთან.

ასეთივე შინაარსის შეხვედრა გაიმართა წლეულს 23 თებერვალსაც.

...შეკრებილთა უმრავლესობა კატეგორიულად მოითხოვდა ატომური რეაქტორის ლიკვიდაციას... პრობლემის გადაჭრის პრეტენზია ამ შეხვედრას არ ჰქონია. შეთანხმდნენ, რომ შექმნილიყო მეცნიერთა კომპეტენტური კომისია პრობლემის ღრმად შესწავლისათვის, გაეთვალისწინებინათ საზოგადოებრივი აზრი...

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოვლენები, როგორც იტყვიან, ელვისებურად განვითარდა. საზოგადოებრიობამ არ დაუცა-

[1] გაზ. „კომუნისტი“, 25 მარტი, 1990წ.

და კომისიის შექმნას და 20 მარტს ხალხმრავალ მიტინგზე მტკიცედ მოითხოვა რეაქტორის გაუქმება... იმავე საღამოს ბირთვული ცენტრის წინ პიკეტი მოეწყო“.[1]

ამგვარი ზეწოლისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო და მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თავის საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება რეაქტორის დახურვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი გვამცნობს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს გიორგი ხარაძისა და ბირთვული ცენტრის ხელმძღვანელის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის შუქრი აბრამიძის მოსაზრებებს. გიორგი ხარაძე, კერძოდ, ამბობს: „საქართველოში კვლევითი ბირთვული რეაქტორი 1959 წელს ამუშავდა და ოცდაათი წლის მანძილზე მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ დანადგარს წარმოადგენდა. მისი მეშვეობით რესპუბლიკაში განვითარდა თანამედროვე მეცნიერების ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მყარი სხეულების დაბალტემპერატურული რადიაციული ფიზიკა, მაგნიტური ნეიტრონოგრაფია, ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზი და რამდენიმე სხვა მიმართულება.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში ბირთვული რეაქტორი, რომელსაც მაღალი კვალიფიკაციისა და დიდი გამოცდილების მქონე ინჟინერ-ფიზიკოსები და ოპერატორები მართავდნენ, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა სრული დაცვით მუშაობდა, გარემოს გაჭუჭყიანების უმნიშვნელო შემთხვევაც კი არ აღრიცხულა“[2].

გ. ხარაძე განმარტავს, რომ ჩვენს ატომურ რეაქტორს არასოდეს გარემოსათვის ზიანი არ მოუტანია, მაგრამ საზოგადოებრიობა იმდენად იყო დამუხტული საწინააღმდეგო „არგუმენტებით“, რომ, ფიზიკოსებს პირდაპირ ამტყუნებდნენ,, როგორ თუ რეაქტორს იცავთო. „რას იზამ, დღეს საყოველთაო უნდობლობის ხანაში ვცხოვრობთ, — ამბობს იგი, — ალბათ, სხვა სათანადო სამსახურებთან

[1] გაზ. „კომუნისტი“, 25 მარტი, 1990წ.
[2] იქვე.

ერთად მოგვიხდება პრესითა და ტელევიზიით გამოსვლა ამ საკითხისათვის ნათელის მოსაფენად, თუნდაც იმის სათქმელად, რომ საფრანგეთში ბევრად უფრო მძლავრი ატომური რეაქტორი საქვეყნოდ ცნობილ კურორტ გრენობლზე მოქმედებს, ხოლო იაპონიაში პლაჟზე.

არც იმის უთქმელობა გვმართებს, რომ რეაქტორის გაუქმება დიდ ზიანს მოუტანს საქართველოში მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას. მოგვიხდება ბევრი თემის დახურვა, კვლევის მიმართულების შეცვლა, ისეთი სამუშაოების შეწყვეტა, რომლებიც რესპუბლიკას შემდგომში გამოადგებოდა, გარკვეულ წვლილს შეიტანდა მის ეკონომიკურ განვითარებაში"[1].

ასეთივე გულისტკივილი გამოსჭვივის შუქრი აბრამიძის სიტყვებშიც: ,,დაარსების დღიდან, უკვე 31 წელიწადია ვმუშაობ ბირთვულ ცენტრში, რეაქტორს არასოდეს არ მიუყენებია ზიანი გარემოსათვის და მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანაც უმტკივნეულოდ განხორციელდება. ფიზიკის ინსტიტუტისათვის ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძალზე მძიმე იყო... ისე კი მომავალში, მჯერა, თვით ცხოვრება, ეკონომიკისა და სამეცნიერო აზრის განვითარების ამოცანები დააყენებენ ახალი რეაქტორის მშენებლობის საკითხს"[2].

სამაგიეროდ კმაყოფილი ჩანდა საზოგადოება ,,მცხეთელის" გამგეობის თავმჯდომარე მურად ჩხეიძე, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მიაჩნდა, რომ ბრძოლა რადიაციისაგან ქვეყნის გადასარჩენად ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე მიყვანილი. ,,რა თქმა უნდა, ფიზიკის ინსტიტუტის გადაწყვეტილებამ დაგვაკმაყოფილა, - ამბობს იგი, - ვთვლით, რომ ქართველი მეცნიერები პატრიოტულად და ვაჟკაცურად მოიქცნენ, ხალხის ხმა რომ ყურად იღეს, მაგრამ პიკეტს მანამდე არ მოვხსნით, სანამ რეაქტორის სრული გაუქმების შესახებ ამ დადგენილებას უმაღლესი ინსტანცია - რესპუბლიკის მთავრობა არ დაადასტურებს"[3].

---

[1] გაზ. ,,კომუნისტი", 25 მარტი, 1990წ.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ასეთივე იყო მაშინ საზოგადოების პოლიტიკურად აქტიური ნაწილის უდიდესი უმრავლესობის განწყობილებაც.

ენერგიის სხვა წყაროების გამოყენებას სერიოზულ წინააღმდეგობას ფაქტობრივად არავინ უწევს. ამ წყაროთაგან - ერთ-ერთს თბოენერგიას წამყვანი პოზიციებიც კი უკავია ჩვენი ქვეყნის ენერგობალანსში. კარგა ხანს მაინც ალბათ ასეც იქნება, რადგან მისი ალტერნატივის - ჰიდრორესურსების ისეთი მასშტაბით ათვისებას, რომელიც ამ მხრივ სიტუაციას შეცვლიდა არა მარტო დიდი სახსრები სჭირდება, რომლებიც ჩვენ არც ამჟამად გაგვაჩნია და არც უახლოეს წლებში გაგვიჩნდება, არამედ საკმაოდ ხანგრძლივი დროც.

თბოსადგურების ღირსება-ნაკლოვანებებს შალვა კერესელიძე ასე წარმოგვიდგენს: „მისი მშენებლობა ჰიდროსადგურებთან შედარებით მოკლე დროში მთავრდება და თანაც პირველ საწყის პირობებში შედარებით იაფიც ჯდება, - წერს იგი, - მიწის ფართსაც ნაკლებს მოითხოვს, მაგრამ იგი ხანგრძლივად ვერ გამოიყენება, ხშირად სჭირდება რემონტი, განახლება და რაც მთავარია, მუშაობს შედარებით ძვირადღირებულ საწვავზე. ყოველივე ეს შეიძლება კიდევ მოსათმენია, მაგრამ, ასეთი სადგურები რომ ნამწვავი შხამიანი აირებით სწამლავენ ჰაერს და ნამწვავი აირებისაგან ჰაერის იზოლაცია და მისი გაწმენდის სასწრაფო პრაქტიკული საშუალებები ჯერ არ გაგვაჩნია, თუ ამას მაინც შევურიგდებით, მაშინ მაინც რით გავამართლოთ თბოსადგურებში დიდი რაოდენობით გამოყენებული ნებისმიერი სახის საწვავის ხარჯვა? მეცნიერებამ დაადასტურა, რომ საწვავის დაუსრულებელი მარაგი ბუნებაში არ არსებობს, მათმა მოხმარებამ ერთობ ბევრჯერ გადააჭარბა წიაღიდან მათ ამოღებას და სამი-ოთხი ათეული წლის შემდეგ შეიძლება წიაღიდან ამოსაღებიც აღარაფერი დაგვრჩეს... გარდა ამისა, 32 მილიარდ კუბომეტრ ინდუსტრიულ წყალს ვიღებთ. ფაბრიკა-ქარხნებში საწვავის არასრული წვის შედეგად 250 მილიონი ტონა მტვერი და 70 მილიონი ტონა ტოქსიკური გაზი გროვდება, რომელიც მიწაზე ილექება და სავსებით ნაყოფიერი მიწები მწყობრიდან გამოჰყავს. სპეციალისტთა გაანგარიშებით, თუ ეს

პროცესი ასე გაგრძელდა, 2000 წლისათვის 650-700 მილიონი სახნავ-სათესი მიწა დააკლდება ჩვენს პლანეტას, ხოლო ასი წლის შემდეგ მიწის სავარგულების ფართი სამჯერ შემცირდებაო"[1].

თბოსადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციას ჩვენში გარკვეული სიძნელეები შეექმნა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა დიდი დავალიანების გამო თურქმენეთმა შეგვიწყვიტა, ხოლო რუსეთმა მკვეთრად გაგვიძვირა გაზისა და სხვა ენერგომატარებლების მოწოდება. სახსრების უქონლობის გამო გართულდა ელექტროენერგიის საბაზისო წყაროს – თბილსრესის მოვლა-პატრონობაც. მწყობრიდან მისი გახშირებული გამოსვლა და ლამის პერმანენტული, ძვირადღირებული რემონტი ქართული მედიის მუდმივი ქილიკის საგანიც კი გახდა. ენერგოდერეფნების გათვალისწინებული მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე და საკუთარი ნავთობისა და გაზის მოპოვების პერსპექტივები გარკვეულ იმედს გვიქმნის საიმისოდ, რომ მდგომარეობა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაგვიუმჯობესდება.

საქართველოს თერმული წყლების საკმაოდ მდიდარი მარაგიც აქვს, მაგრამ მათი გამოყენების მასშტაბები ერთობ შეზღუდულია. ის კი არადა ამ დარგში არსებული პერსპექტივებიც არა გვაქვს სათანადოდ შესწავლილი. ამის გამო იყო, რომ ე.შევარდნაძემ პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე გულისტკივილით აღნიშნა, თავის დროზე ირლანდიაში მე ათჯერ უფრო კვალიფიცირებული მოსაზრებანი მოვისმინე საქართველოს თერმული წყლების გამოყენების თაობაზე ვიდრე ჩვენთანო. ისლანდიელებს მზადყოფნაც გამოუთქვამთ, რომ ეთანამშრომლათ ჩვენთან ამ მიმართულებით, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ამ პრობლემის მოგვარებასაც დაადგება საშველი.

რაც შეეხება ენერგიის ისეთ ალტერნატიულ წყაროებს, როგორიცაა მზის, ქარის, ბიომასის და სხვ. მათი მასშტაბური გამოყენება კაცობრიობას აქამდე ვერ მოუხერხებია, გასაგებია,

---

[1] გაზ. „სოფლის ცხოვრება", 21 დეკემბერი, 1990წ.

რომ ვერც ჩვენ მოვახერხებთ, და, მაშასადამე, მათი მეშვეობით ენერგეტიკულ პრობლემას ვერ გადავჭრით, მაგრამ მცირე დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ელექტროობით უზრუნველყოფის საქმეში მათ ნამდვილად შეუძლიათ გარკვეული როლის შესრულება. ამ ამოცანის რეალიზაციის მიზნით ფრიად ენერგიულ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი გადაცემათა ციკლით „ენერგია“, რომელიც ჟურნალისტ მერაბ ბერაძეს მიჰყავს. კარგი იქნება თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებიც მიბაძავენ ამ მაგალითს.

მძიმე პრობლემაა ჩვენთვის ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვის საკითხიც. იგი უკავშირდება არა მარტო ენერგოკრიზისის დაძლევის ამოცანას, არამედ წარმოების ეფექტურ ფუნქციონირებასაც. აუცილებელია ვიზრუნოთ ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიის ფართო დანერგვაზე. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უამისოდ ვერ გადავწყვეტთ ჩვენი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და, მაშასადამე, მსოფლიო ბაზარზე (და ქვეყნის შიგნითაც) მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას. ძალზე დიდია დანაკარგები ელექტროენერგიის (ისევე, როგორც გაზის) ქურდობის გამო, რაშიც მოსახლეობაც ფართოდ არის ჩაბმული. საინფორმაციო საშუალებები ხშირ შემთხვევაში ამას საყოველთაო გაჭირვებით ხსნიან. გარკვეულ წილად ამ მოვლენას, რასაკვირველია, ესეც განაპირობებს, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს ჩვევა კომუნისტური წყობის პერიოდიდან მომდინარეობს და, მეორეც, ქურდობის გამართლება არ შეიძლება არავითარი მოტივით. ეს დამღუპველი იქნებოდა უპირველესად თვითონ საზოგადოებისათვის.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკის მომავლის თაობაზე ქართულ მედიაში უფრო პესიმისტური პროგნოზები ჭარბობდა. პესიმისტებს ქვეყნის დიდი პოტენციალის არსებობა კი სჯეროდათ, მაგრამ არ სწამდათ ხელისუფლების სათანადო პოლიტიკური ნებისა. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა ოპტიმისტური განწყობილების შემცველი პუბლიკაციებიც, რომლებშიც გამოთქმული იყო იმედი, რომ ჩვენი ქვეყანა არც ისე დიდი ხნის შემდეგ ევროპის

ერთ-ერთი ყველაზე აყვავებული ქვეყანა გახდებოდა. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ასეთი მოლოდინი მოსახლეობაშიც გაჩნდა. ახალმა ხელისუფლებამ შეუტია კორუფციას, ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებით მოახერხა გაეუმჯობესებინა ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა, რამაც მთავრობას შესაძლებლობა მისცა არა მარტო დაეძლია ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისი, არამედ პარლამენტისათვის წარედგინა მნიშვნელოვნად გაზრდილი ე.წ. პროფიციტული ბიუჯეტიც.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად ქართულ მედიაში მაინც ჩანდა ერთგვარი სკეპსისი. პუბლიცისტთა ერთი ნაწილი აღიარებდა მიღწეულ წარმატებებს, მაგრამ მიუთითებდა იმასაც, რომ მათ ხელისუფლების მხრიდან თან ახლდა კანონდარღვევები, მათ შორის სახელმწიფო რეკეტიც, ანუ ბიზნესმენთაგან ფულის გამოძალვა. მეორე ნაწილის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, თუ რა გავლენას მოახდენდა ყოველივე ეს ინვესტიციების ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, აქ კი იგი ჯერ-ჯერობით მაინც დამაიმედებელს ვერაფერს ამჩნევდა.

აღნიშნავდნენ იმასაც, რომ მედიაში ფაქტობრივად აღარ ისმოდა განსხვავებული აზრი და ექსპერტთა შეფასებები. მათ ადგილს კი იკავებდა ხელისუფლების წარმომადგენელთა გახშირებული კომენტარები.ასეა თუ ისე, ერთი რამ კი შეიძლება ითქვას, ახალი ხელისუფლება წინამორბედზე უკეთ ნამდვილად ახერხებს თავისი პოლიტიკის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ მედიასა და მთლიანად პოლიტიკაში მნიშვნელოვნად იკლო დესტრუქტივიზმმა,ყველაზე დამანგრეველმა მოვლენამ დამოუკიდებელ საქართველოში, რომელიც პერიოდულად კი თმობდა პოზიციებს, მაგრამ ქვეყნის ლიდერის ქარიზმის ქრობასთან ერთად ისევ ძალუმად იჩენდა თავს. პირადად ჩვენ ქართული მედიისა და მთლიანად საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანად სწორედ ის გვესახება, რომ აღარ დაუშვას მისი აღზევება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ დადამბლავდება და არაქმედითუნარიანი გახდება ხელისუფლება, რომელიც ვერ შეძლებს განახორციელოს ასე აუცილებელი რეფორმები.

ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა

ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების (თუმცა არამარტო ამ ტიპის მედიამასალების, მაგრამ მაინც განსაკუთრებით) გაცნობისას ჩვენ წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის სფეროს განეკუთვნება. აქ მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ დანაშაულობებთან ბრძოლა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, პუბლიკაციებისათვის თემის შერჩევა, პოზიციათა განსაზღვრის კრიტერიუმები და სხვ., რაზეც ნაშრომში საკმაოდ ვრცლად გვქონდა საუბარი. თუმცა, როგორც დავინახეთ, ჟურნალისტებისადმი ცოტა პრეტენზია როდი გამოითქმის ისეთი საკითხებისადმი მათი დამოკიდებულების გამოც, როგორებიცაა: აუდიტორიისათვის უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, ჭორების გავრცელება, პუბლიცისტური ნაწარმოების პერსონაჟისადმი დამოკიდებულება და სხვ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროდ ვცანით საგანგებოდ შევჩერებულიყავით ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის პრობლემაზეც და ცალკე თავი მიგვეძღვნა მისთვის.

როგორც ცნობილია, ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ. ეს გარემოება არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის ფიქსირებული და ამდენად სამართლებრივ მნიშვნელობას მოკლებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი ფაქტობრივი მდგომარეობა დემოკრატიულ სახელმწიფოში ისეთია, რომ ჭეშმარიტებისაგან აქ არც ისე შორს ვართ. აშუქებს რა ხელისუფლების საქმიანობას, ჟურნალისტიკა ამით განახორციელებს საზოგადოებრივ კონტროლს მასზე, მოსახლეობაში ქმნის გარკვეულ აზრს მისი ფუნქციონირების ავ-კარგზე, რაზეც საბოლოო ჯამში დამოკიდებულია მისი ბედ-იღბალი. ჟურნალისტებს საქმე აქვთ ცოცხალ ადამიანებთან. პრესაში გამოქვეყნებული, ტელევიზიითა თუ

რადიოთი გადაცემული მასალები მათში გარკვეულ ემოციებსაც იწვევენ და არც თუ იშვიათად საკმაოდ მძაფრსაც, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს მასალები კონკრეტულად მათ ეხებათ. თუ ეს ასეა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მძიმე ასატანი იქნება ჟურნალისტის მიერ მათ მიმართ გამოჩენილი უტაქტობა და უსამართლობა.

ზემოაღნიშნული თვალსაჩინოს ხდის არა მარტო იმას, თუ რა ძალა აქვს ჟურნალიტის სიტყვას, არამედ იმასაც, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მას და როგორი სიფრთხილის გამოჩენა ჰმართებს თავის საქმიანობაში. აქ აუცილებელია გარკვეული ჩარჩოების არსებობა, რომელთა ფარგლებს გარეთ გასვლა უნდა იკრძალებოდეს. სხვა შემთხვევაში დიდი იქნებოდა იმის ალბათობა, რომ ჟურნალიტიკა ბოროტების სამსახურში ჩადგებოდა და არა სიკეთისა. ასეთი საფრთხის თავიდან აცილების საქმეს ემსახურება სწორედ, ერთი მხრივ, გარკვეული იურიდიული ნორმები, რომელთა დარღვევა სამართლებრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს, ხოლო, მეორე მხრივ, ჟურნალისტების პროფესიული ეთიკა, რომლის მოთხოვნათა დაუცველობა საზოგადოების წინაშე ზნეობრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

ეთიკა ლათინური სიტყვაა და მომდინარეობს ბერძნულ **etos**-ისაგან, რაც ქართულად წეს-ჩვეულებას ნიშნავს. ეთიკა მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ზნეობრივი ქცევის ნორმათა სისტემას. ეს სისტემა არ უარყოფს რა ცალკეული ინდივიდის უფლებებს, ამავე დროს მოითხოვს სხვათა უფლებების პატივისცემასაც და ემსახურება საკუთარი და სხვისი ინტერესების ჰარმონიზაციას, რის გარეშეც ადამიანთა ურთიერთობა ჯუნგლების კანონებს იქნებოდა დაქვემდებარებული.

ქცევა შეიძლება იყოს: სავალდებულო, აკრძალული, სასურველი და არასასურველი. ოთხივე სახის ქცევათა ნორმების დარღვევა საზოგადოების მიერ იკიცხება და, მაშასადამე, ზნეობრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს, მაგრამ პირველი ორი სახის ქცევის ნორმათა უგულებელყოფა ამავე დროს სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც იწვევს. ჟურნალისტური ეთიკაც ცნობს ოთხივე სახის ქცევის არსებობას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო შეიმჩნევა ბოლო ორი სახის ქცევათა პირველი ორის

კატეგორიაში გადასვლის ტენდენცია. ჟურნალიტის მიერ ჩადენილი ბევრი სახის უტაქტო საქციელი ადრე თუ მხოლოდ ეთიკურ პასუხისმგებლობას იწვევდა, ახლა მათზე სამართლებრივი პასუხისმგებლობაცაა დაწესებული.

სავალდებულო და აკრძალული ქცევების ნორმების დაცვა იურიდიულად განმტკიცებულია სხვადასხვა კანონების, ადმინისტრაციული აქტებისა და სხვა სახით, სასურველი და არასასურველი ქცევების ნორმები კი ფორმალიზებულნი არ არიან. პირველთა შესრულება სახელმწიფოს მიერ შექმნილი სპეციალური ორგანოების მიერ კონტროლდება, უკანასკნელთა კი საკუთარი ზნეობრივი თვითშეგნებითა და საზოგადოებრივი აზრით. ჟურნალისტებისათვის, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა პროფესიის ადამიანებისათვის, ხშირ შემთხვევაში ამ ფუნქციას კისრულობენ პროფესიული გაერთიანებებიც. ისინი ზოგჯერ ქმნიან თავიანთი წევრებისათვის სავალდებულო წესების რალაც კრებულს, რისი საჭიროებაც, ჩვენის აზრით, სულაც არ არსებობს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ წესების ეს კრებული თუ ლირსების კოდექსი, საზოგადოების ზნეობრივი მრწამსის უბრალო ფიქსაციას წარმოადგენს და, მეორეც, იმიტომ, რომ როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს, იგი, რასაკვირველია, უძლურია გაითვალისწინოს ყველა ის სიტუაცია, რომელიც ჟურნალისტებს ექმნებათ თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული პარადოქსული ვითარება, როცა ჟურნალისტმა შეიძლება ისეთი რამ ჩაიდინოს, რაც საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი მრწამსით იკიცხება, მაგრამ იგი მაინც ვერ დაისაჯება და ვერ გაიკიცხება, თუ მისი გადაცდომა ასეთ კოდექსში არ იქნება გათვალისწინებული.

ჟურნალისტური პროფესიული ეთიკის მოთხოვნები მოქმედებს ისეთ სიტუაციებში, რომლებიც რეგულარულად წარმოიქმნებიან ჟურნალისტების პრაქტიკულ საქმიანობაში. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულ წიგნსა "ჟურნალისტიკის თეორიის შესავალი" და პროფესორ შ.გაგოშიძის ნაშრომში "ჟურნალისტიკის შესავალი" ფიქსირებულია შემდეგი სიტუაციები: ჟურნალისტი-აუდიტორია, ჟურნალისტი-ინფორმაციის წყარო, ჟურნალისტი-მისი ნაწარმოების პერსონაჟი,

ჟურნალისტი-ავტორი, ჟურნალისტი-რედაქტორი, ჟურნალისტი-კოლექტივი, ჟურნალისტი-კოლეგები პროფესიის მიხედვით. ჩვენც მხარს ვუჭერთ ამ ფორმულირებას, მხოლოდ გარკვეული კორექტივებით. ზემოთ ჩამოთვლილ სიტუაციებს, დავუმატებდით კიდევ სამს – ჟურნალისტი და მისი პოზიცია, ჟურნალისტი და მისი ნაწარმოების თემა, ჟურნალისტი და მისი ყოველდღიური ყოფა.

აუდიტორიასთან ურთიერთობისას უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის მოთხოვნა, რომ ჟურნალისტი ჯეროვან პატივისცემას უნდა ამჟღავნებდეს მკითხველის, მაყურებლისა და რადიომსმენელის მიმართ. აქ არ შეიძლება ქედმაღლური, მენტორული ტონით ლაპარაკი, მაგრამ არც ლაქუცია მოსაწონი. აუდიტორიასთან დავა და კამათი დასაშვებია და ზოგჯერ აუცილებელიც, მით უმეტეს თუ ინიციატივა ამ თვალსაზრისით მკითხველის, ტელემაყურებლისა და რადიომსმენელისაგან მოდის, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს მათს შეურაცხყოფაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უკანასკნელებს კიდევ შეიძლება ეპატიოთ უდიერი ტონით ლაპარაკი, მაგრამ ჟურნალისტმა უეჭველად დიდსულოვნება და მეტი კულტურა უნდა გამოიჩინოს, მოთმინებით, ტაქტის სრული დაცვით განუმარტოს მათ, რომ ისინი ცდებიან, ხოლო თუ სიმართლე მათს მხარეზე აღმოჩნდება, ეყოს ვაჟკაცობა, აღიაროს ეს და ბოდიში მოიხადოს, რაც სამწუხაროდ, ჩვენს ჟურნალისტებს არც თუ იშვიათად ავიწყდებათ. თუ საჭირო გახდა ჟურნალისტმა მკაცრადაც უნდა გაკიცხოს მკითხველი (ასე, მაგალითად, არაერთხელ მოქცეულან ილია ჭავჭავაძე და გასული საუკუნის ბევრი ჩვენი სხვა გამოჩენილი პუბლიცისტი), მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა დიდ და საქვეყნო სატკივარზეა საუბარი, რომლის მოსარჩენად საზოგადოება ჯეროვნად არ არის მობილიზებული ან სულაც გულგრილია მის მიმართ, მაგრამ ყველა შემთხვევაში უნდა იგრძნობოდეს პატივისცემა აუდიტორიისადმი, ნდობა მისდამი და რწმენა იმისა, რომ იგი აუცილებლად გაითავისებს ჟურნალისტის გულიდან ამოხეთქილ წუხილს.

რასაკვირველია, აუდიტორიის შეურაცხყოფად და, მაშასადამე, ჟურნალისტისათვის არაეთიკურ საქციელად უნდა ჩათვალოს არაზუსტი და შეუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება, მით უმეტეს ჭორების

გავრცელება, რასაც დღევანდელი ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად მიმართავენ.

დასავლეთის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტორიის შესწავლას. ამ მიზნით, ფართოდ იყენებენ სოციოლოგიურ მეთოდებს, განსაკუთრებით კი გამოკითხვას, რაც მიზნად ისახავს მათი გემოვნებისა და ინტერესების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მასობრივი ინფორმაციის ის ორგანოები, რომლებიც პატივს სცემენ ჟურნალისტიკაში ზნეობრიობის პრინციპს, ცდილობენ აამაღლონ მკითხველის, ტელემაყურებლისა და რადიომსმენელის კულტურული დონე, ემსახურონ მათში კეთილი საწყისების განვითარებას და არა პირიქით — დადაბლდნენ ობივატელის დონემდე, როგორც იქცევიან ის ტელე-რადიო კომპანიები, ჟურნალები თუ გაზეთები, რომლებიც ამის გამო სამართლიანად იმსახურებენ ბულვარულების ეპითეტს.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ჟურნალისტისაგან ურთიერთობა ინფორმაციის წყაროსთან. აქ პირველ რიგში აუცილებელია, რომ ამ უკანასკნელმა იცოდეს თუ რა მიზნით ვაპირებთ მის მიერ მოწოდებული ცნობების გამოყენებას და დავიცვათ ის პირობები, რა პირობებითაც გვანდობენ მათ. ინფორმატორმა შეიძლება გვთხოვოს, რომ არ გავამჟღავნოთ მისი ვინაობა. ასეთ შემთხვევაში პატივი უნდა ვცეთ მის სურვილს. შეიძლება იგი თანახმა იყოს დასახელებაზე, მაგრამ თუ ჟურნალისტი გრძნობს, რომ ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს მას, ვალდებულია გააფრთხილოს ამის შესახებ. თუმცა ასეთ შემთხვევებშიც ალბათ მაინც აჯობებდა დავფიქრებულიყავით იმაზე, შეგვწევს თუ არა იმის უნარი, რომ უზრუნველყოთ მისი უსაფრთხოება. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ მასალების გამოქვეყნება ვერ მოხერხდეს იმ ორგანოში, რომელშიც თავდაპირველად იყო გათვალისწინებული. თუ ჟურნალისტი გადაწყვეტს მასალის სხვაგან დაბეჭდვას ან გადაცემას, ვალდებულია შეუთანხმდეს ინფორმანტს და თუ იგი თანახმა არ იქნება, თავი შეიკავოს პუბლიკაციისაგან.

ჟურნალისტურ პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ არის დამკვიდრებული "ფარული კამერის", "ფარული მიკროფონის" ან პროფესიის შეცვლის მეთოდების გამოყენება. ეს მეთოდები საშუალებას აძლევს ჟურნალისტს

უფრო ღრმად შეისწავლოს ესა თუ ის საკითხი, მაგრამ, მეორეს მხრივ, აქ წარმოიშვება ზნეობრივი პრობლემა – რამდენად კაცური საქციელია – გაეცნო ადამიანს, დაუახლოვდე, შეიძლება დაუმეგობრდე კიდეც და ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ფართო მკითხველის სამსჯავროზე გაიტანო. ასეთ ვითარებაში აუცილებელია გავითვალისწინოთ ინფორმაციის ხასიათი. თუ საქმე გვაქვს დანაშაულებრივი ფაქტების გამომზეურებასთან, რომელსაც სხვა მეთოდებით ვერ გამოავლენდი, მაშინ ჟურნალისტის მოქმედება მზვერავის მოვალეობას შეიძლება შევადაროთ, რომელიც ქების მეტს არაფერს იმსახურებს, თუნდაც იმიტომ, რომ ამით ის გარკვეულ რისკსაც უქმნის საკუთარ თავს, სხვა შემთხვევაში ალბათ მაინც უმჯობესი იქნებოდა ჟურნალისტი გახსნილიყო ინფორმაციის წყაროს წინაშე, თუნდაც ეს გაწეული შრომის წყალში გადაყრად დაჯდომოდა.

ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები გააჩნია. თანამდებობის პირი ვალდებულია მიაწოდოს მას საჭირო ცნობები, გააცნოს სათანადო დოკუმენტები, რომლებიც საზოგადოების ინტერესს იმსახურებს, თუ ეს სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ ჟურნალისტიც მოვალეა პატივი სცეს მის პირად ღირსებას, გამოიჩინოს საჭირო ტაქტი მასთან ურთიერთობაში და არ აიძულოს იგი უპასუხოს ისეთ კითხვებზე, რომლებიც მხოლოდ მას ეხება. რაც შეეხება კერძო პირებს, მათ უფლება აქვთ საერთოდ უთხრან ჟურნალისტს უარი შეხვედრაზე და ამ უკანასკნელმა უნდა სცნოს მისი ეს უფლება.

ინფორმანტმა შეიძლება ჟურნალისტს მიაწოდოს ინფორმაცია, მაგრამ სთხოვოს, რომ არ გამოაქვეყნოს იგი. ასეთი თხოვნაც გასათვალისწინებელია. შეიძლება გაჩნდეს კითხვა – მაშინ რატომღა გვანდობენ ამ ინფორმაციას? პასუხი მარტივია – გასათვალისწინებლად, სწორ კვალზე დასადგომად. ინფორმანტის თხოვნა შეიძლება მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გარკვეული სახით გამოქვეყნებას გულისხმობდეს: სრულად ან ნაწილობრივ, მოქმედების ადგილის, მოქმედი პირების სახელების გამოცვლით ან უცვლელად, ყოველგვარი გასწორების გარეშე. ყველა ეს პირობა უნდა შესრულდეს.

ჟურნალისტისაგან დიდ ტაქტს მოითხოვს დამოკიდებულება მისი ნაწარმოების პერსონაჟისადმი. ეს შეიძლება იყოს პიროვნება ან ორგანიზაცია, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც ამ ორგანიზაციაში მუშაობენ. ამიტომ სიფრთხილის გამოჩენა აქაც გვმართებს. ჟურნალისტური ნაწარმოები შეიძლება იყოს პოზიტიური ხასიათისაც და ნეგატიურიც. ორივე შემთხვევაში ზომიერებისა და ობიექტურობის დაცვა აუცილებელია. დადებით მასალაში უნდა ვეცადოთ ადამიანი არ მოვიხსენიოთ იმ კონტექსტში, რომელიც მას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, არ უნდა მივაწეროთ მას ის თვისებები და ის მოქმედება, რომლებიც მას არ ახასიათებს ან არ ჩაუდენია. კრიტიკული პუბლიკაციის მომზადებისას კი ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაწარმოების პერსონაჟი, რაც არ უნდა საშინელი ბოროტება ჰქონდეს მას ჩადენილი, მაინც ადამიანია და მისი ადამიანური ღირსების შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს, მით უმეტეს, თუ იგი დანაშაულის ჩადენისათვის უკვე დასჯილიცაა. უნდა ვიფიქროთ არა მარტო გაკრიტიკებულ პერსონაჟზე, არამედ მის ახლობლებზეც, რომლებიც სრულიად უდანაშაულონიც შეიძლება იყვნენ, იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს ჟურნალისტური ნაწარმოები მათს ბედზე, სხვა ადამიანებთან მათს ურთიერთობაზე. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს მაშინ, როცა ქალებზე ვწერთ. აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ საზოგადოებაში არსებული ცრურწმენები, რომლებსაც იქნებ უსამართლოდ და დრომოჭმულად ვთვლიდეთ, მაგრამ რეალობა ისეთი იყოს, რომ მათთვის ანგარიშის გაუწევლობამ ვნება მოიტანოს. ერთ-ერთ გაზეთში გამხელილი იყო მოძალადის მიერ გაუპატიურებული ქალის ვიანობა, რითაც პუბლიკაციის ავტორმა ისედაც გაუბედურებულ ადამიანს კიდევ უფრო მეტი ტკივილი მიაყენა. ქალი ძალადობის მსვერპლი იყო და ჟურნალისტს ვითომ მისდამი თანაგრძნობის გამოხატვა სურდა, მაგრამ თავისი დაუფიქრებლობით უკუ შედეგს მიაღწია, ფართო საზოგადოებას ამცნო ის, რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში კი მეძავეები ტელემაყურებელს არამარტო სახელებით, არამედ სახითაც გააცნეს, რითაც გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს. ერთ-ერთი

მეძავის შვილმა ვერ აიტანა ეს და თავი მოიკლა, რადგან იფიქრა, რომ მას ამის შემდეგ თავი არსად გამოეყოფოდა.

კიდევ უფრო მიუტევებელია ადამიანის უსაფუძვლოდ გაკრიტიკება. ცივილიზებულ ქვეყნებში ამას მძიმე სასჯელი მოსდევს. ცნობილია ასეთი მაგალითი ამერიკის ჟურნალისტიკის ისტორიიდან: 1973 წელს ამერიკულ გაზეთ "ფილადელფია ინკუაირერში" გააკრიტიკეს ყოფილი გამომძიებელი. 1983 წელს ამ უკანასკნელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში. გაზეთმა ვერ დაამტკიცა კრიტიკის საფუძვლიანობა, რის გამოც მას 31,2 მილიონი დოლარი ჯარიმა გადაასხდევინეს. პლუს 2,5 მილიონი დოლარი მორალური კომპენსაციის სახით დაზარალებულის სასარგებლოდ. აქ ყურადღებას იქცევს არა მარტო სასჯელის ზომა, არამედ ისიც, რომ სასამართლომ მაინც მიიღო საქმე წარმოებაში მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული მასალის გამოქვეყნებიდან მთელი ათი წელი იყო გასული. ეს გარემოებაც მოწმობს, თუ რა სერიოზულად ეკიდებიან ამ ქვეყანაში დიფამაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს.

სერიოზულ კამათს იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხი. იურისტები ამ ტერმინში გულისხმობენ იმას, რომ ადამიანი დამნაშავედ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, როცა სასამართლოს მიერ შესაბამისი განაჩენი იქნება გამოტანილი. აქედან გამომდინარე, ბევრი სამართალმცოდნე მოითხოვს, რომ ჟურნალისტებმა თავი შეიკავონ სისხლის სამართლის საქმეებზე წერისაგან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, მით უმეტეს, ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დამნაშავედ გამოცხადებისაგან, რაც არც თუ იშვიათია ჟურნალიტურ პრაქტიკაში. რასაკვირველია, ასეთი მოთხოვნა ანგარიშგასაწევია, მაგრამ მისი შესრულება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. მრავალი დანაშაული დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს იწვევს, ამას გარდა, მათი უაღრესად საშიში ხასიათი საზოგადოების მხრივ დაუყონებლივ რეაქციასა და სათანადო ზომების მიღებას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი იძულებულია ოპერატიულობაზეც იზრუნოს. იგი ვერ დაიცდის თვეები და ზოგჯერ წლებიც, რაც არაიშვიათად სჭირდება წინასწარ და სასამართლო გამოძიებას. ეს კია, რომ ჟურნალისტმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს

და თავისი მოქმედებით ხელი შეუწყოს საქმეში სწორად გარკვევას და არა პირიქით.

ჟურნალისტს კარგად უნდა ახსოვდეს ისიც, რომ სანამ ბოლომდე არ გაერკვევა სიტუაციაში, არ იჩქაროს დასკვნების გამოტანა, ადამიანს კი არ უნდა მოსთხოვოს დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, არამედ, პირიქით, თვითონ უნდა დაუმტკიცოს მას მის მიერ ჩადენილი გადაცდომის ნამდვილობა. არ შეიძლება ეჭვები არგუმენტად გამოვიყენოთ, ყოველგვარი ეჭვი უნდა ავხსნათ იმის სასარგებლოდ, ვისაც რაიმეში ბრალს ვდებთ. სჯობს დამნაშავე (ამ სიტყვის ზნეობრივი და სამართლებრივი მნიშვნელობით) დაუსჯელი დარჩეს, ვიდრე უდანაშაულო დაისაჯოს ან თუნდაც გაიკიცხოს.

საკითხის შესწავლისას ჟურნალისტი ხშირად მხოლოდ ერთ დაინტერესებულ მხარეს უსმენს, რაც, რასაკვირველია, დაუშვებელია. მაინცა და მაინც დიდი შეღავათი არ იქნება უსამართლოდ გაკიცხულისათვის, რომ უთხრა, შენც დაგითმობ გაზეთის ფურცლებზე ადგილს ან საეთერო დროს და თავი იმართლეო, თუმცა თუ გაკრიტიკებულს ასეთი სურვილი დაებადება, სავალდებულოა მისი შესრულება. ნუ დაგვავიწყდება, რომ რაც არ უნდა კარგად იმართლოს ადამიანმა თავი, მის მიმართ საჯაროდ გამოთქმული კრიტიკა მაინც ტოვებს უარყოფით კვალს, გარკვეულ ეჭვებს საზოგადოების შეგნებაში.

არ არის მიზანშეწონილი, რომ ჟურნალისტმა დაწეროს თავის მეგობრებსა და ახლობლებზე ან თუნდაც იმ ადამიანებზე, რომელთაგანაც ოდესმე რალაც სწყენია. გასაგებია რატომაც. ასეთ შემთხვევაში მას გაუჭირდება დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნა — იყოს ობიექტური. აქ გასათვალისწინებელი ერთი გარემოებაც. ჟურნალისტმა კიდეც რომ მოახერხოს და ამაღლდეს პირად სიმპათიებსა და ანტიპათიებზე, სულერთია აუდიტორია მაინც ძნელად ირწმუნებს მის მიუკერძოებლობას.

ჟურნალისტს უნდა შეეძლოს პერსონაჟის გულდასმით მოსმენა, ელაპარაკოს მას პატივისცემით. დაუშვებელია ფამილარობა, რომ არაფერი ვთქვათ პერსონაჟის დამცირებაზე.

ლედი დაიანას ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ე.წ. პაპარაცების პრობლემამ.

ესენი არიან ის ჟურნალიტები, უმთავრესად ტელე და ფოტორეპორტიორები, რომლებიც უცერემონიოდ ერევიან ადამიანის პირად ცხოვრებაში და, როგორც იტყვიან, სიცოცხლეს უმწარებენ მას. ისინი სარგებლობენ მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებით ცნობილი პიროვნებებისადმი და ცდილობენ ამით ხელის მოთბობას. საბედნიეროდ, საქართველოში ასეთ მოვლენებს ჯერჯერობით მყარად ვერ მოუკიდია ფეხი. ვფიქრობთ, მთელმა საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს პაპარაციობის საშიშროება და ყველაფერი ილონოს იმისათვის, რომ მან ვერ ჰპოვოს შემდგომი განვითარება ჩვენში.

ჟურნალისტის მოვალეობა რედაქციის წინაშე სულაც არ შემოიფარგლება მარტო საკუთარი ნაწარმოებების მომზადებით, მას მუშაობა უხდება ე.წ. გარეშე ავტორებთანაც. იგი ამ დროს გამოდის როგორც მასალის შემკვეთის, ისე რედაქტორის როლში. სამწუხაროდ ასეთ შემთხვევებში ჟურნალისტური ეთიკის მოთხოვნები საკმაოდ ხშირად ირღვევა.

საქმის ინტერესებიდან გამომდინარე ზოგჯერ სჯობს, რომ აუდიტორიას პირველწყაროს პირით მივაწოდოთ ინფორმაცია ან გავაცნოთ მისი პოზიცია. როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა მას საამისო ლიტერატურული უნარი არ გააჩნია? პრობლემის მოსახსნელად არ არის აუცილებელი მის მაგივრად ვწეროთ. აქ დასაშვებია შემდეგი ვარიანტები: პუბლიკაციისათვის გამოვიყენოთ ინტერვიუს ჟანრი, თანაავტორობა, მითითება იმის შესახებ, რომ ლიტერატურული ჩანაწერი ჟურნალისტს ეკუთვნის ან მოვძებნოთ ნებისმიერი სხვა გამოსავალი, რომელიც სიყალბეს თავიდან აგვაცილებს. თუ საჭირო გახდა, ჟურნალისტმა არ უნდა დაიშუროს არც დრო და არც ენერგია საამისოდ, რომ იმუშაოს ავტორთან, რათა ამ უკანასკნელმა თვითონ შეძლოს მასალის მომზადება.

ავტორებთან მუშაობისას შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება მასალის რედაქტირების თაობაზე. აქაც ჟურნალისტს დიდი ტაქტის გამოჩენა მართებს. უპირველეს ყოვლისა კი უნდა ეცადოს შეუნარჩუნოს მასალას ავტორისეული სტილი. თუ ავტორის მონაცემები ამ თვალსაზრისით საკმარისი არ არის, ჟურნალისტმა უნდა შეძლოს დაარწმუნოს იგი ამაში და შესთავაზოს უკეთესი ვარიანტები, თუმცა ამავდროულად

სათანადო ტაქტიც უნდა დაიცვას. ჟურნალისტურ პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათია ასეთ შემთხვევებში სრული უცერემონიობის გამოვლენა, როცა რედაქციაში შემოსულ მასალას ისე გადააკეთებენ და გადმოაკეთებენ, რომ ავტორს სულაც არაფერს ჰკითხავს.

ზოგიერთი ჩვენი გაზეთი თავის დაზღვევის მიზნით გვამცნობს, რომ იგი პასუხს არ აგებს დაბეჭდილ მასალებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობაზე და ამ პასუხისმგებლობას ავტორებს აკისრებს, მაგრამ ასეთი პოზიცია გამართლებული არ არის. რედაქცია მთლიანად და კონკრეტულად ის ჟურნალისტიც, რომელიც მასალას გამოსაქვეყნებლად მიიღებს და მოამზადებს, ვალდებულია მოსთხოვოს ავტორს მოყვანილი ფაქტების უტყუარობის დამამტკიცებელი საბუთები.

რედაქციაში მრავალი წერილი შემოდის. უმრავლესობაში ავტორები ჩივიან მათი უფლებების დარღვევაზე და ჟურნალისტებს შემწეობას სთხოვენ. ბუნებრივია, რომ ყველაფერი ვერ გამოქვეყნდება (გამოქვეყნებამდე ხომ უნდა შემოწმდეს საჩივრის სამართლიანობა, ხოლო რედაქციას ამის საშუალება ყოველთვის არა აქვს), მაგრამ თითოეული მათგანი ყურადღებას, სათანადო რეაგირებას მოითხოვს. მით უფრო ყოვლად დაუშვებელია ავტორების დაცინვა და განქიქება იმის გამო, რომ მათ რალაცა შეეშალათ. ასეთი შემთხვევებიც იშვიათად, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც გვხვდება სარედაქციო პრაქტიკაში.

თანამშრომლებთან ურთიერთობისას ჟურნალისტს უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსოვდეს, რომ იგი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მუშაკი, საკუთარი კოლექტივის ორგანული ნაწილია და ვალდებულია მისი ინტერესები გაითავისოს. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ჟურნალისტი გაზეთში გამოქვეყნებული ყველა მასალისათვის (მისი იქნება თუ სხვისი) საზოგადოების წინაშე არამარტო ზნეობრივ პასუხისმგებლობას კისრულობს, არამედ პოლიტიკურსაც. ჟურნალისტს მოეთხოვება სარედაქციო საიდუმლოების დაცვაც, აგრეთვე ისიც, რომ რედაქციის ნებართვის გარეშე არ დაბეჭდოს ან არ გადაბეჭდოს თავისი მასალები ინფორმაციის სხვა ორგანოებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რამდენადმე შეიცვალა ჟურნალისტისა და მისი პროფესიული კოლეგების, რომლებიც სხვა

რედაქციებში მუშაობენ, ურთიერთობის ნორმები. აქ უკვე ვეღარ მოსთხოვთ ჟურნალისტს საკონკურენციო ბრძოლისათვის დამახასიათებელი კანონების უგულებელყოფას. სადაც ეს მისი რედაქციის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, ჟურნალისტი ვალდებულია კოლეგიალობის გრძნობას პატივი სცეს, თუმცა ამან ზნეობრივი კომპრომისების ხასიათი არ უნდა მიიღოს. კოლეგიალობის ცრუ გაგებად მიგვაჩნია ჩვენ ერთ-ერთი გაზეთის პოზიცია, როცა მან გამოქვეყნებულ კოლექტიურ კრიტიკულ წერილში თავი არ შეიკავა არც ერთი პიროვნებისა თუ ორგანიზაციის დასახელებისაგან, მაგრამ გამონაკლისი დაუშვა გაზეთების მიმართ, რომელთა შეძენასაც ავალდებულებდნენ ამ წერილის ავტორებს და მათი კოლექტივის წევრებს. ასევე არ ვეთანხმებით იმ შეხედულებას, რომ კოლეგიალობის ინტერესებიდან გამომდინარე რედაქციამ თავი უნდა შეიკავოს სხვა გაზეთსა თუ ტელერადიო კომპანიასთან პოლემიკისგან. მთავარია, პოლემიკა იყოს ჯანსაღი და დაცული იქნას კორექტულობა, თორემ ჟურნალისტთა კოლექტივების პაექრობაში თავისთავად ცუდი არაფერია.

ჩვენი აზრით, ჟურნალისტის წინაშე ყველაზე მწვავე ეთიკური პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როცა იგი თავისი ნაწარმოებისათვის თემას არჩევს და განისაზღვრავს პოზიციას ამა თუ იმ საკითხისადმი. თავი და თავი აქ ის კრიტერიუმებია, რომლებითაც იგი არჩევანს ახდენს.

უმთავრესი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ჟურნალისტის დაინტერესებას ამა თუ იმ თემითა ან საკითხით ან განსაზღვრავენ მის პოზიციას, ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ხელისუფლების ზეწოლა: ჟურნალისტი, რასაკვირველია, თავისუფალი უნდა იყოს ხელისუფლების ზეგავლენისაგან. დემოკრატიულ ქვეყნებში უმთავრესად ასეც არის, თუმცა ხელისუფლებას, რაგინდ დემოკრატიულიც უნდა იყოს სახელმწიფო, მაინც გააჩნია ჟურნალისტზე ზემოქმედების მოხდენის პირდაპირი თუ არაპირდაპირი საშუალებანი. ზნეობრივი ჟურნალისტი შეეცდება ყველა სიტუაციაში საკუთარ სინდისს დაემორჩილოს და არა ხელისუფლების ნებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა დავფიქრდეთ იმაზეც, აქვს თუ არა მას არჩევანის საშუალება. კომუნისტური რეჟიმის დროს ჟურნალისტს ხშირად უხდებოდა ისეთ

საკითხებზე წერა, რაც მას არ აღელვებდა, და ისეთი პოზიციის ფიქსირება, რაც მის მრწამსს არ შეესაბამებოდა. უარის თქმა ხელისუფლების დიქტატისადმი დამორჩილებაზე მისთვის უკეთეს შემთხვევაში პროფესიის შეცვლის აუცილებლობას წარმოშობდა, ამიტომ ჟურნალისტი იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო, მაგრამ თუ იგი ზნეობრიობის პრინციპს პატივს სცემდა, ასეთ შემთხვევაში იმასაც ახერხებდა, რომ დათმობები ისეთ ხარკად ექცია, რომლის გადახდის შემდეგ რაღაც თავისუფლებას მაინც იძენდა, რაც მას საშუალებას აძლევდა თუნდაც ზოგჯერ საკუთარი სინდისის მიხედვითაც ემოქმედა.

დიქტატორული რეჟიმის დროს არ შეიძლება ჟურნალისტს ყველა სიტუაციაში ხელისუფლებასთან ღია კონფრონტაცია ანუ მისი სრული ბოიკოტი მოვთხოვოთ. ასეთმა კონფრონტაციამ შეიძლება ვერც მას მოუტანოს რაიმე სარგებლობა და ვერც იმ იდეალებს, რომელთა სამსახურის სურვილითაც იქნებოდა იგი მოტივირებული. უფრო მოსალოდნელია, რომ პირიქით მოხდეს. ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ნოდარ დუმბაძე ობლად გაიზარდა კომუნისტური ხელისუფლების წყალობით, რომელმაც მას მამა დაუხვრიტა და დედა გადაუსახლა. როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ შემთხვევაში ზნეობრივი ადამიანის საპასუხო რეაქცია? მას თითქოს აშკარა ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა მაშინდელი რეჟიმისადმი. მაგრამ რას მიაღწევდა ამით? იმდროინდელ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ თავგანწირვის შემთხვევაშიც კი ნოდარ დუმბაძე ასეთი მოქმედებით რამდენადმე მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების დამოკიდებულებაზე რეჟიმისადმი ვერ მოახდენდა. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელისადმი გარეგნული ლოიალობის წყალობით მას შესაძლებლობა მიეცა გამხდარიყო პოპულარულ ჟურნალ "ნიანგის" რედაქტორი და შეექმნა ქართულ იუმორისტულ ჟურნალისტიკაში ის ტრადიციები, რომლებითაც სამართლიანად ვამაყობთ დღეს ჩვენ.

გამომცემლის ინტერესები: ამ ინტერესების არსებობა სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში პრესა, ტელევიზია და რადიო მარტო ინფორმაციის წყაროებს კი არ წარმოადგენენ, არამედ სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის ერთ-ერთ დარგსაც, ბიზნესს. ბიზნესი კი, როგორც ცნობილია,

ვერ იარსებებს მოგების გარეშე. ამიტომაც გასაგებია, რომ გამომცემელს თავისი კომერციული ინტერესები აქვს, რომელთა გაუთვალისწინებლობა ჟურნალისტის მხრივ პრაქტიკულად შეუძლებელია. აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ინტერესებმა არ უნდა გვაიძულოს ზნეობრივ კომპრომისებზე წასვლა, თუმცა აქაც საჭიროა ვიფიქროთ ჟურნალისტისათვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის შესახებ, რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ. ბულვარულ გაზეთებს თავიანთი თემატიკისა და პოზიციის წყალობით მეტი მკითხველი და, მაშასადამე, მეტი მყიდველიც ჰყავს, ვიდრე სერიოზულ პრესას, მაგრამ მათს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველისათვის კომერციული ინტერესების გარდა სხვა არაფერი არსებობს, რაც განაპირობებს მათს გატაცებას სენსაციებით, მდარე გემოვნებას და ორიენტირებას ობივატელზე, მეორენი კი ორიენტაციას ახდენენ ისეთ მკითხველზე, რომელიც უფრო სერიოზული პრობლემატიკით და მათი გონივრული გადაწყვეტით არის დაინტერესებული.

გამომცემელს შეიძლება ჰქონდეს თავისი გამოკვეთილი პოლიტიკური ინტერესებიც და არ არის გამორიცხული, რომ იგი შეეცადოს აიძულოს ჟურნალისტი ამ ინტერესებით იხელმძღვანელოს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამომცემელი ამისგან, როგორც წესი, თავს იკავებს. მისთვის მთავარია, რომ სარედაქციო კოლექტივმა და თითოეულმა მისმა წევრმა ისე იმუშაოს, რომ მას მოგება მოუტანოს, ამიტომ მის ყოველდღიურ შემოქმედებითს საქმიანობაში პრაქტიკულად არ ერევა, მაგრამ ზოგჯერ სხვანაირადაც იქცევა და ამა თუ იმ მოსაზრებით ზეწოლას ახდენს ჟურნალისტზე. როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელნი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავაანალიზოთ თუ რისი საშუალება აქვთ მათ მოცემულ სიტუაციაში და დასკვნა მათს ზნეობრიობაზე მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიტანოთ.

გამომცემელი შეიძლება იყოს რომელიმე პარტია, ორგანიზაცია ან დაწესებულება. ბეჭდითს ორგანოებს ისინი იმიტომ აარსებენ, რომ თავიანთი მიზნების რეალიზაციას შეუწყონ ხელი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მოითხოვენ ჟურნალისტისაგან ამ მიზნების ერთგულებას, პუბლიცისტური ნაწარმოებებისათვის იმ თემებისა და პრობლემების შერჩევას, რომლებიც მათთვის ყველაზე აქტუალურია, მათი პოლიტიკური

ხაზის ფიქსირებას. ზნეობრივი ჟურნალისტი ამაზე მხოლოდ მაშინ დათანხმდება თუ იგი მათი თანამოაზრეა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან მოძებნის სამსახურს. ისიც შესაძლებელია, რომ პარტიული ინტერესები აშკარად ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის საერთო ინტერესებს. ასეთ სიტუაციაში ზნეობრივ ჟურნალისტს მოეთხოვება უარი თქვას პარტიულობის ერთგულების პრინციპებზე.

საერთოეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესები: ეს ინტერესები ჟურნალისტისათვის როგორც პუბლიცისტური ნაწარმოებისათვის თემის შერჩევის, ისე პოზიციის დაკავების თვალსაზრისით ყველაზე მთავარი — პრიორიტეტული უნდა იყოს. იგი პირველ რიგში იმ საკითხებზე უნდა ამახვილებდეს ყურადღებას, რომლებიც ქვეყნისათვის ყველაზე საჭირბოროტო და მტკივნეულია, ისეთ პოზიციას აფიქსირებდეს, რომელიც საქვეყნო საქმეს ყველაზე უკეთ წაადგება. ვერ ვიტყოდით, რომ დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა ასეთი საკითხებისადმი ინტერესს არ იჩენდეს, მაგრამ არც თუ იშვიათად მაინც თვალსაჩინოა მეორე თუ მესამეხარისხოვანი თემატიკით მისი გატაცება. ამავე დროს ისიც ფაქტია, რომ თითქმის ხელუხლებელი რჩება ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორებიცაა: სოციალური შური, პოლიტიკური კულტურის, განსაკუთრებით არჩევის კულტურის, მოქალაქეების მიერ ქვეყნის ბედ-ილბალზე საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება და სხვა.

ადამიანებს, მათ შორის ჟურნალისტებსაც ხშირად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმის თაობაზე, და რა პრობლემებია უფრო აქტუალური ან რომელი პოზიცია შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. ვინ უნდა გადაწყვიტოს, თუ სად არის ჭეშმარიტება? კომუნისტური ხელისუფლების დროს ამაზე პრეტენზიას მმართველი პარტია აცხადებდა, მაგრამ, ცხადია, დემოკრატიის პირობებში, როცა სასიცოცხლო აუცილებლობად ითვლება პოლიტიკური პლურალიზმი და აზრთა სხვადასხვაობა, საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ გამოგვადგება. ზნეობრივი ჟურნალისტი ასეთ შემთხვევაში ყურს დაუგდებს საკუთარი სინდისის კარნახს და მის შესაბამისად იმოქმედებს. აქ ალბათ ყველაზე მისაღებ ორიენტირად გამოდგება ქვეყნისათვის ფუნდამენტური ღირებულებები,

რომელთა მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრისას კონსოლიდაციის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება

როცა საერთოეროვნული ანუ სახელმწიფოებრივი, საქვეყნო ინტერესების პრიორიტეტულობაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება შემოგვედავონ, რომ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო პირველ პლანზე ზოგადსაკაცობრიო ინტერესების დაყენებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი ქვეყნის ჭეშმარიტი ინტერესები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს მათთან. ამიტომაც ჩვენთვის საერთეროვნული ანუ საქვეყნო ინტერესებისა და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების ცნებები არსებითად იდენტური შინაარსის მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას საერთოეროვნული და პიროვნული ინტერესების ურთიერთმიმართებაზეც.

აუდიტორიის ინტერესები: სწორედ აუდიტორიისათვის გამოდის გაზეთი თუ ჟურნალი, მზადდება ესა და ის ტელე თუ რადიო გადაცემა. ამიტომ გასაგებია, რომ ჟურნალისტს შემოქმედებითს პროცესში მუდამ უნდა ახსოვდეს ეს ინტერესები. მან კარგად უნდა იცოდეს, თუ რა პრობლემები აღელვებს მის აუდიტორიას და რა პოზიცია უკავია ამ პრობლემასთან მიმართებაში. ამის შესასწავლად საგანგებო სოციოლოგიური გამოკითხვებიც კი ტარდება, რითაც დაკავებულნი არიან არა მარტო ჟურნალისტთა კოლექტივები, არამედ აკადემიური დაწესებულებებიც, სპეციალური სოციოლოგიური სამსახურებიც კი. ყოველივე ეს ცოტა ფული როდი ჯდება, მაგრამ ამაზე შეგნებულად მიდიან, რადგან მკითხველის, რადიომსმენელის, ტელემაყურებლის ინტერესების გათვალისწინების გარეშე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა არსებობა წარმოუდგენელია, მეტიც, ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრისას სულაც არ ვგულისხმობთ იმას, რომ ჟურნალისტი თითქოს ვალდებული იყოს ამ ინტერესების ფარგლებს არ გასცდეს ან ისინი მთელი მოცულობით ან ისეთი ინტენსიურობით დააკმაყოფილოს, რომელიც შესაბამისი იქნებოდა ამა თუ იმ პრობლემით მკითხველის, ტელემაყურებლისა თუ რადიომსმენელის დაინტერესების დონისა. თუ ამ გზით ვივლით, ამან შეიძლება აუდიტორია გაგვიზარდოს და პოპულარობა მოგვიხვეჭოს, მაგრამ ეს იაფფასიანი პოპულარობა და

ზნეობრივი ჟურნალისტისათვის შეუფერებელი საქციელი იქნებოდა. იგი თვითონ კი არ დავა უგემოვნო აუდიტორიის დონემდე, არამედ შეეცდება, რომ ეს უკანასკნელი აიყვანოს უფრო მაღალ საფეხურზე. ზნეობრივმა ჟურნალისტმა ასევე გუნდრუკი არ უნდა უკმიოს აუდიტორიის პოზიციას, თუ იგი უმართებულოდ მიაჩნია. თუ საჭირო გახდა მას უნდა ეყოს გამბედაობა და დაუპირისპირდეს კიდეც ამ პოზიციას. გვესმის, რომ ყოველივე ეს ადვილი არ არის. ფართოდ ფეხმოკიდებულ საზოგადოებრივ აზრთან შეჯახება ზოგჯერ შესაძლოა ბევრად უფრო ძნელი იყოს, ვიდრე ყველაზე დიქტატორულ რეჟიმთან ბრძოლა, ამიტომაცაა ალბათ, რომ მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული და სერიოზული მასობრივი ინფორმაციის ორგანოებიც კი ერიდებიან ამას, მაგრამ ზნეობრივ ჟურნალისტად რომ გრძნობდე თავს, არც ეს არის იოლად მისაღწევი რამ.

როგორ გამოიყურება ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ქართული ჟურნალისტიკა? კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ოფიციალური ვერსიით ყველაფერი ხალხის ინტერესებით კეთდებოდა, თუმცა თუ რაში მდგომარეობდა ეს ინტერესები, ამის დადგენის პრეროგატივას ხელისუფლება თავისთვის იტოვებდა, რასაც რეალურად იქამდე მივყავდით, რომ სწორედ იგი განსაზღვრავდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პრობლემატიკასაც და პოზიციასაც ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულებაში. ულტრარადიკალთა ზეობის ხანაში ამ მიმართებით ხელისუფლების დიქტატი მასის მორალურმა ტერორმა შეცვალა, რისი რეციდივებიც გარკვეულ წილად დღესაც იჩენს თავს.

რეკლამის მიმცემთა ინტერესები: ჩვენში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და განვითარების კვალობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საერთო შემოსავალში სულ უფრო და უფრო იზრდება რეკლამის პუბლიკაციით მიღებული თანხების ხვედრითი წილი. მართალია, საქართველოში ამას ჯერ არ მიუღია ისეთი მასშტაბები როგორც განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ტენდენცია მისი ზრდისა აქაც შეიმჩნევა.

დასავლეთის ქვეყნებში რეკლამის მიმცემნი სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის პრობლემატიკაზეც და პოზიციაზეც ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხებში. მართალია,

ისინი ამას ღიად არ ჩადიან, მაგრამ მათ ხელთ აქვთ ჟურნალისტებზე ზემოქმედების არაპირდაპირი, შენიღბული საშუალებანი, რომლებიც საკმაოდ ეფექტურია. ფრიად გავრცელებულია, მაგალითად, ასეთი ხერხი. შეხვდება სადმე რესტორანში მეგობრულ სადილზე რეკლამის მიმცემი ჟურნალისტს და ვითომ შემთხვევით საუბარს ჩამოუგდებს მისთვის საინტერესო რაიმე საკითხზე. ვინ დაუშლის ამ დროს მას თავისი პოზიციის ჩამოყალიბებას? ცხადია, ვერავინ. იგი, რასაკვირველია, არა სთხოვს, მით უმეტეს, არ მოსთხოვს ჟურნალისტს, რომ მისი პოზიცია გაიზიაროს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისედაც კარგად მიუხვდება საწადელს და იმასაც ნათლად გაიაზრებს, რომ ძალზე გაუჭირდება რეკლამის მიმცემის შენიღბულად გამოხატულ ნებას არ დაჰყვეს. თუ ასე არ მოიქცევა, ეს მას ძვირად დაუჯდება. რეკლამის მიმცემს შეუძლია რეკლამა მის გაზეთში, ტელე ან რადიოკომპანიაში კი არ განათავსოს, არამედ კონკურენტს გადასცეს, რასაც მისი პატრონი მას არ აპატიებს. რა კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ ასეთ სიტუაციაში ჟურნალისტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება? ჩვენის აზრით, აქაც აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რა შესაძლებლობანი აქვს მას არჩევანის გაკეთებისას.

რეკლამის მიმცემი ფულს იხდის იმისათვის, რომ ილაპარაკონ ის, რაც მას სურს. ჟურნალისტი თუ ამაზე დათანხმდება, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ იგი იბოჭავს თავს, უარს ამბობს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, ამიტომ ბევრს მიაჩნია, რომ იგი რეკლამის ტექსტის შედგენაშიც კი არ უნდა მონაწილეობდეს, მით უმეტეს, არ უნდა იყენებდეს თავის ავტორიტეტს რეკლამირების ფარული ფორმების დროს.

ანგარებითი მოსაზრებანი: არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ადამიანისათვის, მით უმეტეს ჟურნალისტისათვის ანგარებითი მოსაზრებებით სარგებლობა უზნეობაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის რეციდივები ჟურნალისტურ საქმიანობაშიც იჩენენ თავს. საზოგადოებაშიც არც თუ უსაფუძვლოდ ჩნდება კითხვა, თუ რატომ უთმობენ ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ასე დიდ ყურადღებას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულთა და თვითონ მსჯავრდებულთა დაცვას, რატომ გამოსჭვივის შესაბამის მასალებში

აშკარა სურვილი იმისა, რომ ამ უკანასკნელისათვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის შექმნის გზით ზეგავლენა მოახდინონ სასამართლო ორგანოებზე. კიდევ ვიმეორებთ, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ჟურნალისტმა სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე აუცილებლად შეიკავოს თავი ამა თუ იმ დანაშაულის შესახებ პუბლიკაციის მომზადებისაგან, მაგრამ როცა ჟურნალისტები ასე ხშირად, ენერგიულად და ტენდენციურად იცავენ სერიოზულ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს და ასე ადვილად და ხელაღებით უგულებელყოფენ ბრალდების არგუმენტებს ან საერთოდ არ ამჩნევენ და არ მოიხსენიებენ მათ, უნებურად იბადება ეჭვი იმის თაობაზე, რომ აქ ანგარებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ზნეობრივი ჟურნალისტისათვის ასევე დაუშვებელია პირადი სიმპათია-ანტიპათიის გრძნობით სარგებლობა ან ვილაცის პროტექციის შესაბამისად მოქმედება. მან უარი უნდა თქვას თავისი ნაშრომისათვის ჰონორარის სახით ისეთი თანხის მიღებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ჭარბობს კეთილსინდისიერად გაწეული შრომისათვის ნორმალური ანაზღაურების ოდენობას.

ზოგჯერ რაღაც გამართლებას უძებნიან მცირეხელფასიანი ჟურნალისტების მიერ ანგარებითი მოსაზრებით სარგებლობას, მიუთითებენ, რომ გამომცემელი, რომელიც მცირე გასამრჯელოს უხდის კალმის ოსტატებს, აიძულებს მათ დამატებითი, თუნდაც უკანონო შემოსავლები ეძიონ. მართლაც, ცხადია, რომ ცდუნებისათვის გაძლება ასეთ შემთხვევაში არ არის იოლი, მაგრამ ჟურნალისტს, რომელიც სხვებს მოძღვრავს, სხვანაირად მოქცევის უფლება არა აქვს. ესეც არ იყოს, როცა ადამიანი პროფესიას ირჩევს, მან კარგად იცის, თუ რისი მომტანია იგი. მაშასადმე, თუ არჩევანს მაინც ამ და არა სხვა რომელიმე პროფესიის სასარგებლოდ აკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ეგუება მომავალი შემოსავლის ოდენობას ან არა და ხელის მოთბობის შესაძლებლობის იმედით ჩადის ამას.

ჟურნალისტის განკარგულებაში ძალიან მაღალი ტრიბუნაა. ის ქვეყნის გასაგონად მსჯელობს ამა თუ იმ საკითხზე, შეფასებას აძლევს ადამიანებსა და მოვლენებს. გასაგებია, რომ ეს ძალზე დიდი პატივია და ამ პატივს ღირსეულად უნდა ტარება. რაც, უპირველეს ყოვლისა,

პირად ცხოვრებაში უმაღლეს ზნეობრიობას გულისხმობს. ჟურნალისტმა, რომ სხვები შეაფასოს, მით უმეტეს, გაკიცხოს, ამის მორალური უფლება უნდა ჰქონდეს, ე.ი. თვითონ უნდა იყოს ზნეობრივად უმწიკვლო და არა მარტო მეგობრებთან ურთიერთობაში ან შემოქმედებითს პროცესში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. ჟურნალისტმა არ უნდა მოითხოვოს თავისთვის ისეთი პრივილეგიები, რომლებიც არ წარმოადგენენ აუცილებლობას მის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისათვის. მას უნდა ახსოვდეს, რომ ჟურნალისტური პროფესიის ავტორიტეტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ადამიანის კუთვნილება, იგი ყველა ჟურნალისტის კოლექტიური საკუთრებაა და არავის აქვს უფლება პირადი მიზნებით გამოიყენოს იგი.

ამრიგად, თანამედროვე ქართულ მედიაში ეკონომიკის საკითხების გაშუქების მდგომარეობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს საკითხები ქართველი ჟურნალისტებისათვის უმთავრესი ყურადღების საგანია, ისინი თვალ-ყურს ადევნებენ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესთან დაკავშირებულ ურთულეს მოვლენებს და ხშირ შემთხვევაში ამ მოვლენების სასურველი მიმართულებით წარმართვის მიზნით გვთავაზობენ საყურადღებო წინადადებებსა და მოსაზრებებს, ქმნიან შესაბამის საზოგადოებრივ აზრს.

შეიძლება ითქვას, რომ „პერესტროიკის“ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ქართულ მედიას არ გამორჩენია საქართველოს ეკონომიკასთან დაკავშირებული რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ასე თუ ისე საინტერესო იყო ფართო საზოგადოებისათვის. ყურადღების კონცენტრირება უმთავრესად ხდებოდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ეკონომიკური დაქვეითება და მისი გამომწვევი მიზეზები, კრიზისიდან გამოსვლის გზები და საშუალებები, მიწის რეფორმა, პრივატიზაციის პროცესი, ხელსაყრელი სამენარმეო გარემოსათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ბრძოლა კორუფციასთან, ინვესტიციების მოზიდვა, ენერგეტიკული პრობლემები, დარგობრივი სტრუქტურის რეფორმირება და სხვა.

ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მედიამასალებით დასტურდება, რომ ქართულ ჟურნალისტიკაში ისევე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრების სხვა სფეროებში ძალუმად იჩენს თავს დემოკრატიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელი ტენდენციები: სიტყვის თავისუფლება, აზრთა პლურალიზმი, ოპოზიციურ შეხედულებათა ფართო ასახვა, ხელისუფლების მძაფრი კრიტიკა და მისთ. თუმცა ისიც საგრძნობია, რომ ამ ტენდენციებს ჯერ კიდევ ვერ მიუღიათ ბოლომდე ჩამოყალიბებული და დახვეწილი სახე.

პუბლიკაციათა მნიშვნელოვან ნაწილს აშკარად ეტყობათ არაკომპეტენტურობის კვალი. ამის უმთავრესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ავტორებად უმეტესად არაპროფესიონალები გვევლინებიან. მართალია, საგაზეთო-საჟურნალო ფართობები, ტელერადიოეთერი

მაღალკომპეტენტურ სპეციალისტ-ეკონომისტებსაც ეთმობა (ძირითადად რესპონდენტის სახით), მაგრამ ბევრად უფრო იშვიათად. ამასთან ეს უკანასკნელნი საკმაოდ ხშირად ჩივიან, რომ მათს მოსაზრებებს აუდიტორიას დამახინჯებულად აწვდიან. ისიც შეიმჩნევა, რომ მედია სწავლულ-ეკონომისტთა ვიწრო წრეს იყენებს. ავტორიტეტულ სპეციალისტთა დიდი ნაწილი მისი ყურადღების მიღმა რჩება. მძიმე ფინანსური მდგომარეობა მედიას ურთულებს მათი მოზიდვის საშუალებას, რის გამოც ჯერ კიდევ სუსტად არის ჩამოყალიბებული მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალ-მიმომხილველთა ინსტიტუტი.

საგრძნობია ვულგარიზმი, ზღვარსგადაცილებული აგრესიულობა, წერისა და პოლემიკის აკადემიური სტილისადმი უპატივცემულობა. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს დესტრუქციულობით გატაცება. ყველაფრის გაუმართლებელი პოლიტიზება, რის გამოც არც თუ იშვიათად გაისმის უკმაყოფილება, რომ ეკონომიკამ ვერა და ვერ დააღწია თავი პოლიტიკის მძევლობას და რომ „პოლიტიკამ შეჭამა ქვეყანა“. ჟურნალისტებს უსაყვედურებენ ცილისწამებით გატაცებასაც, ჭორების აყოლასა და გავრცელებას, შეკვეთილი მასალების მომზადებას და მისთ.

აშკარაა პუბლიკაციათა ჟანრობრივი სიღარიბე. მასალები უმთავრესად ქვეყნდება ინტერვიუებს სახით, რომლებიც არც თუ იშვიათად უზომოდ არის გაწელილი და გრძელდება რამდენიმე გვერდზე.

Капанадзе Гиви Шалвович

ОСВЕЩЕНИЕ ВОПРОСОВ ЭКОНОМИКИ В ГРУЗИНСКОЙ МЕДИИ

Резюме

Изучение состояния дел с освещением вопросов экономики в грузинской медии показывает, что эти вопросы являются главным предметом внимания для журналистов. Они следят за связанными с процессом посткоммунистической трансформации событиями и в частых случаях с целью направления этих событий в желаемое русло предлагают заслуживающие внимания рекомендации и соображения, создают соответствующее общественное мнение.

Можно сказать, что начиная с "перестройки" до сегодняшних дней грузинская медиа не упускала из виду связанные с экономикой Грузии важные в той или иной степени явления, которые так или иначе представляли интерес для широкой общественности. Концентрация внимания в основном происходила на таких вопросах, как экономический спад и вызвавшие его причины, пути и средства выхода из кризиса, земельная реформа, процесс приватизации, создание необходимой для инвестиционной среды законодательной базы, фискальная и денежно-кредитная политика, борьба с коррупцией, привлечение инвестиций, энергетические проблемы, реформирование отраслевой структуры народного хозяйства и др.

Посвященные экономическим вопросам медиаматериалы подтверждают, что в грузинской журналистике, как и в других сферах жизнедеятельности независимой Грузии, ярко отражены характерные для процесса демократизации тенденции: свобода слова, плюрализм мнений, широкое освещение оппозиционных взглядов, острая критика правительства и т.п.

Вместе с тем следует отметить, что значительная часть публикаций явно носит отпечаток некомпетентности. Главной причиной тут служит

то обстоятельство, что их авторами в основном являются непрофессионалы. Правда, газетные и журнальные площади, теле и радиоэфир отводятся и высококомпетентным специалистам-экономистам (чаще всего в виде респондентов), но намного реже. К тому же эти последние, часто жалуются, что их мнение аудитории подается в искаженном виде. Заметно и то, что используется лишь узкий круг ученых-экономистов, большая же часть авторитетных специалистов остается без внимания. Трудное финансовое положение медии не позволяет ей шире привлекать их, в результате чего все еще слабо развит институт профессиональных обозревателей, имеющих высокую квалификацию.

Чувствуется также вульгаризм, выходящая вне всякие рамки агрессивность, неуважение к академическому стилю полемики. Особенную тревогу вызывает деструктивизм, неоправданная политизация всего, из-за чего зачастую выражается недовольство, что экономика никак не может освободиться от положения заложницы политики.

Журналистов упрекают и за увлечение клеветой, распространение сплетен, подготовку заказных материалов и т.п.

Заметна жанровая бедность материалов. Они в основном публикуются в виде интервью, которые не так редко чересчур растянуты.

დასახელებული ლიტერატურა და წყაროები

1. ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ, თბ., 2003.
2. ასათიანი რ., ეკონომიკსი, თბ., 1996.
3. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა, წარსული, აწმყო, პერსპექტივები, თბ., 2002.
4. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.
5. გაგოშიძე შ., ჟურნალისტიკის შესავალი, თბ., 1996.
6. გოცირიძე რ., ეკონომიკა, პოლიტიკა, ცხოვრება, თბ., 1999.
7. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, თბ., 2003.
8. ეკონომიკა და ჟურნალისტიკა, თბ., 2002.
9. კაკულია მ., ასლამაზაშვილი ნ., დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები, თბ., 2000.
10. კაპანაძე გ., ქართული მედია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში, თბ., 2004.
11. კობახიძე ე., საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი, თბ., 1971.
12. ლორთქიფანიძე ვ., საბაჟო საქმის საფუძვლები, თ., 2002.
13. მჭედლიშვილი ვ., ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1999.
14. პაპავა ვლ., ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი „შოკური თერაპიიდან" – „სოციალურ სტიმულირებამდე", თბ., 1995.
15. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
16. პაპავა ვლ., ჩვენ „ბლიყვირელები", ანუ საქართველოს ნახევარი წელი „24 საათში", თბ., 2003.
17. საბჭოთა პრესის თეორია და პრაქტიკა, ნაწ. II, თბ., 1978.
18. საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1995.
19. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, თბ., 1991.
20. სიუზან როუზ-აკერმანი, კორუფცია და ხელისუფლება, თბ., 2002.
21. სტალინი ი., თხზ. ტ. 13, თბ., 1952.
22. შევარდნაძე ე., აღმშენებლობა და განვითარება – საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ, თბ., 2000.

23. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.
24. ჩხეიძე თ., საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა, თბ., 2003.
25. Баликоев, В.З., Общая экономическая теория, Нсб., 1996.
26. Введение в теорию журналистики, М., 1980.
27. Линвуд Т. Гайгер, Макроэкономическая теория и переходная экономика, СПб., 1996.
28. Основы творческой деятельности журналиста, СПб ., 2000.
29. Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалензи, Экономика, М., 1997.
30. გაზ. „ალია“ , 24-26.02.1996, 28.02. 2000, 3-4.06. 1999, 15-16.02.2001, 12-13.03. 2001, 27-29.10. 2001, 12-18.11. 2001.
31. გაზ. „ასავალ-დასავალი“, 13.10 1998, 9-11. 11.2001.
32. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 27.09.1990.
33. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 12.12.1989, 26.12.1989.
34. გაზ. „ახალი თაობა“, 1.05.1995, 6.05.1996, 7.08.1997, 3.11.1998, 2.04.1999, 10.09.1999, 16.10.1999, 6.12.1999, 7.12.1999, 3.05.2000, 8.05.2000, 18.10.2000, 24.10.2000, 8.11.2000, 9.11.2000, 21.11.2000, 7.12.2000, 28.01.2001, 20.02.2001.
35. გაზ. „ახალი საქართველო“ 14.11.1990, 16.11.1990.
36. გაზ. „ახალი ტალღა“, 30.10. 1998, 16.04.1999, 23.04.1999.
37. გაზ. „ბანკები და ფინანსები“, №52, 12. 1999.
38. გაზ. „ბიზნეს-კურიერი“, 2.10.1993.
39. გაზ. „ბიზნეს-რეზონანსი“, 9.07.2001.
40. გაზ. „დედამიწა“, 3.03.1994.
41. გაზ. „დილის გაზეთი“, 17.02.2000. 22.03.2001. 7.11.2001., 7.12.2001.
42. გაზ.„დრონი“, 25.01.1992, 27.12.1992, 19.01.1993, 12-18.10. 1995, 29.10.1996, 1.06.1999, 25.04.2001.
43. გაზ. „ეკო-დაიჯესტი“, 18-19. 10.1999, 1-2.12.1999.
44. გაზ. „ერთობა“, №10, 12.1991.
45. გაზ. „თბილისი“, 26.12.1987, 24.08.1989, 26.12.1989, 15.09.1990, 26.08.1991, 21.11.1991, 18.02.1993.
46. გაზ. „იბერია-სპექტრი“, 12-18.03. 1992, 21.11.1995.
47. გაზ. „კაბადონი-8“, 18.05.1991.
48. გაზ. „კვირის პალიტრა“, 17-23.04.1998, 15-25.04.1999, 16-22.12.1999, 13-19.03.2000, 17-23.04.2000, 23-29.04.2001, 24-30.12.2001.

49. გაზ. „კომუნისტი“, 26.10.1988, 15.11.1989, 25.03.1990, 10.10.1990, 28.04.1994, 2-15.03.2001.
50. გაზ. „მართალი გაზეთი“, №53, 11.2001, №4, 06-07.2003.
51. გაზ. „მსგეფსი“, 22-25.1995.
52. გაზ. „რეზონანსი“, 13-14.01.1996, 24.10.1996, 27.10.1999, 24.11.2000, 19.11.2002.
53. გაზ. „რესპუბლიკა“, 30.08.1995.
54. გაზ. „საქართველო“, 2.07.1991, 10.04.1994, 16-22.02.1999.
55. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27.03.1991, 12.07.1991, 14.09.1991, 11.01.1992, 14.01.1992, 15.01.1992, 12.03.1992, 1.10.1992, 27.07.1992, 7.11.1992, 15.01.1993, 16.01.1993, 28.05.1993, 1.06.2000, 1.11.2000, 13.05.2001, 2.08.2001, 4.08.2001, 21.08.2001, 30.08.2001, 10.10.2001, 11.10.2001, 17.10.2001, 30.11.2001, 5.02.2002, 25.12.2002, 24.03.2003, 26.06.2003.
56. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 21.12.1989.
57. გაზ. „ქართველი ერი“, 12-17.1998.
58. გაზ. „შანსი“, 25.05.1991.
59. გაზ. „7 დღე“, 6.08. 1997.
60. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 23.03.2000, 27.03.2000.
61. გაზ. „წუთისოფელი“, 5.12.1990.
62. Газ. "Закавказские военные ведомости", 7.06.1992.
63. Газ. "Известия", 5.12.1990, 9.03.1991.
64. Газ. "Литературная газета", 28.09.1989, 12.12.1990.
65. Газ. "Новые известия", 20.04. 1999.
66. Газ. "Свободная Грузия", 11.02.1992.
67. ჟურნ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, ივნისი, 1998.
68. ჟურნ. „გზა“, №16, 19.04.2001.
69. ჟურნ. „სარკე“, 2-8.09. 2003.
70. ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“, №1. 07.2000.
71. საქ. სახ. ტვ. პირველი არხი („რა ხდება?“), 28.07.2003.
72. ტელეკომპანია „ევრიკა“, 3.12.2000.
73. ტელეკომპანია „იბერია“, 4.02.2004.
74. ტელეკომპანია „იმედი“, 16.08.2004.
75. ტელეკომპანია „კავკასია“, 31.12.2003.
76. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“, 29.01.2002.
77. ტელეკომპანია „რუსთავი-2“, 3.06.2001.

სარჩევი

1. შესავალი 3
2. სოციალიზმი თუ ხელისუფლება? 12
3. რეფორმები 49
4. სამეწარმეო გარემო 154
5. ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა 278
6. დასკვნა 298
7. Резюме 300
8. დასახელებული ლიტერატურა და წყაროები 302



გამომცემლობა „კალიგრაფი“

თბილისი, ალ.ყაზბეგის 47 ტელ: 39 01 94

E-mail: goga.gabashvili@gmail.com